

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო პროგრამა

იოსებ ჯაფარიძე

საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის სტრატეგიული
შესაძლებლობები და „უსაფრთხოების დილემის პარადიგმა“

სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია სოციალურ მეცნიერებათა
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფესორი რევაზ ჯორბენაძე
სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი - პროფესორი გუგული მაღრაძე



თბილისი, 2021 წელი

მადლიერება

მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემს მეუღლეს მათა აბრამიშვილს და შვილს მარიამ ჯაფარიძეს, რომელთა მხარდაჭერასაც მუდმივად ვგრძნობდი არა მარტო წინამდებარე კვლევაზე მუშაობის პროცესში, არამედ მთელი ჩემი სამხედრო კარიერის განმავლობაში. მათი განსაკუთრებული თანადგომის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა ნაშრომის დასრულება.

გაწეული თანადგომისთვის მადლობას ვუხდის ჩემი კვლევის ხელმძღვანელს პროფესორ რეზო ჯორბენაძეს და კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს პროფესორ გუგული მაღრაძეს, რომელთა მენტორობასა და მხარდაჭერას მუდმივად ვგრძნობდი კვლების პროცესის განმავლობაში.

მადლობას ვუხდის პროფესორებს თეონა მატარაძეს, ზურაბ აბაშიძეს, ლაშა ტულუშს და ვახტანგ მაისაიას ნაშრომთან დაკავშირებით მიღებული მნიშვნელოვანი რეკომენდაციებისთვის.

ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებული განსაკუთრებული მხარდაჭერისთვის მადლობას ვუხდის ქალბატონ თეა ქუსიკაშვილს.

მიძღვნა

ნაშრომი ეძღვნება საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, თავისუფლებისთვის და ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაცემული გმირების ხსოვნას. ასევე ყველა იმ სამხედრო მოსამსახურის ხსოვნას, ვინც საკუთარი სიცოცხლე გაიღო საქართველოს სახელით მსოფლიოს მშიდობის მშენებლობის მიზნით წარმოებულ საერთაშორისო მისიებსა და ოპერაციებში.

აბსტრაქტი

ქვეყნის წინაშე არსებული უსაფრთხოების ურთულესი გამოწვევებიდან გამომდინარე საქართველოს NATO-ში ინტეგრაცია, როგორც ქვეყნის შიდა, ასევე საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. კვლევის სამეცნიერო სიახლე ისაა, რომ იგი არის ერთ-ერთი პირველი ნაშრომი, რომელიც ეცდება საქართველოს წინაშე არსებული ურთულესი გეოპოლიტიკური გამოწვევებისა და NATO-საქართველოს ურთიერთობების სიღმისეული ასპექტების შესწავლის საფუძველზე დადებით ჭრილში ახსნას საქართველოს გაწევრიანების საკითხთან მიმართებაში NATO-ს არაჩქარების პოლიტიკის მიზეზები საქართველოს უსაფრთხოების ინტერესებთან მიმართებაში. კვლევა ახალ ჭრილში ხსნის NATO-საქართველოს ურთიერთობების იმ ასპექტებს, რომელიც მიმართულებითაც მნიშვნელოვანი პასუხგაუცემელი შეკითხვები არსებობს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. კვლევის ჰიპოთეზის მიხედვით საქართველოს გაწევრიანების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საკითხთან მიმართებაში NATO-ს პოლიტიკა წარმოადგენს გააზრებულ და რაციონალურ მიდგომას, რომელიც პირდაპირ კავშირშია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებთან. კვლევა ეფუძნება სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდების კომბინაციას. ნაშრომში გამოყენებულია კვლევის ინოვაციური მეთოდოლოგიური ჩარჩო, რომლის ორიგინალურობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი უშვებს სამხედრო სტრატეგიული დონის დაგეგმვის, ანალიზის და გადაწყვეტილების მიღების შესახებ არსებული მიდგომების გამოყენების შესაძლებლობას სოციალურ კვლევებში მეთოდოლოგიურ ჩარჩოდ, რომელიც დახმარებას გაუწევს მკვლევარებს კვლევის დაგეგმვის, სტრუქტურირებისა და აღსრულების პროცესში. აღნიშნული ჩარჩოს გამოყენება შესაძლებლობას იძლევა კვლევის მიგნებებზე დაყრნობით, შემუშავებულ იქნას პრობლემის გადაჭრის გზები, რაც წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორს, სამომავლოდ კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენების აღსრულების მიმართულებით. ნაშრომი ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ახალი ცოდნის შექმნასა და მიგნებების წარმოჩენას კვლევაში წარმოდგენილ მნიშვნელოვან და აქტუალურ

საკითხებთან დაკავშირებით, ხოლო მეორე მხრივ, წინამდებარე კვლევის შედეგებისა და სამეცნიერო მიგნებების საზოგადოებისთვის ახალ, საინტერესო ჭრილში მიწოდებას. წარმოდგენილი კვლევის შედეგები პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს, როგორც აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ პირებს, მკვლევარებსა და დიპლომატებს, ასევე საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის პროცესში ჩართულ წამყვან გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.

საკვანძო სიტყვები: NATO-ს პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში, საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის ხელის შემშლელი მიზეზები, ძალთა ბალანსი სამხრეთ კავკასიის რეგიონში, საქართველოს უსაფრთხოების დილემის პარადიგმა, NATO -ში ინტეგრაციის სტრატეგიული შესაძლებლობები

ABSTRACT

Due to the most difficult security challenges facing the country, Georgia's integration into NATO represents one of the most important priorities of domestic and foreign policy. The scientific novelty of the study is that it is one of the first papers which tries to explain in a positive way NATO's non acceleration policy towards Georgia's future membership from Georgia's security interests, based on the deep analysis of NATO-Georgia relations and the most difficult geopolitical challenges facing Georgia. The aim of the study is to present in a new perspective the aspects of NATO-Georgia relations, in which direction there are important questions, both inside the country and abroad. According to the hypothesis of the study, NATO's policy regarding the decision-making process for Georgia's accession is a thoughtful and rational approach that is directly based on the interests of Georgia's national security. The research is based on a combination of qualitative social research methods. The research uses an innovative methodological basis of the study. The originality of the research lies in the fact that it allows the use of existing approaches to military strategic-level planning, analysis and decision-making as a methodological framework in social research to assist researchers in the planning, structuring and execution of research. The use of this framework allows, based on the findings of the research, to develop ways to solve the problem, which is a very important factor in the future implementation of the practical results of the research. The paper, on the one hand, provides new knowledge and insights on important and topical issues presented in the research, and on the other hand, provides the results of the present research and scientific findings to the public in a new, interesting context. The results of the presented research will provide practical assistance to those interested in these issues, researchers and diplomats, as well as leading decision-makers involved in the process of Georgia's integration into NATO.

Key Words: NATO Policy Towards Georgia, Hindering reasons Georgia's integration into NATO, Balance of Power in the South Caucasus, The Georgian security dilemma paradigm, Strategic Opportunities for NATO Integration

სარჩევი

შესავალი.....	1
საკვლევო პრობლემა და აქტუალურობა	1
კვლევის მიზანი და ამოცანები	3
საკვლევო კითხვა და კვლევის ჰიპოთეზა	4
კვლევის სიახლე და პრაქტიკული ღირებულება.....	6
ნაშრომის სტრუქტურა	7
კვლევის მეთოდოლოგია	8
თეორიული ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა	15
თავი I. NATO-ს წევრობის ძირითადი მოთხოვნები და საქართველო	43
1.1 NATO-ს ღია კარის პოლიტიკა და გაწევრიანების ძირითადი მოთხოვნები	43
1.2 საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის მოკლე მიმოხილვა	47
1.3 კონფლიქტების დარეგულირების სამშვიდობო პოლიტიკა	56
1.4 NATO-ში ინტეგრაციის პროცესში ქვეყნის მთავარი აქტორის - საქართველოს თავდაცვის ძალების როლი	64
თავი II. NATO-საქართველოს ურთიერთობების საწყისები, მნიშვნელოვანი მოვლენები და არსებული თანამშრომლობის მექანიზმები	75
2.1 NATO-საქართველოს ურთიერთობის საწყისები	75
2.2 2008 წლის NATO-ს ბუქარესტის სამიტის პოლიტიკური პერიპეტეები.....	80
2.3 საქართველო, როგორც NATO-ს წარმატებული მოწინავე ასპირანტი ქვეყანა - წარმატებული დიალოგი და ალიანსთან თანამშრომლობის ძლიერი მექანიზმები	90
თავი III. საქართველოს NATO-ში გაწევრიანების პროცესზე მოქმედი აქტორები და მათი გეოპოლიტიკური ინტერესები საქართველოსთან მიმართებაში	104
3.1 ამერიკის შეერთებული შტატები	104
3.2 რუსეთი	112
3.3 NATO	121

თავი IV. ექსპერტული ინტერვიუების შეჯამება და MAP-ის ძირითად კრიტერიუმებთან მიმართებაში საქართველოსა და ჩრდილოეთ მაკედონიის შედარებითი ანალიზი	125
4.1 ექსპერტული ინტერვიუების შემჯამებელი ანალიზი	125
4.2 საქართველოსა და ჩრდილოეთ მაკედონიის შედარებითი ანალიზი NATO-ს წევრობის ძირითად მოთხოვნებთან მიმართებაში	135
კვლევის შედეგები	145
დანართი 1 - ექსპერტული ინტერვიუები	159
ბიბლიოგრაფია.....	193

სურათების და დიაგრამების ჩამონათვალი

სურათი 1 - ოპერატიული დიზაინი.....	13
სურათი 2 - ოპერატიული მიდგომა	14
სურათი 3 - საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ენერგო პროექტები.....	117
სურათი 4 - ნაბუქოს გაზსადენის პროექტი.....	118
სურათი 5 - რუსული ქვედანაყოფების განლაგება სამხრეთ კავკასიაში.....	120
დიაგრამა 1 - რაოდენობრივი მონაცემები NATO-ს ISAF-სა და RSM-ის მისიაში საქართველოსა და მაკედონიის თავდაცვის ძალების მონაწილეობის შესახებ	139
დიაგრამა 2- საქართველოსა და მაკედონიის სამხედრო დანახარჯები მთლიანი შიდა პროდუქტის პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით	140
დიაგრამა 3 - საქართველოსა და მაკედონიის მაჩვენებლები დემოკრატიული ინდექსის მიხედვით 2008-2017 წლებში	141
დიაგრამა 4- საქართველოს და მაკედონია მონაცემები Freedom House-ის 2008-2018 წლების კვლევის მიხედვით - „თავისუფლება მსოფლიოში,“	141
დიაგრამა 5 - საქართველოსა და მაკედონიის მაჩვენებლების შედარება ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებლის მიხედვით.....	142

შესავალი

საკვლევი პრობლემა და კვლევის აქტუალობა

ნაშრომში წარმოდგენილი საკვლევი საკითხის აქტუალობას რამოდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებს. ქვეყნის წინაშე არსებული უსაფრთხოების ურთულესი გამოწვევებიდან გამომდინარე საქართველოსთვის ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (შემდგომში - NATO) ინტეგრაცია სტრატეგიული მნიშვნელობის მიზანს წარმოადგენს, რაც ოფიციალურად არის აღიარებული, როგორც ქვეყნის შიდა, ასევე საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად.

საქართველო თითქმის ორი ათწლეულია აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების გამტკიცების კუთხით კოსოვოში, ერაყსა და ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში ამერიკის შეერთებული შტატებისა და NATO-ს ეგიდით წარმოებულ საერთაშორისო მრავალეროვნულ საბრძოლო ოპერაციებსა და სამშვიდობო მისიებში. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მოთხოვნებთან თავსებადობის ასამაღლებლად საქართველომ წარმატებით განახორციელა რიგი სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების სერია. იმის მიუხედავად, რომ -ში ინტეგრაციის გზაზე საქართველომ ძალიან მნიშვნელოვან განვითარების ეტაპს მიაღწია ალიანსთან თავსებადობის კუთხით, ქვეყნის დიდი ნაწილის ოკუპაციისა და რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური სიტუაციის ფონზე საქართველოს წევრობის საკითხი ფართო საზოგადოებისთვის ახლო პერსპექტივაში დღემდე კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება.

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქთველოს ინტეგრაციის პროცესს განსაკუთრებით ართულებს რუსეთის აგრესიული პოლიტიკა საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც მიმართულია ჰიბრიდული შესაძლებლობების წარმატებული გამოყენების საშუალებით სამხრეთ კავასიის რეგიონში გავლენის სფეროს შენარჩუნებისა და გაძლიერებისკენ. რუსეთის მხრიდან განხორციელებული საქართველოს ძირძველი კუთხეების აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპაცია, აღნიშნულ რეგიონებში რუსული შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების ბაზირებისა და მზარდი მილიტარიზაციის პროცესები, წარმოადგენს ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორებს, რომლებსაც რუსეთი წარმატებით იყენებს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროცესის შეფერხებისა

და მისი სამხრეთ საზღვრების მიმართულებით -ს გაფართოების პოლიტიკის წინააღმდეგ.

საქართველოსთვის NATO-ში ინტეგრაციის უმთავრეს მიზანს ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცება და სუვერენიტეტის დაცვა წარმოადგენს. საქართველოსთვის, ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია ნიშნავს კოლექტიური თავდაცვის ქოლგის ქვეშ ქვეყნის სტაბილურ და მშვიდობიან განვითარებას, რომელიც დაფუძნებული იქნება ტრადიციულ და თანამედროვე ცოდნაზე, კანონის უზენაესობაზე, ძლიერ შეიარაღებულ ძალებსა და მაღალ თავდაცისუნარიანობაზე, უკეთეს განათლებასა და ჯანდაცვაზე, რამაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის მოქალაქეების კეთილდღეობა, უსაფრთხოება, მშვიდობიანი გარემო და საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა და ტერიტორიული გამთლიანება.

საქართველოს მოსახლეობის მხრიდან ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის ფართო მხარდაჭერის მიუხედავად NATO-ში გაწევრიანების პერსპექტივები კვლავ სერიოზული მსჯელობის საგნად რჩება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე. საქართველოს სწრაფვა ჩრდილოატლანტიკური ალიანსისკენ და NATO-ს გაფართოების პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართულებით პირდაპირ ეწინააღმდეგება რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს, რომელიც ცდილობს არამარტო შეინარჩუნოს, არამედ უფო გაზარდოს თავისი გავლენა საქართველოსა და მთელს სამხრეთ კავკასიის რეგიონზე. რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ტერიტორიების ოკუპაციისა და გაყინული კონფლიქტების წარმატებული პოლიტიკა უსაფრთხოების დილემის წინაშე აყენებს საქართველოს და საფრთხეს უქმნის მის ეროვნულ ინტერესებს, სტაბილურობასა და მშვიდობიან განვითარებას.

საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების საკითხთან მიმართებაში NATO-ს არაჩქარების პოლიტიკა, ქართული საზოგადოების ნაწილისთვის გაურკვეველს ტოვებს საქართველოს ალიანსის სრულუფლებიან წევრობაზე გადასვლის ვადებსა და პირობებს, რაც მართლაც ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ თემას წარმოადგენს ნებისმიერი საქართველოს მოქალაქისთვის, ვინაიდან საქართველოს NATO-ში გაწევრიანება მათთვის ქვეყნის სტაბილურობასა და უსაფრთხოების გარანტიებს

უკავშირდება, განსაკუთრებით იმ რეალობაში, სადაც ქვეყნის ტერიტორიების ოც პროცენტზე მეტი რუსეთის ფერდერაციის მხრიდან არის ოკუპირებული და თითქმის ყოველდღე ხორციელდება მცოცავი ოკუპაციის ფაქტები, რომელსაც ემატება უკუპირებული რეგიონებისა და საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიების საზღვრებთან მდებარე სოფლებიდან მოსახლეობის გატაცებისა და მათი სამოქალაქო უფლებების სისტემატური დარღვევის ფაქტები. აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში ინფომაციის ნაკლებობა ნეგატიურად მოქმედებს ქართულ საზოგადოებაზე, განაკუთრებით საქართველოში რუსული დეზინფორმაციის გავრცელების პირობებში და ეჭვქვეშ აყენებს, როგორც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მხრიდან საქართველოს მხარდაჭერის საკითხს, ასევე ჩრდილს აყენებს NATO-სთან თავსებადობის მიღწევის მიზნით საქართველოს მიერ გატარებულ მრავალწლიანი რეფორმირების პროცესებს, ქართველი სამხედროების მიერ NATO-ს მისიებსა და ოპერაციებში გაღებულ მსხვერპლს, უდიდეს კონტრიბუციასა და გაწეულ ძალისხმევას საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცების პროცესებში.

აღნიშნული საკითხის პრობლემატიკის გათვალისწინებით განხორციელებული სიღრმისეული კვლევა აქტუალურს ხდის წინამდებარე ნაშრომს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე.

კვლევის მიზანი და ამოცანები

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს წინაშე არსებული რთული და კომპლექსური გეოპოლიტიკური გამოწვევების ჭრილში NATO-საქართველოს ურთიერთობების სიღრმისეული ანალიზი და შესწავლა, რათა დადგინდეს საქართველოს გაწევრიანების საკითხთან მიმართებაში NATO-ს არაჩქარების პოლიტიკის მიზეზები და მათი კავშირი საქართველოს უსაფრთხოების ინტერესებთან მიმართებაში.

წინამდებარე კვლევის ამოცანებად განისაზღვრა:

- საქართველოსთვის NATO-ში გაწევრიანების საკითხის, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული მიზნის მხარდამჭერი ეროვნული დონის სტრატეგიული და კონცეპტუალური დოკუმენტების შესწავლა;

- NATO-ს წევრობისთვის დადგენილი ძირითადი მოთხოვნების შესწავლა და ანალიზი;

- NATO-ს წევრობის ძირითად მოთხოვნებთან თავსებადობის მიღწევის გზაზე საქართველოს მიერ გაწეული ძალისხმევის ანალიზი;

- NATO-საქართველოს ურთიერთობებისა და არსებული თანამშრომლობის მექანიზმების სიღრმისეული შესწავლა;

- იმ ძირითადი გეოპოლიტიკური ფაქტორების დადგენა, რომელიც მინშვნელოვან გავლენას ახდენს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს ინტეგრაციის პროცესებზე.

- ჩრდილოეთ მაკედონიისა და საქართველოს შედარებითი ანალიზის განხორციელება MAP-ის ძირითადი კრიტერიუმების მიედვით.

- კვლევის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით NATO-საქართველოს ურთიერთობების ექსპერტებთან ინტერვიუების ჩარატება და შედეგების ანალიზი.

- NATO-ში გაწევრიანების პროცესის ხელისშემლელი მთავარი პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება.

- იმ მთავარი მოქმედებების, კრიტიკული შესაძლებლობებისა და რესურსების განსაზღვრა, რომელთა განვითარება, გამოყენება და განხორციელებაც საჭიროა კვლევის ფარგლებში გამოვლენილი მთავარი პრობლემებისა და გამოწვევების გადასაჭრელად, რათა მიღწეულ იქნას სასურველი სტრატეგიული მიზნები.

- კვლევის საფუძველზე მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაციის ანალიზის შედეგად ნაშრომის საკვლევ კითხვაზე პასუხის გაცემა.

საკვლევი კითხვა და კვლევის ჰიპოთეზა

სადისერტაციო ნაშრომი ერთი ძირითადი საკვლევი კითხვისაგან შედგება:

- პასუხობს თუ არა NATO-ს მხრდან საქართველოს გაწევრიანების საკითხთან მიმართებაში არსებული პოლიტიკა საქართველოს ეროვნული უსაფრთხეების ინტერესებს?

კვლევის ჰიპოთეზის მიხედვით საქართველოს გაწევრიანების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საკითხთან მიმართებაში NATO-ს არაჩქარების პოლიტიკა წარმოადგენს გააზრებულ და რაციონალურ მიდგომას, რომელიც პირდაპირ ეფუძნება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს. NATO-საქართველოს ფართო სპექტრის თანამშრომლობის მექანიზმები საქართველოსთვის წარმოადგენს უაღრესად დიდი მნიშვნელობის მქონე შესაძლებლობას, რომელიც აძლევს მას შანსს მოემზადოს და განავითაროს ის კრიტიკული შესაძლებლობები, რომლებიც ერთი მხრივ მაქსიმალურად აამაღლებს და ეფექტურს გახდის ქვეყნის უსაფრთხოების სტრატეგიულ შესაძლებლობებს, ხოლო მეორე მხრივ უზრუნველყოფს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ოპერატიულ და სტრატეგიულ მიზნებთან საქართველოს მაქსიმალური თავსებადობის მიღწევას. აღნიშნული ჰიპოთეზის საფუძველზე არსებობს რისკი, რომ კარგად გააზრებული და დეტალური სტრატეგიული დაგეგმვის გარეშე საქართველოს წევრობაზე გადასვლის საკითხის დაჩქარებამ და წინ წამოწევამ შესაძლოა გამოუსწორებელი შედეგები მოუტანოს საქართველოს.

წინამდებარე ნაშრომში *დამოკიდებული ცვლადი იქნება* საქართველოს ძალისხმევა NATO-ში გაწევრიანების სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, ხოლო *დამოუკიდებელი ცვლადს* წარმოადგენს რუსეთის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში.

დამოკიდებული ცვლადის ინდიკატორებია: 1. ალიანსში გაწევრიანების გაცხადებული სტრატეგიული მიზნის შეუსრულებლობა, 2. ალიანსის ქვეყნების მიერ საქართველოს წევრობის საკითხთან დაკავშირებით კონსენსუსის მიღწევის პროცესზე ბერკეტის არქონა, 3. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ სეპარატისტულ მთავრობებთან პირდაპირი დიალოგის არქონა, 4. ცენტრალური ხელისუფლების მიერ ქვეყნის მნიშვნელოვან რეგიონებზე კონტროლის განხორციელების შეზღუდვა, 5. რუსეთის ჰიბრიდულ საფრთხეების რეაგირების ძლიერი მექანიზმების არარსებობა.

დამოუკიდებელი ცვლადის ინდიკატორებია: რუსეთის მხრიდან 1. ზეწოლა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესზე, 2. ოკუპაცია და ოკუპირებული ქვეყნების დამოუკიდებლობის აღიარება სტრატეგიული მიზნების ხელშეწყობის მიზნით, 3. ოკუპირებულ ტერიტორიებზე დევნილების დაბრუნებისა და სამშვიდობო პროცესების

ხელის შეშლა, 4. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მზარდი მილიტარიზაციის პროცესის გაგრძელება, 5. NATO-ს წამყვან წევრ სახელმწიფოებთან ენერგორესურსების პოლიტიკის გამოყენებით საქართველოს საკითხით მანიპულირება, 5. საქართველოში ჰიბიდული ომის ელემენტების გამოყენების მეშვეობით საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ქმედებების დაგეგმვა და განხორციელება ევროატლანტიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის პროცესის ხელის შეშლის მიზნით.

კვლევის სიახლე და პრაქტიკული ღირებულება

წინამდებარე კვლევა იქნება მცდელობა იმისა, რომ სრულიად ახალ კონტექსტში შეისწავლოს საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების პროცესის ასპექტები. კვლევის სამეცნიერო სიახლე ისაა, რომ იგი არის ერთ-ერთი პირველი ნაშრომი, რომელიც ეცდება საქართველოს წინაშე არსებული ურთულესი გეოპოლიტიკური გამოწვევებისა და NATO-საქართველოს ურთიერთობების სიღმისეული ასპექტების შესწავლის საფუძველზე დადებით ჭრილში ახსნას საქართველოს გაწევრიანების საკითხთან მიმართებაში NATO-ს არაჩქარების პოლიტიკის მიზეზები და მათი გავლენა საქართველოს უსაფრთხოების ინტერესებზე.

სიახლეს წარმოადგენს ასევე კვლევაში გამოყენებული ინოვაციური მეთოდოლოგიური ჩარჩო, რომლის მიზანია წარმოაჩინოს, რომ წარმოდგენილი სამხედრო სტრატეგიული დაგეგმვის ფორმატის გამოყენება შესაძლებელია სოციალურ კვლევაში მეთოდოლოგიურ ჩარჩოდ, რომელიც დახმარებას გაუწევს მომავალ მკვლევარებს კვლევის დაგეგმვისა, ნაშრომის სტრუქტურებისა და აღსრულების პროცესში. აღნიშნული ჩარჩოს გამოყენება შესაძლებლობას იძლევა კვლევის მიგნებებზე დაყრნობით, შემუშავებულ იქნას პრობლემის გადაჭრის გზები, რაც წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორს, სამომავლოდ კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენების აღსრულების მიმართულებით.

ნაშრომი ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ახალი ცოდნის შექმნასა და მიგნებების წარმოჩენას კვლევაში წარმოდგენილ მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, ხოლო მეორე მხრივ, წინამდებარე კვლევის შედეგებისა და სამეცნიერო

მიგენებების საზოგადოებისთვის ახალ, საინტერესო ჭრილში მიწოდებას. წინამდებარე კვლევა ახალ ჭრილში ხსნის NATO-საქართველოს ურთიერთობების იმ ასპექტებს, რომელი მიმართულებითაც მნიშვნელოვანი პასუხგაუცემელი შეკითხვები არსებობს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

წარმოდგენილი კვლევის შედეგები პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს, როგორც აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ პირებს, მკვლევარებსა და დიპლომატებს, ასევე საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის პროცესში ჩართულ წამყვან გადაწყვეტილების მიმღებ პირებს როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო დონეზე.

ნაშრომის სტრუქტურა

ვიდრე კვლევის მეთოდოლოგიაზე გადავიდოდეთ მნიშვნელოვანია ნაშრომის სტრუქტურის გააზრება:

ნაშრომის შესავალი ნაწილი მიმოიხილავს კვლევის ზოგად მნიშვნელობას, საკვლევ პრობლემასა და აქტუალურობას, განსაღვრავს კვლევის მიზნებსა და ამოცანებს, საკვლევ კითხვასა და კვლევის ჰიპოთეზას, კვლევის სიახლესა და პრაქტიკულ ღირებულებას, ნაშრომის სტრუქტურას, კვლევის მეთოდებს და მეთოდოლოგიურ ჩარჩოს, კვლევის თეორიულ ჩარჩოსა და ლიტერატურის მიმოხილვას.

I თავში წარმოდგენილია NATO-ს წევრობის ძირითადი მოთხოვნები და საქართველოს პროგრესი აღნიშნულ მოთხოვნებთან მიმართებაში.

II თავი სწავლობს NATO-საქართველოს ურთიერთობების საწყისებს, მნიშვნელოვან მოვლენებს და არსებული თანამშრომლობის მექანიზმებს.

III თავში წარმოდგენილია საქართველოს NATO-ში გაწევრიანების პროცესზე მოქმედი მნიშვნელოვანი აქტორებისა და მათი გეოპოლიტიკური ინტერესების ანალიზი საქართველოსთან მიმართებაში.

IV თავში წარმოდგენილია ინფორმაცია კვლევის ფარგლებში განხორციელებული ექსპერტული ინტერვიუების და MAP-ის ძირითად კრიტერიუმებთან მიმართებაში საქართველოსა და ჩრდილოეთ მაკედონიის შედარებითი ანალიზის შესახებ.

ნაშრომის ბოლო ნაწილში წარმოდგენილია კვლევის შედეგები პასუხები საკვლევ კითხვასთან მიმართებაში და კვლევის ძირითადი მიგნებები.

კვლევას თან ერთვის განხორციელებული ინტერვიუების ტრანსკრიპტები და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი (ბიბლიოგრაფია).

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ეფუძნება **სოციალური კვლევის თვისებრივ მეთოდოდს** და მიღებული ინფორმაციის შემაჯამებელი ანალიზის განხორციელებას გაზომვების ინსტრუმენტების გამოყენების გარეშე.

კვლევისას გამოყენებული იქნა, როგორც მეორადი, ასევე პირველადი წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზი. სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის შემდგომი მეთოდები:

დოკუმენტების ანალიზი - აღნიშნული მეთოდი ორიენტირებულია კვლევის პროცესში მეორადი წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის შესწავლასა და ანალიზზე. საკვლევ მასალებისა და რესურსების შერჩევის პროცესის კრიტერიუმებად განისაზღვრა მასალის **რელევანტურობა** და **სიზუსტე**. კვლევის წარმოებისთვის საჭირო ინფორმაციის მოძიებისა და ანალიზის პროცესში აქცენტი გაკეთდა ისეთ მეორად წყაროებზე, როგორცაა უცხოელ და ქართველ საზოგადო მოღვაწეთა, ექსპერტთა და მეცნიერთა წიგნები, სამეცნიერო ნაშრომები, პუბლიკაციები, სტატიები, სტატისტიკური მონაცემები, ოფიციალური სამთავრობო დოკუმენტები და მოხსენებები, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შესრულებული კვლევები, ცნობილი პოლიტიკოსების, NATO-ს ქვეყნებისა და რუსეთის ფედერაციის წამყვანი გადაწყვეტილების მიმღები პირების პოზიციები და ოფიციალური განცხადებები. ჩვენი კვლევის ფარგლებში საფუძვლიანად იქნა შესწავლილი და გაანალიზებული სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც იკვლევს NATO-საქართველოს ურთიერთობებს, სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებულ გეოპოლიტიკურ მოვლენებსა და დიდი სახელმწიფოების ინტერესებს.

შედარებითი ანალიზის მეთოდი - კვლევაში გამოყენებული იქნა შედარებით ანალიზის მეთოდი, რომელიც მოიცავს ორი ან მეტი შემთხვევის ჭრილში გარკვეული

კრიტერიუმებიდან გამომდინარე სასურველი მონაცემების ურთიერთშედარებას. წინამდებარე ნაშრომში შედარებითი ანალიზის მეთოდის გამოყენების მიზანს წარმოადგენდა იმ მიზეზების დადგენა, თუ რა გავლენას ახდენს NATO-ს ასპირანტი ქვეყნების მიერ MAP-ით განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების პროცესის შედეგებზე. ღნიშნულ კონტექსტში სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია MAP-ის ძირითად კრიტერიუმებთან მიმართებაში ჩრდილოეთ მაკედონიისა და საქართველოს შედარებითი ანალიზი. აღნიშნული ანალიზი განხორციელდა ნაშრომის ავტორის იმ პოზიციის მხარდასაჭერად, რომლის მიხედვითაც მხოლოდ წევრობის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილება არ წარმოადგენს ჩრდილოატლანტიკური ალიანსში გაწევრიანების უპირობო გარანტს.

ექსპერტული ინტერვიუს მეთოდი - კვლევაში მონაწილეობა მიიღო შვიდმა რესპოდენტმა. რესპოდენტების შერჩევასა და გამოვიყენეთ მიზნობრივი შერჩევის მეთოდი, სადაც აცენტი გაკეთდა რესპოდენტების პრაქტიკულ გამოცდილებასა და ექსპერტიზის მაღალ დონეზე NATO-საქართველოს ურთიერთობების საკითხებში. მიმდინარე პანდემიის პირობებში რესპოდენტთა უსაფრთხოების ინტერესების დაცვის გამო, ორ კანდიდატთან ინტერვიუს პროცესი განხორციელდა ონლაინ პლატფორმა Zoom-ის მეშვეობით, ხოლო დანარჩენ კანდიდატებთან პირისპირ.

ინტერვიუს კითხვები კვლევის თემატიკიდან გამომდინარე წინასწარ იქნა მომზადებული, თუმცა მათი რაოდენობა ინტერვიუების პროცესში რიგ შემთხვევებში იზრდებოდა ან კლებულობდა რესპოდენტთა პასუხებიდან გამომდინარე. ინტერვიუს განხორციელებისა და დამუშავების პროცესში სრულად იქნა დაცული ეთიკური სტანდარტები და რესპოდენტთა საავტორო უფლებები.

ვინაიდან შერჩეული რესპოდენტები წარმოადგენდნენ უმაღლესი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პირებს NATO-საქართველოს ურთიერთობების მიმართულებით და მათი მოსაზრებები საინტერესო იქნება არა მარტო წინამდებარე კვლევაში გამოსაყენებლად, არამედ ასევე დაინტერესებული საზოგადოების წევრებისთვის და სხვა მკვლევარებისთვის, რესპოდენტებისგან მიღებული იქნა

თანხმობა მათი ინტერვიუები დანართის სახით გამოქვეყნებულიყო ჩემს სადისერტაციო ნაშრომთან ერთად, რათა ნებისმიერ მსურველს მისცემოდა აღნიშნული ღირებული ინფორმაციის გაცნობის საშუალება. მინდა დავძინო, რომ აღნიშნულ ინტერვიუებში გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენს კვლევაში ჩართული რესპოდენტების პირად მოსაზრებებს კვლევის საკითხებთან მიმართებაში.

ნაშრომში გამოყენებულია სოციალურ კვლევებში აპრობირებული კვლევის დედუქციური მიდგომა, რომელიც იწყება ჰიპოთეზიდან და ჰიპოთეზის შესამოწმებლად გასატარებელი ღონისძიებებისკენ მივყავართ. აღნიშნული მიდგომა ითვალისწინებს სტრატეგიას ზოგადი კანონზომიერებებიდან კვლევის სპეციფიკურ მაგალითებამდე და იყენებს დედუქციურ განსჯას ჰიპოტეტურ მოსაზრებებში, რასაც მივყავართ შედეგებამდე რომლებიც ადასტურებენ ან უარყოფენ კვლევის ჰიპოთეზებს.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის ინოვაციური **მეთოდოლოგიური ჩარჩო**, რომელიც შემუშავებულია ამერიკის არმიის სამეთაურო და გენერალური შტაბის კოლეჯის ლოგისტიკისა და ოპერაციების რესურსების დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორის *კენტ ლონგის* მიერ. აღნიშნული კვლევის თეორიული ჩარჩოს ორიგინალურობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი უშვებს ა.შ.შ.-ს არმიის სახმელეთო ჯარებში არსებულ ოპერატიული და სტრატეგიული ღონის დაგეგმვის, ანალიზის და სამხედრო გადაწყვეტილების მიღების სამხედრო კონცეფციების შერწყმას თვისობრივი კვლევის სხვა მეთოდებთან საკვლევ კითხვებზე პასუხების მიღების უზრუნველსაყოფად (Long D. K., 2018).

ეს მეთოდი აერთიანებს საუკეთესო სამხედრო პრაქტიკულ მოდელებს, კონცეფციებს და პროცესებს, რომელიც კრიტიკულ და კრეატიულ აზროვნებაზე დაფუძნებული პროფესიონალური მსჯელობის საშუალებით უზრუნველყოფს კომპლექსური პრობლემების ანალიზს, მათი გადაჭრის გზების შემუშავებას და საბოლოო პროდუქტისა თუ რეკომენდაციების გადაწყვეტილებების მიმღები უმაღლესი სამხედრო, თუ პოლიტიკური დონის ლიდერებისათვის წარდგენას.

აღნიშნული კვლევის მეთოდოლოგიის ფარგლებში საკვლევ კითხვებზე პასუხების მოსაძიებლად გამოყენებულია ა.შ.შ.-ს არმიის გაერთიანებული დაგეგმვის პროცესის

ერთ-ერთი წამყვანი ელემენტი - **ოპერატიული დიზაინი** (JP 5-0, თავი IV-6), რომლებიც წარმოადგენს სამხედრო ოპერატიული და სტრატეგიული დონის ოპერაციების დაგეგმვის პროცესში ძალიან მნიშვნელოვან კონცეპტუალურ ჩარჩოს და სამხედრო ოპერაციების დაგეგმვისა და აღსრულების პროცესის განუყოფელ ნაწილს. ა.შ.შ.-ს არმიის გაერთიანებული დაგეგმვის პროცესი კი „წარმოადგენს გააზრებულ პროცესს როგორ (გზები) უნდა იქნას გამოყენებული სამხედრო შესაძლებლობები (რესურსები) დროში და სივრცეში განსაზღვრული მიზნის მისაღწევად გააზრებული რისკების გათვალისწინებით“ (JP 5-0, თავი XI).

ოპერატიული დიზაინი (იხ. სურათი N1) წარმოადგენს კონცეპტუალური ჩარჩოს, რომელიც სამხედრო მოსამსახურეთა გამოცდილებაზე, კრიტიკულ და კრეატიულ აზროვნებაზე დაყრდნობით, **ოთხი საფეხურის პრინციპის** (იხ. სურათი N1) გამოყენებით უზრუნველყოფს ოპერატიულ და სტრატეგიულ დონეზე სამხედრო კამპანიებისა და ოპერაციების დაგეგმვას და აღსრულების პროცესების მხარდაჭერას. ამერიკის შეერთებული შტატების არმიის სტრატეგიული და ოპერატიული დონის შტაბებში შესაბამისი დონის მეთაურის ბრძანების მიღების შემდგომ იწყება დეტალური დაგეგმვის პროცესი, რომელშიც ძალიან მნიშვნელოვანი როლი უკავია ოპერატიული დიზაინის შემდეგ საფეხურებს:

პირველ საფეხურს წარმოადგენს დასახული ამოცანიდან გამომდინარე სამოქმედო ოპერატიული გარემოს დეტალური შესწავლისა და ანალიზის პროცესი, რომელიც მოიცავს სტრატეგიული მიზნის მხარდამჭერი ეროვნული დონის სტრატეგიული და კონცეპტუალური დოკუმენტების მიმოხილვას, რათა მეთაურის ჩანაფიქრის ფარგლებში განისაზღვროს მისიის სტრატეგიული მიზანი. არსებული ოპერატიული გარემოს ანალიზი შეეხება იმ გარემოებების დადგენას, თუ რა ფაქტორებს ეფუძნება ოპერატიულ გარემოში მიმდინარე სიტუაცია, როგორია არსებული სიტუაციის მიზეზები, ვინ არიან ზემოაღნიშნულ გარემოში მოქმედი ძირითადი აქტორები და როგორია მათი ინტერესები და ბოლოს რა მიზეზები იწვევს კონფლიქტს/პრობლემას მოქმედ აქტორებს შორის.


მეორე საფეხურს წამოადგენს ზემდგომი მეთაურის ჩანაფიქრიდან გამომდინარე და პირველ საფეხურზე ჩატარებული ანალიზის საფუძველზე სტრატეგიული მიზნების

ფორმირება (ეროვნული პოლიტიკის დონეზე სტრ. მიზნები და ამოცანები, სამხედრო თეატრის მიზნები და ამოცანები, სტრატეგიული პარტნიორების მიზნები და ამოცანები, საერთაშორისო ორგანიზაციების და სააგენტოების მიზნები და ამოცანები).

მესამე საფეხურზე ხორციელდება იმ ძირითადი ოპერატიული და სტრატეგიული დონის პრობლემების, გამოწვევებისა და რისკების ფორმირება, რომელთა გადაჭრაც აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სასურველი სტრატეგიული ან ოპერატიული დონის მიზნების მისაღწევად.

და ბოლოს, მეოთხე საფეხურს წარმოადგენს ოპერატიული მიდგომის მეთოდოლოგიის გამოყენებით საშუალებით იმ სამოქმედო გეგმის განსაზღვრა, რომლის განხორციელებაც უზრუნველყოფს მესამე საფეხურზე გამოვლენილი მთავარი პრობლემის გადაჭრის გზების ფორმირებას და სასურველი სტრატეგიული ან ოპერატიული მიზნების აღსრულებას.

სურათი 1




ოპერატიული დიზაინი

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ აშშ-ს არმიის დიზაინის მეოდოლოგიაზე დაყდნობით (Methodology, 2015)

ოპერატიული დიზაინის ჩამოყალიბების პროცესში დაგეგმვის მეოთხე საფეხურის „ოპერატიულ მიდგომის“ შემუშავებასა და ფორმირებას უკავია ძალიან მნიშვნელოვანი როლი. როდესაც მეთაურები და დაგეგმვის ჯგუფი შეთანხმდება ძირითადი პრობლემებისა და გამოწვევების თაობაზე (ოპერატიული დიზაინის მესამე საფეხური) ისინი განსაზღვრავენ აღნიშნული პრობლემებისა და გამოწვევების განსაზღვრის გზებს. ისინი აღნიშნულ პროცესს იწყებენ ოპერატიული მიდგომის ჩარჩოს განვითარებით, რომელიც გულისხმობს ძალიან ფართო მოქმედებების ერთობლიობას, რომლებიც უნდა უზრუნველყონ სამხედრო ძალებმა, რომ მოახერხონ არსებული ვითარების შეცვლა და ამოცანის წარმატებით განხორციელება სტრატეგიული მიზნების შესაბამისად. ოპერატიული მიდგომა წარმოადგენს მეთაურის ხედვას რა საჭიროებები უნდა იქნეს მიღწეული არსებული პრობლემების გადასაწყვეტად. ეს არის ძირითადი იდეა, რომელიც შემდეგ უნდა ჩაშალონ დაგეგმვაზე პასუხისმგებელმა პერსონალმა მიმართულების მიხედვით დეტალურად. ოპერატიული მიდგომის განვითარების დროს მეთაური ითვალისწინებს ოპერატიულ გარემოს მახასიათებლებს, პრობლემებსა და გამოწვევებს სასურველ მიზანთან მიმართებაში და ცდილობს გასცეს პასუხი შემდეგ კითხვებზე:

- როგორ უნდა მივიღეთ არსებული ვითარებიდან სასურველ მიზნებამდე?
- რა წინაღობები და გამოწვევები არსებობს ამ ორ გარემოებას შორის?
- რა ფართო ძალიასხმევა არის საჭირო სასურველი პირობების მისაღწევად?
- რა ტიპის რესურსები არის საჭირო მისიის წარმატებით განსახორციელებლად
- როგორ უნდა გავანეიტრალოთ არსებული რისკები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ მისიის წარმატებით განხორციელებაზე.

აღნიშნულ კითხვებზე პასუხების გადატანა ხდება გრაფიკულ გამოსახულებაში (იხ. ქვემოთ მოცეული ნიმუში) რომელიც აადვილებს მისიის მიმდინარეობისას არსებული გეგმების ვზუალიზაციას, სწორ აღქმასა და აღსრულების პროცესის კონტროლს (Methodology, 2015).



სურათი 2. წყარო: შედგენილია ავტორის მიერ
ოპერატიული მიდგომის გამოყენების მოდელირებული ვერსია ავღანეთის
ისლამურ რესპუბლიკაში აშშ-ს მტკიცე მხარდაჭერის მისიის მისიის ფარგლებში

გაერთიანებული ოპერაციების დაგეგმვის პროცესი ითვალისწინებს აღნიშნული IV საფეხურიანი დაგეგმვის ფაზის დასრულების შემდგომ მიღებული გეგმის, შედეგებისა და რეკომენდაციების უმაღლესი გადაწყვეტილების მიმღები სამეთაურო რგოლისთვის წარდგენას საბოლოო განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი ინიციატივა მიზნად ისახავს ზემოაღნიშნულ ოპერატიული დიზაინის მეთოდოლოგიური ჩარჩოს კრილში განსაზღვრული პროცედურებისა და წარმოდგენილი თვისებრივი კვლევის მეთოდების კომბინირებული გამოყენების საფუძველზე საკვლევ კითხვებზე პასუხების მოძიების პროცესის მხარდაჭერას.

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის შედეგების საფუძველზე წარმოდგენილი იქნა ხედვა თუ არსებული გამოწვევების პირობებში, როგორ უნდა განახორციელოს საქართველომ საკუთარი კრიტიკული შესაძლებლობების განვითარება და სწორად გამოყენება, რაც დაეხმარება საქართველოს NATO-ს წევრობის მოთხოვნებთან მაქსიმალური თავსებადობის მიღწევის პროცესში.

თეორიული ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა

თეორიული ჩარჩო, რომლის ჭრილშიაც განვიხილავთ წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომს, არის - **ნეორეალიზმის თეორია**. აღნიშნული თეორიის ერთ-ერთ თავდაპირველ მთავარ ფუძემდებლად ამერიკელი გამოჩენილი პოლიტოლოგი და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს ბრწყინვალე მეცნიერი კენეტ ნილ უოლცი (Waltz 1979) გვევლინება, რომელსაც ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებში რეალიზმის სკოლის იმ ახალი თანამედროვე მიმდინარეობის შექმნაში, რომელსაც ნეორეალიზმი წარმოადგენს. მისმა ცნობილმა წიგნმა „საერთაშორისო პოლიტიკის თეორია“, რომელიც გამოიცა 1979 წელს დიდი ძვრები მოახდინა და რეალისტური თეორიის სკოლას ახალი, საინტერესო მიმდინარეობა - ნეორეალიზმი შესძინა. უოლცის ნეორეალიზმი ორ ახალ ძირითად ვარაუდს ეფუძნება. პირველი ჰიპოთეზის მიხედვით სახელმწიფოებს, როგორც საერთაშორისო სისტემის მთავარ აქტორებს ანარქიულ სისტემაში უწევთ თანაცხოვრება, სადაც არ არსებობს უმაღლესი, ცენტრალური ხელისუფლება. მეორე, ჰიპოთეზის მიხედვით კი სახელმწიფოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან მიზანს გადარჩენა წარმოადგენს, რაც მათ სისტემატურად უბიძგებს, რომ დაიცვან საკუთარი სუვერენიტეტი. აქედან გამომდინარე კი სახელმწიფოებს მუდმივად უწევთ ძალთა ბალანსის დაცვაზე ზრუნვა.

ავტორი საერთაშორისო პოლიტიკის განმსაზღვრელ სამ ძირითად ელემენტზე საუბრობს, ესენია სისტემა (მოწყობის პრინციპები), სახელმწიფოთა მახასიათებელი შრტრიხები და ძალთა/შესაძლებლობათა გადანაწილება. აღნიშნული თეორიის მიხედვით საერთაშორისო სისტემა ანარქიულია, არ არსებობს საერთაშორისო სუვერენი, რომელიც აღკვეთს ომებს. სისტემის ანარქიული ბუნება იწვევს ომებს და განსაზღვრავს

საერთაშორისო სტრუქტურას. აღნიშნულ სისტემაში უოლცის განსაზღვრებით სახელმწიფოებს გამუდმებით უწევთ თვითგადარჩენაზე ზრუნვა. თუმცა თვითგადარჩენისთვის ბრძოლაში მათ მიერ დახარჯული ძალისხმევა შესაძლოა საკუთარი ტერიტორიების შენარჩუნებიდან მსოფლიო ბატონობის ამბიციებამდე მოიცავდეს არჩევანს. უოლცის თეორიის მიხედვით ასეთი სახელმწიფოებისთვის სხვა სახელმწიფოებთან გაერთიანებაც კი დასაშვებია, თუ ამ ერთეულებისთვის სუვერენიტეტი და თავისუფლება განასკუთრებულ ღირებულებად არ მიიჩნევა. კენეტ უოლცის მეორე ელემენტს წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილე ერთეულების **სახასიათო შტრიხები**, რომლიც მიხედვითაც საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოები არ განხვავდებიან ერთმანეთისგან ფუნქციებით იმიტომ, რომ ისინი მუდმივად აწყდებიან ერთმანეთის მსგავს გამოწვევებსა და ამოცანებს, რომლებთან გასამკლავებლად და სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად ისინი ყველაფერს აკეთებენ და იყენებენ ყველანაირ შესაძლებლობებს.

მესამე ელემენტად კენეტ უოლცი (Waltz 1979) აყალიბებს **ძალაუფლების გადანაწილების საკითხს**, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო პოლიტიკურ სტრუქტურას განსაზღვრავს ყველაზე ძლიერ სახელმწიფო და არა სისტემის ნებისმიერი აქტორი. სახელმწიფოები მიმართავენ მათ ხელთ არსებულ ყველა საშუალებას, რათა დააბალანსონ სისტემის სხვა აქტორი და საერთაშორისო პოლიტიკის ასპარეზზე დაიკავონ წამყვანი პოზიციები.

წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ პირველი თეორიის ჭრილში აგვეხსნა საქართველოს არსებული მდგომარეობა, რომელსაც რთულ და ანარქიულ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში უწევს გზის გაკვალვა, სადაც ქვეყნის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანება, სწორედ თვითგადარჩენასა და სახელმწიფო უსაფრთხოებაზე ზრუნვით არის განპირობებული, რაც მისი შიდა და საგარეო პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტებში პოულობს ასახვას. რუსეთის ფედერაციისთვის კი თვითგადარჩენაზე ზრუნვა საკუთარი საზღვრების დაცვის პოლიტიკიდან რეგიონული დომინანტის პოზიციის შენარჩუნებასა და მის კიდევ უფრო გაზრდამდე მერყეობს.

მეორე და მესამე თეორიებს ჭრილში, რუსეთიც და საქართველო თანაბრად აწყდებიან ისეთ გამოწვევებსა და ამოცანებს, რომელთა გასამკლავებლად და საკუთარი სახელმწიფოების ინტერესების დასაცავად ისინი ყველაფერს აკეთებენ და ყველა საშუალებას მიმართავენ. ერთისთვის, თუ უსაფრთხოების გამოწვევა ოკუპაცია და საკუთარ ტერიტორიაზე არსებული უცხო სახელმწიფოს მზარდი მილიტარიზაციის პროცესებია, მეორისთვის ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებად და მთავარ გამოწვევებად საკუთარ საზღვრების მიმართულებით NATO-ს გაფართოების პოლიტიკა და შავი ზღვისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში ამერიკის ინტერესების ზრდა წარმოადგენს.

ნეორეალისტური მსოფლმხედველობის მიხედვით სწორედ ამ სამი ძირითადი ელემენტის დამსახურება განაპირობებს ანარქიულ წესრიგს სერთაშორისო პოლიტიკის რეგალიებში, სადაც სახელმწიფოები იძულებულნი არიან იმოქმედონ თვითგადარჩენის მიზნებიდან გამომდინარე და ყველა საშუალება მიმართონ აღნიშნულ ანარქიაში საკუთარი ფუნქციებისა და როლის განმტკიცებისა და შენარჩუნების უზრუნველსაყოფად. ამერიკის შეერთებული შტატების ჩიკაგოს უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის საერთაშორისო ურთიერთობათა მიმართულების პროფესორი ჯონ მირშაიმერი (Mearsheimer 2001) საკუთარ წიგში „დიადი ძალის პოლიტიკის ტრაგედია“ აღნიშნავს, რომ საერთაშორისო პოლიტიკა წარმოადგენს მეტად საშიშ და სასტიკ საქმეს, სადაც დიდ სახელმწიფოებს ისევ ეშინიათ სხვა ძლიერი სახელმწიფოების და ამის გამო მუდამ იბრძობებენ მათ წინააღმდეგ. მისი მოსაზრებით ყველა სახელმწიფოს თვითმიზანს სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში შედარებითი სიძლიერის ზრდა წარმოადგენს, რაც გულისხმობს სხვა სახელმწიფოს ხარჯზე გაძლიერებას.

თავდასხმითი და თავდაცვითი რეალიზმის თეორიები წარმოადგენს ნეორეალიზმის ერთ-ერთ ძირითად განშტოებებს. თავდასხმითი რეალიზმი ორიენტირებულია ახსნას ძალაუფლების მოპოვებისკენ მიმართული ძლიერი სახელმწიფოების პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ისინი მიდრეკილნი არიან ძალაუფლების მაქსიმალიზაციისკენ, რომელიც საბოლოოდ აღნიშნულ სახელმწიფოთა მიერ მიმართულია დომინანტური როლის, ან და სულაც ჰეგემონობის სტატუსის

მოპოვებისკენ. მირშიმერი (Mearsheimer 2001) ზემოაღნიშნულ წიგნში თავდასხმით რეალიზმის ხუთ ფუძემდებლურ დაშვებას აყალიბებს, რითიც ცდილობს გაამყაროს საკუთარ თეორიაში ის მიზეზები, თუ რა მოტივები ამოდრავებთ სახელმწიფოებს ძალაუფლების მაქსიმალიზაციის მიღწევასთან მიმართებაში. მისი პირველი დაშვება საერთაშორისო სისტემის **ანარქიულ ბუნებას** ეხება, ვინაიდან იგი თვლის, რომ არ არსებობს უზენაესი ხელისუფლება, რომელიც გააკონტროლებდა ძლიერი სახელმწიფოების ქცევას და გახდებოდა საერთაშორისო წესრიგის გარანტი.

მირშიმერი (Mearsheimer 2001) მეორე დაშვებაში აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სისტემის მოთამაშეებს შორის პოლიტიკურ დღის წესრიგს ქნიან ის ძლიერი სახელმწიფოები, რომლებიც ფლობენ **ძლიერ თავდასხმით შესაძლებლობებს**, რაც ასევე სხვა სახელმწიფოების გადმოსახედიდან პოტენციურ საფრთხედ აღიქმება. მისი მოსაზრებით ის ქვეყნები, რომლებსაც გააჩნიათ თანამედროვე ძლიერი სამხედრო შესაძლებლობები საერთაშორისო ურთიერთობებში შედარებით უფრო აგრესიულ მოთამაშეებს წარმოადგენენ, რაც კიდევ უფრო დიდ საფრთხედ აღიქმება სხვა სახელმწიფოთა მხრიდან. მესამე დაშვების მიხედვით სახელმწიფოები რომლებსაც **არ გააჩნიათ ინფორმაცია მათ პოტენციურ მოწინააღმდეგეთა განზრახვებისა და მიზნების შესახებ** არიან ხშირად გაურკვეველობაში, რადგან მათ არ გააჩნიათ გარანტიები, რომ სხვა სახელმწიფო მათ წინააღმდეგ არ განახორციელებს ძლიერი თავდასხმითი სამხედრო შესაძლებლობების გამოყენებას. ქვეყნების შეიარაღებაში არსებული თანამედროვე და ძლიერი სამხედრო შესაძლებლობები შეიძლება ყოველთვის არ მიანიშნებდეს მათ მტრულ განზრახვებზე, მაგრამ იწვევდეს უნდობლობას სახელმწიფოთა შორის. აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე, სახელმწიფოები ცდილობენ მაქსიმალურად განავითარონ მოწინავე სამხედრო შესაძლებლობები, რათა არ ჩამორჩნენ მათ პოტენციურ მოწინააღმდეგეს, რომელიც აღნიშნული მიმართულებით ვითარდება. სწორედ აღწერილი მდგომარეობა წარმოშობს სახელმწიფოთა შორის **უსაფრთხოების დილემას** და აიძულებს მათ **ძალთა ბალანსის პოლიტიკის** გატარებისკენ.

მირშიმერის (Mearsheimer 2001) მესამე დაშვების მიხედვით სახელმწიფოს მთავარი სტრატეგიულ მიზანს **გადარჩენა** წარმოადგენს. აღნიშნული მიზანი განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია დიდი და ძლიერი სახელმწიფოებისთვის, რომელთათვის გაადრჩენა პირველ რიგში შიდა საქმეებში ავტონომიურობას, ტერიტორიული მთლიანობის საკითხებსა და უსაფრთხეობას უკავშირდება. აღნიშნული მდგომარეობა კი დიდ სახელმწიფოებს უბიძგებს ძალაუფლების მაქსიმალიზაციისკენ, რათა თვითდახმარების საშუალებით მინიმუმამდე დაიყვანონ მათი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ არსებული რისკები.

მეხუთე დაშვების მიხედვით დიდი **სახელმწიფოები რაციონალურ აქტორებს წარმოადგენენ**, რომელთა პოლიტიკა მიმართულია ნებისმიერი სიტუაციიდან მაქსიმალური სარგებლის მიღებისკენ. იმ შემთხვევაში, თუ ომით მიღებული სარგებელი იქნება მათი დანაკარგების საპირწონე, მაშინ სახელმწიფოები იმოქმედებენ რაციონალურად და კონფლიქტში ჩართვის გადაწყვეტილებასაც არ მოერიდებიან.

აღნიშნული დაშვებების ცალ-ცალკე გამოყენება ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფოების მოქმედების ძირეულ ახსნას. ისინი იძლევიან საშუალებას ურთიერთდაკავშირებულ და ერთმანეთზე დამოკიდებული თეორიების ერთობლივ გამოყენების საფუძველზე აიხსნას სახელმწიფოთა მოქმედებები ამა თუ იმ სიტუაციაში.

საინტერესოა **თავდაცვითი რეალიზმის** თეორიის მირშაიმერის (Mearsheimer 2001) თეორიულ პროზაში განხილვა, რომლის მიხედვით თავდაცვითი რეალიზმის საფუძველი ორ ძირითად დაშვებაზე დგას. **პირველი დაშვების** მიხედვით საფრთხის ქვეშ მყოფი ქვეყნები პოტენციური აგრესიის შემთხვევაში მეტოქის დაბალანსებას იწყებენ. **მეორე დაშვების** მიხედვით, თავდასხმისა და თავდაცვის ბალანსი უმეტეს შემთხვევებში გადახრილია თავდაცვის სასარგებლოდ, რაც დაპყრობითი კამპანიების წარმატებულად დასრულების წინაპირობას ართულებს და რიგ შემთხვევებში კითხვის ნიშნის ქვეშაც აყენებს.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ **ძალთა ბალანსის თეორია**, რომელიც ნეორეალიზმის თეორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ხედვას წარმოადგენს. კენეტ უოლცი (Waltz, 1979) საკუთარ წიგნში „საერთაშორისო პოლიტიკის თეორია“ გამოყოფს ძალთა ბალანსის თეორიის სამ ძირითად საფუძველს: **პირველი პოსტულატის** მიხედვით იგი სახელმწიფოებს მოიაზრებს, როგორც აქტორებს, რომელთა მიერ თავის გადარჩენის

მიზნით დწყებული ზრუნვა მაქსიმუმ უნივერსალურ დომინაციამდეც კი გრძელდება. **შემდეგ პოსტულატში** უოლცი (Waltz,1979) აღნიშნავს, რომ სახელმწიფოების მიერ თვითგადარჩენის მიზნით საერთაშორისო ასპარეზზე განხორციელებული მოქმედებების მიზანს წარმოადგენს ალიანსის გაფართოება-გადლიერება ან მეტოქეთა ალიანსების დაკნინება-დამცრობა. **მესამე პოსტულატში** ავტორის მოსაზრებით ძალთა ბალანსის თეორიაში არსებობს თვითდახმარების სისტემა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო თუ არ მიმართავს მაქსიმალურ ძალისხმევას რათა დაეხმაროს საკუთარ თავს და გააძლიეროს მისი ეროვნული ინტერესები, მას გაუჭირდება საერთოდ არსებობის გაგრძელება, და სწორედ ამის შიში აიძულებს სახელმწიფოებს იფიქრონ ძალთა ბალანსის ჩამოყალიბებაზე. აღნიშნული მსჯელობის მიხედვით ძალთა ბალანსის ჩამოყალიბების საჭიროება არ არის კავშირში რაციონალურობასთან, ამისთვის მთავარია - სახელმწიფოს სწრაფვა თვითგადარჩენისკენ.

თავდაცვითი რეალიზმის თეორიის მირშიამერისეული (Mearsheimer, 2001) ახსნის მიხედვით - პოტენციური საშიშროების არსებობის შემთხვევაში, რომელიც მათ უსაფრთხოებას ემუქრება სახელმწიფოები მყისიერად იწყებენ მეტოქის დაბალანსებაზე ზრუნვას.

ამერიკელი პუბლიცისტი და მეცნიერი სტივენ უოლტი (Waltz, 2019) თავის ნაშრომში „ალიანსები: დაბალანსება და მიტმასნება“ ძალიან კარგად ხსნის **დაბალანსებისა და მიტმასნების** თეორიებს. განვიხილოთ **დაბალანსების თეორია**, უოლტისეული გაგებით, რომლის მიხედვით ქვეყნები ალიანსებს უერთდებიან იმის გამო, რომ თავი დაიცვან იმ კოალიციებისგან ან სახელმწიფოსგან, რომლებიც მათზე გაცილებით მეტ რესურსს ფლობენ და მათთვის შესაძლო საფრთხის წყაროს წარმოადგენენ. უოლტის თეორიით სახელმწიფოები დაბალანსების პოლილტიკას ორი ძირითადი მიზეზის გამო ირჩევენ:

პირველი, მათ არსებობას და სუვერენიტეტს შესაძლოა საფრთხე დაემუქროს, თუ ისინი დროულად ვერ მოახერხებენ ჰეგემონი სახელმწიფოს შეკავებას იქამდე, ვოდრე ის მეტისმეტად არ გაძლიერდება. აღნიშნული თეორიის მიხედვით უფრო უსაფრთხო სტარტეგიას წარმოადგენს „ალიანსის შექმნა იმ სახელმწიფოებთან, რომლებსაც საკუთარ

მოკავშირეებზე ადვილად გაბატონება არ შეუძლიათ და იმ სახელმწიფოთა დომინირების არდაშვების მიზნით, რომლებსა ამისი გაკეთება ძალუძთ“ (უოლტი, 2011, გვ. 135). უოლტს მოყავს მაგალითად უინსტონ ჩერჩილის განმარტება ალიანსების სფეროში ბრიტანეთის ტრადიციული პოლიტიკის შესახებ:

ოთხასი წლის მანძილზე, ინგლისის საგარეო პოლიტიკა კონტინენტზე არსებული უძლიერესი, ყველაზე აგრესული და ყველაზე დომინანტი სახელმწიფოებისთვის წინააღმდეგობის გაწევას გულისხმობდა. უფრო ძლიერთან კავშირის შექმნა და მისი დაპყრობითი ომებით სარგებლის მიღება უფრო ადვილი და მიმზიდველი პოლიტიკა იქნებოდა. თუმცა, ჩვენ ყოველთვის უფრო რთული გზით მივდიოდით და ნაკლებად ძლიერ სახელმწიფოებთან ვერთიანდებოდით და ასე ვამარცხებდით კონტინენტის სამხედრო ტირანს, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის (გვ. 137).

მეორე, სუსტ სახელმწიფოსთან ძლიერის გაერთიანება ახალი წევრის გავლენას ზრდის, რადგანაც ამ უკანასკნელიდან სუსტი სახელმწიფოები დახმარებას საჭიროებენ. პირიქით, ძლიერ სახელმწიფოსთან სუსტის ალიანსში შესვლისას ახალი სუსტი მოკავშირის გავლენა დაბალია, რადგან ამას კოალიციისთვის შედარებით ნაკლები სარგებლის მოტანა შეუძლია. გამომდინარე აქედან, უოლტი (Waltz, 2021) ასკვნის, რომ სუსტ სახელმწიფოებთან კავშირი უფრო სასურველი უნდა იყოს.

მიტმასნების თეორიას კარგად ხსნის სტივენ უოლტი (Waltz, 2021), რომლის მოსაზრების მიხედვით მიტმასნების პოლიტიკა წარმოადგენს სუსტი სახელმწიფოს შესვლას ალიანსში ძლიერ ან დომინანტ სახელმწიფოსთან რომლისგანაც აღნიშნულ სახელმწიფოს ეგზისტენციალური საფრთხე ემუქრება. აღნიშნული ქმედება განპირობებული იმ ფაქტორით, რომ სუსტ სახელმწიფოს არ რჩება სხვა გზა, არანაირი პერპექტივა და საშუალება, რომლის საშუალებითაც დააბალანსებდა ძლიერი სახელმწიფოსგან მომდინარე საფრთხეებს და იძულებული ხდება ალიანსში შევიდეს და მიეტმასნოს აღნიშნულ სახელმწიფოს.

მიტმასნების თეორია ძალიან კარგად აქვთ ახსნილი პროფესორებს გუგული მალრამესა და ვახტანგ მაისაიას (2017) საკუთარ წიგნში „21-ე საუკუნის საერაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია: მითი და რეალობა -

რეგიონული და გლობალური ასპექტები“. ნაშრომის ავტორები აღნიშნავენ, რომ ძლიერ ჰეგემონ სახელმწიფოებს გააჩნიათ ილუზორული წარმოდგენა, რომ მათ მიერ სუსტ სახელმწიფოებისადმი საფრთხის დონის ზრდა პირდაპირ მოქმედებს სუსტ სახელმწიფოებზე და გახდის მათ იძულებულს შევიდნენ მათთან ალიანსში. ავტორებს მაგალითად მოჰყავთ რუსეთის მიერ საქართველოს დათანხმება „მიტმასნების პოლიტიკაზე“ 1993 წელს, როდესაც საქართველოს მოუწია აფხაზეთის ომში რუსეთის მიერ მხარდაჭერილ კონფლიქტში განცდილი მარცხის შემდეგ შესულიყო რუსული გავლენის ქვეშ არსებულ „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში“ (შემდგომში - დსთ) და კიდევ უფორ მეტიც, 1995 წლის თებერვლიდან გამხდარიყო დსთ-ს ეგიდით არსებულ პრორუსული სამხედრო ბლოკის - „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის“ წევრიც კი. „მაგრამ, როგორც კი საქართველოს მიეცა შანსი, 1998 წლიდან აშშ-ს გეოპოლიტიკური გავლენის გაძლიერებისას კავკასიის რეგიონში, 1999 წელს მან დატოვა ეს სამხედრო ალიანსი და გადავიდა პრო-დასავლურ საგარეო პოლიტიკურ კურსზე, რაც მიზნად ისახავდა საქართველოს გაწევრიანებას ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში და ასევე სტრატეგიულ თანამშრომლობას აშშ-სთან“ (გვ. 63). დავამატებდი, რომ 2009 წელს საქართველომ ოფიციალურად დატოვა თვითონ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაც, რითიც უარი განაცხადა დარჩენილიყო რუსული გავლენის ქვეშ და ოფიციალურად აიღო სახელმწიფო პოლიტიკის პრო-დასავლური კურსი.

უოლტს (Waltz, 2021) მოყავს საინტერესო მაგალითები მიტმასნების თეორიის ასახსნელად. მაგალითად „გერმანელი ადმირალი ალფრედ ფონ ტირპიცი ცნობილი რისკის თეორია, რომელიც შემდეგ ლოგიკას ემყარებოდა. ტირპიცი ამტკიცებდა, რომ დიდი საბრძოლო ფლოტის შექმნით გერმანია ინგლისს ნეიტრალური პოზიციის დაკავებას, ან სულაც მასთან ალიანსში შესვლას აიძულებდა, რათა ამით ინგლისისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საზღვაო ბატონობას საფრთხე დაემუქრებოდა“ (გვ.132).

საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის პოლიტიკა ზემოაღნიშნული ფაქტორის სრული გამეორებაა. საქართველოს წინააღმდეგ ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაციის, გაყინული კონფლიქტებისა და ჰიბრიდული შესაძლებლობების, ეკონომიკური

ბერკეტების და დიპლომატიური მექანიზმების აქტიური გამოყენებით რუსეთი ცდილობს უარი ათქმევინოს საბოლოოდ საქართველოს პროდასავლურ კურსსა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაზე და შევიდეს ალიანსში მასთან, მის კონტროლ ქვეშ არსებულ უსაფრთხოებისა და ეკონომიკურ კავშირებში გაერთიანებით, რაც შესაბამისად საქართველოს მხრიდან მიტმასენბის პოლიტიკას გამოიწვევდა. აღნიშნული სიტუაცია საქართველოს უბიძგებს თვითგადარჩენისკენ და ცდილობს, როგორმე გაწვევრიანდეს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში, რომელიც მისთვის რუსეთის საფრთხისაგან დაცვის ყველაზე მნიშვნელოვანი გარანტი გახდება.

ძლიან ბევრი ნაშრომი არსებობს ნეორიალიზმის ქოლგის ქვეშ **ალიანსების თეორიის** თაობაზე რომელიც ძალთა ბალანსის ერთ-ერთ განუყოფელ მიმართულებას წარმოადგენს. ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებების ფაკულტეტის ყოფილი სრული პროფესორი გლენ ჰერალდ შნაიდერი (Snyder, Waltz, 1990), რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის საერთაშორისო ურთიერთობების თეორიისა და უსაფრთხოების სწავლების მიმართულებების კვლევასა და განვითარებაში თავის სამეცნიერო სტატიაში „ალიანსების თეორია“ განმარტავს:

ალიანსები წარმოადგენენ მხოლოდ ერთ განშტოებას ბევრად ფართო და საბაზისო ფენომენისა, რომელსაც „**მოკავშირეობა**“ ეწოდება. მოკავშირეობა გულისხმობს საერთო მოლოდინებს ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის, რომ მათ ექნებათ ერთმანეთის მხარდაჭერა კონფლიქტებსა თუ ომებში სხვა ქვეყნების წინააღმდეგ. ამ მოლოდინებს კი, თავის მხრივ, განაპირობებს საერთო ინტერესები. ინტერესების თანხვედრა, შესაძლებელია იყოს სუსტი ან ძლიერი, რაც ძირითადად დამოკიდებულია კონფლიქტის ხარისხზე კონკრეტულ საერთო მეტოქესთან (გვ. 117).

მოკავშირეობის ნათელი მაგალითია ამერიკისა და საქართველოს ურთიერთობების უახლესი ისტორია. სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით შეძლო საქართველომ თავი დაეღწია რუსეთის გავლენის სფეროსთვის და დემოკრატიული განვითარების პრო-დასავლური კურსი აეღო. აღნიშნული ურთიერთობებში საქართველო ღირსეულად დგას წლების განმავლობაში სტარტეგიული მეკავშირის გვერდით მის მიერ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გლობალური უსაფრთხოების

კუთხით გამხორციელებულ სამშვიდობო მისიებსა და სამხედრო ოპერაციებში. ამერიკის შეერთებული შტატები კი ეხმარება საქართველოს, როგორც მის ერთგულ მოკავშირეს რეგიონში, დემოკრატიის მშენებლობის, სამხედრო შესაძლებლობებისა და ეკონომიკური მიმართულებების განვითარების საკითხებში.

უოლტის (Waltz, 1979) მოსაზრებით სახელმწიფოების ალიანსებში გაწევრიანების მთავარი მიზეზი სხვა სახელმწიფოს დომინაციის თავიდან აცილების მცდელობას ეფუძნება, რაც ტრადიციული ძალთა ბალანსის თეორიის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს. უოლტი აღნიშნავს:

ალიანსები იქმნება იმ სახელმწიფოების მიერ, რომელთა გარკვეული ინტერესები (მაგრამ, შესაძლოა, არა - ყველა) ერთმანეთთან თანხვედრაშია. საერთო ინტერესი, როგორც წესი, ნეგატიურია: სხვა სახელმწიფოების შიში. განსხვავება წინ წამოიწევა მაშინ, როდესაც პოზიტიური ინტერესების საკითხი დგება. ალიანსებთან დაკავშირებული სტრატეგიები ყოველთვის კომპრომისის შედეგია, რამეთუ მოკავშირეების ინტერესები და მათი აღქმა, თუ როგორ დაიცვან ეს ინტერესები, არასდროსაა სრულად იდენტური (გვ.102).

უოლტი (Waltz, 1979) აღნიშნავს რომ, რაც უფრო ძლიერია სახელმწიფოს თავდასხმითი ძალა, მით უფრო მაღალია ალბათობა, რომ სხვა სახელმწიფოები მის წინააღმდეგ გაერთიანდებიან. შესაბამისად ის ქვეყნები, რომლებსაც ძლიერი სამხედრო თავდასხმითი შესაძლებლობები გააჩნიათ, უბიძგებენ სხვა სახელმწიფოებს, რომ თავდაცვითი კოალიციები შექმნან მის წინააღმდეგ.

საქართველოს სწრაფვა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ალიანსში გაწევრიანების მიმართულებით დამყარებულია რუსეთის დაბალანსების მცდელობაზე, რომელსაც ოკუპირებული აქვს ქვეყნის ტერიტორიების ოც პროცენტზე მეტი და საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე აგრესიული პოლიტიკის გათვალისწინებით საქართველოსთვის ნომერ პირველ ეგზისტენციალურ საფრთხეს წარმოადგენს. თავის მხრივ რუსეთი ცდილობს თვითგადარჩენის პრინციპზე დაყრდნობით ნებისმიერი საფასურის ნაცვლად დააბალანსოს NATO-ს გაფართოების პოლიტიკა და ამერიკის

ინტერესების ზრდის პროცესი სამხრეთ კავკასიაში. აღნიშნულ სიტუაციას კი არსებულ ვითარებაში საქართველოს უსაფრთხოების დილემის პარადიგმამდე მივყავართ.

თავის მხრივ **უსაფრთხოების დილემა** ნეორეალიზმის მნიშვნელოვან თეორიას წარმოადგენს. წიგნში „საერთაშორისო პოლიტიკა“ რობერტ არტი და რობერტ ჯერვისი (Jervis, 1978) კარგად ხსნიან უსაფრთხოების დილემას, რომელიც წარმოადგენს მდგომარეობას, სადაც ერთი სახელმწიფოს მიერ უსაფრთხოების გარემოს ზრდა (ალიანსების პოლიტიკის წარმოება ან სამხედრო ძლიერების ზრდა) აიძულებს მეორე სახელმწიფოს დაგეგმოს და განახორციელოს იგივე ქმედებები, რაც შემდგომში კონფლიქტის ინსპირირების მიზეზი ხდება. ავტორები უსაფრთხოების დილემის მდგომარეობის ახსნისას აღნიშნავენ, რომ ძირითადი ცნება არის ნდობა. ავტორები აღნიშნავენ, რომ „რადგანაც ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოები თვითდახმარების რეჟიმში მოქმედებენ, სხვა სახელმწიფოს განზრახვების მიმართ ყოველთვის სკეპტიკური დამოკიდებულება ყალიბდება. შედარებით ძლიერმა სახელმწიფომ შესაძლებელია ნებისმიერ დროს მოახდინოს სხვა სახელმწიფოს სისუსტის ექსპლოატირება, შესაბამისად სახელმწიფოსათვის მთავარი მიზანია მიაღწიოს უსაფრთხოების ისეთ დონეზე, რაც მის გადარჩენას უზრუნველყოფს“ (გვ.182).

შევეცდებით ნეორეალიზმის ჩამოთვლილი თეორიების ჭრილში ავხსნათ კვლევის შედეგებიდან და დასკვნებიდან მიღებული ინფორმაცია. მართალია ნეორეალიზმის ფუძემდებლების აზრით იგი კლასიკური რეალიზმის თანამედროვე ახსნას წარმოადგენს სადაც მსოფლიოს ანარქიული ბუნების კონტესტში ძლიერთა მიერ სუსტების დაჩაგვრც სახელმწიფოების მხრიდან თვითგადარჩენის ინტერესებით შეიძლება აიხსნას, მაგრამ რეალპოლიტიკის ის პრინციპებიც გასათვალისწინებელია, სადაც ძლიერები აკეთებენ იმას რაც სურთ და სუსტები ემორჩილებიან იმას რასაც ძლიერები კარნახობენ. საინტერესო იქნება კვლევის პროცესში მიღებული მიგნებებისა და სიახლეების ნეორეალიზმის თეორიების ჭრილში წარმოჩენის მცდელობა.

ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის უმცროსი მკვლევარი ედვარდ ჯოზეფი (Joseph, 2014) და ცენტრალური აზია-კავკასიის ინსტიტუტის და აბრეშუმის გზის სწავლების პროგრამის ერთობლივი ცენტრის უფროსი მკვლევარი მამუკა წერეთელი (2014)

ერთობლივ სტატიაში „როგორ შეუძლია ნატოს გახსნას გზა საქართველოსთვის წევრობისკენ“ ამტკიცებენ, რომ საქართველოსთვის ხელისშემშლელ მიზეზს ალიანსის წევრობაზე გადასასვლელად წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის ინტერესები საქართველოსთან მიმართებაში. მათი შეხედულებით, მთავარი წინაღობა, რატომაც ვერ ხერხდება საქართველოს წევრობის საკითხზე კონსენსუსს მიღწევა ალიანსის წევრებს შორის, არის ის რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრები ერიდებიან მომავალ კონფლიქტს რუსეთის ფედერაციასთან. ისინი აღნიშნავენ, რომ არ არსებობს არანაირი ილუზია, რატომ ყოყმანობს დასავლეთი შეიყვანოს საქართველო NATO-ში: ეს არის რუსეთის გამო. ვაშინგტონი და მისი ყველაზე შეშფოთებული მოკავშირე ბერლინი მოწადინებულები არიან, რომ თავი აარიდონ ყველა ქმედებას რაც გააღიზიანებს ვლადიმერ პუტინს.

ზემოაღნიშნულ ავტორების (ჯოზეფი და წერეთელი, 2014) მოსაზრებით კუთხეში დგომის სანაცვლოდ ალიანსს პუტინის წინააღმდეგ ახალი ტაქტიკის გამოყენება სჭირდება, რომელიც იქნება ძლიერი მხარდაჭერის დემონსტრირება საქართველოსადმი. მათი აზრით ეს შეიძლება იყოს „ფრმალური დემონსტრირება ალიანსის ლიდერების მხრიდან იმისა, რომ საქართველო შესაძლებელია გადაიყვანონ ნატოს სრულუფლებიან წევრობაზე ნებისმიერ მომენტში MAP-ის გარეშე“ (გვ.1). სტატიის ავტორების მოსაზრებით ასეთი გაბედული და გადამწყვეტი მოქმედება შეუძლიდა მოსკოვს ხელს განუწყვეტლად ეფათურებინა ხელები საქართველოს შიდა საქმეებში და კავკასიის რეგიონში.

თუმცა, მეორე მხრივ ჯოზეფი და წერეთელი (2014) გამოთქვავენ ვარაუდს, რომლის მიხედვით საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის დაჩქარებულმა პროცესმა შესაძლოა უფრო დიდი საფრთხე მოუტანოს საქართველოს, ვიდრე საქართველოს არ ექნება საკმარისად ძლიერი თავდაცვის შესაძლებლობები იმისთვის, რომ გაუმკლავდეს რუსეთის აგრესიას მანამ, სანამ მოკავშირეები მის დახმარებას შეძლებენ. მათი აზრით, 2008 წელს რუსეთის მიერ განხორციელებული შეიარაღებული აგრესიის დროს საქართველოს წინააღმდეგ რუსეთმა განახორციელა დომინირება საჰაერო სივრცეში, ხოლო საქართველო განიცდიდა ანტი-საჰაერო, და ჯავშანსაწინააღმდეგო შეიარაღების

სიმცირეს, ტერიტორიულ თავდაცვის წვრთნების ნაკლებობასთან ერთად, რამაც განაპირობა რუსეთის სამხედრო წარმატება.

საინტერესო ინტერვიუს გთავაზობს ინტერნეტ გამოცემა „The world“ (2019) ამერიკის შეერთებული შტატების ევროპული სარდლობის ყოფილ მეთაურთან და ევროპის პოლიტიკის ანალიზის ცენტრის ექსპერტთან გენერალ ლეიტენანტ ბენჯამინ ჰოჯესთან NATO-სა და საქართველოს პერსპექტივებთან დაკავშირებით. კითხვაზე - თუ რატომ არ შეასრულა NATO-მ პირობა საქართველოს წევრად მიღებასთან დაკავშირებით, რომელზეც პასუხისმგებლობა ათი წლის წინ აიღო, გენერალი პასუხობს:

ვფიქრობ, ალბათ რამდენიმე მიზეზი არსებობს. პირადად ჩემთვის, საქართველო ახლა უკვე უნდა იყოს ალიანსის წევრი. მათ აღარაფერი დარჩათ დასამტკიცებელი, მაგრამ მჯერა, რომ არსებობენ ალიანსის წევრი ქვეყნები, რომელთაც არ გააჩნიათ ამისი სურვილი, რადგან ისინი ხედავენ, საქართველოს ოცი პროცენტი ოკუპირებულია რუსული ჯარის მიერ. სინამდვილეში, ამ ქვეყნებმა რუსეთს მისცეს ვეტოს გამოყენების უფლება საქართველოს ალიანსში გაწევრიანებასთან დაკავშირებით და მე არ მგონია რომ ეს სწორია. ჩემი მოსზრებით რუსეთი პატივს სცემს ძალას, და თუ ალიანსი იქნება ძლიერი და დააჩქარებს საქართველოს ალიანსში ინტეგრაციას, მაშინ მჯერა, რომ რუსეთი ვერ იმოქმედებს საპასუხოდ, რადგან რაც რუსეთს არანაირი სურვილი არ გააჩნია ჩაეხსნა კონფლიქტში ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან (გვ.1).

გენერალი ჰოჯესი (2019) „The World“-თან მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ქართველები სამართლიანად არიან იმედგაცრუებულნი ალიანსის ყოყმანის გამო, რომელიც ირიბ თანხვედრაში მოდის რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებთან. გენერალს სჯერა, რომ საქართველოს შეუძლია „ძალიან ძლიერი მხარდაჭერა მოიპოვოს შეერთებულ შტატებში, განსაკუთრებით კონგრესში, რადგან შეერთებულ შტატებს ტრადიციულად უყვართ პატარა სახელმწიფოები, რომლებიც თავდაუზოგავად იბრძვიან საკუთარი უფლებებისა და დამოუკიდებლობისთვის“ (გვ.1).

არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც საქართველოს არ შეუძლია ალიანსში გაწევრიანება, იმიტომ რომ გააჩნია რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები და არ არსებობს ალიანსში კონფლიქტების მოგვარების გარეშე სრული ინტეგრაციის შესაძლებლობა. 2008-2010 წლებში ყოფილი საქართველოს სახელმწიფო მინისტრი

თემურ იაკობაშვილი (Iakobashvili, 2010) თავის სამეცნიერო სტატიაში „საქართველოს შეუძლია NATO-ში გაწევრიანება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარების გარეშე,“ ამტკიცებს, რომ ის პოზიცია, რომლის მიხედვითაც საქართველომ უნდა მოაგვაროს მის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტები, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ გახდება ალიანსის წევრი - არ არის სწორი მსჯელობა. იაკობაშვილი აღნიშნავს, რომ ეს კონფლიქტები არ არის საქართველოს მიერ შექმნილი, და ამ კონფლიქტების გასაღები რუსეთის ხელში იმყოფება, რომელიც არასოდეს დასთანხმდება დაკარგოს ინსტრუმენტი არა მხოლოდ საქართველოზე, არამედ მთლიანად კავკასიის რეგიონზე გავლენის შესანარჩუნებლად. მისი აზრით ერთადერთი გზა, რომელიც დაეხმარება კონფლიქტების მოგვარების პროცესს არის საქართველოს ალიანსში გაწევრიანება.

თემურ იაკობაშვილი (Iakobashvili, 2010) აღნიშნავს, რომ NATO-ს ისტორიაში არის ქეისები, როდესაც ალიანსმა მიიღო წევრებად ისეთი ქვეყნები, რომლებსაც გააჩნდათ ეთნიკური და ტერიტორიული კონფლიქტები საკუთარ ტერიტორიებზე. უფრო მეტიც, არსებობენ ალიანსის წევრი ქვეყნები, რომლებსაც დღემდე გააჩნიათ მსგავსი კონფლიქტები, როგორც NATO-ს წევრ ასევე არაწევრ ქვეყნებთან. იაკობაშვილს მოყვანილი ჰყავს თურქეთისა და საბერძნეთის მაგალითი, სადაც იგი აღნიშნავს, რომ იმის მიუხედავად რომ ორივე სახელმწიფო NATO-ს წევრია მათ შორის დღემდე არსებობს გადაუწყვეტელი კონფლიქტი ზეოაღნიშნული მიმართულებით. შემდგომ მაგალითად იაკობაშვილს მოჰყავს ესპანეთის ქეისი და აღნიშნავს, რომ როდესაც ესპანეთი გაერთიანებული სამეფოს მხარდაჭერით გახდა NATO-ს წევრი, მას ჯერ კიდევ გააჩნდა მისი სუვერენიტეტის აღდგენის პრეტენზიები გიბრალტართან დაკავშირებით. ასევე ესპანეთსა და გაერთიანებულ სამეფოს ათწლეულები ჰქონდათ ბასკებთან და ჩრდილო ირლანდიელებთან ეთნიკური სახის კონფლიქტები. ასევე შესაძლებელია თურქეთის მაგალითის მოყვანა რომელსაც სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში დღემდე აწდება პრობლემებს, როგორც ქურთულ მუშათა პარტიასთან, ასევე სირიასთან არსებულ ტერიტორიულ საკითხებთან მიმართებაში. იაკობაშვილი აღნიშნავს, რომ „მიუხედავად ამ კონფლიქტებისა არავის უფიქრია ალიანსიდან აღნიშნული ქვეყნების გარიცხვა“ (გვ.2).

ავტორს ასევე მოჰყავს ბალტიის ქვეყნების მაგალითი, რომლებიც ისე მიიღეს NATO-ში, რომ არ ჰქონდათ მოგვარებული სასაზღვრო საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები რუსეთთან.

ზემოაღნიშნული სტატიიდან ნათლად ჩანს, რომ ისტორიული მაგალითები და პრეცედენტები, როდესაც ალიანსმა განახორციელა ახალი წევრების მიღება, რომლებსაც გააჩნდათ ეთნიკური ან ტერიტორიული მოუგვარებელი კონფლიქტები, NATO-ს მიერ ყოველთვის განიხილებოდა სხვადასხვა სტრატეგიული და გეოპოლიტიკურ ასპექტების გათვალისწინებით.

კვლევითი ორგანიზაცია Heritage Foundation-ის საგარეო პოლიტიკის ცენტრის დირექტორი ლუკ კოფი (Coffey,2018) თავის მოხსენებაში კონგრესისადმი „NATO-ს წევრობა საქართველოსთვის: ამერიკის და ევროპის ინტერესებში,“ საზოგადოებას სთავაზობს ძალიან საინტერესო სტრატეგიას, თუ ალიანსმა როგორ უნდა მიიღოს საქართველო წევრად ისე, რომ გამოირიცხოს შეიარაღებულ დაპირისპირებაში ჩართვა რუსეთთან. მისი აზრით საქართველო ნამდვილად იმსახურებს ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერას NATO-ში ინტეგრაციის პროცესში. მას სჯერა, რომ საქართველო არის ა.შ.შ.-ის ძალიან სანდო სტრატეგიული პარტნიორი, რასაც იგი ხსნის სამი მთავარი არგუმენტით.

ლუკ კოფის (Coffey,2018) პირველი არგუმენტი შეეხება ფაქტს, რომლის მიხედვითაც საქართველო არის სანდო პარტნიორი, რომელმაც ეს დაამტკიცა ა.შ.შ.-ის გვერდში დგომით ერაყსა და ავღანეთში. კოფი აღნიშნავს, რომ:

2012 წელს, როდესაც NATO-ს ბევრი ქვეყანა ავღანეთის გასასვლელი კარისკენ გარბოდა, საქართველომ იქ არსებულ მისიაში მონაწილეობისთვის დამატებით ასობით სამხედრო გაგზავნა. ავღანეთში საქართველოს მიერ შეტანილი წვლილის პიკზე მას მსოფლიოს თუ არა, ქვეყნის ყველაზე საშიშ ადგილებში, ჰელმანდისა და ყანდაღარის პროვინციებში ორი ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე ჰყავდა განთავსებული. დღეს საქართველოს ავღანეთში დისლოცირებული ჰყავს თითქმის 900 სამხედრო, რითაც ის ნატო-ს საწვრთნელი მისიის უმსხვილესი არაწევრი კონტრიბუტორია (გვ. 1).

კოფი (Coffey, 2018) აღნიშნავს რომ ქვეყნის ერთ სულ მოსახლეზე მისიაში დანაკარგების შედარების მიხედვით საქართველოს ყავს ყველაზე მეტი ბრძოლაში დაღუპულ სამხედრო მოსასამსახურეთა რაოდენობა და მიმდინარე ეტაპზე საქართველო კვლავ რჩება, როგორც ლიდერი NATO-ს არაწევრი სახელმწიფო ავღანეთში წარგზავნილ სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობით.

კოფის (Coffey, 2018) მეორე არგუმენტის თანახმად, საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობა ასევე წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორს ა.შ.შ-ის გეოპოლიტიკური მიზნების მხარდაჭერის კუთხით ევრაზიის რეგიონში. კერძოდ, ავტორი აღნიშნავს, რომ სამხრეთ კავკასიაში მდებარეობით, საქართველო მდებარეობს კრიტიკულად გადამწყვეტ გეოპოლიტიკურ და კულტურულ გზაჯვარედინზე, რასაც ამტკიცებს საუკუნეების მანძილზე მისი სამხედრო და ეკონომიკური მნიშვნელობა. დღესდღეობით საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა იმითაც არის მნიშვნელოვანი ა.შ.შ.-ისთვის, რომ საქართველო მას სთავაზობს საკუთარ ტერიტორიას, ინფრასტრუქტურისა და ლოჯისტიკური შესაძლებლობების გამოყენებას ავღანეთში NATO-ს ძალებისა და ტვირთების ტრანზიტისათვის. საქართველომ მოახდინა აეროპორტებისა და საპორტო ინფრასტრუქტურის მოდერნიზება ყვეყანაში. ეს არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, როდესაც ეს ეხება შავ ზღვის რეგიონს. წამყვანი ნავთობსადენები, როგორცაა მაგალითად ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ბაქო-სუფსა და სამხრეთული გაზის სატრანზიტო კორიდორი, რომელიც მალე ამოქმედდება, არის მართლაც ისევე ძალიან მნიშვნელოვანი, როგორც ახლად გახსნილი ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა. ნავთობ და გაზ სადენები არის უაღრესად მნიშვნელოვანი ევროპის ენერჯო უსაფრთხოებისთვის, და მაშასადამე, ამერიკის ეროვნული ინტერესებისთვის რეგიონში.

და ბოლოს, მესამე არგუმენტის მიხედვით, საქართველოს გააჩნია ძალიან სწრაფად მზარდი დემოკრატია, რომლითაც იგი ლიდერია რეგიონში. კოფი (Coffey, 2018) აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო ადგას დემოკრატიისკენ მიმავალ გზას 1991 წლიდან და რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად საქართველოს მხარდაჭერა

აღნიშნული კურსის გასაგრძელებლად შედის ამერიკის ინტერესებში. ავტორის თანახმად, საქართველო არის გამორჩეული, არა მხოლოდ მისი სწრაფად-მზარდი დემოკრატიით რეგიონში, არამედ ასევე იდეის მხარდაჭერით, რომლის მიხედვითაც ევროპაში ყველა ქვეყანას აქვს სუვერენული უფლება, რომ თვითონ განსაზღვროს მისი საკუთარი გზა და გადაწყვიტოს, ვისთან ექება მას ურთიერთობები და როგორ და ვის აირჩევს ის მმართველად. ყველამ უნდა სცეს პატივი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობას, და არც ერთ გარეშე აქტორს არ შეუძლია დაადოს ვეტო მის წევრობას ან ახლო ურთიერთობას ისეთ ორგანიზაციებთან როგორებიცაა ევრო-კავშირი და NATO. ავტორის მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ ათწლეულების მანძილზე რუსეთისა და საბჭოთა კავშირის დომინირებამ შეანელა საქართველოში დემოკრატიული პროგრესი, საქართველომ ძალიან სწრაფად აღადგინა ეს დანაკარგები 1991 წლიდან. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ საქართველომ არ შეასუსტოს ეკონომიკური პროგრესი, დემოკრატია და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია.

ლუკ კოფი (Coffey, 2018), განხორციელებული კვლევების შედეგად მიღებული ინფორმაციის სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე ამტკიცებს, რომ საქართველოს გააჩნია ყველა ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას მისცემს მას მოემზადოს ალიანსის წევრობისთვის. იგი აღნიშნავს, რომ წლიური ეროვნული პროგრამის, NATO-საქართველოს კომისიის და NATO-საქართველოს არსებითი პაკეტის საფუძველზე, საქართველოს თანამშრომლობა ნატოსთან არის ყველაზე ახლოს, ვიდრე ის იქნებოდა ტრადიციული მაპის შემთხვევაში. ამასთან, თუ საქართველო NATO-ს წევრი არ გახდება ახლო მომავალში, რუსეთის მიერ ინიცირებულმა ახალმა აგრესიამ ან ეთნიკურმა კონფლიქტებმა (იგულისხმება მესამე ეთნიკური კონფლიქტის ინიცირების შესაძლებლობა საქართველოს სამხრეთ ნაწილში მდებარე სომეხი ეროვნების მოსახლეობით დასახლებულ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში) შესაძლოა საქართველოს ძალიან ცუდი შედეგები მოუტანოს სამომავლოდ. უფრო მეტიც, ეს შეიძლება დასრულდეს ა.შ.შ.-ისთვის და NATO-სთვის, როგორც ერთგული და პატივსაცემი პარტნიორის, ასევე კავკასიის სტრატეგიული რეგიონის სრული დაკარგვით.

კოფის (Coffey, 2018) მოსაზრებით, იმ შემთხვევაში, თუ საქართველო შეუერთდება ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსს და ხელშეკრულების V მუხლი შეეხება ამჟამად ოკუპირებულ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებს, ეს შესაძლოა ავტომატურად გახდეს NATO-სა და რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ დაპირისპირების მიზეზი. როგორც გამოსავალი, ის სთავაზობს ალიანსს, რომ შესწორება შეიტანოს ალიანსის 1949 წლის ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების მე-6 მუხლში (რომელიც განსაზღვრავს, რომელ ტერიტორიებზე გავრცელდება ალიანსის წესდების მე-5 მუხლი), რომლის საფუძველზეც დროებით, შეჩერდება მე-5 მუხლის მოქმედება რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში. მისი მოსაზრებით, ეს შესწორება შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოს ალიანსში დაშვების პროტოკოლში, როგორც ეს თურქეთისა და საბერძნეთის შემთხვევაში მოხდა 1951 წელს. კოფის (Coffey, 2018) აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს იქნება დროებითი შესწორება იქამდე, ვიდრე საქართველო მშვიდობიანი და დიპლომატიური გზით არ აღადგენს მის ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. მისი მოსაზრებით, აღნიშნული ინიციატივა შესაბამისობაშია საქართველოს ოფიციალურ პოზიციასთან მის ავტონომიურ რესპუბლიკებზე კონტროლის აღდგენის პროცესში ძალის არ-გამოყენების შესახებ. კოფის (Coffey, 2018) მოსაზრებით, ეს სტრატეგია დაეხმარება საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში სრული ინტეგრაციის პროცესში და ასევე აღარ მისცემს მოსკოვს დე-ფაქტო ვეტოს გამოყენების შესაძლებლობას, რომ შეაფერხოს იმ მეზობელი სახელმწიფოს NATO-ში ინტეგრაციის პროცესი, რომლის ტერიტორიების დიდი ნაწილიც ოკუპირებულია მის მიერ.

თითქმის იგივე გამოსავალს გვთავაზობს საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის პერსპექტივებთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების ატლანტიკური საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი დეიმონ ვილსონი (Wilson, 2014) თავის სამეცნიერო სტატიაში „Completing Europe: Georgia’s Path to NATO.“ ა.შ.შ-ს ატლანტიკურ საბჭოში დეიმონ ვილსონის, როგორც ლიდერისა და მენეჯერის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს აღმსავლეთ ევროპის, დასავლეთ ბალკანეთისა და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების მხარდაჭერის მიმართულებით სტრატეგიული ინიციატივებზე მუშაობა და

მათი სამომავლო იმპლემენტაციის ხელშეწყობა. აღნიშნულ სტატიაში მითითებულია, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ, საქართველო გახდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მოწინავე ასპირანტი ქვეყანა, რომელმაც ჩაატარა ძალიან ძლიერი სამხედრო რეფორმები, აგრძელებს ალიანსის მხარდაჭერას იმისთვის რომ დაამტკიცოს NATO-ს ძალებთან თავსებადობა, ანვითარებს მის თავდაცვის შესაძლებლობებს და ასევე წვლილი შეაქვს მნიშვნელოვან ISAF-ის მისიში სადაც იგი თავისი სურვილით მონაწილეობს. ამასთან ერთად საქართველოს მთავრობა მართავს სიტუაციას, რომ შეინარჩუნოს მშვიდი ურთიერთობა რუსეთთან, მიუხედავად რუსეთის განგრძობადი პროვოკაციებისა. ამ პროვოკაციებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია 2008 წელს ოკუპირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების ადმინისტრაციული საზღვრების გასწვრივ რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ბარიერების აღმართვა და საქართველოს მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების ეტაპობრივი ოკუპაცია.

ვილსონის (Wilson, 2014) მოსაზრებით, 2008 წლის ბუქარესტის სამიტიდან მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, ალიანსის ლიდერები მზად უნდა იყვნენ ახალი გამოწვევებისთვის იმ შემთხვევაში, თუ ალიანსი აუნთებს „მწვანე შუქს“ საქართველოს წევრობისთვის საბოლოო მომზადების პროცესს. ავტორი სვავს კითხვას - „როგორ შეუძლია NATO-ს გაავრცელოს უსაფრთხოების გარანტიების იმ ქვეყანასთან მიმართებაში, რომლის 20 პროცენტი ოკუპირებულია?“. ავტორი ფიქრობს, რომ საქართველოს საკითხის განხილვისას NATO-ს წამყვანმა ქვეყნებმა უნდა გადახედონ და მიიღონ მხედველობაში რამოდენიმე ისტორიული ქეისი. მაშინ როცა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების V მუხლი აწესებს სავალდებულო წვლილის შეტანასა და დახმარებას ალიანსის ნებისმიერ წევრზე თავდასხმის შემთხვევაში, მე-6 მუხლი ადგენს შემზღუდავ მიმართულებებს, რაზეც შესაძლოა არ გავრცელდეს უსაფრთხოების გარანტიები გამონაკლისის განსაზღვრულ შემთხვევებში. მაგალითად, ალიანსის წევრები დიდი მსჯელობის შემდეგ დათანხმდნენ საფრანგეთის მოთხოვნას, რომ ხელშეკრულების მე-5 მუხლი გავრცელებულიყო ალჟირზე, იმ მიზეზით, რომ ალჟირი სრულად იყო ინტეგრირებული ფრანგული სახელმწიფოს სტრუქტურაში,

მაგრამ ამავდროულად უარი უთხრეს ბელგიის მოთხოვნას შეეყვანათ ალიანსის დაცვის ქვეშ კონგო. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი რომ 1963 წლის 16 იანვარს საფრანგეთის მოთხოვნით, ალჟირი ამოიღეს ხელშეკრულებიდან (VI მუხლი), როგორც V მუხლით განსაზღვრული დაცვის ობიექტი. საფრანგეთი გამოვიდა წინადადებით, იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ალჟირმა 1962 წლის 3 ივლისს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, აღნიშნული თარიღიდან აღარ გავრცელდებოდა ალიანსის დაცვის ქოლგა აღნიშნულ ქვეყანაზე, რაც დაკმაყოფილდა ალიანსის მხრიდან. აღნიშნული ფაქტის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ არსებობს პრეცედენტი იმისა, რომ კონკრეტული ქეისის დროს ალიანსმა განსაზღვრა კონკრეტული გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, რაზეც ხელშეკრულება გავრცელდებოდა, ხოლო მოგვიანებით ისევ ამოიღო ეს ტერიტორია ხელშეკრულებიდან, ახალი გარემოებების წარმოშობის საფუძველზე .

ვილსონი (Wilson, 2014) ასევე აღნიშნულ სტატიაში მოჰყავს გერმანიის მაგალითი, როდესაც ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება გერმანიის NATO-ში შეყვანის თაობაზე მაშინ გერმანიის მხოლოდ ერთი ნაწილი იმყოფებოდა NATO-ს დაცვის ქვეშ, ხოლო გერმანიის გაერთიანების შემდეგ თავისთავად დარჩენილი ნახევარიც ალიანსის ქოლგის ქვეშ აღმოჩნდა. ასევე სტატიის ავტორს მოჰყავს ქეისი 1990 წლის დებატებიდან ალიანსის გაფართოების შესახებ, რომელიც შეეხებოდა ბალტიის ქვეყნების სამომავლო მიღებას ალიანსის შემადგენლობაში. აღნიშნულ საკითხზე არსებობდა ალიანსის წევრების პოზიცია, რომ ბალტიის პოსტსაბჭოთა ქვეყნების ალიანსში გაწევრიანება იქნებოდა პროვოკაციული ნაბიჯი, რომელსაც შესაძლოა რეგიონის დესტაბილიზაცია გამოეწვია. თუმცადა, მათი ვარაუდი მცდარი აღმოჩნდა, და პირიქით ნატოს წევრობა აღმოჩნდა აღნიშნული რეგიონის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტი, რაც საფუძველი გახდა მათი ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობისა. ვილსონი (Wilson, 2014) აღნიშნავს, რომ ბალტიის ქვეყნების NATO-ში დაშვების მომენტისთვის რუსული ქვედანაყოფები დისლოცირებულნი იყვნენ ყველა ქვეყანაში, მაგრამ დღესდღეობით ესტონეთს გააჩნია შეთანხმება რუსეთთან სახელმწიფო საზღვრის შესახებ, ხოლო ლატვია თანამშრომლობს წარმატებით რუსეთთან ტრანზიტის თაობაზე ავღანეთის მიმართულებით.

ძალიან საინტერესოა განვიხილოთ NATO-ს ყოფილი გენერალური მდივნისა და დანიის ყოფილი პრემიერ მინისტრის ანდერს ფოგ რასმუსენის (Rasmussen, 2019) სტატია „NATO`s Duty at 70,“ რომელშიც ის წერს, ალიანსის შეცდომების შესახებ NATO-ს გაფართოების პროცესთან დაკავშირებით. ყოფილი გენერალური მდივანი იხსენებს, რომ ბუქარესტის სამიტზე მოკვშირეები შეიკრიბნენ საქართველოსა და უკრაინისათვის MAP-სის მინიჭების საკითხის განსახილველად, მაგრამ გერმანიისა და საფრანგეთის დაჟინებული მოთხოვნის გამო, მათ გადაწყვიტეს რომ გადაედოთ აღნიშნული გადაწყვეტილება წლის ბოლომდე. რასმუსენის შეხედულებით, აღნიშნული იყო შეცდომა. უფრო მეტიც, იგი იხსენებს პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკი გაფრთხილებას რუსეთის მხრიდან დაგეგმილი საქართველოს ოკუპაციის შესახებ, სადაც აღნიშნავდა, რომ შემდეგი უკრაინა იქნებოდა. მაგრამ ეს საკითხი არ იქნა გათვალისწინებული და პირდაპირ სამიტიდან ერთი თვის თავზე პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა გასცა ბრძანება საქართველოს ოკუპაციის შესახებ, რასაც მოჰყვა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ.

აღნიშნული მაგალითიდან კარგად ჩანს, რომ რუსეთი ნამდვილად არ აპირებდა მის სამხრეთ, საზღვრებთან ჩდრილოატლანტიკური ალიანსის გაფართოების პროცესის დაშვებას და კიდევ უფრო მიახლოებას. რასმუსენი (Rasmussen, 2019) აღნიშნულ ფაქტზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ რუსეთმა მის საზღვრებისკენ NATO-ს გაფართოების შესაჩერებლად სპეციალურად შექმნა „გაყინული კონფლიქტები“, რომლებსაც იგი კარგად იყენებს საკუთარი ეროვნული ინტერესების შესაბამისად. ავტორი აღნიშნავს, რომ რუსეთი ხშირად იყენებს აღნიშნულ კონფლიქტებს, როგორც ეფექტურ ვეტოს NATO-ს შემდგომი გაფართოების პოლიტიკის წინააღმდეგ. იგი ასკვნის, რომ დროა NATO-მ გასაგებად ჩამოაყალიბოს წევრობის დასაშვები მოთხოვნები იმ ქვეყნებთან დაკავშირებით, რომლებიც იტანჯებიან რუსეთის მიერ შექმნილი ხელოვნური კონფლიქტებიდან გამომდინარე .

ზემოაღნიშნულ სტატიაში რასმუსენი (Rasmussen, 2019) გამოდის რეკომენდაციით, რომლის მიხედვითაც საქართველოს ქეისი შეიძლება განვითარდეს იმ მოდელის მიხედვით, რომლის მიხედვითაც კვიპროსი გახდა ევრო-კავშირის წევრი. ავტორი

აქცენტირებს კვიპროსის მაგალითზე, რომელიც არის სრულუფლებიანი წევრი ევროკავშირისა და ევრო ზონისა, მაგრამ ევროკავშირის კანონები არ ვრცელდება კვიპროსის იმ ნაწილზე, რომელსაც კვიპროსის მთავრობა ვერ აკონტროლებს (ჩრდილოეთ კვიპროსის არაღიარებული სახელმწიფო). მსგავსად NATO-ს შეუძლია უსაფრთხოების გარანტიები გაავრცელოს იმ დანაწარჩენ სრულ ტერიტორიებზე, რიმლებიც საქართველოსა და უკრაინის მთავრობების მიერ კონტროლდება მიმდინარე ეტაპზე. რაც უფრო მეტად დავუშვებთ პუტინის ჩარევას ამ ქვეყნის საქმეებში, მით უფრო მეტად შეეცდება ის ძირი გამოუთხაროს სუვერენულ დემოკრატიულ სახელმწიფოებს.

2019 წლის 16 აპრილს საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის პირველმა არხმა გამოაქვეყნა ლევან ახალაიას ინტერვიუ - ანდერს ფოგ რასმუსენთან სათაურით „ერთადერთი ენა რომელიც პუტინს ესმის არის მხოლოდ ძალის ენა და ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების ერთიანობა.“ აღნიშნულ სტატიაში ალიანსის ყოფილი გენერალური მდივანი აღნიშნავს, რომ:

ურთიერთობების საქართველოსა და NATO-ს შორის ახლა არის უმაღლეს დონეზე და იგი განსაკუთრებით გაუმჯობესდა ბოლო წლების განმავლობაში. საქართველო ალიანსში გაწევრიანების მოთხოვნებს ასრულებს უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე საჭიროა ქვეყნების NATO-ში გაწევრიანებისთვის. ეს ეხება როგორც სამხედრო შესაძლებლობებს, ასევე საქართველოს წვლილს NATO-ს სამხედრო ოპერაციებში. მე ვიტყვოდი, რომ საქართველო აკმაყოფილებს თითქმის ყველა პირობასა და მოთხოვნას, რათა გახდეს NATO-ს წევრი, თუმცაღა მთავარი დაბრკოლება ამ გზაზე არის ტერიტორიული დავა რუსეთთან, რომელიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ეხება (ახალაია, 2019, გვ.1).

ნაშრომში განხილულია ალბერტ მარტელის (Martel, 2015) ნაშრომში „ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ინტერესები და საქართველოს ნატოს წევრობის პერსპექტივები,“ სადაც ავტორი აქცენტს აკეთებს რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებზე საქართველოსთან მიმართებაში, დეტალურად აღწერს 2008 წლის რუსეთ საქართველოს ომს და ამტკიცებს, რომ აღნიშნული ომის მთავარი მიზეზი გახდა საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების პერსპექტივა. ნაშრომში მარტელს მოყვანილი აქვს ასევე უკრაინის მაგალითი საკუთარი ჰიპოთეზის გასამყარებლად.

კვლევაში გამოყენებულია ძალიან საინტერესო ანალიზი და ფაქტები მარშალის ფონდის ბრიუსელის ოფისის აღმასრულებელი დირექტორის რონალდ ასმუსის (Asmus, 2010) წიგნიდან „პატარა ომი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო: საქართველო, რუსეთი და დასავლეთის მომავალი.“ ავტორი ამტკიცებს, რომ რუსეთის განზრახვა აბსოლიტურად არ ყოფილა აფხაზი და ოსი ეთნიკური უმცირესობების დაცვა და რუსეთის სტრატეგიულ ინტერესს საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის პროცესისთვის ხელის შეშლა წარმოადგენდა. ის რუსეთის აგრესიას მოიხსენიებს, როგორც კარგად გააზრებულ ქმედებას ალიანსის გაფართოების პოლიტიკისა და სრულიად ევროპული უსაფრთხოების საწინააღმდეგოდ. წიგნში მოყვანილია ცნობილი პოლიტიკოსების პოზიციები და მოსაზრებები რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებით. ასმუსი ძალიან კარგად და დეტალურად აღწერს NATO-ს 2008 წლის ბუქარესტის სამიტის მოვლენებს სადაც განიხილებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივა საქართველოსთვის წევრობის სამოქმედო გეგმის (შემდგომში MAP) მინიჭების შესახებ. შეუფასებელია მის მიერ წიგნში გაცოცხლებული ბუქარესტის სამიტის მოვლენები, რომელიც ნათელს ჰფენს აღნიშნულ სამიტზე საქართველოსთვის MAP-ის მინიჭების მოწინააღმდეგე ქვეყნებს და მათ პოზიციებს. კარგად არის გაანალიზებული აღნიშნული წინააღმდეგობის მიზეზები, რომელსაც აღნიშნული ქვეყნების რუსულ ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულებასთან მივყავართ და ნათელი ეფინება აღნიშნულ დიდ გეოპოლიტიკურ თამაშში გერმანიის, საფრანგეთისა თუ იტალიის ნეგატიური თუ ნეიტრალური პოზიციების რეალურ მიზეზებს.

ვინაიდან საქართველოს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანება, ქვეყნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიული მიზანს წარმოადგენს წინამდებარე კვლევაში შესწავლილი და გაანალიზებული იქნა ქვეყნის კონცეპტუალური და სტრატეგიული დონის დოკუმენტები აღნიშნული მიმართულებით.

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაცია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს, ხოლო ქვეყნისთვის NATO-ს წევრობა ქვეყნის უსაფრთხო და სტაბილური გავითარების გარანტიებს უთანაბრდება. „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების

კონცეფციაში“ მკაფიოდ არის ხაზგასული, რომ ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს ინტეგრაციის პროცესი ქვეყნის ეროვნულ ინტერესების ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტია (ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2018).

ქვეყნის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მნიშვნელობას ადასტურებს საქართველოში 2008 წელს ჩატარებული პლემბისციტი საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების თაობაზე სადაც საქართველოს მოსახლეობის 77%-მა მხარი დაუჭირა ქვეყნის NATO- ში გაწევრიანებას. საქართველოს კონსტიტუციაში ჩეხეთის, რუმინეთის, ესტონეთის, ლიტვისა და ლატვიის კონსტიტუციების მსგავსად, არსებობს ჩანაწერი, რომელიც ხაზს უსვავს ქვეყნის NATO-ში ინტეგრაციის მნიშვნელობას. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 თავი განსაზღვრავს, რომ „კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში (უნდა) მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად” (გვ.22). საქართველოს ჩრდილოატლანტიკური კურსი დაფიქსირებულია ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტებში, როგორცაა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, საფრთხეების შეფასების დოკუმენტი, ეროვნული სამხედრო სტრატეგია, თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა და სხვა მრავალი სტრატეგიული და კონცეპტუალური დონის დოკუმენტებში.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ასევე განსაზღვრავს, რომ საქართველოს გაწევრიანება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს საგარეო-პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს. აღნიშნულ კონცეფციაში დაფიქსირებულია, რომ საქართველო NATO-ს განიხილავს, როგორც ევროატლანტიკურ სივრცეში სტაბილურობის და უსაფრთხოებისა შენარჩუნების მთავარ მექანიზმს, რის საფუძველზეც NATO-ში ქვეყნის გაწევრიანებამ უნდა უზრუნველყოს, არა მხოლოდ ქვეყნის სტაბილურობის და უსაფრთხოებისთვის მყარი გარანტიების შექმნა, არამედ შეასრულებს მნიშვნელოვან როლი კავკასიის რეგიონში სტაბილურობის განმტკიცების კუთხით. კონცეფციაში აღნიშნული, რომ „ნატოში გაწევრებასთან

დაკავშირებული რეფორმების პროცესი ხელს უწყობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2011, გვ. 14).“

აღნიშნული წყაროები თავისი შინაარსით წარმოადგენს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი მიმართულებებისა და პოლიტიკის განმსაზღვრელ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს, რომლებიც აერთიანებს ქვეყნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ეროვნულ ღირებულებებს, ინტერესებსა და სტრატეგიულ ხედვას, განსაზღვრავს არსებულ საფრთხეებს, რისკებს, გამოწვევებს და ადგენს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმულირების მთავარ მიმართულებებს. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პროექტის შემუშავებაში ჩართულია ქვეყნის პოლიტიკური ელიტა, როგორც სახელისუფლებო ასევე სრულიად ოპოზიციური სპექტრიდან, სამთავრობო, არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. კონცეფციის შემუშავებაზე პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა, ხოლო დოკუმენტის განხილვასა და რატიფიცირებაზე საქართველოს პარლამენტი.

არსებულ ურთულეს პირობებში სადაც საქართველოს ტერიტორიის ოც პროცენტზე მეტი ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მხრიდან, ქვეყნის ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანება სტრატეგიული მნიშვნელობის მიზანს წარმოადგენს. ერთი მხრივ, საქართველოს მიზანი ევროატლანტიკური უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ მოიპოვოს სრულუფლებიანი წევრის სტატუსი წარმოადგენს ქვეყნის სწრაფვას უსაფრთხოების გარანტიების ძიებისკენ, რაც აუცილებელი პირობაა არსებული გამოწვევების პირობებში ქვეყნის შვიდობიანი და სტაბილური განვითარების უზრუნველსაყოფად, ხოლო მეორე მხრივ, ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ქვეყნისთვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული და პოლიტიკური ამოცანაა.

სწორედ ზემოაღნიშნული გადმოსახედიდან განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, რომ საქართველო, როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფო, წარადგენს ევროპის

გეოგრაფიულ, პოლიტიკურ და კულტურულ ნაწილს, რომელიც ისტორიული ქართველების გამო დიდი ხნის განმავლობაში მოწყვეტილი იყო თავისი განვითარების ჩვეულ გარემოს. კონცეფციაში აღნიშნულია, რომ „საქართველოს სუვერენული არჩევანია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასა და ევროკავშირში ინტეგრაცია, რაც განამტკიცებს ქვეყნის უსაფრთხოებას და უზრუნველყოფს მის სტაბილურ განვითარებას (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2011).“

2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო ოკუპაციის ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენდა საქართველოს NATO-სკენ აღებული კურსის ცვლილება. მართალია რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციამ ძალიან დიდი დარტყმა მიაყენა და შეაფერხა საქართველოს ალიანსში ინტეგრაციის პროცესები, მაგრამ აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე არ შესუსტებულა NATO-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის პროცესი, პირიქით ის უფრო ღრმა და მნიშვნელოვან სტრატეგიულ ურთიერთობებში გადაიზარდა. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ NATO-საქართველოს კომისიის ფორმირებამ, საქართველოში NATO-ს სამეკავშირეო ოფისის დაფუძნებამ და ყოველწლიური ეროვნული პროგრამის (ANP) განხორციელების დაწყებამ ახალ ეტაპზე გადაიყვანა ქვეყნის NATO-სთან ურთიერთობის პროცესი. მოგვიანებით კი NATO-საქართველოს ურთიერთთანამშრომლობის დამატებითი მექანიზმების შემოტანამ, იმპლემენტაციამ და განვითარებამ ფაქტიურად ალიანსის წევრობისთვის მზადყოფნის დონეზე გადაიყვანა საქართველო.

ალიანსის წამყვანი ქვეყნების სამხედრო ძალებთან და თანამედროვე სამხედრო სტანდარტებთან თავსებადი თავდაცვის ძალების ყოლა NATO-ს წევრობის ერთ-ერთი წამყვანი წინაპირობაა. საქართველოს თავდაცვის ძალებმა განვითარების ძალიან დიდი პროგრესი განიცადა ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში, რისი დამსახურებაცაა, რომ საქართველო არა მარტო უსაფრთხოების გარანტიების მაძიებელი ქვეყანაა, არამედ წარმოადგენს სერიოზულ და ღირსეულ პოლიტიკურ მოთამაშეს, რომლის თავდაცვის ძალების ქვედანაყოფები წლებია აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის მიზნით კოსოვოს, ერაყისა და ავღანეთის ისლამურ

რესპუბლიკებში ა.შ.შ.-ს და ალიანსის ეგიდით წარმოებულ მრავალეროვნულ სამხედრო მისიებსა და ოპერაციებში.

საქართველოს „ეროვნული სამხედრო სტრატეგია“, როგორც ქვეყნის მთავარი სამხედრო პოლიტიკური დოკუმენტი საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციას ერთ-ერთ ძირითად სამხედრო-პოლიტიკურ მიზნად აყალიბებს. აღნიშნული დოკუმენტის 5.1.1. მუხლი განსაზღვრავს, რომ NATO-ში გაწევრიანება საქართველოსთვის, როგორც NATO-ს ასპირანტი ქვეყნისთვის, უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვან პრიორიტეტადაა განსაზღვრული, რომელიც ნატოში გაწევრიანების მიზნის შემთხვევაში მნიშვნელოვნად გააძლიერებს ქვეყნის უსაფრთხოებასა და ხელს შეუწყობს ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას. აღნიშნული სტრატეგია განსაზღვრავს, რომ NATO-სთან ურთიერთ-თავსებადობის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს თავდაცვის ძალებმა ერთი მხრივ მონაწილეობა უნდა მიიღონ ერთობლივ წვრთნებსა და მრავალეროვნულ საერთაშორისო ოპერაციებში, ხოლო მეორე მხრივ უნდა გააგრძელონ ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების პროცესი .

საქართველოს ეროვნულ სამხედრო სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ „საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აქტიურად აგრძელებს თავდაცვის სისტემის ინსტიტუციურ აღმშენებლობას და მოდერნიზაციას არსებული მექანიზმების (წლიური ეროვნული გეგმა, დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესი, ნატო-საქართველოს კომისია, ნატოს სამხედრო კომიტეტთან საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის სამუშაო გეგმა, ნატოს პროგრამები და ა.შ.) ფარგლებში“ (გვ.10). აღნიშნული დოკუმენტში ხაზგასმულია საქართველოს თავდაცვის ძალების როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ, რის საფუძველზეც NATO-ს სამხედრო ძალების მხარდამხარ ქართული ქვედანაყოფები მონაწილეობენ მსოფლიო მშვიდობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით წარმოებულ მრავალეროვნულ მისიებსა და ოპერაციებში. სტრატეგიაში მითითებულია, რომ აღნიშნულ მისიებში მონაწილეობა ერთი მხრივ, ნათლად წარმოაჩენს საერთაშორისო საზოგადოების წინაშე საქართველოს კონტრიბუციას, შესაძლებლობებს და პასუხისმგებლობას, ხოლო მეორე მხრივ აძლევს

ქართულ ქვედანაყოფებს მნიშვნელოვანი ცოდნისა და გამოცდილების შეძენის შესაძლებლობას, რაც პირდაპირ ემსახურება ეროვნული უსაფრთხოების პროცესის განმტკიცებას და NATO-სთან თავსებადობის პროცესის გაუმჯობესებას (სტრატეგია, 2014, გვ.10).

ზემოაღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტების მოკლე მიმოხილვა ცხადყოფს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობა. ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის განმსაზღვრელი უმაღლესი სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტები ქვეყნის NATO-ს წევრობისკენ მისწრაფებას საქართველოს ეროვნულ ინტერესებსა და სტრატეგიულ მიზნებთან ათანაბრებს.

გარდა ზემოაღნიშნული წყაროებისა, ნაშრომში წარმოდგენილია კვლევის თემატიკასთან დაკავშირებული რიგი სამეცნიერო ლიტერატურის, წიგნების, ოფიციალური მოხსენებებისა და სტატიების ანალიზი, რომელიც თემატურად არის გადანაწილებული ნაშრომის თავებსა და ქვეთავებში რომელსაც მკითხველი წინამდებარე კვლევაში გაეცნობა.

თავი I. NATO-ს წევრობის ძირითადი მოთხოვნები და საქართველო

1.1 NATO-ს ღია კარის პოლიტიკა და გაწევრიანების ძირითადი მოთხოვნები

ვიდრე საქართველოს მიერ NATO-ში ინტეგრაციის გზაზე განვლილი პროცესის კვლევას დავიწყებდეთ, მნიშვნელოვანია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის „ღია კარის პოლიტიკისა“ და გაწევრიანების ძირითადი კრიტერიუმების მოკლე მიმოხილვა. ალიანსის ღია კარის პოლიტიკის საფუძველს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების (1949 წ.) მე-10 მუხლი წარმოადგენს, სადაც აღნიშნულია, რომ NATO-ს კარი ღიაა ევროპის ნებისმიერი სახელსახელმწიფოსთვის, რომელიც მზადაა შეასრულოს NATO-ს მოთხოვნები, აკმაყოფილებდეს ალიანსის პრინციპებს და შეიტანოს წვლილი ჩრდილოატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებაში. აღნიშნული მუხლი ადგენს, რომ ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც დაკავშირებულია ალიანსში ახალი წევრი სახელმწიფოს მოწვევასთან, მიიღება ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მიერ, ალიანსის წევრი ქვეყნების კონსენსუსის საფუძველზე (NATO, The North Atlantic Treaty, 1949).

ალიანსის ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ და დემოკრატიულ პრინციპს წარმოადგენს „თავისუფალი არჩევანის პრინციპი“, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ სუვერენულ სახელმწიფოს საკუთარი ეროვნული ინტერესებიდან და უსაფრთხოების პოლიტიკიდან გამომდინარე გააჩნია უფლება მიიღოს გადაწყვეტილება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების ან არგაწევრიანების შესახებ. ეს მნიშვნელოვანი პრინციპი დაცულია მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულებით, მათ შორის პარიზის ქარტიამი ახალი ევროპისთვის და ჰელსინკის დასკვნით აქტში. ალიანსის პრინციპების მიხედვით NATO-ს წევრობა ვალდებულებას არ წარმოადგენს არც ერთი სახელმწიფოსთვის და ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-13 მუხლი აძლევს უფლებას მოკავშირეებს განსაზღვრული პროცედურების გავლის შემდგომ დატოვონ ალიანსის რიგები მათი სურვილის შემთხვევაში.

ალიანსში გაწევრიანების სურვილის მქონე სახელმწიფოებს დადგენილი პროცედურების გავლა და კრიტერიუმების დაკმაყოფილება სჭირდებათ NATO-ს სრული

წევრის სტატუსის მოპოვებისთვის. ასეთი ქვეყნებისთვის პირველი საფეხურს წარმოადგენს ინტერსიური დიალოგის პროცესის დაწყება ალიანსთან მათი მისწრაფებებისა და სამომავლო სამოქმედო გეგმების განსაზღვრის შესახებ. შემდგომ საფეხურს წარმოადგენს მსურველი ქვეყნებისთვის წევრობის სამოქმედო გეგმის (შემდგომში - MAP) ან და წევრობისთვის მომზადებისა და თანამშრომლობის სხვა მექანიზმის შეთავაზება, რომელთა მიზანსაც ქვეყნების ალიანსის წევრობისთვის მომზადება წარმოადგენს. აღნიშნული პროგრამები არ წარმოადგენენ ალიანსში გაწევრიანების უპირობო გარანტს, მაგრამ NATO-სთან თანამშრომლობის ძირითად მექანიზმებს წარმოადგენენ.

ალიანსის მთავარ მოლოდინს ალიანსში გაწევრიანების მქონე ქვეყნების მხრიდან NATO-ს პრინციპებისა და ღირებულებების პატივისცემა წარმოადგენს. ამის შემდგომ კი წევრობის კანდიდატ ქვეყნებს მოეთხოვებათ გარკვეული პოლიტიკური და სამხედრო კრიტერიუმების დაკმაყოფილება. აღნიშნული კრიტერიუმები კარგად არის ჩამოყალიბებული დოკუმენტში „NATO-ს 1995 წლის გაფართოების სწავლების“ შესახებ (NATO, 1995).

ზემოაღნიშნული დოკუმენტის მე-5 თავი ნათლად განსაზღვრავს, თუ რა პოლიტიკური კრიტერიუმების დაკმაყოფილება მოუწევთ ალიანსში გაწევრიანების მსურველ ქვეყნებს. აღნიშნული კუთხით წევრობის კანდიდატი ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოთხოვნებს წარმოადგენს:

- თანხვედრაში მოდიოდეს ვაშინგტონის ხელშეკრულებით განსაზღვრულ დემოკრატიის, პიროვნების თავისუფლების და კანონის უზენაესობის მთავარ პრინციპებთან.
- ეთანხმებოდეს ალიანსის კოლექტიური თავდაცვის, მშვიდობის შნარჩუნებისა და უსაფრთხოების პოლიტიკას, რომლის მიხედვითაც თითოეული ალიანსის წევრი სახელმწიფო ღებულობს მონაწილეობას საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის ღონისძიებებში.
- წარმოაჩენდეს „პარტნიორობა მშვიდობისთვის ჩარჩო დოკუმენტით“ განსაზღვრული მიზნებისა და პრინციპებისადმი ერთგულებას.

- მონაწილეობდეს და ჩართული იყოს ალიანსის მიერ ინიცირებულ პოლიტიკურ და უსაფრთხოების თემებთან დაკავშირებულ კონსულტაციებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.
- გააჩნდეს ოფიციალური წარმომადგენლობა ალიანსის მთავარ შტაბ-ბინაში.
- იყოს მზად წარადგინოს კვალიფიცირებული კანდიდატები NATO-ს შტაბებსა და წარმომადგენლობებში.
- მონაწილეობდეს ალიანსის წევრ სახელმწიფოებს შორის სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლის პროცესში.
- ეთანხმებოდეს NATO-ს უსაფრთხოების წესებსა, პროცედურებს და იმ დოკუმენტებს, რომლებიც განსაზღვრავენ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მთავარ პოლიტიკას.
- პატივს სცემდეს და იყენებდეს „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE)“ მიერ დადგენილ მშვიდობიან პრინციპებსა და პროცესებს ეთნიკური და ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარების პროცესში.
- სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში მხარს უჭერდეს მოქალაქეთა კეთილდღეობის, ქვეყნის სტაბილურობის, ეკონომიკური თავისუფლების და სოციალური სამართლიანობის პრინციპებსა და პროცესებს.
- ახორციელებდეს დემოკრატიულ და სამოქალაქო კონტროლს ქვეყნის თავდაცვის ძალებზე.
- იყოს ერთგული, წვლილი შეჰქონდეს და უზრუნველყოფდეს შესაბამისი რესურსების გამოყოფას ალიანსის მხრიდან მოთხოვნილი პოლიტიკური და სამხედრო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

გაფართოების შესახებ NATO-ს 1995 წლის დოკუმენტის მე-5 თავი ასევე განსაზღვრავს, თუ **სამხედრო** თვალსაზრისით რა ძირითადი მოლოდინები არსებობს ალიანსის მხრიდან მომავალი წევრი სახელმწიფოებისადმი:

- ალიანსის ახალი წევრები უნდა იყვნენ მზად გაიზიარონ როლები, რისკები და პასუხისმგებლობა საერთო უსაფრთხოებისა და კოლექტიური თავდაცვის კუთხით.

- მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ახალი წევრების სამხედრო კონტრიბუცია და ჩართულობა ალიანსის მიერ განხორციელებულ მისიებში, რაც **გადამწყვეტ როლს თამაშობს ალიანსის სტრატეგიისა და ოპერატიული ეფექტურობის მხარდაჭერის პროცესებში**. პირველ ნაბიჯს წარმოადგენს კანდიდატი ქვეყნების თავდაცვის ძალების ალიანსის სამხედრო ძალებთან ურთიერთთავსებადობის ამალღების პროცესის დაწყება. აღნიშნული პროცესი მიზნად ისახავს NATO-ს წევრი ქვეყნების სახედრო დოქტრინებთან და კონცეპტუალურ დოკუმენტებთან თავსებადი წვრთნების განხორციელებითა და სამხედრო ღჭურვილობის გამოყენებით NATO-ს ძალებთან ეფექტური ოპერირების უზრუნველსაყოფად ურთიერთთავსებადობის დონის მიღწევასა და შენარჩუნებას.
- მნიშვნელოვანია ალიანსთან „პარტნიორობა მშვიდობისთვის პროგრამის (PFP)“ ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებსა და სწავლებებში აქტიური მონაწილეობა და NATO-ს წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობა.
- ალიანსის წევრობის მსურველი სახელმწიფოს შესაძლებლობები მონაწილეობა მიიღოს და წვლილი შეიტანოს სამხედრო კუთხით ალიანსის მიერ წარმოებულ მისიებში, წარმოადგენს **ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს**, რომელიც პირდაპირ ახდენს გავლენას ქვეყნის NATO-ში სრულყოფილი ინტეგრაციის სამომავლო პერსპექტივებზე.
- ალიანსის პოლიტიკა დიდად არის დამოკიდებული თავდაცვის ძალების სტანდარტიზაციაზე, ადმინისტრატიულ და მატერიალურ ურთიერთთავსებადობაზე განსაკუთრებით NATO-ს ოპერცის რაიონში. NATO-ს სტანდარტიზაციის პრიორიტეტები გულისხმობს წევრ სახელმწიფოებს შორის საერთო ენის არსებობას დოქტრინებისა და პროცედურების, მართვის, კონტროლის, კომუნიკაციის და შეიარაღების მთავარი სისტემების ურთიერთთავსებადობის განხრით. თუმცა სტანდარტიზაციის პროცესი არ არის სავალდებულო, არსებობს გარვეული სფეროები როგორც არის კომუნიკაცია, საინფორმაციო სისტემები და გარკვეული პროცედურები, რომელთა

ურთიერთთავსებადობაც აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს განსაკუთრებით ალიანსის სამხედრო ოპერაციების წარმატებით განხორციელებისთვის.

- NATO-ს მოთხოვებთან ურთიერთთავსებადობის ამალგების პროცესების ფინანსური მხარდაჭერა კანდიდატი ქვეყნების ვალდებულებას წარმოადგენს. აღნიშნული საკითხი ასევე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება არა მარტო წევრობის კანდიდატი, არამედ თვითონ ალიანსის წევრი სახელმწიფოებისთვისაც.

ალიანსის გაფართოების შესახებ NATO-ს 1995 წლის სწავლების პირველი თავის მე-6 მუხლი განსაზღვრავს, რომ ალიანსში გაწევრიანების მსურველ სახელმწიფოებში, რომლებსაც აქვთ ეთნიკური ან ტერიტორიული კონფლიქტები, აღნიშნული სიტუაციები უნდა გადაწყდეს მშვიდობიანი გზით ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის პრინციპების გათვალისწინებით. ამავე მუხლში აღნიშნულია, რომ „მოუგვარებელი კონფლიქტები შესაძლებელია გახდეს იმის განმსაზღვრელი ფაქტორი მიწვეული იქნას თუ არა სახელმწიფო ალიანსის რიგებში“, თუმცა იგი არ აყენებს აღნიშნული კონფლიქტების არსებობას წევრობაზე უარის თქმის მყარ წინაპირობად. იგივე თავის მე-7 მუხლი ასევე განმარტავს, რომ „არ არსებობს დადგენილი ან მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმების ჩამონათვალი ახალი სახელმწიფოების ალიანსში გასაწევრიანებლად. ალიანსის მიერ გაფართოების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კონკრეტული სახელმწიფოების ქეისების განხილვის საფუძველზე (NATO, 1995).“

1.2 საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის მოკლე მიოხილვა.

დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული საარჩევნო სისტემა, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფილია მოსახლეობის მიერ მშვიდობიანი გზით ხელისუფლებათა ცვლილების შესაძლებლობა თავისუფალი არჩევანის პრინციპზე დაყრდნობით დემოკრატიული ქვეყნების ერთ-ერთ ძირითად მონაპოვარს წარმოადგენს. ამერიკის შეერთებული შტატების (შემდგომში - ა.შ.შ.) 2014 წლის ივნისის ანგარიშის მიხედვით 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების ჩატარების შემდგომ, საქართველოს

უახლესი ისტორიის განმავლობაში პირველად განხორციელდა ხელისუფლების გადაცემის პროცესი დემოკრატიული გზით. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით მაღალ დონეზე შეფასდა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. ანგარიშში აღნიშნულია, რომ „საქართველოში 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები საერთაშორისო დამკვირვებლების მხრიდან შეფასდა, როგორც ძალიან მაღალი შეჯიბრებითობის სამართლიანი საარჩევნო პროცესი, რომელმაც თითქმის ერთი წლის შუალედში მეორედ უზრუნველყო საქართველოში ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემის პროცესი (The US Department of State, 2014).

ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების განხრით ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის საკითხებში კორი ველტი (Welt, 2021) თავის კონგრესისადმი მოხსენებაში აღნიშნავს - „დღეს ბევრი დამკვირვებელი ასახელებს საქართველოს, როგორც ყველაზე დემოკრატიულ სახელმწიფოს ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან. ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია „Freedom House“ მოიაზრებს საქართველოს, როგორც ყველაზე თავისუფალ პოსტ-საბჭოთა ქვეყანას (არ ითვლება ბალტიის ქვეყნები), უკრაინის, მოლდოვისა და სომხეთის გვერდით“ (გვ. 4). იგი ასევე აღნიშნავს, რომ 2013 და 2018 წლის კონსტიტუციური რეფორმების ტალღის შემდგომ საქართველო წარმატებით გადავიდა მმართველობის საპარლამენტო მოდელზე, რომლის მიხედვითაც „პრემიერ მინისტრი გახდა ქვეყნის ყველაზე მაღალი ძალაუფლების მქონე პირი. საქართველოს პრეზიდენტი კი არის ქვეყნის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, რომელსაც გააჩნია ძალაუფლება ვეტო დაადოს პარლამენტის მიერ კანონპროექტებს და დაითხოვოს პარლამენტი განსაკუთრებული გარემოებების არსებობის პირობებში“ (გვ. 4).

ქართული სახელმწიფოებრიობისთვის მნიშვნელოვან მოაპოვარს წარმოადგენს პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა, რომელზე საუბარიც საქართველოს პოლიტიკურ წრეებში 1990-იანი წლებიდან დაიწყო და მიზნად ისახავდა საპარლამენტო არჩევნებში დაბალი საპროცენტო ბარიერის შემოღებას, რომელიც უფრო დემოკრატიულს გახდის საარჩევნო სისტემას და ამავდროულად მაქსიმალურად უზრუნველყოფდა საქართველოში არსებული პარტიების მაქსიმალურ ჩართულობას ქვეყნის უმაღლესი

საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაში. 2020 წლის 29 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებული ცვლილებები, რაც საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ქვეყანაში დემოკრატიის განმტკიცებისკენ გადადგმულ კიდევ ერთ წარმატებულ ნაბიჯად შეფასდა. 2020 წელს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში უკვე შემოტანილი იქნა პროპორციული საარჩევნო სისტემის ელემენტები, რომლის მიხედვით საარჩევნო ზღურბლს წარმოადგენდა პარტიული სიის მიერ მიღებულ ხმათა მინიმალური პროცენტული რაოდენობა, რომელიც პარტიებს უფლებას აძლევს, მონაწილეობა მიიღოს მანდატების განაწილებაში. ხოლო 2024 წლიდან ქვეყანა სრულად გადავა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე, რაც ქვეყნის დემოკრატიისთვის კიდევ ერთ წინ გადადგმულ ნაბიჯი იქნება.

საქართველოს პარლამენტის მხრიდან აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება პოლიტიკური პლურალიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის მიმართულებით გადადგმულ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად შეაფასა ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ჯოზეფ ბორელიმ (2020) სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ პოსტში. მისი განცხადებით, აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს საქართველოში პოლიტიკური პლურალიზმის განვითარებას მომავალი არჩევნებისთვის.

გასული ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში განხორციელდა **სასამართლო სისტემის** მრავალი მნიშვნელოვანი რეფორმა, რაც მიზნად ისახავდა არსებული სისტემის გაუმჯობესებას და თანამედროვე დემოკრატიული პრინციპებისა და პრაქტიკის ეტაპობრივ იმპლემენტაციას ქართულ სასამართლო სისტემაში. 2018 წლის 14 დეკემბერს ბრიუსელში NATO-საქართველოს კომისიამ იმსჯელა და კიდევ ერთხელ დადებითად შეაფასა საქართველოს სასამართლო სისტემაში განხორციელებული რეფორმირების პროცესები და აღნიშნული რეფორმების როლი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე. საქართველოს სასამართლო სისტემაში გასულ ათწლეულში განხორციელებული რეფორმირების პროცესი ოთხ ძირითად ეტაპად შეიძლება დაიყოს.

სასამართლოს სისტემის რეფორმირების პირველი ტალღა საკანონმდებლო ცვლილებების სახით 2013 წელს განხორციელდა. რეფორმის საფუძველზე ცვლილებები

შევიდა იუსტიციის უმაღლესის საბჭოს დაკომპლექტების პროცედურებში, რომლის თანახმად საქართველოს პარლამენტი იუსტიციის უმაღლესი საბჭო დეპუტატების ნაცვლად კონკურსის საფუძველზე აირჩევს პოლიტიკურად ნეიტრალურ ფიგურებს. აღნიშნულ კონკურსში კანდიდატების წარდგენის უფლება მიენიჭათ ადვოკატთა ასოციაციას, არასამთავრობო და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს. გაიზარდა სასამართლო სხდომების გამჭვირვალობა და საჯაროობა, კერძოდ, სასამართლოებისთვის სავალდებულო გახდა მიმდინარე სხდომების ვიდეო/აუდიო ჩაწერა და მოთხოვნის შემთხვევაში მისი მხარეებისთვის გადაცემა. მოსამართლეთა კონფერენციის (მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო) წევრებს მიენიჭათ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრობის კონკურსში კანდიდატების წარდგენის უფლება.

სასამართლო სისტემის რეფორმის ცვლილებების მეორე ტალღა 2014 წლის აგვისტოში განხორციელდა. აღნიშნული ცვლილებების იმპლემენტაციის შედეგად დამტკიცდა მოსამართლეთა უვადო წესით არჩევის წესი. განისაზღვრა უვადო წესით მოსამართლეთა დანიშვნამდე მათი სამი წლის გამოსაცდელი ვადით დანიშვნის და აღნიშნულ პერიოდში მოსამართლეთა შეფასების წესი.

რეფორმის ცვლილებების მესამე ტალღაზე მუშაობა საქართველოს წამყვანმა პოლიტიკურმა ძალამ „ქართულმა ოცნებამ“ 2016 წელს დაასრულა. აღნიშნული რეფორმის მიღწევებად შეიძლება ჩაითვალოს სასამართლოებში საქმეთა ელექტრონული წესით განაწილების პრინციპის დანერგვა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების რაოდენობის 28 წევრამდე გაზრდა, სააპელაციო და უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეთა მოადგილეების პოსტების გაუქმება და საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეთა ახალი წესის დამტკიცება. აღნიშნული პროცედურის მიხედვით სააპელაციო და საქალაქო სასამართლოების თავმჯდომარეებს აღარ ნიშნავს იუსტიციის უმაღლესის საბჭო და ისინი არჩეულნი იქნებიან თვითონ მოსამართლეების მიერ.

საქართველოს ძალიასხმევა სასამართლოს სისტემის განვითარების კუთხით არ შეჩერებულა. 2019 წელს საქართველოს პარლამენტმა სასამართლო რეფორმის მე-4 ტალღის საკანონმდებლო პაკეტი დაამტკიცა. აღნიშნული პაკეტის შემუშავების პროცესში

ჩარულები იყვნენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, საერთაშორისო პარტნიორები, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, ექსპერტები. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის არჩილ თალაკვაძის განცხადების მიხედვით საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცდა სასამართლოს რეფორმირების მეოთხე ტალღის პაკეტი, რომელსაც ასე ელოდებდნენ, როგორც ქართული, ასევე საერთაშორისო საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები (საქართველოს პარლამენტი, 2019). აღნიშნული რეფორმის ძირითადი სფეროებად შესაძლებელია განისაღვროს იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემდგომი რეფორმირების, ასევე სასამართლოების გადატვირთულობის და დისციპლინური სამართალწარმოების საკითხების დარეგულირების საკითხები. საქართველო დღემდე აგრძელებს სასამართლოს სისტემის განვითარებისა და დახვეწის პროცესს მსოფლიოს წამყვანი დემოკრატიული ქვეყნების პრინციპებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით.

გასული ოცწლეულის განმავლობაში საქართველომ შეძლო სწორი პლიტიკის ფარგლებში წარმატებული და სტაბილური ეკონომიკის განვითარება. საქართველოს შესახებ ა.შ.შ.-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2014 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „საქართველომ „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ გაატარა ყოვლისმომცველი წარმატებული რეფორმები, რომლის საფუძველზეც ქვეყანამ შეძლო 2003 წლიდან 2014 წლამდე, წარუმატებელი ქვეყნის სტატუსიდან შეექმნა კარგად ფუნქციონირებად საბაზრო ეკონომიკა. პოლიციისა და სხვა ინსტიტუციების დრამატული რეფორმირების შედეგად მთავრობაში მნიშვნელოვნად შემცირდა დაბალი დონის კორუფცია, 2013 წლის გამოკიხვის საფუძველზე მხოლოდ მოსახლეობის ოთხმა პროცენტმა განაცხადა, რომ გასული წლის განმავლობაში მოუწიათ სახელმწიფო სერვისებში რაიმე სახით ქრთამის გადახდა. მთავრობამ 84 პროცენტით შეამცირა ნებართვების გაცემისთვის დადგენილი მოთხოვნები და საქართველომ 2013 წელს მსოფლიო ბანკის თავისუფალი ბიზნესის კეთების ინდექსის მიხედვით მე-8 პოზიცია დაიკავა. საგადასახადო და მონეტარული პოლიტიკა ფოკუსირებულია დაბალ საგადასახადო დეფიციტზე, დაბალ ინფლაციასა და სტაბილურ სავალუტო პოლიტიკაზე (The US Department of State, 2014).“

მსოფლიო ბანკის 2018 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველომ წარმატებული ეკონომიკის მენეჯმენტისა და მმართველობის ღრმა რეფორმების საფუძველზე შეძლო მოეპოვებინა „Star Reformer“-ის სტატუსი. კერძო სექტორის გასაძლიერებლად, საქართველომ შემოიღო წესები და რეგულაციები, რომლებმაც გაამარტივა ქვეყანაში ბიზნესის კეთების პროცედურები, ხოლო ქვეყნის საერთაშორისო რეიტინგები მმართველობისა და ინვესტიციების კლიმატის კუთხით გაიზარდა. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ევროკავშირთან და ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების მიღწევის საფუძველზე მოსალოდნელია სავაჭრო ინტეგრაციის მკვეთრი გაზრდა (The World Bank, 2018).

2017-2018 წლებში საქართველოს ეკონომიკამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. თუ 2013-2016 წლებში საშუალოდ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 3 პროცენტს აღწევდა 2017 და 2018 წლებში 4.5 პროცენტამდე გაიზარდა. აღნიშნულ პროგრესზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ევროკავშირთან და ჩინეთთან გაფორმებულმა ხელშეკრულებებმა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა საქართველოში წარმოებული პროდუქციის მზარდი რაოდენობით ექსპორტზე გატანა. 2018 წლის ბრიუსელის სამიტზე NATO-საქართველოს კომისიის დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ალიანსი მიესალმება გასული ათწლეულის განმავლობაში საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს დემოკრატიის, ძლიერი ეკონომიკური განვითარების, ეფექტური თავდაცვის ინსტიტუციებისა და მოდერნიზებული შეიარაღებული ძალების რეფორმირების კუთხით (NATO-Georgia Commission Declaration, 2018).

ჟურნალ „Global Finance“-ის მიერ ქვეყნის უსაფრთხოების კუთხით განხორციელებული ბოლო კვლევების თანახმად, რომელიც კონცენტრირებული იყო სამ ძირითად ელემენტზე: ომი და მშვიდობა, პიროვნების უსაფრთხოება და ბუნებრივი კატასტროფების რისკი, უსაფრთხოების ინდექსის 9.68 ქულით საქართველო იმყოფება 49-ე ადგილზე 128 ქვეყანას შორის. ამ მონაცემების მიხედვით საქართველო წარმოადგენს ყველაზე უსაფრთხო ქვეყანას რეგიონში. აღსანიშნავია რომ იგივე კვლევის შედეგად 2017 წელს საქართველო იმყოფებოდა 57-ე ადგილზე. 14.41 ქულით 131 ქვეყანას შორის (Global

Finance, 2019). საქართველოს მდგრადი და სტაბილური ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს წარმოადგენს საქართველოს ტურისტული პოტენციალი. საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაციის განცხადებით - „ბოლო წლების განმავლობაში ტურისტთა რაოდენობა საქართველოში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი და ტურისტულ ბიზნესთან დაკავშირებული წლიური შემოსავლები თითქმის გაოთხმაგებულია 2010 წელთან შედარებით. 2018 წელს, საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობამ, რომლებმაც თუდაც მინიმუმ ერთი დღე-ღამე გაატარეს საქართველოში 4.8 მილიონს მიაღწია, რაც 345% გაზრდილ მაჩვენებელს წარმოადგენს 2010 წლის მონაცემებთან შედარებით (საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაცია, 2019).“

2020-2021 წელს მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა, რომელიც ახალი ვირუსის COVID19-ის გავრცელებას უკავშირდება შეაზანზარა, არა მარტო საქართველოს არამედ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა. ქვეყანაში პანდემიის მართვის კუთხით დაწესებულმა მასიურმა შეზღუდვებმა მრავალი მიმართულებით დააზარალა საქართველოს ეკონომიკური სექტორი. უმუშევრების ზრდა, ქვეყანაში ტურისტული ნაკადის შემცირება, ინვესტიციების შემცირება, საერთაშორისო გზავნილების შემცირება, სავალუტო ბაზრის არასტაბილურობა, საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის შეზღუდვები, ეს მცირე ჩამონათვალია იმ გამოწვევებისა, რამაც საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტემპს ძლიერი დარტყმა მიაყენა. როგორც მსოფლიოს ასევე NATO-ს წევრი ბევრი ქვეყანა აღნიშნულმა პანდემიამ ურთულესი გამოწვევების წინაშე დააყენა. უხილავ მტერთან ბრძოლა ძალიან რთული გამოდგა თვითონ ამერიკის შეერთებული შტატებისთვისაც კი. განსაკუთრებულე სირთულე წარმოშვა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის გადატვირთვამ სამედიცინო საშუალებებზე გაზრდილმა უსწრაფესმა მოთხოვნებმა.

აღნიშნულ პერიოდში კრიზისების მართვის შესაძლებლობების კუთხით NATO-ს ქვეყნებს სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოუწიათ. COVID19-თან ბრძოლის კუთხით საქართველოს მთავრობამ სწრაფი და ეფექტური რეაგირების ნაბიჯები შეიმუშავა, რომლის სტრატეგიაც აღნიშნული მიმართულებით ოთხ ძირითად ეტაპად დაიყო:

ვირუსის გავრცელების შეკავება, ვირუსის გავრცელების შენელება, ვირუსის გავრცელების მართვა და მეოთხე ეტაპი, რომელიც შეზღუდვების ეტაპობრივ შემსუბუქებასა და ადაპტაციის პროცესებს მოიცავდა. პანდემიის ქვეყანაში გავრცელების შემთხვევების შესაჩერებლად საჭირო გახდა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და რიგი შეზღუდვების დაწესება. შეიზღუდვები შეეხო სახმელეთო და საჰაერო მიმოსვლას, სასწავლო პროცესები გადავიდა დისტანციური რეჟიმზე, გამოცხადდა კარანტინი ქვეყანაში და აიკრძალა ღამით გადაადგილება (გამონაკლისი საჭიროების შემთხვევების გარდა), დაწესდა მკაცრი კარანტინი პანდემიის მაღალი მაჩვენებლის მქონე რიგ მუნიციპალიტეტებში, შეიზღუდა საზოგადოებრივი ტრანსპორტი და ადამიანთა თავშეყრა საზოგადოებრივ ადგილებში, სახელმწიფო სამსახურები გადავიდნენ დისტანციური მუშაობის რეჟიმზე და შეიზღუდა ეკონომიური საქმიანობა (მთავრობა, 2021).

განსაკუთრებულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული საგანგებო სიტუაციების მართვა, რომელი მიმართულებითაც საქართველოს მთავრობამ რიგი მექანიზმების უსწრაფესი შექმნისა და მენეჯმენტის ეფექტური უნარი წარმოაჩინა. საგანგებო მდგომარეობის მართვის სისტემა ძირითად მიმართულებებად განისაზღვრა: საგანგებო მდგომარეობის მართვისა და ოპერაციული შტაბის ამოქმედება, საკარანტინო ზონების, ჯანდაცვის სისტემის და სასურსათო მარაგების მართვა, ფინანსებისა და ლოჯისტიკის მონიტორინგი, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმისა და უსაფრთხოების კონტროლის ღონისძიებები, საზღვარგარეთ მყოფ მოქალაქეთა დახმარება და სამშობლოში დაბრუნება, ოკუპირებული ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა დახმარება. ყველა ჩამოთვლილი მიმართულები ეფექტური ნაბიჯების გადადგმისა და სიტუაციის მკაცრი მენეჯმენტის საფუძველზე საქართველოს მთავრობამ შეძლო გადასულიყო ვირუსის გავრცელების შეკავების ფაზიდან გავრცელების შენელების ფაზაზე, ხოლო მოგვიანებით გავრცელების მართვისა და შეზღუდვების ეტაპობრივ შემსუბუქების პოლიტიკის გამოყენებით ქვეყანა უმძიმესი კრიზისული მდგომარეობიდან გამოეყვანა. პანდემიის პირობებში კრიზისული სიტუაციების მაღალ დონეზე მართვამ კიდევ ერთხელ

დაასაბუთა საქართველოს მდგრადი ეკონომიკური სისტემის არსებობა, რაც NATO-ს ქვეყნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესის ტემპის შენარჩუნება, აბსოლიტურად არის დამოკიდებული, ქვეყნის უნარზე, უზრუნველყოს გრძელვადიანი სტაბილურობა და განვითარება. იმ პირობებში როდესაც ქვეყნის 20%-ზე მეტი ოკუპირებულია რუსეთის მიერ, რომელიც თანამედროვე შეიარაღებით აღჭურვილი ქვედანაყოფები განთავსებული ყავს საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე და ამავდროულად ჰიბრიდული ომის ელემენტებისა და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით პერიოდულად ცდილობს საქართველოსთვის ჭკუის სასწავლებელი ღონისძიებების განხორციელებას ქვეყნის პრო-დასავლური ორიენტაციის პროცესზე ზემოქმედების განხორციელების მიზნით, აღნიშნული სიტუაცია საქართველოს უსაფრთხოებასა და სტაბილურობას სერიოზულ საფრთხის ქვეშ აყენებს, რაც პიდაპირ აისახება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებზე. ამისი ნათელი მაგალითია 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ განხორციელებული შეიარაღებული აგრესია, რომლის ერთ-ერთ მიზეზსაც სწორედ საქართველოს ეკონომიკის სწრაფი და სტაბილური აღმავლობის პროცესების შეჩერება და ჩამონგრევა წარმოადგენდა, რაც რუსეთმა წარმატებით მოახერხა კიდევ და თითქმის ათწლეულით დაწია უკან საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტემპი.

საქართველო წარმოადგენს სტაბილურ ქვეყანას რომელსაც გააჩნია ძლიერი ეკონომიკური ინსტიტუტები და განვითარების ხედვა, მაგრამ მხოლოდ NATO-ს უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ არის შესაძლებელი საქართველომ უზრუნველყოს საკუთარი ეკონომიკის გრძელვადიანი დაგეგმვისა და განვითარების პროცესების ხელშეწყობა. რუსეთის ყოფნა ოკუპირებულ ტერიტორიებზე პირდაპირ უშლის ასევე ხელს ინვესტიციების მოზიდვას დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, მაგალითად როგორცაა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი, ტრანსკასპიური ენერგომატარებლების საქართველოს გავლით ევროპისთვის მიწოდების პოტენციალი და ასე შემდეგ. თუ გადავხედავთ ბალტიის ქვეყნების ეკონომიკური აღმავლობის ისტორიას NATO-ში გაწევრიანების შემდეგ, მივხვდებით, თუ რაოდენ

დიდი ზეგავლენა აქვს დაცულ და სტაბლურ გარემოს ქვეყნების სწრაფი ეკონომიკური განვითარებისთვის, რაც თავის მხრივ უპირველეს საფუძველს წარმოადგენს ძლიერი და განვითარებული სახელმწიფოს განვითარების გზაზე.

1.3 კონფლიქტების დარეგულირების სამშვიდობო პოლიტიკა

1992 წლიდან, რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკებში ინიცირებული და მხარდჭერილი ეთნიკური კონფლიქტების მოგვარების კუთხით, საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა ყოველთვის პრიორიტეტს ანიჭებდა კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის პროცესს. როგორც რუსეთის მიერ 2008 წელს განხორციელებულ საქართველოს სამხედრო ოკუპაციამდე, ასევე 2008 წლის შემდგომ საქართველოს ოფიციალური კურსი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტების მოგვარების კუთხით ყოველთვის ეფუძნებოდა სამშვიდობო პოლიტიკას. კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების პროცესის წარმოსაჩენად მიზანშეწონილია საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯების მოკლე მიმოხილვა.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან მიმართებაში საქართველოს ხელისუფლების მიერ სამშვიდობო პოლიტიკის კუთხით გადადგმული ნაბიჯების ათვლა იწყება 1992 წლის ივნისში ბორის ელცინისა და ედუარდ შევარდნაძის მიერ სოჭში ხელმოწერილი შეთანხმებით „ქართულ ოსური კონფლიქტის დარეგულირების პრინციპების შესახებ“, რომლის საფუძველზეც ქართულ-ოსური კონფლიქტი ზონაში რუსი სამშვიდობოები შევიდნენ. ამავე ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდა ცხინვალში ეუთოს სადამკვირვებლო მისია განთავსება (GHN, 2012). ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრს ივანე აბრაიშვილს (2018), თავის სამაგისტრო ნაშრომში ძალიან კარგად აქვს განხილული საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო პოლიტიკა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკებთან მიმართებაში. იგი აღნიშნავს, რომ პირველი წამატება ქართულ-ოსურ სამშვიდობო პროცესებში დაფიქსირდა 1996 წელს, როდესაც მოსკოვში ქართულ და ოსურ მხარეებს შორის ხელი

მოეწერა მემორანდუმს „უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ურთიერთდობის განმტკიცებისთვის საჭირო ზომების შესახებ.“ აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე ორივე მხარე უარს ამბობდა ზეწოლისა და ძალის გამოყენებაზე და თანმობას აცხადებდა მოლაპარაკებების გაგრძელებაზე კონფლიქტების სრულმასშტაბიანი პოლიტიკური დარეგულირების შესახებ.

2004 წლის 21 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 59-ე გამოსვლაზე, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კონფლიქტების დარეგულირების სამი ეტაპისგან შემდგარი გეგმა წარადგინა. აბრამიშვილი (2018) აღნიშნავს, რომ „გეგმის პირველი ეტაპი მოიცავდა ნდობის აღდგენას, რომელიც პროფესიული და ადამიანური კავშირების გაძლიერებით უნდა მომხდარიყო; მეორე ეტაპი, ითვალისწინებდა კონფლიქტის ზონების დემილიტარიზაციასა და უსაფრთხოების გამყარებას; მესამე ეტაპზე კი უნდა მომხდარიყო კონფლიქტური რეგიონებისთვის ფართო ავტონომიის მინიჭება (გვ. 12).“ აღნიშნული ინიციატივის საფუძველზე საქართველოს ხელისუფლება რეგიონს იმაზე მეტ ავტონომიას სთავაზობდა, ვიდრე მათ საბჭოთა პერიოდში ჰქონდათ მინიჭებული. აღნიშნული პოლიტიკის თანახმად ცხინვალის რეგიონს გარანტირებული ექნებოდა ავტონომია, რომელიც კონსტიტუციით იქნებოდა გარანტირებული და გამყარებული. შეთავაზება ასევე გულისხმობდა მთავრობის, რეგიონული პარლამენტის, ადგილობრივ თვითმმართველობების ყოლის გარანტიებს, რომელიც სრულ ავტონომიურობას აძლევდა რეგიონს კულტურის, განათლების, სოციალური პოლიტიკის, გარემოს დაცვისა და სხვა საკითხებში. ასევე ცხინვალის რეგიონს ეყოლებოდა წარმომადგენლობა ქვეყნის ხელისუფლებაში (ასათიანი, 2005).

1994 წლის 4 აპრილს, თბილისსა და სოხუმს შორის ხელი მოეწერა ორ მნიშვნელოვან დოკუმენტს. „პირველი ეხებოდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ზომებს, მეორე კი ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ ოთხმხრივ შეთანხმებას (აბრამიშვილი, 2018, გვ. 14).“ აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე კონფლიქტის მხარეები იღებდნენ ვალდებულებას ძალის არგამოყენებისა და აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ღირსეული დაბრუნების შესახებ. მხარეები მოუწოდებდნენ გაეროს სადამკვირვებლო

მისიის (UNOMIG) გაფართოებისა სამშვიდობო ოპერაციის დაწყების შესახებ. საქართველოს ხელისუფლება აფხაზებს სთავაზობდა საკუთარ კონსტიტუციას, კანონმდებლობას, სიმბოლიკას, ხოლო სტატუსსა და ძალაუფლების საბოლოო გამიჯვნაზე მოგვიანებით დაიწყებოდა შესაბამისი მოლაპარაკებები.

ნდობისა და ქართულ-აფხაზური ურთიერთობების გაღრმავების კუთხით საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა 2006 წელს, როცა 29 მარტს ირაკლი ალასანია ჩავიდა სოხუმში და შეხვედრა გამართა სერგეი ბაღაფშთან. აღნიშნულ შეხვედრაზე განიხილებოდა სამომავლოდ ძალის არგამოყენებისა და იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნების საკითხი. მომზადდა შესაბამისი ხელშეკრულების პროექტი. ამასთანავე მხარეები შეთანხმდნენ 2001 წელს შეჩერებულ საკოორდინაციო საბჭოს აღდგენაზე. იმავე წლის 15 მაისს თბილისში გაიმართა ზემოაღნიშნული საკოორდინაციო საბჭოს პირველი შეხვედრა, რომელზეც სერგეი შამბამ აფხაზური სამშვიდობო გეგმა „მომავლის გასაღები“ წარადგინა. აღნიშნულ ინიციატივებს პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია, ვინაიდან საქართველოს ხელისუფლების მხრიდან კოდორის ხეობაზე კონტროლის აღდგენის ოპერაციამ და NATO-სთან დაახლოების ფონზე თბილისსა და მოსკოვს შორის გაღრმავებულმა კრიზისმა უარყოფითი გავლენა მოახდინა, როგორც ქართულ-ოსურ, ასევე ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე.

2008 წლის 28 მარტს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ახალი სამშვიდობო ინიციატივა შესთავაზა აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობას. ახალი ინიციატივა მოიცავდა ოჩამჩირესა და გალში ახალი თავისუფალი ეკონომიკური ზონის გახსნის მეშვეობით ერთობლივი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივას. მეორე მნიშვნელოვანი შეთავაზება გამომდინარეობდა დეფაქტო რესპუბლიკისთვის საქართველოს ვიცე-პრეზიდენტის პოსტის შეთავაზებას, ასევე ვეტოს უფლებას ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაზე რომელიც სამომავლოდ შესაძლებელია შეხებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციურ სტატუსს. აგრეთვე პრეზიდენტის შეთავაზება მოიაზრებდა ფართო ავტონომიას და წარმომადგენლობას საქართველოს პარლამენტსა და ყველა ცენტრალურ ორგანოში (civil.ge, 2008).

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის დროს 12 აგვისტოს მიხეილ სააკაშვილისა და დიმიტრი მედვედევის მიერ ხელმოწერილი ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიანი გეგმაზე ხელმოწერით მხარეებმა ვალდებულება აიღეს ძალის გამოუყენებლობასა და საბრძოლო მოქმედებებე უარის თქმაზე. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით საქართველოს უნდა დაებრუნებინა შეიარაღებული ძალები დისლოკაციის ადგილებზე, ხოლო რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნებულიყვნენ სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე არსებულ ხაზე. რუსეთმა, როგორც ყოველთვის არ შეასრულა საქართველოსთან ნაკისრი ვალდებულებები და საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან შეიარაღებული ძალების გაყვანის სანაცვლოდ პირიქით გაზარდა იქ სამხედრო წარმომადგენლობა.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკებთან ძალის გამოუყენებლობის შესახებ ოფიციალური პოზიცია კიდევ ერთხელ იქნა საქართველოს პრეზიდენტის მიერ ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლისას გაჟღერებული 2010 წლის 23 ნოემბერს. საქართველოს პრეზიდენტმა ცალმხრივად აიღო ვალდებულება, ძალის არგამოუყენებლობის შესახებ და განაცხადა, რომ სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად საქართველო არასდროს გამოიყენებდა ძალას და მხოლოდ მშვიდობიანი პროცესები იქნებოდა ქვეყნის დეოკუპაციისა და გაერთიანების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მხრიდან გამოყეებული, მაშინაც კი, თუ რუსეთის ფედერაცია უარს იტყოდა საქართველოს ტერიტორიიდან საკუთარი საოკუპაციო სამხედრო შენაერთების გაყვანაზე. უფრო მეტიც, პრეზიდენტის განცხადებით საქართველომხოლოდ სამშვიდობო პოლიტიკის უფლებას იტოვებდა მაშინაც კი, თუ სეპარატისტული რეჟიმების სამხედრო ქვედანაყოფების მიერ მოიმატებდა ოკუპირებულ რეგიონებში საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დარღვევის შემთხვევები. პრეზიდენტის აღნიშნული განცხადების მიხედვით საქართველო დაიტოვებდა მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვის უფლებას მის სუვერენულ კონტროლირებად ტერიტორიაზე ახალი შეტევის და შემოჭრის შემთხვევაში (civil.ge, 2010).

საქართველოს სტრატეგიად აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტების მოგვარების პროცესში დღემდე რჩება კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების

პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკის შესაბამისად საქართველოს არსებული ხელისუფლების მთავარ ამოცანას წარმოადგენს კონფლიქტების მოგვარების სწორი სტრატეგიის ფარგლებში პრაგმატული, მწყობრი და სრულიად მშვიდობიანი პოლიტიკის განხორციელება, რომელის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და განვითარებაზეა ორიენტირებული. აღნიშნული პოლიტიკა ორ მთავარ მიმართულებას აერთიანებს, ესენია **კონფლიქტების საფუძველზე დაშორებული საზოგადოების შერიგება და ქვეყნის დეოკუპაცია**. აღნიშნული კუთხით სახელმწიფოს სტრატეგია გარკვევით არის ჩამოყალიბებული შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ხედვაში კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების შესახებ, რომელიც სახელმწიფოს ოფიციალურ სამშვიდობო პოლიტიკის წარმატების უზრუნველყოფას ქვემოთ მოყვანილ რვა მთავარ ამოცანას უკავშირებს (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 2019):

პირველი ამოცანა ქვეყანაში მშვიდობის დაცვის უზრუნველყოფას უკავშირდება, რომელიც გულისხმობს გაერთიანებული ძალისხმევის განხორციელების საშუალებით მშვიდობის დაცვის უზრუნველსაყოფად შემდეგი სახის ღონისძიებების განხორციელებას: უსაფრთხოების მიმართულებით არსებული რისკებისა და სავარაუდო პროვოკაციების განეიტრალების პროცესში საერთაშორისო დამკვირვებელთა და ორგანიზაციათა ჩართულობის უზრუნველყოფას, საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის და სუვერენიტეტის განმტკიცების ღონისძიებების გატარებას, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის უწყვეტი კურსის შენარჩუნების პოლიტიკის გაგრძელებას და ეკონომიკური განვითარების ვექტორის მაქსიმალურ შენარჩუნებას, რაც კონფლიქტების წარმატებული და მშვიდობიანი გადაჭრის მნიშვნელოვან წინაპირობებს წარმოადგენს. აღნიშნულ სტრატეგიაში ხაზგასმულია, რომ სახელმწიფოს მხრიდან **„კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკა არის ცალსახად მშვიდობიანი**. საქართველოს არჩევანი და განვითარების კურსი არ არის ვინმეს წინააღმდეგ მიმართული. საქართველო დაინტერესებულია რეგიონის უსაფრთხოების განმტკიცებით, არის და მომავალშიც იქნება საიმედო პარტნიორი, რომელიც საკუთარ

პოლიტიკას დემოკრატიულ ღირებულებებისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით აყალიბებს“ (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 2019).

მეორე ამოცანა აყალიბებს რუსეთთან მიმართებაში დეოკუპაციისა და დეესკალაციის პოლიტიკის ძირითად პრინციპებს, რომლის მიხედვითაც საქართველო აუცილებლად გააგრძელებს შეურიგებელ და პრინციპულ ძალისხმევას საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციის მიმართულებით. დაიცავს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს აღნიშნული მიმართულებით რუსეთის ფედერაციასთან, როგორც პირისპირ დიალოგისას, ასევე საერთაშორისო დონეზე მოლაპარაკებების წარმოებისას (ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები). აღნიშნული ამოცანის მიხედვით საქართველო მტკიცედ გააგრძელებს მისი სტრატეგიული შესაძლებლობების ფარგლებში რუსეთის ფედერაციაზე საერთაშორისო ზეწოლის მობილიზებასა და ამ ეფექტის მაქსიმალურ შენარჩუნებას ყველა შესაბამისი დიპლომატიური, სამართლებრივი და პოლიტიკური მექანიზმების ეფექტურად გამოყენების გზით. ამასთან ერთად საქართველო გააკეთებს ყველაფერს რუსეთის ფედერაციასთან სიტუაციის დეესკალაციის და გონივრული შესაძლებლობების ფარგლებში გარკვეული მიმართულებებით ურთიერთობების ნორმალიზებისთვის. აღნიშნული მიდგომა კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს კონსტრუქციულ და მშვიდობიან ხედვას აღნიშნულ პროცესში.

მესამე და მეოთხე ამოცანები უკავშირდება ოსურ და აფხაზურ საზოგადოებებთან მიმართებაში პირდაპირი დიალოგის საფუძველზე შერიგებისა და ნდობის მშენებლობის პროცესის მხარდაჭერას. აღნიშნული ხედვა გულისხმობს დაპირიპირებული საზოგადოებების კონცენტრირებას იმ ფაქტორებზე, რომელსაც ყველა მხარისთვის დადებითი შედეგების მოტანა შეუძლია სამომავლოდ. აღნიშნული ამოცანის მიხედვით არსებული კონფლიქტები მძიმე გამოცდილებად რჩება სამივე მხარისთვის და ყველას ინტერესებში შედის, რომ გაკეთდეს ყველაფერი, რათა აღარ იქნას დაშვებული შეიარაღებული დაპირიპირება და პროვოკაციები რაც მშვიდობის მშენებლობის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. აღნიშნული მიზნების მისაღწევად საქართველოს ხელისუფლება მზაობას გამოთქვავს ოსურ და აფხაზურ საზოგადოებების

წარმომადგენლებთან ერთად ყოველგვარი პოლიტიზირების გარეშე იმსჯელოს ერთობლივი ინტერესების ფარგლებში შექმნილი რთული მდგომარეობიდან პრაგმატული გამოსავლის ძიებასა და ახალ ინიციატივებზე, უკეთესი მომავლისა და განვითარების პერსპექტივებზე.

მეხუთე ამოცანის მიზანს კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობაზე ზრუნვა წარმოადგენს, სადაც აქცენტი გაკეთებულია პრიორიტეტულ სამ ძირითად სამიზნე ჯგუფზე. პირველ ჯგუფად განსაზღვრულია საოკუპაციო გამყოფი ზოლის გასწვრივ მაცხოვრებელი მოსახლეობა, რომელთა ყოველდღიურ საჭიროებებზე ზრუნვა სახელმწიფოს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება აღნიშნული რეგიონების სოციალური-ეკონომიკური განვითარების კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებების ხელშეწყობა. მეორე სამიზნე აუდიტორიას ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა წარმოადგენს და ეთნიკური კუთვნილებისაგან განურჩევლად მათ ჰუმანიტარულ მხარდაჭერასა და ულებების დაცვას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. მესამე სამიზნე ჯგუფს იძულებით გადაადგილებული პირები წარმოადგენენ. სახელმწიფო სრულიად იღებს პასუხისმგებლობას აღნიშნული მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური უზრუნველყოფაზე, მათი ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებასა და ძალისხმევაზე, რომელიც მიმართულია აღნიშნული მოსახლეობის საკუთარ სახლებში დაბრუნების განუყოფელი უფლების რეალიზაციისკენ.

საქართველოს ხელისუფლების შემდგომ ამოცანას ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები აფხაზეთისა და ცხინვალის მოსახლეობისთვის საქართველოს მხრიდან სახელმწიფოებრივ სივრცეში არსებული სიკეთეების, მომსახურებების და სხვადასხვა შესაძლებლობის შეთავაზება და მათი ხელმისაწვდომობის გამარტივება წარმოადგენს. აღნიშნული ხედვის მიხედვით აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოსახლეობისთვის აუცილებელია სარგებლობდნენ შესაძლებლობით მაქსიმალურად ჩაერთონ ქვეყნის განვითარების პროცესებში, რათა მიიღონ შესაბამისი ეკონომიკური და სოციალური სარგებელი. აღნიშნული პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენს 2018 წელს საქართველოს მთავრობის მიერ გაცხადებული ინიციატივა - „ნაბიჯი უკეთესი

მომავლისკენ,“ რომლის მიზანსაც წარმოადგენდა კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის ფარგლებში ორი მნიშვნელოვანი შეთავაზების გახმოვანება. პირველი შეთავაზება გულისხმობდა გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის წახალისების ღონისძიებების ინიცირებას, ხოლო მეორე შეთავაზება გულისხმობდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკების მოსახლეობისთვის განათლების შესაძლებლობების განვითარებას (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 2018).

მეშვიდე ამოცანის მიხედვით სახელმწიფო ახორციელებს ქმედით ნაბიჯებს, რომელთა ძირითად ამოცანას წარმოადგენს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების მსგავსად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოქალაქეებზეც გავრცელდეს ის სიკეთე და თანამედროვე შესაძლებლობები, რასაც საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის ფარგლებში საქართველოს მოქალაქეები იღებენ. აღნიშნულ სიკეთეებში იგულისხმება თანამედროვე ჯანდაცვა, ვაჭრობა, თავისუფალი მიმოსვლის პერსპექტივა, ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობა, ამასთან ერთად ისეთი სეკეთეები, როგორცაა დაცული იდენტობა და თვითმყოფადობა, რაც საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მიმდინარე რუსიფიკაციის ფონზე, რეალურად დიდი საფრთხის ქვეშ იმყოფება.

საქართველოს მთავრობა მერვე ამოცანად განსაზღვრავს ზემოაღნიშნული სამშვიდობო პოლიტიკის მხარდასაჭერად საერთაშორისო მხარდაჭერის მობილიზებას პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო თანამეგობრობასთან მჭიდრო და გახსნილი თანამშრომლობითა და საერთაშორისო მექანიზმების ეფექტური გამოყენებით. საქართველოს ხელისუფლების წარმატებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს დღემდე მტკიცედ უჭერს მხარს საერთაშორისო თანამეგობრობა.

საქართველოს მხრიდან კონფლიქტების მოგვარების მშვიდობიანი პოლიტიკა უკავშირდება მომავლის კომპლექსურ ხედვას სადაც ევროპულ ერთიან საქართველოში დაცული და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული იქნება ყველა მოქალაქისა და ეთნიკური ჯგუფის უფლებები და იდენტობა. შესაბამისად, საქართველოს

დემოკრატიული განვითარება, სტაბილურობა, ეკონომიკური კეთილდღეობა და ევროპული მოდელის სახელმწიფოს მშენებლობა საქართველოსთვის რჩება, როგორც კონფლიქტების მოგვარების მთავარი გასაღები, რაც სრულიად შეესაბამება NATO-ს წევრობის კანდიდატებისთვის აღნიშნულ სიტუაციებში მოქმედების სტანდარტებსა და მოთხოვნებს.

1.4 NATO-ში ინტეგრაციის პროცესში ქვეყნის მთავარი აქტორის - საქართველოს თავდაცვის ძალების როლი

NATO-ში ინტეგრაციის პროცესში მაღალი საბრძოლო მზადყოფნის დონის მქონე ქვეყნის თავდაცვის ძალებს გადამწყვეტი როლი ენიჭება. ალიანსის გაფართოების შესახებ 1995 წლის სწავლების თანახმად, NATO-ს წევრობის მსურველ ქვეყნებს მოეთხოვებათ ახორციელებდნენ შესაფერის დემოკრატიულ და სამოქალაქო კონტროლს თავდაცვის ძალებზე, და ასევე გააჩნდეთ შესაძლებლობები წვლილი შეიტანონ კოლექტიური თავდაცვისა და ალიანსის ახალ მისიებში (NATO, 1995). საქართველომ, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ალიანსის წევრობისკენ მიმავალ გზაზე, თავდაცვის მიმართულებით განხორციელებული მუდმივი რეფორმირების პროცესის საშუალებით ორივე ზემოაღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. აღნიშნული წლების განმავლობაში რეფორმებისა და განვითარების მუდმივი პროცესის უმთავრეს მიზნებს წარმოადგენდა ერთი მხრივ, NATO-სთან თავსებადობის მიღწევის მიზნით თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესება, ხოლო მეორე მხრივ თავდაცვის ძალების განვითარებისა და გაუმჯობესების პროცესების უწყვეტობა.

ნაკია სამერსი (2012) თავის ნაშრომში „საქართველოს მიერ ნატოს წევრობის ძიება: გამოწვევები და პერსპექტივები,“ აღნიშნავს რომ საქართველომ გააუმჯობესა დემოკრატიული ზედამხედველობა თავდაცვის ძალებზე. იგი იმოწმებს 2006 წლის საერთაშორისო უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს მოხსენებას, რომლის თანახმად „საქართველოს პარლამენტის როლი უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობის კუთხით მნიშვნელოვნად გაძლიერდა. სამოქალაქო თავდაცვის მინისტრი ხელმძღვანელობს სამოქალაქო თავდაცვის სამინისტროს, გენერალური შტაბისგან

განცალკევებით, უფრო მეტიც 2004 წლის დეკემბერში საქართველოს მიერ მიღებულმა კანონმა განსაზღვრა ცალცალკე საქართველოს პრეზიდენტის, თავდაცვის მინისტრისა და თავდაცვის ძალების მეთაურის როლი და პასუხისმგებლობები“ (ISAB Report, 2006, გვ. 4).

აღნიშნული ცვლილებები საფუძვლად დაედო გენერალურ შტაბსა და სამოქალაქო თავდაცვის სამინისტროს შორის უფლებამოსილების გამიჯვნას, და გახდა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი თავდაცვის ძალებზე დემოკრატიული ზედამხედველობისა და სამოქალაქო კონტროლის ფუნქციების შემოღების კუთხით. 2003 წლიდან საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია თავდაცვის სექტორში ძლიერი სტრატეგიული დაგეგმვის, დსრულებისა და შეფასების პროცესებისა და მექანიზმებისა და პროცედურების განვითარების კუთხით.

საქართველოს თავდაცვის ძალების წარმატებული მონაწილეობა მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების კუთხით ა.შ.შ.-ს და NATO-ს ეგიდით განხორციელებულ მისიებსა და ოპერაციებში ორ ათეულ წელს ითვლის. 1999 წლიდან საქართველოს შეიარაღებული ძალები აქტიურად მონაწილეობს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში საერთაშორისო უსაფრთხოების შენარჩუნებისა და სტაბილურობის განმტკიცების კუთხით განხორციელებულ მისიებში.

პირველი ნაბიჯების გადადგმა NATO-ს ეგიდით წარმოებულ მისიებში ქართული ქვედანაყოფებისთვის დაიწყო 1999 წლის 31 აგვისტოს, როდესაც საქართველომ გააგზავნა სამხედრო კონტინგენტი კოსოვოში ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ „კოსოვოს დაცვის ძალებში (Kosovo Protection Force)” მონაწილეობის მისაღებად.

NATO-ს ეგიდით კოსოვოში წარმოებული სამშვიდობო მისიის მთავარ მიზნებს წარმოადგენდა კოსოვოში არსებული გაერო-ს მისიის მუშაობის ხელშეწყობა, საბრძოლო მოქმედებების განახლების აღკვეთა და საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების პროცესის ხელშეწყობა. ქართული ქვედანაყოფები კოსოვოს დაცვის ძალებს პირველად, თურქული კონტინგენტის შემადგენლობაში, ქალაქ მამუშაში შეუერთდნენ ერთი ქვეითი ოცეულის შემადგენლობით. 2003 წლის მაისიდან, მისიაში საქართველომ დამატებით გაძლიერებული ასეული გააგზავნა გერმანული კონტინგენტის შემადგენლობაში, ქალაქ

პრიზრენში. ქართულმა ქვედანაყოფებმა კოსოვოში წარმოებული მისია, 2008 წელს, უდანაკარგოდ დაასრულეს. აღნიშნული ცხრა წლის განმავლობაში საქართველოს თავდაცვის ძალებმა ასეულის 11 და ოცეულის 17 როტაციით დაასრულა (საქ. თავდ. სამინისტრო, 2020).

კოსოვოში ქართული ქვედანაყოფების მისიას ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციების გარდა წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დაპირისპირებულ მხარეებს შორის სამშვიდობო შეთანხმების შესრულების მონიტორინგი, NATO-ს წევრი ქვეყნების სამხედრო ბაზების და მრავალეროვნული ბრიგადის შტაბის დაცვა (Camp Toplicane, Camp Airfield, Prizren, Multi National Brigade (SW) Had Quarter) და ჰუმანიტარული ღონისძიებების მხარდაჭერა. შეიძლება ხმამაღლა ითქვას, რომ კოსოვოში NATO-ს წევრი ქვეყნების მხარდამხარ ქართული ქვედანაყოფების მონაწილეობა იყო პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი საქართველოს მიერ ალიანსის სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ სწრაფვისა. აღნიშნულ მისიაში წარმატებული მონაწილეობით ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა დაამტკიცა, რომ საქართველოს სამხედრო ძალები ნელ-ნელა იწყებდა არა მარტო ფეხზე წამოდგომას და განვითარებას, არამედ გაზრდილი საბრძოლო მზადყოფნის დონის მეშვეობით პირველი ნაბიჯების გადადგმას დასავლელ პარტნიორების თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებთან თავსებადობის კუთხით. საქართველო ფაქტიურად პირველი კონტრიბუტორი გახდა ალიანსის მისიაში კავკასიის რეგიონის NATO-ს პარტნიორი სახელმწიფოებიდან რომელმაც დაიწყო მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნების პროცესში კონტრიბუციის განხორციელება. ქვეყნის აღნიშნულმა სტრატეგიამ კი საგრძნობლად შეუწყო ხელი საქართველოს იმიჯის გაუმჯობესებას საერთაშორისო დონეზე.

ჯიმ ნიკოლი (2014) კონგრესისადმი მოხსენებაში „სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო: პოლიტიკის განვითარება და თანამშრომლობა ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებში“ აღნიშნავს, რომ საქართველო თავისი სტრატეგიული პარტნიორის დახმარების მიზნით უყოყმანოდ შეუერთდა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ერაყის რესპუბლიკაში წარმოებულ ოპერაციებს (Operation Enduring Freedom and Operation Iraqi Freedom) 2003 წლიდან. ნიკოლი აღნიშნავს, რომ მოგვიანებით

საქართველომ გახსნა მისი ტერიტორიის გავლით ტრანზიტული მარშრუტი, რომელმაც უზრუნველყო ტვირთის ბრუნვა ამერიკიდან ავღანეთის მიმართულებით და პირიქით. 2013 წელს ა.შ.შ.-ს სატრანსპორტო სარდლობის მეთაური გენერალ ფრაზერმა აღნიშნა, რომ ფოთის პორტს უნდა გაეგრძელებინა მუშაობა როგორც ერთ-ერთ მთავარ სატრანსპორტო ჰაბს, რომელიც მოემსახურებოდა ავღანეთში ISAF-ის მისიით განსაზღვრული კონტინგენტის შემცირების სტრატეგიული ტრანსპორტირების პროცესს.

2003 წლიდან 2008 წლის ჩათვლით საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფები წარმატებით მონაწილეობდნენ ერაყის რესპუბლიკაში ა.შ.შ.-ის ხელმძღვანელობით წარმოებულ მრავალეროვნულ ოპერაციაში. ქართულმა ქვედანაყოფებმა დიდი წვლილი შეიტანეს სამხედრო კოალიციის პოლიტიკის ფარგლებში ერაყის მთავრობის მხარდაჭერის მიზნით თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებისა და ეფექტური თავდაცვის ძალების სტრუქტურის ფორმირების უზრუნველყოფისთვის წარმოებულ მოქმედებებში. თავის თეზისში ნაკია სამერსის (Summers, 2012) თქმით, 2008 წლისთვის ერაყში წარგზავნილი ქართული ჯარისკაცების რაოდენობამ 2300 სამხედრო მოსამსახურეს მიაღწია, რითიც ჯარისკაცთა რაოდენობით მისიაში მესამე კონტრიბუტორი ქვეყანა გახდა ა.შ.შ.-ის და გაერთიანებული სამეფოს შემდეგ. თუმცა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის გამო, რომელიც ქვეყანას დაახლოებით 160 ქართველი სამხედროს სიცოცხლედ დაუჯდა, საქართველომ გამოიყვანა საკუთარი ქვედანაყოფები ერაყიდან და კოსოვოდან.

ერაყის რესპუბლიკაში ქართული ქვედანაყოფების მთავარ მისიას წარმოადგენდა მნიშვნელოვანი საკვანძო ობიექტების დაცვა, სრული სპექტრის ოპერაციებში მონაწილეობა, ჩხრეკის, პატრულირების, საკონტროლო-გამშვები პუნქტის და საინჟინრო უსაფრთხოების ოპერაციები. ასევე მათ ფუნქციებში შედიოდა პასუხისმგებლობის რაიონში არსებული სამხედრო ჰოსპიტალისთვის დახმარების გაწევა და ესკორტირება. „საქართველომ ერაყში წარმოებულ საერთაშორისო მრავალეროვნულ მისიაში, სხვადასხვა დონეზე ჩატარებული 19 როტაციის ფარგლებში 8 495 ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო მონაწილეობა. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს

ქართული ქვედანაყოფები სამშობლოში დაბრუნდნენ, რითაც საქართველოს თავდაცვის ძალების მისია ერაყში დასრულდა (საქ. თავდ. სამინისტრო, 2020).

ევრაზიანეტში გამოყვეყნებულ სტატიაში „საქართველომ დაკარგა პირველი სამხედრო ავღანეთში“ ჯოშუა კუცერა (Kucera, 2010) წერს, რომ „ქართული ძალები ერაყში არა მხოლოდ ბაზების დაცვაზე იყვნენ ორიენტირებული - ისინი აკონტროლებდნენ მთელ პროვინციას პასუხისმგებლობის რაიონში ამერიკის ხელმძღვანელობით ფორმირებულ კოალიციურ ძალებთან კოორდინაციაში, სადაც ისინი ატარებდნენ სრული სპექტრის საბრძოლო ოპერაციებს, თუმცა მნიშვნელოვანი ამერიკული დახმარების პირობებში გარკვეული მიმართულებით (გვ. 1).“

საქართველოს ატლანტიკური საბჭოს საიტზე გამოქვეყნებულ სტატიაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (პოლიტიკის მეცნიერება) სტუდენტს შალვა ჩიხლაძეს ძალიან კარგად აქვს აღწერილი ერაყის მისიაში მონაწილე ქართული კონტინგენტი. იგი აღნიშნავს, რომ ერაყში, პირველად, 2003 წელს ქართული სამშვიდობო მისიის ფარგლებში საქართველოს შეიარაღებული ძალების საინჟინრო ოცეული და სამედიცინო ჯგუფის 70 სამხედრო მოსამსახურე და გაემგზავრა (ქ. ტიკრიტი). 2004 წელს უკვე საქართველომ 300 კაცამდე გაიზარდა კოალიციური ქვედანაყოფების შემადგენლობაში შემავალი ქართული კონტინგენტი, 2005 წლიდან კი სამშვიდობო მისიის შესრულება უკვე 850 მოსამსახურემ განაგრძო. 2007 წლის ზაფხულიდან, საქართველოს უმაღლესი მთავარსარდლის ინიციატივითა და პარლამენტის როგორც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებით, ვასიტის პროვინციაში მდებარე ერაყის ქალაქ ალ კუტში სამშვიდობო მისიას უკვე III ქვეითი ბრიგადის 2000 ჯარისკაცი ახორციელებდა. საქართველომ 2008 წლის იანვარში, უკვე ერაყში ბრიგადის ზომის ქვედანაყოფი გააგზავნა, I ქვეითი ბრიგადის სახით. სამშვიდობო მისიის ფარგლებში აღნიშნული ბრიგადის შემადგენლობა დისლოცირებული იქნა ვასიტის პროვინციაში არსებულ სამხედრო ბაზა “დელტაზე” 1500 სამხედრო მოსამსახურით, სამხედრო ბაზა “ქლეარზე” 350 ჯარისკაცით და ქ. ბაღდადში 150 სამხედრო მოსამსახურით (ჩიხლაძე, 2014).

საქართველომ ერაყში წარმოებული მისიის შესრულებისას სამი ქართველი სამხედრო დაკარგა ხოლო ცხრამეტმა სამხედრო მოსამსახურემ სხვადასხვა სიმძიმის ჭრილობა მიიღო (საქ. თავდ. სამინისტრო, 2020). საქართველოს თავდაცვის ძალებმა აღნიშნულ მისიაში მონაწილეობით კიდევ ერთხელ დაამტკიცა მისი ქვედანაყოფების მაღალი საბრძოლო მზადყოფნის დონე სრული სპექტრის ოპერაციებში მონაწილეობისას NATO-ს წევრი წამყვანი ქვეყნების სამხედრო ძალებთან თავსებადობის კუთხით, ყველაზე დიდი სტრატეგიული პარტნიორისადმი მხარდაჭერა და საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნების პროცესში მონაწილეობის მტკიცე სურვილი.

არანაკლებ საპასუხისმგებლო მისია აიღო თავზე საქართველომ ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში მიმდინარე NATO-ს მრავალეროვნულ მისიაში - „საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების (ISAF)“ მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებით. მისიაში საქართველოს თავდაცვის ძალები 2004 წლის აგვისტოში ჩაერთო ერთი გაძლიერებული ოცეულის შემადგენლობით, რომლის ამოცანას წარმოადგენდა ავღანეთში დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ავღანეთში წარმოებული მისიის მიმდინარეობისას ეტაპობრივად იცვლებოდა ქართული კონტინგენტის რაოდენობა და მათი ამოცანები. ქართული ქვედანაყოფები ახორციელებდნენ სრული სპექტრის ოპერაციებს, მათ შორის დიდი სამხედრო ბაზების დაცვას, პატულირებას, კორდონს, ჩხრეკას, მნიშვნელოვანი ლოჯისტიკური მარშუტებისა და ინფრასტრუქტურის დაცვასა და მონიტორინგს და ავღანური სამხედრო ძალების საარტილერიო ქვედანაყოფების მომზადებას, მნიშვნელოვანი სამხედრო ჰოსპიტალების დაცვასა და დახმარებას (საქ. თავდ. სამინისტრო, 2020).

შალვა ჩიხლაძე (2014) კარგად აღწერს ზემოაღნიშნულ მისიაში ქართული ქვედანაყოფების როლს და პასუხისმგებლობებს, რომლის მიხედვითაც 2007 წლის ნოემბერში ქართველი ექიმები წარგზავნილ იქნენ გჰორის პროვინციის ქალაქ ჩაგჩარანში ლიეტუვის რესპუბლიკის სამხედრო კონტინგენტის შემადგენლობაში ექვს თვიანი როტაციის პრონციპით. 2009 წლის ნოემბერიდან, ქართველი სამხედროების ასეულის დონის ქვედანაყოფმა დაიწყო მისიის შესრულება ქ. ქაბულში ფრანგული სამხედრო

კონტინგენტის შემადგენლობაში, რომელთა ძირითადი ამოცანა მდგომარეობდა რეგიონალური სარდლობის შტაბ-ბინაში მდებარე ბაზა “ვორჰაუზ“-ის უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელებაში. 2010 წლის აპრილში, III ქვეითი ბრიგადის 31-ე ქვეითი ბატალიონი 749 სამხედრო მოსამსახურის შემადგენლობით წარგზავნილ იქნა, ავღანეთის ერთ ერთ ურთულეს სამხრეთ რეგიონში მდებარე ჰელმანდის პროვინციაში, სადაც ისინი ამერიკის შეეერთებული შტატების სახმედრო ძალების მხარდაჭერით უკვე სრული სპექტრის ოპერაციების განხორციელებას შეუდგნენ. აღნიშნული თარიღიდან ჰელმანდის პროვინციაში უკვე ოპერირებას ქართული ბატალიონის ზომის ქვედანაყოფი აგრძელებს როტაციული პრინციპით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჰელმანდის პროვინციაში არსებული მისიის პარალელურად 2011 წლის აპრილის თვიდან ერთ წლიანი მისიით ქართველი სამხედრო არტილერიისტები ასრულებდნენ მისიას ფრანგული კონტიგენტის შემადგენლობაში სადაც ისინი ინსტრუქტორის პოზიციებიდან ავღანურ სამხედრო მოსამსახურეებს ამზადებდნენ არტილერიის სპეციალობაში.

2012 წლის აპრილში, მე პირადად მომიწია ჰელმანდის პროვინციაში სამხედრო მისიის შესრულება საქართველოს შეიარაღებული ძალების II ქვეითი ბრიგადის, 23-ე ბატალიონის შემადგენლობაში საბრძოლო მხარდაჭერის ასეულის მეთაურის მოადგილის პოზიციაზე. აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ ჰელმანდის პროვინცია NATO-ს სამხედრო მისიისთვის წარმოადგენდა ურთულეს რეგიონს, რომელიც ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში მდებარეობს და პაკისტანს ესაზღვრება. ქართველი სამხედროები ჰელმანდის პროვინციაში ასრულებდნენ სრული სპექტრის ოპერაციებს დაწყებული მისიის ძირითადი ლოჯისტიკური მარშუტების კონტროლისა და უსაფრთხოების ღონისძიებებით, პატრულირებით, საკონტროლო გამშვები პუნქტების მოწყობით, ოპერატიული ინფორმაციის მიღების საფუძველზე კორდონისა და ჩხრეკის ოპერაციების განხორციელებით და ლოჯისტიკური კონვოირების ოპერაციებით, დასრულებული კუთვნილი ოპერაციის რაიონის სრული კონტროლით და უსაფრთხოების ღონისძიებების უზრუნვეყოფით. ჩემი (23-ე) ბატალიონი 2012 წლის ოქტომბრიდან უკვე III ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონმა და I ქვეითი ბრიგადის მე-12 ქვეითმა ბატალიონმა ჩაანაცვლა, რომელი გადაწყვეტილების

საფუძველზეც უკვე ჰელმადის პროვინციაში ორმა ქართულმა საბროლო ბატალიონმა აიღო საკუთარ თავზე ურთულეს რეგიონში გაზრდილი ოპერაციის რაიონების კონტროლი.

2015 წლიდან დღემდე საქართველო აგრძელებდა მონაწილეობას ავღანეთში ჩრდილოა-ატლანტიკური ალიანსის მიერ წარმოებულ „მტკიცე მხარდაჭერის მისიაში (RSM),“ რომლის ძირითას ამოცანას წარმოადგენს ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის სამხედრო ძალების დახმარება ეროვნული უსაფრთხოების მხარდაჭერის კუთხით, რათა მისიის დასრულების პერიოდისთვის ავღანეთს შეძლებოდა თვითონ აეღო საკუთარ ტერიტორიაზე პოსტ-კომფლიქტურ ვითარებაში არსებული მდგომარეობის ეფექტურად მართვისა და კონტროლის ფუნქცია. ავღანეთში წარმოებულ NATO-ს მისიაში საქართველომ საქართველომ მოიპოვა ალიანსის არაწევრ ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი კონტრიბუტორის სტატუსი. აღნიშნულ მისიაში 2004 წლიდან დღემდე 20 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა. ავღანეთის მრავალეროვნულ მისიებში მონაწილეობას 32 სამხედრო მოსამსახურე შეეწირა და რამოდენიმე ასეული დაშავდა და დაიჭრა. ქართული ქვედაყოფები ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში „მტკიცე მხარდაჭერის მისიის“ დასრულებამდე ღირსეულად ასრულებდნენ დაკისრებულ ამოცანებს (საქ. თავდ. სამინისტრო, 2020).

NATO-საქართველოს თანამშრომლობის კუთხით ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული 2015 წელს საქართველოს მხრიდან „NATO-ს საპასუხო ძალებში (NATO Response Forces)“ ქართული ქვეითი ასეულის გაცხადების შესახებ. ალიანსის საპასუხო ძალები წარმოადგენს მაღალი ტექნოლოგიებით აღჭურვილ მრავალეროვნულ ძალებს, რომელიც შედგება სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო და სპეციალური დანიშნულების ძალების კომპონენტებისგან, რომელთა სწრაფი მობილიზება და გადასროლაც უნდა განხორციელდეს პირველ რიგში NATO-ს ქვეყნებზე თავდასხმის შეთხვევაში ან ალიანსის სხვა შესაბამისი მიზნებიდან გამომდინარე. აღნიშნულ ძალებს შესაძლოა დაევალოს მშვიდობის მხარდამჭერი, კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვისა და ბუნებრივი კატასტროფების დროს მხარდამჭერი ოპერაციების განხორციელება. NATO-ს რეაგირების ძალები შეიქმნა 2002 წელს რომლის სარდლობასაც

როტაციული პრინციპით ახორციელებენ NATO-ს გაერთიანებული ძალების ბრუნსუმისა და ნეაპოლის სარდლობები. აღნიშნული ძალებში მონაწილე NATO-სა და პარტნიორი ქვეყნების ქვედანაყოფები უნდა აკმაყოფილებდნენ მკაცრად განსაზღვრულ კრიტერიუმებს. აღნიშნული ქვედანაყოფები გადიან 4 საფეხურისგან შემდგარ (მოიცავს 4 წლიან პერიოდს) მომზადებისა და შეფასების პროცესს, რომელიც შეიცავს მკაცრად განსაზღვრულ წვრთნებსა და ალიანსის რეაგირების ძალებთან თავსებადობის კუთხით შესაბამის სტანდარტებთან ქვედანაყოფების შესაბამისობაში მოყვანის პროცედურებს (NATO, NATO Response Force, 2020).

2015 წელს NATO-ს რეაგირების ძალებში საქართველოს მხრიდან გაცხადებული იქნა I ქვეითი ბრიგადის მე-12 მსუბუქი ქვეითი ბატალიონის პირველი ასეული, ხოლო მოგვიანებით იგივე ბატალიონის მესამე ასეული. ორივე ასეულმა წარმატებით დაასრულა 4 წლიანი სპეციალური მომზადებისა და შეფასების პროგრამა და შეუერთდა NATO-ს რეაგირების ძალებს. აღნიშნული ასეულები როტაციული პრინციპით ჩაანაცვლებენ ერთმანეთს NATO-ს რეაგირების ძალების შემადგენლობაში (საქ. თავდ. სამინისტრო, 2020). აღნიშნული ნაბიჯით საქართველომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი ალიანსის ძლიერი პარტნიორია და შესწევს უნარი ღირსეულ ადგილს იკავებდნენ მისი ქვედანაყოფები NATO-ს ქვეყნების ყველაზე მაღალი საბრძოლო მზადყოფნის მქონე ქვედანაყოფებს შორის.

სამერსი თავის თეზისში აღნიშნავს, რომ „საქართველომ წარმოაჩინა NATO-ს ოპერაციებში მონაწილეობის, როგორც უნარი, ასევე სურვილი (Summers, Master Thesis, 2012).“ საქართველომ NATO-ს მისიებში მონაწილეობით მიიღო მნიშვნელოვანი პოლიტიკური და პრაქტიკული სარგებელი, როგორც ქვეყნის შიდა ასევე საერთაშორისო დონეზე. საერთაშორისო დონეზე წარმოჩინდა საქართველო, როგორც NATO-ს მისიებში მონაწილე ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა, რომლის საფუძველზეც გაიზარდა საქართველოს თავდაცვის ძალების პრესტიჟი, მიეცა ქართულ ქვედანაყოფებს შესაძლებლობა, რომ დაემტკიცებინათ NATO-ს წამყვანი ქვეყნების ქვედანაყოფებთან თავსებადობა, როგორც უსაფრთხოებისა და სტაბილურობის, ასევე სრული სპექტრის სამხედრო ოპერაციების მიმდინარეობაში და მეორე მხრივ შეეძინათ ფასდაუდებელი საბრძოლო გამოცდილება.

აღნიშნულმა კონტრიბუციამ მთავარი როლი ითამაშა ქვეყნის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებისა და ალიანსთან დაახლოების პროცესში. ზემოაღნიშნული ფაქტების ანალიზი ადასტურებს, რომ ქვეყანა დღემდე რჩება, როგორც ღირსეული და მნიშვნელოვანი პარტნიორი ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისთვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ NATO-თან თავსებადი მაღალი საბრძოლო მზადყოფნის მქონე თავდაცვის ძალების არსებობა, რომლებსაც ექნებათ უნარი და შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს NATO-ს კოლექტიური თავდაცვის ღონისძიებებში ასევე ალიანსის მიერ წარმოებულ მისიებსა და ოპერაციებში უპირველეს ამოცანას წარმოადგენს NATO-ში გაწევრიანების კანდიდატი სახელმწიფოსთვის. ბოლო 2 ათწლეულის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატებისა და NATO-ს წამყვანი ქვეყნების დახმარებით, საქართველომ ძალიან მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა თავდაცვის სისტემის რეფორმირებისა და NATO-სთან თავსებადობის ამაღლების კუთხით.

ფაქტია, რომ პირველი წარმატებები საერთაშორისო ასაპრეზუე ქვეყნის, როგორც ალიანსის ღირსეული პარტნიორის ცნობადობის ამაღლების კუთხით საქართველოს თავდაცვის ძალების დამსახურებაა. ქართული ქვედანაყოფები წარმატებით მონაწილეობდნენ კოსოვოს, ერაყისა და ავღანეთის ურთულეს მისიებში, სადაც მათ „მაღალი საბრძოლო მომზადების დონე და ურთულესი ამოცანების შესრულების უნარი არაერთხელ დაადასტურეს, რითაც საქართველოს გლობალური უსაფრთხოების სფეროში საიმედო მოკავშირე ქვეყნის სახელი დაუმკვიდრეს“ (Georgia M. o.).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სათავეში უდგას NATO-სთან, როგორც კოლექტიური თავდაცვის სამხედრო ალიანსთან ქვეყნის თანამშრომლების ძალიან ღრმა და ყოვლისმომცველ პროცესს. NATO-ს ეგიდით საქართველოში ყოველწლიურად გამართული ფართომასშტაბიანი მრავალეროვნული სამხედრო წვრთნების განხორციელებით, თავდაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს ერთი მხრივ საქართველოს თავდაცვის ძალების მაღალი შესაძლებლობების დემონსტრირებას ალიანსის წამყვანი ქვეყნებისა და საერთაშორისო საზოგადოების

წინაშე, ხოლო მეორე მხრივ აღნიშნული სწავლებები ემსახურება ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა პროფესიონალიზმისა და მზადყოფნის დონის ამაღლებას.

ფაქტია, რომ საქართველოს თავდაცვის ძალებმა NATO-ს მისიებასა და ოპერაციებში 1999 წლიდან დღემდე წარმოაჩინეს სრული თავსებადობა და ძალიან მაღალი პროფესიონალიზმი ალიანსის ძალებთან მიმართებაში, რისი დამსახურებაცაა, რომ დღეს საქართველო ამაყად დგას NATO-ს წევრი ქვეყნების გვერდით მშვიდობიანი მსოფლიოს უსაფრთხოების სადარაჯოზე და თავდაჯერებულად ელოდება ალიანსის წევრობაზე გადასვლის გადაწყვეტილებას. ორი ათეული წლის განმავლობაში კოსოვოს, ერაყისა და ავღანეთის მრავალეროვნულ მისიებში ღირსეული მონაწილეობით, საქართველოს თავდაცვის ძალებმა დაამტკიცა, რომ იგი სულად შეესაბამება ალიანსის მიერ დადგენილ მოთხოვნებს და გააჩნია მთავარი როლი ქვეყნის ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის პროცესში.

თავი II. NATO-საქართველოს ურთიერთობების საწყისები, მნიშვნელოვანი მოვლენები და არსებული თანამშრომლობის მექანიზმები

2.1 NATO-საქართველოს ურთიერთობების საწყისები

საქართველო საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში მოწინავე ქვეყნების რიგში აღმოჩნდა, რომელთა მიერ დამოუკიდებლობის აღდგენისკენ გადადგმულ ნაბიჯებს რუსეთმა მკაცრი და სისხლიანი ზომები დაუპირისპირა. ჰიბრიდულ ომს თანამედროვე ექსპერტები ახასიათებენ, როგორც ომს მართვადი ქაოსის მეშვეობით, რომელიც გულისხმობს აქტორების მხრიდან საინფორმაციო ომის, რბილი ძალის, სამხედრო შესაძლებლობების, შეიარაღებული ძალების, ეკონომიკური ზეწოლის და კიბერ შესაძლებლობების კომბინირებულ გამოყენებას სტრატეგიული მიზნის მიღწევის უზრუნველსაყოფად. ჯერ კიდევ არ იყო მაშინდელ მსოფლიოში დამკვიდრებული ტერმინი „ჰიბრიდული ომი“, მაგრამ დღევანდელი გადმოსახედიდან თუ გადავავლებთ თვალს საქართველოს უახლეს ისტორიის ფურცლებს ადვილად აღმოვაჩინებთ, რომ რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოყენებული პოლიტიკა შიძლება ითქვას სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს სამიზნე ქვეყნის წინააღმდეგ ჰიბრიდული ომის ელემენტების მიზანმიმართული გამოყენების კუთხით.

რუსეთის მიერ აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკების ჩამოყალიბების პოლიტიკის სტრატეგიულ მიზანს თავიდანვე წარმოადგენდა აღნიშნულ ტერიტორიებზე ისეთი შენელებული მოქმედების ნაღმების ინსტალაცია, რომლის შემდგომ ამოქმედებასაც ის ნებისმიერ დროს შეძლებდა საქართველოს წინააღმდეგ. ჰიბრიდული ომის კარგი მაგალითია ის ფაქტიც, რომ საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სასჯელის სახით მიიღო ერთდროულად სამი კონფლიქტი საკუთარ ტერიტორიაზე, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ეთნიკურ ნიადაგზე ინსპირირებული და მხარდაჭერილი კონფლიქტები და სამოქალაქო ომი. რუსეთმა წარმატებით შეძლო საკუთარი სტრატეგიული მიზნების მიღწევა, რის საფუძველზეც საქართველომ დაკარგა კონტროლი საკუთარ ძირველ ტერიტორიებზე აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე. ასევე, რუსეთიდან მართული

კრიმინალური ბანდ-ფორმირებების საშუალებით, რუსეთმა შეძლო საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების განხორციელება, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის ლეგიტიმურად არჩეული მთავრობის ჩამოშლითა და საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის მიერ არჩეული პრეზიდენტის ლიკვიდაციით დასრულდა. საბოლოო ჯამში რუსეთის კომბინირებული მოქმედებების შედეგად ჩამოიშალა და დეგრადაცია განიცადა საქართველოს ეკონომიკამ, რამაც ქვეყნის მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნა და გადატაკება გამოიწვია. წარმოქმნილმა კომპლექსურად რთულმა სიტუაციამ წარმოშვა საჭიროება, რომ ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ქვეყნის ინტეგრაციის პერსპექტივის განვითარებით ქვეყანას მოეძებნა ძლიერი სტრატეგიული მოკავშირეები, რათა თავი გაეთავისუფლებინა რუსეთთან მიტმასნების პოლიტიკის იძულებითი მექანიზმებისგან. აღნიშნული სტრატეგიის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ანარქიულ გარემოში თვითგადარჩენის პრინციპზე დაყრდნობით ძლიერი მოკავშირეების ძებნა, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ მოქმედ რუსეთის ინტერესების დაბალანსებაში დაეხმარებოდა და გახდებოდა ქვეყნის უსაფრთხოებისა და ეკონომიკური განვითარების მთავარი გარანტი.

1992 წელს საქართველო შეუერთდა „ჩრდილო ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს. აღნიშნული დიალოგის გაღრმავება წარმატებით განხორციელდა 1997 წელს ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს მიერ, რომელიც მიზნად ისახავდა საერთო ინტერესების გარშემო გაერთიანებინა ალიანსის წევრი და პარტნიორი ქვეყნები. აღნიშნული საბჭო NATO-ს წევრ და პარტნიორ ქვეყნებს აერთიანებდა, რომელიც წარმოადგენდა პოლიტიკური ურთიერთობებისა და დიალოგის პლატფორმას. საქართველო 1994 წელს შეუერთდა „პროგრამას პარტნიორობა მშვიდობისთვის,“ რომლის მთავარ ამოცანას NATO-ს მიერ პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობების განავითარება და მჭიდრო თანამშრომლობის უზრუნველყოფა წარმოადგენდა (NATO, 2009).

1995 წელს საქართველომ ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან დაიწყო თანამშრომლობა განათლების სფეროში, რომლის საფუძველზეც საქართველოს მიეცა საშუალება წარეგზავნა პერსონალი გერმანიის ქალაქ ობერამერგაუში არსებულ „NATO-ს

სკოლა“-სა და იტალიაში, ქალაქ რომში არსებულ „NATO-ს თავდაცვის კოლეჯში განათლების მიღების მიზნით (საქ. საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2014).

1996 წელს საქართველოს შეუერთდა „NATO-ს ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამას (IPP)“, რომლის საფუძველზეც ქართველ სამხედრო მოსამსახურეებსა და სამოქალაქო პირებს უფლება მიეცათ მონაწილეობა მიეღოთ NATO-ს მიერ ორგანიზებულ კურსებში, კონფერენციებსა და სამუშაო ჯგუფებში პროფესიული განვითარებისა და NATO-სთან თავსებადობის ამალგების პროცესის მხარდაჭერის მიზნით. აღნიშნულმა პროგრამამ განიცადა ტრანსფორმაცია და 2013 წლიდან დაერქვა „ინდივიდუალური პარტნიორობისა და თანამშრომლობის პროგრამა (ICPP), რომელმაც კიდევ უფრო გაზარდა ქართული მხარისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობა ზემოაღნიშნულ კურსებსა და აქტივობებზე (საქ. თავდ. სამინისტრო, 2020).

1998 წლი 22 პრილს საქართველომ გახსნა დიპლომატიური მისია NATO-ს შტაბ-ბინაში, ხოლო 1999 წელს საქართველო შეუერთდა „პროგრამის პარტნიორობა მშვიდობისთვის“ ფარგლებში არსებულ „დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესს (PARP), რის შემდგომაც საფუძველი ჩაეყარა 2 წლიან პერიოდზე გაწერილ NATO-საქართველოს თანამშრომლობის მიზნებს, რომელსაც უნდა გაეზომა ურთიერთთავსებადობის კუთხით არსებული მიღწევები და ქართული მხარის მონაწილეობა NATO-ს ეგიდით წარმოებულ სამშვიდობო მისიებში. იმავე წელს ქართულმა მხარემ წარგზავნა პირველი სამშვიდობო კონტინგენტი კოსოვოში NATO-ს მისიის მხარდასაჭერად. 2001 წელს ფოთში NATO-სა და პარტნიორი ქვეყნების მონაწილეობით ჩატარდა ფართომასშტაბიანი მრავალეროვნული სამხედრო სწავლება “Cooperative Partner 2001”, ხოლო უკვე 2002 წელს თბილისში გაიმართა NATO-ს მრავალეროვნული ფართომასშტაბიანი სამხედრო სწავლება „Cooperative Best Effort -2002. 2002 წელს პრადის სამიტზე საქართველომ ოფიციალურად განაცხადა NATO-ს წევრობის სურვილის შესახებ და გამოხატა მზაობა მონაწილეობა მიეღო პროგრამაში „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP).” იმავე წელს საქართველოს უშიშროების საბჭომ დაამტკიცა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის ოფიციალური სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მოიცავდა ხუთ ძირითად მიმართულებას: პოლიტიკურ და ეკონომიკურ, თავდაცვისა და სამხედრო,

მომსახურების, უსაფრთხოების და სამართლის უზენაესობის გაუმჯობესების კუთხით არსებულ საკითხებს. (საქ. საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2014).

NATO-ს სტანდარტებთან თავსებადობის ამდლებისა და ალიანსში ინტეგრაციის პროცესის დაჩქარების კუთხით რადიკალურად შეიცვალა ვითარება 2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქვეყანაში ახალგაზრდა, პროდასავლური მთავრობის მოსვლის გამო, რომლებმაც შეძლეს რუსული ზეგავლენისგან გათავისუფლება და ძალიან სწრაფი ტემპით დაიწყეს ქვეყნის დემოკრატიული, პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური რეფორმების ინიცირებისა და განხორციელების პროცესის მხარდაჭერა. ალიანსში ინტეგრაციის პროცესი ქვეყნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიზნად განისაზღვრა, რომელსაც მთელი სამთავრობო გუნდი ძლიერად უჭერდა მხარს. 2003 წლის დეკემბერში ჩამოყალიბდა განახლებული საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის მონახაზი, რომელიც უკვე 2004 წლის აპრილში საქართველოს პრეზიდენტმა ოფიციალურად წარუდგინა NATO-ს გენერალურ მდივანს იაკ დე ჰოოპ სხეფერს (საქ. საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2014).

2004 წელს თურქეთის დედაქალაქში ჩატარდა NATO-ს სამიტი სადაც აზერბაიჯანი, საქართველო და უზბეკეთი ოფიციალურად შეუერთდა ინიციატივას IPAP-ით განსაზღვრული პასუხისმგებლობების შესახებ. აღნიშნული ინიციატივა ალიანსის ჩრდილო-ატლანტიკურმა საბჭომ ოფიციალურად დაამტკიცა 2004 წლის 29 ოქტომბერს, რის საფუძველზეც საქართველომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯით წაიწია წინ ალიანსში ინტეგრაციის გზაზე. აღნიშნულმა გეგმის საფუძველზე საქართველომ აიღო პასუხისმგებლობა განსაზღვრული მიმართულებების განვითარებისა და მხარდაჭერისა. IPAP-ის ძირითად მიმართულებებად განისაზღვრა პოლიტიკური, უსაფრთხოების, თავდაცვის, სამხედრო, საინფორმაციო პოლიტიკის, სამოქალაქო კრიზისების მართვის, ადმინისტრაციული და რესურსების მართვის მიმართულებები.

2005 წელს საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც შეიქმნა სახელმწიფო კომისია, რომლის პასუხისმგებლობად განისაზღვრა IPAP-ით გათვალისწინებული მიმართულებებით აღებული ვალდებულებებისა და ინიციატივების იმპლემენტაციის, კოორდინაციისა და მონიტორინგის ფუნქციების

განხორციელება. აღნიშნულ კომისიის ხელმძღვანელობა დაევალა საქართველოს პრემიერ მინისტრს. 2005 წელს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა NATO-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავების კუთხით, როდესაც საქართველომ ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსს შესაძლებლობა მიეცა „ISAF-ის მისიისათვის განსაზღვრული ლოჯისტიკური მარაგების ავღანეთში გასაგზავნად გამოეყენებინა საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მარშუტი (საქ. საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2014).“

2006 წელსაც მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა NATO-საქართველოს ურთიერთობებში. მარტში თბილისს ეწვია IPAP-ის იმპლემენტაციის შუალედური შეფასების ჯგუფი, ხოლო აპრილში უკვე აღნიშნული შეფასების შედეგები განხილულ იქნა ალიანსის შტაბბინაში 26+1 ფორმატში. 21 სექტემბერს ქ. ნიუ იორკში ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა არაფორმალურ შეხვედრაზე მიიღეს გადაწყვეტილება საქართველო გადასულიყო NATO-სთან ინტენსიური დიალოგის რეჟიმზე. აღნიშნული გადაწყვეტილება იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მის საფუძველზე საქართველო პარტნიორობის ფორმატიდან ფაქტიურად NATO-ს წევრობის კანდიდატი ქვეყნის პოზიციაზე გადავიდა, რომელიც ისახავდა საქართველოს მომზადებას NATO-ს წევრობის სამოქმედო გეგმაზე გადასასვლელად. 2006 წლის 14 აგვისტოს საფუძველი ჩაეყარა „საჩხერის სამთო მომზადების სკოლას“, რომელსაც უკვე 2010 წელს ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა “NATO-ს პარტნიორი ქვეყნების წვრთნებისა და განათლების ცენტრის (PETEC)” სტატუსი მისი მაღალი კვალიფიკაციიდან გამომდინარე. აღნიშნულმა სასწავლო ცენტრმა 2011 წლიდან დაიწყო საერთაშორისო ზამთრისა და ზაფხულის სამთო მომზადების კურსების ჩატარება, რომელსაც ინტენსიურად ესწრებიან ალიანსის წევრი და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეები (საქ. საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2014).

2007 წელს უკვე რამოდენიმე მნიშვნელოვანი საკონსულტაციო შეხვედრა ჩატარდა საქართველოს საკითხთან დაკავშირებით, როგორც საქართველოში ასევე NATO-ს ბრიუსელის შტაბ-ბინაში. მიმდინარე წლის 5 ივნისს საქართველომ ალიანსის სამხედრო-პოლიტიკურ კომიტეტს თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი

წარუდგინა, ხოლო ოქტომბერში უკვე ბრიუსელში მაღალი დონის პოლიტიკური შეხვედრა გაიმართა NATO-საქართველოს ინტენსიური დიალოგის ფარგლებში, რომელზეც განიხილებოდა საქართველოში არსებული კონფლიქტების გადაწყვეტის პერსპექტივები.

2008 წლის იანვარში ალიანსის შეფასების ჯგუფი ესტუმრა თბილისს IPAP-ის ფარგლებში მიმდინარე რეფორმების შეფასების მიზნით. ხოლო მოგვიანებით 26 მარტს უკვე აღნიშნულ საკითხებზე NATO-საქართველოს შეხვედრა 26+1 ფორმატში უკვე, ბრიუსელში ნატოს შტაბ ბინაში გაიმართა. აშკარა იყო რომ საქართველო ძალიან სწრაფად მიიწევდა წინ და წარმატებით ახორციელებდა IPAP-ის ფარგლებში აღებულ ვალდებულებებს. ამას ემატებოდა ამერიკის პრეზიდენტის მხარდაჭერა აღნიშნულ პროცესში საქართველოს მისამართით, რაც საქართველოსთვის ქმნიდა მოლოდინს 2008 წლის 3 აპრილის ბუქარესტის სამიტიდან ქვეყნის NATO-ში ინტეგრაციის პროცესის შემდეგ საფეხურზე გადასვლასთან დაკავშირებით.

1.2. 2008 წლის NATO-ს ბუქარესტის სამიტის პოლიტიკური პერიპეტიები

2003-2008 წლებში საქართველომ დემოკრატიული, სახედრო და ეკონომიკური განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა. აღნიშნულს დაემატა საქართველოს მიერ სამხედრო კონტინგენტის მნიშვნელოვანი გაზრდა კოსოვოში, ერაყსა და ავღანეთის ისლამურ ესპუბლიკაში, რის საფუძველზეც საქართველო ალიანსის მიერ წარმოებულ მისებში წარგზავნილი სამხედრო კონტინგენტის რაოდენობის მიხედვით NATO-ს პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე გადაინაცვლა. საქართველო წარმატებით ახორციელებდა თავდაცვის სისტემის რეფორმირების პროცესებს NATO-სთან თავსებადობის ამაღლების კუთხით. წარმატებით განხორციელდა რეფორმები, როგორც ტაქტიკურ და ოპერატიულ დონეზე ქვედანაყოფების სტანდარტული მოქმედებების პროცედურებისა და დოქტრინული სახელმძღვანელოების NATO-ს წამყვანი ქვეყნების პროცედურებთან თავსებადობის ამაღლების კუთხით, ასევე ინსტიტუციურ დონეზე სტრატეგიული და კონცეპტუალური დონის დოკუმენტების დახვეწისა და განვითარების მიმართულებით. ამასთან ერთად საქართველოს თავდაცვის

ძალები ნაწილობრივ უკვე გადასული იყო რუსული წარმოების შეიარაღების სისტემებიდან NATO-ს სტანდარტების შეიარაღების სისტემებით საბრძოლო ქვედანაყოფების აღჭურვაზე. წარმატებით ხორციელდებოდა არსებული საარტილერიო, სატანკო და ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების მოდერნიზების პროცესი რასაც მზარდი ეკონომიკური აღმავლობა უმაგრებდა მხარს. ამას ემატებოდა საქართველოს მიერ თანამედროვე შეიარაღებული სისტემების იმპორტი ისრაელიდან, უკრაინიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და სხვა ქვეყნებიდან. აღნიშნულმა პროცესებმა საქართველოს კავკასიის რეგიონში მნიშვნელოვანი მოთამაშის სტატუსი დაუბრუნა. აღნიშნულ ფაქტორებს ემატებოდა ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორის მხარდაჭერა, როგორც ქვეყნის დემოკრატიული, ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის განვითარების, ასევე NATO-ში ინტეგრაციის პროცესებში.

2008 წელი ძალიან მნიშვნელოვანი თარიღი აღმოჩნდა არა მარტო NATO-საქართველოს ურთიერთობის, არამედ საქართველოს უახლესი ისტორიისთვისაც. 2008 წელს რუსეთმა განახორციელა შეიარაღებული აგრესია საქართველოს წინააღმდეგ, რასაც ერთი მხრივ საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტზე მეტის ოკუპაცია მოჰყვა, ხოლო მეორეს მხრივ, აღნიშნული ფაქტი აღმოჩნდა სერიოზული შემაფერხებელი მიზეზი NATO-ში საქართველოს ინტეგრაციის პროცესისთვის. 2008 წლის 3 აპრილს ბუქარესტში დაგეგმილ NATO-ს სამიტზე საქართველო ითხოვდა NATO-ს „წევრობის სამოქმედო გეგმას“ (შემდეგში - MAP), რომელიც ქვეყანამ ვერ მიიღო აღნიშნულ სამიტზე, მაგრამ ალიანსის წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ საქართველო გახდებოდა NATO-ს წევრი, თუმცა კონკრეტული დროში გაწერილი გეგმა აღნიშნულთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილების კომუნიკეში არ დაფიქსირებულა.

კონგრესისადმი ვინსენტ მორელის, კარლ ეკის, პაულ ბელკინის, სტივ ვაუელის და ჯიმ ნიკოლის ერთობლივ მოხსენებაში „NATO-ს გაფართოება: ალბანეთი, ხორვატია და შესაძლო სამომავლო კანდიდატები“ აღნიშნულია, რომ „ყოფილი ბუშის ადმინისტრაცია მხარს უჭერდა MAP-ის მინიჭებას საქართველოსა და უკრაინისთვის. კონგრესის ორივე პალატამ გამოსცა რეზოლუცია სადაც კონგრესი სთხოვს NATO-ს, რომ საქართველოსა და

უკრაინას მინიჭოს წევრობის სამოქმედო გეგმა (S. Res. 439 and H. Res. 997, respectively). თუმცა, მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატების ძლიერი მხარდაჭერისა, ხანგრძლივი დებატების შემდეგ მოკავშირეებმა გადაწყვიტეს რომ არ მომხდარიყო ბუქარესტის სამიტზე საქართველოსა და უკრაინისთვის MAP-ის შეთავაზება (Morelli, 2009).“

გიორგი ბეშიძეს სამაგისტრო ნაშრომში „საქართველოს სამომავლო გეგმები NATO-ს წევრობასთან დაკავშირებით და ამერიკის დიდი პოლიტიკა“ განხილული აქვს ამერიკის სახელმწიფო მდივნის აპარატის ყოფილი თანამშრომლის რონალდ ასმუსის (Asmus 2010) (რომელიც პირადად ესწრებოდა ბუქარესტის სამიტზე საქართველოს საკითხის განხილვის პროცესს) წიგნი „პატარა ომი, რომელმაც შოკში ჩააგდო მსოფლიო: საქართველო, რუსეთი და დასავლეთის მომავალი,“ სადაც ძალიან კარგად არის აღწერილი ბუქარესტის სამიტზე NATO-ს ქვეყნების მიერ საქართველოს საკითხთან დაკავშირებით პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პერიპეტეები.

გიორგი ბეშიძე (Beshidze, 2018) აღნიშნავს, რომ საქართველოსთვის და უკრაინისთვის MAP-ის მინიჭების ყველაზე დიდი მხარდამჭერი იყო ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, რომელიც მოითხოვდა ალიანსის წევრი ქვეყნებისგან აღნიშნული ქვეყნებისთვის MAP-ის მინიჭებას, ხოლო მთავარი მოწინააღმდეგე აღნიშნულ პროცესში ამერიკის პრეზიდენტის ინიციატივის წინააღმდეგ წარმოადგენდა გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, რომელიც ამტკიცებდა რომ „საქართველო და უკრაინა არ იყვნენ მზად წევრობის სამოქმედო გეგმის სტატუსის მისაღებად და სერიოზულად სწუხდა, მოსკოვის მოსალოდნელი ნეგატიური რეაქციის გამო, თუ დაუშვებდნენ, რომ აღნიშნულ ქვეყნებს MAP-ი მიეღოთ“ (გვ. 33). ფაქტია, რომ ამერიკის პრეზიდენტმა ვერ მოახერხა ალიანსის ყველა წევრი სახელმწიფოს დარწმუნება ზემოაღნიშნულ საკითხზე კონსენსუსის მისაღწევად. უნდა აღინიშნოს ის სახელმწიფოებიც, რომლებიც ამერიკის პოზიციის ძლიერი მხარდამჭერები იყვნენ აღნიშნულ სამიტზე.

რონალდ ასმუსი (Asmus, 2010) საკუთარ წიგნში აღნიშნავს, რომ „ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, კანადა და გაერთიანებული სამეფო მხარს უჭერდნენ

ამერიკის პოზიციას, როდესაც დანარჩენი წევრები: იტალია, ესპანეთი, საბერძნეთი, ბელგია, თურქეთი და ლუქსემბურგი იზიარებდნენ გერმანიის პოზიციას. აგრეთვე, საფრანგეთი, როგორც NATO-ს დიდი მოთამაშე ამ პროცესს აკვირდებოდა საით წავიდოდა მოლაპარაკებები“ (გვ. 112). სამიტზე აღნიშნული საკითხის გარშემო მისაღები დადებითი გადაწყვეტილების ფორმირების პროცესს ფაქტიურად ალიანსის სამი დიდი მოთამაშის პოზიციების შეჯერება სჭირდებოდა, რომლებიც იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი და გერმანია. საინტერესოა განვიხილოთ თითოეული მათგანის პოზიცია და ინტერესები საქართველოსა და უკრაინისთვის წევრობის სამოქმედო გეგმის სტატუსის მინიჭებასთან მიმართებაში.

ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას ალიანსში ახალი წევრების ინტეგრაციის საკითხთან დაკავშირებით გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ პრეზიდენტი ჯორჯ ბუში უმცროსი მისი საპრეზიდენტო ვადის განმავლობაში გამოირჩეოდა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის გაფართოების პროცესის აქტიური მხარდაჭერით. ამასთან ერთად ის მხარს უჭერდა მსოფლიოს გარშემო დემოკრატიის გავრცელების იდეას და ძლიერ სჯეროდა, რომ აღნიშნული პროცესი პირდაპირ შედიოდა ამერიკის ეროვნულ ინტერესებში. მან თავის სიტყვაში მისი მეორე ინაგურაციის დროს აღნიშნა, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას წარმოადგენს მოძებნოს და დაეხმაროს დემოკრატიულ მოძრაობებსა და ინსტიტუტებს ყველა ერსა და კულტურაში, რათა დასრულდეს ტირანია ჩვენს სამყაროში (Bush, 2005).

ცნობილი იყო, რომ 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდგომ საქართველო თავდაუზოგავად იბრძოდა რუსეთის გავლენების წინააღმდეგ, და ასევე თავდაჯერებულად ახორციელებდა დემოკრატიულ რეფორმებს ქვეყანაში. საქართველომ წარმატებით განახორციელა რეფორმები შეიარაღებულ ძალებსა და თავდაცვის ინსტიტუტებში რასაც ემატებოდა წარმატებული მონაწილეობა ა.შ.შ.-ისა და NATO-ს ეგიდით წარმოებულ მისიებსა და ოპერაციებში კოსოვოში, ერაყსა და ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში. ბრეზიდენტ ბუშს სწამდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატები უნდა დახმარებოდა მის მოკავშირეს რომელიც წარმოადგენდა

ახალი დემოკრატიის ბასტიონს კავკასიის რეგიონში. პრეზიდენტი ბუში აღფრთოვანებული იყო, თუ როგორ მოახერხა საქართველოს მთავრობამ ქვეყნის ტრანსფორმაცია და დემოკრატიის რელსებზე დაყენება ასე ეფექტურად სულ რაღაც რამოდენიმე წელში. 2005 წელს საქართველოში ვიზიტისას პრეზიდენტმა ბუშმა მის სიტყვაში აღნიშნა „რადგანაც იმოქმედეთ, იმიტომაც არის საქართველო დღეს, როგორც სუვერენული, ასევე თავისუფალი და დემოკრატიის შუქურა ამ რეგიონსა და მთლიანად მსოფლიოში“ (Bash, 2005). ამასთან ერთად, NATO-ს ინტერესების გაძლიერება შავი ზღვის რეგიონსა და ზოგადად ევრაზიის კონტინენტზე იყო მშვენიერი არგუმენტი ამერიკისა და მისი მოკავშირეებისათვის, რათა მხარი დაეჭირათ საქართველოსთვის MAP-ის მინიჭების პროცესში. აღნიშნულს ემატებოდა საქართველოს გავლით კასპიის რეგიონის ენერგორესურსების ევროპის ბაზრისთვის მიწოდების პერსპექტივა, რაც პირდაპირ კავშირში იყო ევროპის ენერგოუსაფრთხოების პოლიტიკის ინტერესებთან და შესაბამისად საქართველოს საკითხის განხილვის პროცესში მნიშვნელოვან დადებით ფაქტორს თაამობდა.

ასმუსი (Asmus, 2010) აღნიშნავს, რომ ბუქარესტის სამიტამდე, პრეზიდენტმა ბუშმა მოიწვია ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომა, რათა ბუქარესტის სამიტისთვის მოეხდინათ შეერთებული შტატების პოზიციის სწორი ფორმულირება საქართველოსა და უკრაინისთვის MAP-ის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით. ეროვნულმა უსაფრთხოების საბჭომ იმსჯელა აღნიშნული პოზიციის დადებით და უარყოფით მხარეებზე. ონაღდ ასმუსი აღნიშნავს საკუთარ წიგნში, რომ „პრეზიდენტი ბუში და ამერიკის შეერთებული შტატების მაღალი თანამდებობის პირები შეთანხმდნენ რომ ალიანსის წევრებისგან მტკიცედ მოეთხოვათ MAP-ის სტატუსის მინიჭება საქართველოსა და უკრაინისთვის. ხანგრძლივი მსჯელობისა და გააზრების შემდეგ პრეზიდენტი ბუში დარწმუნდა მისი პოზიციის სისწორეში და გადაწყვიტა ებრძოლა და მხარი დაეჭირა უკრაინისა და საქართველოსთვის ბუქარესტის სამიტზე (გვ.45).

საინტერესოა გერმანიის უარყოფითი პოზიციის საფუძველის განხილვა, როგორც მხარის, რომელიც ყველაზე მეტად ეწინააღმდეგებოდა საქართველოსთვის და უკრაინისთვის MAP-ის სტატუსის მინიჭებას. გიორგი ბეშიძე (Beshidze, 2018) აღნიშნავს,

რომ „ქვეყანა, რომელმაც თითქმის ათიოდე წლის წინ გადამწყვეტი როლი ითამაშა ცივი ომის შემდგომ NATO-ს გაფართოების პროცესში, მკაცრად ეწინააღმდეგებოდა იგივე აზრს, რომელსაც იცავდა ჰელმუტ კოლის კანცლერად ყოფნის დროს“ (გვ.33). გერმანიის პოზიციის ქვეშ გაერთიანებული ოპონენტი ქვეყნები ა.შ.შ.-ს ინიციატივის წინააღმდეგ ძირითადად ორ არგუმენტს იშველიებდნენ. პირველ არგუმენტს წარმოადგენდა რუსეთის მოსალოდნელი უარყოფითი რეაქცია ალიანსის გადაწყვეტილებაზე საქართველოსა და უკრაინისთვის MAP-ის მინიჭებასთან დაკავშირებით, ხოლო მეორე არგუმენტი იყო „წუხილი ასპირანტი ქვეყნების არასტაბილურ დემოკრატიულ მოვლენებთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდებოდა NATO-ს წევრობასთან მიმართებაში უკრაინის საზოგადოების გაყოფილ მოსაზრებებს, ხოლო საქართველოს შემთხვევაში აქცენტი კეთდებოდა 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენებზე, როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა საგანგებო მდგომარეობა დაუპირისპირა ოპოზიციის საპროტესტო გამოსვლებს“ (გვ.35).

გიორგი ბეშიძე (Beshidze, 2018) აღნიშნავს, რომ „ვიდრე შეერთებული შტატები ცდილობდა, ალიანსის სკეპტიკურად განწყობილი წევრების დარწმუნებას პოზიტიური გადაწყვეტილების პოლიტიკურ და სტრატეგიულ შედეგებთან დაკავშირებით, გერმანია აქცენტს აკეთებდა ასპირანტი ქვეყნებში ეკონომიკისა და პოლიტიკური პერფორმანსის ძალიან დაბალ დონეზე და რუსეთის ფედერაციის მხრიდან მოსალოდნელ შესაძლო საფრთხის შედეგებზე“ (გვ. 28). მერკელის არგუმენტი ქვეყნის დაბალ პოლიტიკურ-ეკონომიურ პერფორმანსთან დაკავშირებით არ იყო ძლიერი, იმიტომ რომ ყველა წევრს კარგად ახსოვდა პრეცედენტი, როდესაც NATO-მ 1999 წელს ალბანეთი მიიწვია MAP-ის სტატუსის მისანიჭებლად, როდესაც ყველა წევრმა იცოდა, რომ ალბანეთი „ყველაზე კარგ შემთხვევაში, თითქმის ათწლეულით უკან იყო საბოლოო NATO-ს წევრობისგან“ (გვ. 68). უფრო მეტიც, საქართველოს გააჩნდა უკეთესი მაჩვენებლები დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობისა და განვითარების კუთხით ალბანეთთან შედარებით, როდესაც განხორციელდა ალბანეთისთვის MAP-ის მინიჭება (გვ. 35).

მერკელის მთავარი არგუმენტი იყო ამერიკის ინიციატივის წინააღმდეგ - რუსეთის ფაქტორი, ვინაიდან სამიტის დაწყებამდე ევროპის ლიდერებს მიღებული ჰქონდათ

ვლადიმერ პუტინისგან მესიჯი, რომ ალიანსის გაფართოება საქართველოსა და უკრაინის მიმართულებით იქნებოდა „წითელი ხაზების“ გადაკვეთა რუსეთისთვის, რასაც ისინი არავის არ აპატიებდნენ (Financial Times, 2008). ესეც არ შეიძლება ყოფილიყო ლოგიკური არგუმენტი, იმიტომ რომ ეს ისედაც ნათელი იყო, რომ რუსეთზე ნეგატიურად იმოქმედებდა მისი საზღვრების მიმდებარედ NATO-ს გაფართოების ნებისიერი მცდელობა. ბეშიძე (Beshidze, 2018) აღნიშნავს, რომ „NATO-ს წინა გაფართოების ეტაპებისგან განსხვავებით მერკელმა მიიღო რუსეთის „გაფრთხილება“ სხვაგვარად და არ ჰქონდა სურვილი გაერისკა ახლო ეკონომიკური თანამშრომლობა (გერმანიას მოხმარებული ნედლი ნავთობის 36% და ბუნებრივი აირის 40% მიეწოდებოდა რუსეთის ფედერაციიდან) რუსეთთან საქართველოსა და უკრაინისთვის MAP-ის მინიჭების სანაცვლოდ.

გასაგები, რომ გახდეს ბუქარესტის სამიტზე ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივასთან დაკავშირებით გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის ოპონირების მიზეზები, საჭიროა რამოდენიმე ფაქტის მოყვანა წინამდებარე ნაშრომში. წიგნში „რუსეთის ფედერაციის ისტორიული ლექსიკონი“ რობერტ საუნდერსი და ვლად სტრუკოვი (2010) აღნიშნავენ, რომ ჯერ კიდევ 1998-2005 წლებში მოღვაწე გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შროდერმა ვლადიმერ პუტინთან განსაკუთრებით ახლო მეგობრული ურთიერთობები ჩამოაყალიბა. ისინი აღნიშნავენ, რომ პუტინის გავლენამ გერმანიაში და ასევე შროდერის მკაცრმა ოპოზიციურმა დამოკიდებულებამ 2003 წელს ა.შ.შ.-ს მიერ ერაყის რესპუბლიკის წინააღმდეგ წარმოებულ სამხედრო კამპანიასთან მიმართებაში ხელი შეუწყო პუტინსა და შროდერს შორის სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავებას. სწორედ კანცლერის პოზიციაზე ყოფნის დროს დაუჭირა შროდერმა მხარი რუსეთის მიერ “ჩრდილოეთის ნაკადის“ პროექტის განხორციელებას, რითაც გერმანიის ეკონომიკა კიდევ უფრო დამოკიდებული გახდა რუსულ ბუნებრივ რესურსებზე. წიგნში აღნიშნულია შროდერისა და ვლადიმერ პუტინის ახლო მეგობრობაზე, რის გამოც არაერთხელ გახდა გერჰარდ შროდერი გერმანელი ხალხისა და დასავლელი პარტნიორების კრიტიკის მიზეზი (საუნდერსი, სტრუკოვი, 2010).

ასევე საგულისხმოა, რომ სწორედ შროდერის მიერ იქნა დასახელებული და მხარდაჭერილი თავის შემცვლელად ანგელა მერკელი 2005 წლის არჩევნების შემდეგ, ხოლო თვითონ შრედერი კი ვლადიმერ პუტინმა 2017 წელს რუსული კომპანიის „როსნეფტი“-ს საბჭოში დამოუკიდებელ დირექტორად დანიშნა (ინტერპრესნიუს.ჯი, 2017), რომელიც ხელმეორედ იქნა არჩეული იმავე თანამდებობაზე 2020 წელს (www.bpn.ge, 2020). „როსნეფტი“ „გაზპრომის“ იმპერიის ნაწილს წარმოადგენს, გაზპრომი კი რუსულ სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფ კომპანიაა, რომელსაც გააჩნია რუსულ ენერჯო რესურსების ექსპორტზე ცალმხრივი მონოპოლია. აღსანიშნავია, რომ შროდერი ასევე პროექტ „ჩრდილოეთის ნაკადი“ სამეთვალყურეო საბჭოში თავმჯდომარის პოზიციას იკავებს.

რონალდ ასმუსი (Asmus, 2010) თავს წიგნში აღნიშნავს, რომ შროდერის გერმანიის ა.შ.შ.-სგან მაქსიმალური დისტანცირებისა და რუსეთთან ახლო ურთიერთობების პოლიტიკა გააგრძელა 2005-2009 წლებში გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა, რომელიც ცნობილი იყო, როგორც შროდერის პროტექტე სოციალ დემოკრატების პარტიიდან, რომლებიც თავის მხრივ კოალიციაში იმყოფებოდნენ ანგელა მერკელთან. ასმუსი აღნიშნავს, რომ ანგელა მერკელი თავის მხრივ ცნობილი იყო, როგორც ყველაზე მკაცრი პოზიციების მქონე ლიდერი ევროპაში, როდესაც საქმე ეხებოდა რუსეთთან ნეგატიურ ურთიერთობებს. ზემოაღნიშნული ფაქტები მეტნაკლებად ნათელს ჰფენს ბუქარესტის სამიტზე გერმანიის პოზიციასა და მცდელობას შემოეკრიბა კოალიცია ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივის წინააღმდეგ საქართველოსა და უკრაინისთვის MAP-ის მინიჭების საკითხში.

რონალდ ასმუსი (Asmus, 2010) აღნიშნავს, რომ **საფრანგეთსაც** გააჩნდა გარკვეული მიზეზები დარჩენილიყო სკეპტიკურად განწყობილი ამერიკის ინიციატივის წინააღმდეგ დაეწინაურებინათ საქართველო და უკრაინა NATO-ს საბოლოო წევრობისკენ არსებულ ბოლო საფეხურზე. პარიზის სტრატეგიულ მიზნებში არ შედიოდა ევროპის კონტინენტზე ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის კიდევ უფრო გაზრდა. ასევე საფრანგეთს არ ჰქონდა ასევე დადებითი დამოკიდებულება სამომავლოდ NATO-ს პასუხისმგებლობების კიდევ უფრო გაზრდის თაობაზე. ასმუსი (Asmus, 2010) აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ 2007

წელს პრეზიდენტი ჟაკ შირაკი მხარს უჭერდა „მოსკოვთან ახლო ურთიერთობის პოლიტიკას, როგორც გზას ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის დასაბალანსებლად“ (გვ.72). 2007 წელს კი შირაკი ჩაანაცვლა საფრანგეთის ახალმა ენერგიულმა პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ, რომელიც განსხვავდებოდა მისი წინამორბედისგან ანტი პუტინისტური დამოკიდებულებით.

გიორგი ბეშიძე (Beshidze, 2018) აღნიშნავს, რომ იმ ფაქტის მიუხედავად, რომ საფრანგეთი არ იყო ამერიკის ინიციატივის დიდი მხარდამჭერი საქართველოსთვის და უკრაინისთვის MAP-ის მინიჭებასთან დაკავშირებით, სარკოზი ღიად უჭერდა მხარს საქართველოს ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებას და იგი უფრო ნაკლებად წუხდა რუსეთის შესაძლო რეაქციაზე, ვიდრე მისი გერმანელი კოლეგა. ბეშიძის აზრით ერთადერთი მიზეზი რატომაც იგი მხარს არ უჭერდა ამერიკის ინიციატივას იყო ის, რომ მას არ უნდოდა რისკის ქვეშ დაეყენებინა „სამომავლო ურთიერთობა გერმანიის კანცლერთან აღნიშნული MAP-ის სტატუსის გამო, რომელიც ინიცირებული იყო ამერიკის პრეზიდენტის მიერ, რომელსაც მხოლოდ საპრეზიდენტო მმართველობის 8 თველა ჰქონდა დარჩენილი“ (გვ. 35). თავი წიგნში რონალდ ასმუსი (Asmus, 2010) აღნიშნავს, რომ „ვაშინგტონი და თბილისი რისთვისაც ირძოდნენ გასაგები იყო. სარკოზი არ გამოირჩეოდა მაინცდამაინც პრინციპულობით და თუ მერკელი გაყვებოდა ამერიკის ინიციატივას სარკოზი არ წავდოდა კომპრომისის წინააღმდეგი. ხოლო თუ საფრანგეთი და გერმანია დადებით პოზიციაზე წამოვიდოდნენ დანარჩენი ოპოზიციაც დაიშლებოდა“ (გვ. 112).

სამიტის **გადაწყვეტილებაც**, არანაკლებ რთული დისკუსიების შემდეგ იქნა მიღებული. იმის მიუხედავად, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი მტკიცედ ცდილობდა საკუთარი ინიციატივის დაცვას, გერმანიის კანცლერიც ასევე ძალიან მტკიცე იყო საკუთარ გადაწყვეტილებაში. ბეშიძე (Beshidze, 2018) აღნიშნავს, რომ მერკელმა შესთავაზა ალიანსის ლიდერებს ფრაზა „ინტენსიური ჩართულობა,“ როგორც ალტერნატივა წევრობის სამოქმედო გეგმის სანაცვლოდ. ვინაიდან ნათელი იყო რომ ამერიკის პრეზიდენტი საკუთარ ინიციატივას ვერ გაიტანდა და იგი დათანხმდა განეხილათ გერმანიის წინადადება. თუმცა, გერმანიის კანცლერის წინააღმდეგ მკაცრი

ოპონირება წამოვიდა ლიეტუვის, რუმინეთისა და პოლონეთის პრეზიდენტების მხრიდან. ლიტვის პრეზიდენტი ვალდას ადამკუსი, პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი და რუმინეთის პრეზიდენტი ტრაიან ბასესკუ ცდილობდნენ რომ საქართველოსა და უკრაინისთვის უკეთესი ალტერნატივა გამოეძებნათ. მათი პოზიცია იყო რომ რუსეთს არ შეეძლო ვეტო დაედო ალიანსის გადაწყვეტილებებზე. როცა გერმანიამ დანახა, რომ დისკუსიის მიღწევა შეუძლებელი იყო პოზიცია შეცვალა და წამოაყენა ახალი ნიციატივა, რომ დეკლარაციის ტექსტში დაფიქსირებულიყო ფორმულირება: „ჩვენ ჩვეთანხმდით, რომ საქართველო და უკრაინა გახდებიან ერთ დღესაც ნატოს წევრები.“ მსჯელობის შემდეგ, მოკავშირეები შეთანხმდნენ, რომ ამოღოთ ტექსტიდან სიტყვები „ერთ დღესაც“ და დანარჩენი ტექსტი ჩაეწერათ ალიანსის კომუნიკეში (Asmus, 2010).

2008 წლის 3 აპრილს, NATO-მ გამოაქვეყნა ბუქარესტის სამიტზე მიღებული დეკლარაცია, სადაც აღნიშნული იყო, რომ:

NATO მიესალმება უკრაინასა და საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს NATO-ში გაწევრიანების მიმართულებით. ჩვენ დღეს შევთანხმდით, რომ ეს ქვეყნები გახდებიან NATO-ს წევრები. ორივე ქვეყანამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ალიანსის ოპერაციებში. ჩვენ მივესალმებით დემოკრატიულ რეფორმებს უკრაინასა და საქართველოში და ველოდებით მათში საქართველოში თავისუფალი და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას. MAP არის შემდეგი ნაბიჯი უკრაინასა და საქართველოს წევრობის წევრობის გზაზე. დღეს ჩვენ გარკვევით ვაცხადებთ, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ ქვეყნების განაცხადებს MAP-თან დაკავშირებით. ამრიგად, ჩვენ ახლა დავიწყებთ ინტენსიური ჩართულობის პერიოდს ორივე მაღალ პოლიტიკურ დონეზე, რათა გადავწყვიტოთ ის საკითხი, რაც დარჩენილია და ტოვებს კითხვებს მათ მიერ MAP-ის მოთხოვნის პროცესში (NATO, ბუქარესტის სამიტის დეკლარაცია, 2008).

ბუქარესტის სამიტზე საქართველოს საკითხთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილება NATO-სთან ინტენსიურ დიალოგზე გადასვლასთან დაკავშირებით კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, რომელსაც კიდევ უფრო უნდა გაემყარებინა NATO-საქართველოს ურთიერთობები. თუმცა ფაქტია, რომ NATO-ს წევრი სახელმწიფოების ყოყმანმა და საპირიპირო პოზიციამ საქართველოსა და უკრაინის საკითხთან დაკავშირებით ხელები გახსნა რუსეთის ფედერაციას, რომელმაც სამიტიდან რამოდენიმე თვეში ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია წამოიწყო საქართველოს წინააღმდეგ, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია, ხოლო შემდგომში

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება მოჰყვა. ალიანსის ყოფილი გენერალური მდივანი ანდრეს ფოგ რასმუსენი „ტაბულა“-სთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ „2008 წლის აპრილში, როცა NATO-ს მოკავშირეები ბუქარესტში შევიკრიბეთ, რათა სამოქმედო გეგმის (MAP) საქართველოსა და უკრაინისთვის მინიჭების საკითხი განგვეხილა, გერმანიისა და საფრანგეთის დაჟინებული მოთხოვნით, გადაწყვეტილების მიღება წლის ბოლომდე გადავდეთ. ჩემი აზრით, ეს შეცდომა იყო. სამიტიდან რამდენიმე თვის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტმა, დმიტრი მედვედევმა საქართველოში შეჭრის ბრძანება გასცა და მას შემდეგ რუსეთს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი აქვს ოკუპირებული (რასმუსენი, 2019).“

ბუქარესტის სამიტის დებატებმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა, თუ გეოპოლიტიკურ ასპექტებსა და ალიანსის წამყვანი სახელმწიფოების ეროვნულ ინტერესებს, რამდენად მნიშვნელოვანი როლი გააჩნია საერთაშორისო პოლიტიკაში. ასევე გამოვლინდა ის სირთულეები რომლებიც წინ უსწრებს ალიანსის წევრი ქვეყნების მიერ კონსენსუსის მიღწევისა და კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესს. აღნიშნული ანალიზი საქართველოსთვის ახდენს იდენტიფიცირებას იმ ქვეყნებისა, რომლებთანაც პოლიტიკური დიალოგისა და ახლო პოლიტიკური კავშირების არსებობას გადამწყვეტი, როლი ენიჭება საქართველოს მიერ ალიანსის საბოლოო წევრობამდე გასავლელ გზაზე.

2.3 საქართველო, როგორც NATO-ს მოწინავე და წარმატებული ასპირანტი ქვეყანა - წარმატებული დიალოგი და ალიანსთან თანამშრომლობის ძლიერი მექანიზმები

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა მთლიანად არია ალიანსის გეგმები საქართველოსთან მიმართებაში. ფაქტი იყო, რომ მოსკოვმა NATO-ს სისუსტე და ერთიანი ძალისხმევის არარსებობა საქართველოსა და უკრაინასთან მიმართებაში სათავისოდ გამოიყენა, ხოლო საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარებით კიდევ უფრო რთული სიტუაციის წინაშე დააყენა, როგორც საქართველო ასევე ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ქვეყნების პოლიტიკური ხელმძღვანელობა.

რუსეთის ჩანაფიქრის საწინააღმდეგოთ, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს მიერ NATO-ს წევრობისკენ აღებული ტემპის და NATO-საქართველოს

ურთიერთობების დასუსტებას, ალიანსმა რუსეთის აგრესიული პოლიტიკის საპასუხოდ 2008 წლის 3 დეკემბერს საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე ჩატარებულ შეხვედრაზე ახალი ინიციატივა წარმოადგინა. NATO-საქართველოს ურთიერთ-თანამშრომლობის მთავარ მექანიზად დასახელდა „წლიური ეროვნული პროგრამა (Annual National Program) (შემგომში - ANP). გადაწყდა, რომ ANP-ით განსაზღვრული მიმართულებების განვითარების პროცესს მეთვალყურეობას გაუწევდა NATO-საქართველოს კომისია, რომელიც ოფიციალურად გადაიქცა მთავარ ფორუმად და ალიანსთან კონსულტაციების მექანიზმად მიმდინარე რეფორმირების პროცესებში (NATO, 2013).

NATO-საქართველოს კომისია ოფიციალურად გამოცხადდა ალიანსთან თანამშრომლობის ფორმატად, რომელიც პოლიტიკურ კონსულტაციებსა და პრაქტიკულ თანამშრომლობას გაუწევდა კოორდინაციას, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა NATO-სთან საქართველოს ურთიერთთავსებადობის დონის ამაღლება და ქვეყნის ალიანსის წევრობისთვის მომზადება. აღნიშნული ფორუმის მეშვეობით საქართველო და ალიანსის წევრი სახელმწიფოები რეგულარულად აწარმოებდნენ შეხვედრებს ელჩებისა, სამხედრო წარმომადგენლების, საგარეო საქმეთა მინისტრების, თავდაცვის მინისტრების, გენერალური შტაბის უფროსებისა და სამიტების დონეებზე. „NATO-საქართველოს კომისიის მთავარ მიზნებს წარმოადგენს NATO-სა და საქართველოს შორის პოლიტიკური დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავება ყველა შესაბამის დონეზე, ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებების პრაქტიკული აღსრულების პროცესის ზედამხედველობა, კოორდინაცია გაუწიოს ალიანსის ძალისხმევას, დაეხმაროს საქართველოს ბოლო პერიოდში წარმოებულ კონფლიქტებთან გამკლავებაში, და მხარი დაუჭიროს საქართველოს მცდელობებს წინ წაწიოს პოლიტიკური, ეკონომიკური და თავდაცვის სფეროებში განსახორციელებელი რეფორმები, რომლებიც უშუალო კავშირშია ქვეყნის NATO-ში გაწევრიანების კურთხით არსებულ ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებასთან, და ორიენტირებულია ყვეყნის დემოკრატიულ და ინსტიტუციონალურ მიზნებზე (NATO, 2013).”

საქართველოსთვის ANP-ის მინიჭების ფაქტი ძალიან საინტერესოა და ალიანსის მხრიდან დაშვებულ სპეციალურ გამონაკლისს წარმოადგენს საქართველოსთან

მიმართებაში. საინტერესოა იმიტომ რომ, ANP წარმოადგენს MAP-ის ძირითად შემადგენელ მექანიზმს. MAP-ის ოფიციალურ განსაზღვრებაში აღნიშნულია, რომ „წევრობის სამოქმედო გეგმაში მონაწილე ქვეყნები იყენებენ ინდივიდუალურ ყოველწლიურ ეროვნულ პროგრამას მომავალი წევრობისთვის მომზადების პროცესში. აღნიშნული აერთიანებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, თავდაცვის, რესურსების, უსაფრთხოებისა და კანონის უზენაესობასთან დაკავშირებულ საკითხებს (NATO, 2019).“ ANP, როგორც პროგრამა მტკიცდება ეროვნულ დონეზე, რომელიც ყოველწლიურად ფასდება NATO-ს მიერ ყოველი წლის დასასრულს.

2009 წელს NATO-ს ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა საქართველოში „პროფესიული განვითარების პროგრამას (Professional Development Program)“, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა უსაფრთხოების სექტორში დასაქმებული სამოქალაქო პირების პროფესიული განათლების შესაძლებლობებით უზრუნველყოფა. აღნიშნული პროგრამის განხორციელება დაიწყო „NATO-ს შესაძლებლობების განვითარების პროგრამის“ ფარგლებში, რომელიც ორიენტირებული იყო დახმარება გაეწია საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სხვა უსაფრთხოების ინსტიტუტებისთვის. აღნიშნული პროგრამა მრავალი სახის წვრთნებს, სამუშაო ჯგუფებს, კურსებს სთავაზობდა ქართველ მხარეს NATO-სა და პარტნიორი ქვეყნების მხრიდან. „პროფესიული განვითარების პროგრამის მხარდაჭერით ჩამოყალიბდა „სტრატეგიისა და ლიდერობის ცენტრი“, რომელიც დაარსდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში 2011 წელს. 2016 წელს, აღნიშნული ცენტრის ბაზაზე ჩამოყალიბდა „თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა (DIBS)“ NATO-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში (საქ. თავდ. სამინისტრო, 2020).“

2010 წელს საქართველოში ვიზიტით მყოფმა NATO-ს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა საზეიმო ვითარებაში გახსნა “NATO-ს სამკავშირეო ოფისი,“ რომლის მიზანსაც საქართველოში მიმდინარე რეფორმებისა და ალიანსში ინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერა წარმოადგენს.

2010 წელს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით NATO-საქართველოს ურთიერთობების კიდევ ერთი ახალი ფორმატი დაარსდა. ჩამოყალიბდა

სამხედრო კომიტეტი და საქართველოს სამუშაო გეგმა (MC+Georgia Work Plan). აღნიშნული ფორმატის მიზანია NATO-სა და საქართველოს თავდაცვის ძალებს შორის სამხედრო თანამშრომლობის წამყვანი მიმართულებების განსაზღვრა და აღნიშნული მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავება. აღნიშნული სამუშაო გეგმა მოიცავს ყველა ძირითად აქტივობას რომელიც დაეხმარება PARP-ით, ANP-ით და SNGP-ით განსაზღვრულ პროცესებს (NATO, 2017). 2010 წლის ლისაბონის სამიტზე, სადაც დამტკიცდა NATO-ს ახალი სტრატეგიული კონცეფცია, NATO-მ კვლავ დაადასტურეს თავისი ერთგულება ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებასთან მიმართებაში. მეკავშირეებმა კვლავ დაადასტურეს, რომ საქართველო გახდება NATO-ს წევრი სახელმწიფო და გამოხატეს მხარდაჭერა ტერიტორიული მთლიანობისა და საქართველოს სუვერენიტეტთან დაკავშირებით საერთაშორისოდ აღიარებულ სახელმწიფო საზღვრებში (საქ. საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2014).

2011 წელს საქართველოში ჩატარდა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომა NATO-ს გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით. ანდერს ფოგ რასმუსენმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საქართველოს მიღწევებს და დაადასტურა ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება. გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ „საქართველომ დიდი გზა გამოიარა გამოხატვის თავისუფლების ხელშეწყობისთვის, ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, კორუფციასთან ბრძოლაში, უზრუნველყო სამხედრო ძალების ზომისა და სტრუქტურის სწორი განსაზღვრა. თქვენს მიერ დახარჯული ძალისხმევა შესანიშნავია. საქართველო სწორ გზას ადგას და თქვენ ამისთვის ძალიან გრძელი გზა გამოიარეთ (NATO, 2011).“ 2011 წელს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი დაფიქსირდა 7 დეკემბერს ბრიუსელში, საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე, რომელზე მიღებულ კომუნიკეშიც საქართველო მოხსენიებული იქნა, როგორც ალიანსში გაწევრიანების ასპირანტი პარტნიორი მონტენეგროსთან, ბოსნია-ჰერცეგოვინასთან და იუგოსლავიის ყოფილ რესპუბლიკა მაკედონიასთან ერთად. აღნიშნული გადაწყვეტილება კვლავ დადასტურდა 2012 წლის NATO-ს ჩიკაგოს სამიტზე სადაც უკვე საქართველოს საკითხის განხილვა ზემოაღნიშნულ 3 ქვეყანასთან ერთად სპეციალურ ფორმატში მიმდინარეობდა (საქ. თავდ. სამინისტრო, 2020).

2012 წელს საქართველო შეუერთდა NATO-ს „ოპერატიული შესაძლებლობების კონცეფციის შეფასებისა და უკუკავშირების პროგრამას,“ რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს 4 ეტაპიანი შეფასების სისტემის მეშეობით მოამზადოს და შეაფასოს NATO-ს საპასუხო ძალებში მონაწილეობის მისაღებად წარდგენილი ალიანსისა და პარტნიორი ქვეყნების ქვედანაყოფები, საქართველოს თავდაცვის ძალებმა პირველ ეტაპზე რამოდენიმე წლის განმავლობაში ჩამოაყალიბა ეროვნული შეფასების ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელის მოადგილე პირადად გახლდით რამოდენიმე წლის განმავლობაში. აღნიშნული შეფასების ჯგუფის ყველა წევრმა მიიღო 2 საფეხურიანი განათლება NATO-ს საბრძოლო ქვედანაყოფების საბრძოლო მზადყოფნის დონის შეფასების კუთხით, რის შემდგომაც მიენიჭათ NATO-ს შემფასებლების ვალიფიკაცია. მოგვიანებით აღნიშნულმა ჯგუფმა მოამზადა საქართველოს მიერ NATO-ს საპასუხო ძალებში გაცხადებული 2 ქართული ასეული, რომლებმაც წარმატებით გაიარეს 4 წლიანი მომზადების ეტაპები, დააკმაყოფილეს NATO-ს საპასუხო ძალების სტანდარტები და შეფასების კრიტერიუმები, რის შემდგომაც ჩაირიცხნენ NATO-ს საპასუხო ძალების შემადგენლობაში და როტაციული პრინციპით ანაცვლებენ ერთმანეთს. ქართველ შემფასებელთა ჯგუფმა მაღალი კვალიფიკაციიდან გამომდინარე დიდი ნდობა მოიპოვა NATO-ში, რის საფუძველზეც ისინი წლებია მონაწილეობას იღებენ საზღვარგარეთ NATO-სა და პარტნიორი ქვეყნების ქვედანაყოფების საბრძოლო მზადყოფნის დონის შეფასების პროცესებში, როგორც შემფასებლების, ასევე შეფასების პროცესში სხვადასხვა მაღალ ადმინისტრაციულ თანამდებობებზე.

2012 წლიდან საქართველო ასევე მონაწილეობს „NATO-ს გონივრული თავდაცვის ინიციატივაში.“ აღნიშნული პროექტი ინიცირებული იქნა NATO-ს ჩიკაგოს სამიტზე, რომელიც აერთიანებს NATO-ს და პარტნიორი ქვეყნების ძალისხმევას მრავალეროვნული პროექტების სახით განათლების, გენდერის და კიბერუსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, რომელშიც საქართველო წლებია აქტიურად არის ჩართული.

2014 წელს ალიანსის მიერ უელსის სამიტზე რამოდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა საქართველოს მიმართ მიღებული. 2012 და 2013 წლების საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების დემოკრატიულად მაღალ დონეზე

ჩატარებით ალიანსის წინაშე საქართველომ კიდევ ერთხელ დაადასტურა დემოკრატიული პრინციპებისადმი ერთგულება. აღნიშნულ სამიტზე ალიანსმა საქართველო გამოაცხადა, როგორც ალიანსთან თავსებადი ერთ-ერთი უმაღლესი დონის პარტნიორი და მიიწვია „მოწინავე შესაძლებლობების მქონე პარტნიორების“ ფორმატში, ავსტრალიასთან, იორდანიასთან, ფინეთთან და შვედეთთან ერთად. ამასთან ერთად ალიანსმა წამოწია „NATO-საქართველოს არსებითი პაკეტი (Substantial NATO-Georgia Package (SNGP)),“ როგორც თავდაცვასთან და უსაფრთხოების თემებთან დაკავშირებული შესაძლებლობების განვითარების ინიციატივა. NATO-საქართველოს არსებითი პაკეტი წარმოადგენს მექანიზმს, რომელიც ორიენტირებულია საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერებაზე, ალიანსის ქვეყნებთან თავსებადობის ამაღლებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის მომზადებას NATO-ს წევრობისთვის (საქ. თავდ. სამინისტრო, 2020).

საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა, უელსის სამიტის დეკლარაციიდან იყო ის, რომ დეკლარაციაში გაჩნდა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ალიანსის ქვეყნები თანხმდებიან, რომ საქართველოს **გააჩნია ყველა მნიშვნელოვანი მექანიზმი**, რომელიც არის საჭირო საქართველოს NATO-ს სრულუფლებიანი წევრობისთვის მოსამზადებლად

93. NATO მიესალმება საქართველოს მნიშვნელოვან ძალისხმევას დემოკრატიის განვითარების, სამხედრო ძალებისა და თავდაცვის ინსტიტუტების მოდერნიზების კუთხით. ჩვენ მივესალმებით საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას, მათ შორის ხელისუფლების მშვიდობიანი გზით გადაცემას 2012 და 2013 წლების საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში. ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს გააგრძელოს რეფორმების იმპლემენტაცია, დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდაციის, სასამართლო ხელისუფლების რეფორმების პროცესის გაგრძელების და კანონის უზენაესობის მხარდაჭერის კუთხით. NATO ძალიან აფასებს საქართველოს ხანგრძლივ კონტრიბუციას ISAF-ის ოპერაციებში და აღიარებს ქართული ქვედანაყოფების მიერ გაღებული დანაკარგებს ავღანეთში. საქართველოს წინადადება NATO-ს საპასუხო ძალებში მონაწილეობის შესახებ, წარმოაჩენს საქართველოს როლს, როგორც ჩვენი უსაფრთხოების თანაზიარისა. 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე ჩვენ შევთანხმდით, რომ საქართველო გახდება NATO-ს წევრი და ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ამ გადაწყვეტილების ყველა ნაწილს, როგორც ამის შემდგომ განცხადებებს. აღნიშნულის შემდგომ საქართველომ ძალიან მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია და უფრო ახლოს მივიდა NATO-სთან ამბიციური რეფორმების იმპლემენტაციის შედეგად, რომელიც

წარმატებულად იყენებდა NATO-საქართველოს კომისიისა და წლიური ეროვნული პროგრამის ფორმატებს. ჩვენ აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ურთიერთობა ალიანსთან შეიცავს ყველა საჭირო მექანიზმს, რომ საქართველომ გააგრძელოს წინ მოძრაობა ალიანსის საბოლოო წევრობისაკენ. დღეს ჩვენ შევთავაზეთ საქართველოს არსებითი პაკეტი რომელიც მოიცავს შესაძლებლობების განვითარების, წვრთნების, სწავლებების, კავშირის გაძლიერების და ურთიერთთავსებადობის მოწინავე შესაძლებლობებს. ამ ზომების მიზანია საქართველოს თავდაცვისა და ალიანსთან ურთიერთთავსებადობის პროცესის მხარდაჭერა, რაც დაეხმარება საქართველოს წარმატებით მოემზადოს ალიანსის წევრობისთვის (NATO, 2014).

2015 წელს NATO-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში საქართველოში გაიხსნა “NATO-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ცენტრი (შემდგომში - JTEC),“ რომლის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს წვრთნების, სწავლებებისა და შეფასების პროცესების დაგეგმვა როგორც ეროვნული, ასევე NATO-სა და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეებისთვის. ცენტრის მიზნებს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება, NATO-სთან თავდაცვის ძალების ურთიერთ-თავსებადობის ამაღლება და წვლილის შეტანა, როგორც რეგიონულ ასევე საერთაშორისა უსაფრთხოებაში. უფრო მეტიც, ექსპერტთა 30 კაციან ჯგუფზე მეტი, ალიანსის სხვადასხვა ქვეყნიებიდან მუდმივად იმყოფება საქართველოში, NATO-საქართველოს არსებითი პაკეტის იმპლემენტაციის პროცესებში დახმარების მიზნით (საქ. თავდ. სამინისტრო, 2020).

2015 წელს საქართველოში ჩატარდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს ორმხრივი წვრთნა „Agile Spirit,“ რომელიც განხორციელდა NATO-ს ფორმატში მრავალეროვნულ დონეზე. საქართველომ უმასპინძლა სამხედრო პერსონალს ბულგარეთიდან, რუმინეთიდან, ლიეტუვიდან და ლატვიიდან. აღნიშნულ სწავლებაში ასევე შტაბის ოფიცრების დონეზე ჩართულები იყვნენ სამხედრო მოსამსახურეები მოლდოვიდან და სომხეთიდან დამკვირვებლების სტატუსით. აღსანიშნავია, რომ სწავლებაზე ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ძალები წარმოდგენილი იქნა 220 სამხედრო მოსამსახურით, ხოლო აღნარჩენი მონაწილე ქვეყნები ოცეულის ზომის ქვედანაყოფებით.

2016 წლის 10 ნოემბრიდან 20 ნოემბრის ჩათვლით, JTEC-მა უმასპინძლა საქართველოს ისტორიაში პირველად „NATO-საქართველოს სწავლება 2016“-ს, რომელიც გახსნა თვითონ NATO-ს გენერალურმა მდივანმა. „სწავლება ჩატარდა NATO-ს გაერთიანებული ძალების ტრანსფორმაციული სარდლობის (Allied Command Transformation), გაერთიანებული სახმელეთო სარდლობის (Allied Land Command), და გაერთიანებული ძალებს წვრთნების ცენტრის (Joint Force Training Center) მხარდაჭერით. სწავლებაში აგრეთვე მონაწილეობდნენ ოფიციალური წარმომადგენლები NATO-ს მაღალი დონის წარმომადგენლობებიდან და ასევე სამხედრო მოსამსახურეები ალიანსის პარტნიორი ქვეყნებიდან. სწავლებამ უმასპინძლა 250 მონაწილეს (საქ. თავდ. სამინისტრო, 2020).“

NATO-ს ქვეყნებთან თანამშრომლობის ძალიან მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს ერთობლივი ციკლური წვრთნები დასახელებით „ღირსეული პარტნიორი,“ რომელიც ყოველწლიურად ამერიკის შეერთებული შტატების ევროპული სარდლობის ორგანიზებით ტარდება საქართველოში. 2017 წელს ჩატარებულ სწავლებაში მონაწილეობდა დაახლოებით 1600 სამხედრო მსოფსმსახურე ამერიკის შეერთებული შტატებიდან, 800 სამხედრო მოსამსახურე საქართველოდან, 200 სამხედრო მოსამსახურე გერმანიიდან, სლოვაკეთიდან თურქეთიდან უკრაინიდან და ინგლისიდან. აღნიშნული სწავლებებმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა საქართველოს შესაძლებლობები და მაღალი მზადყოფნის დონე ჩაეტარებინა ასეთი მაღალი დონის მრავალეროვნული წვრთნები საკუთარ ტერიტორიაზე, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ალიანსთან საქართველოს გაზრდილი თავსებადობა და საქართველოს თავდაცვის ძალების მაღალი საბრძოლო მზადყოფნის დონე.

იგივე სწავლებაში უკვე 2018 წელს ქართველმა სამხედროებმა პირველად გამოიყენეს ახალი ტანკსაწინააღმდეგო სისტემა „ჯაველინი“, ასევე აღნიშნულ სწავლებაში მონაწილეობდა ამერიკული საბრძოლო ვერტმფრენი AH-64 „აპაჩი“. აღნიშნული ფორმატით 2020 წელს ჩატარებულ მრავალეროვნულ სწავლებაში მონაწილეობა მიიღო 2800-მა სამხედრო მოსამსახურემ, რომლის მონაწილე კონტინგენტი შედგებოდა ქართველი, ამერიკელი, ბრიტანელი, პოლონელი და ფრანგი

ჯარისკაცებისგან. ერთი მხრივ, აღნიშნული წვრთნებს გააჩნია ძალიან მნიშვნელოვანი პრაქტიკული დატვირთვა, NATO-ს ქვეყნებისა და ქართული ქვედანაყოფების ურთიერთთავსებადობის წარმოჩენისა და ამალეების კუთხით, ხოლო მეორე მხრივ, იგი არის ძლიერი გზავნილი რუსეთის ფედერაციისადმი ალიანსის მხრიდან, რომელიც გამოხატავს საქართველოს მხარდაჭერასა და ძალიან ახლო თანამშრომლობას.

საქართველოს წინააღმდეგე რუსეთის 2008 წლის ოკუპაციის შემდგომ საქართველოს მოსახლეობის მოლოდინი ქვეყნის ალიანსში საბოლოო ინტეგრაციის საკითხთან დაკავშირებით კიდევ უფრო გაიზარდა, ვინაიდან ქვეყნის უსაფრთხოების ერთადერთი რეალურ გარანტს საქართველოს NATO-ს ქოლგის ქვეშ შესვლა წარმოადგენს. აღნიშნული ვითარებიდან და ალიანსში ინტეგრაციის გზაზე მიღწეული დიდი პროგრესიდან გამომდინარე, 2018 წლის ბრიუსელის სამიტთან დაკავშირებით არსებობდა დიდი მოლოდინი, რომ ახალი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული ალიანსში საქართველოს ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებასთან დაკავშირებით. საქართველოს მოსახლეობის მოლოდინები ბრიუსელის საიტთან დაკავშირებით MAP-ს უკავშირდებოდა, რაც ქართული საზოგადოებისთვის NATO-ს წევრობამდე დარჩენილ საბოლოო ნაბიჯს უკავშირდებოდა. თუმცა MAP-ის ქონაც არ ნიშნავს გარანტირებულ NATO-ს წევრობას თავის მხრივ, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ ჩრდილოეთ მაკედონიის ქეისის განხილვისას.

აღნიშნულ სამიტზე საქართველოს MAP არ მიუღია, თუმცა ალიანსის მხრიდან მიიღო ძალიან ძლიერი მრავლისმომცველი და მრავალფეროვანი თანამშრომლობის და წევრობისთვის მომზადების მექანიზმები, რომელმა მექანიზმებმაც საქართველოს საშუალება მისცა მომზადებულიყო კიდევ უფრო მაღალ დონეზე ალიანსთან მაქსიმალური თავსებადობის მიღწევის მიზნით. არც ერთ NATO-ს წევრ ქვეყანას ალიანსთან თანამშრომლობის კუთხით მსგავსი მექანიზმები აქამდე არ ჰქონია. ამასთან ერთად აღსანიშნავია აგრეთვე ალიანსის მხრიდან საქართველოსთვის მინიჭებული წარმატებული „მოწინავე პარტნიორისა“ და „ასპირანტი ქვეყნის“ სტატუსები.

2018 წლის 6 ივლისს ალიანსის უსაფრთხოების საბჭოს შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ ის ალიანსისგან მოელოდა

მნიშვნელოვან პროგრესსა და აღიარებას საქართველოს საკითხთან დაკავშირებით, ასევე კიდევ ერთ „მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს“ ალიანსის წევრობისკენ NATO-ს მომავალი სამიტიდან. საქართველოს პრემიერ მინისტრმა მამუკა ბახტაძემ აგრეთვე გამოხატა იმედი რომ საქართველოს პროგრესს შესაბამისი აღიარება მოყვებოდა, მან თავის სიტყვაში აღნიშნა - „ჩვენი მოლოდინი არის ძალიან პოზიტიური. მე ვფიქრობ, რომ ბოლო მონაცემები გარკვევით გამოხატავს ქვეყნის მიერ მიღწეულ პროგრესსა და რეფორმებს განსაკუთრებით გასული რამოდენიმე წლის განმავლობაში. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ პარტნიორი ქვეყნებისგან ამას შესაბამისი დაფასება მოყვება (agenda.ge, 2018).“ გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული თანამდებობის პირების პოზიტიურ მოლოდინს 2018 წლის ბრიუსელის სამიტისადმი განაპირობებდა ის მნიშვნელოვანი პროგრესი, რასაც ალიანსთან თანამშრომლობის კუთხით საქართველომ მიაღწია ორი ათწლეულის განმავლობაში.

2018 წლის 13 ივლისს, ბრიუსელის სამიტის დასრულების შემდგომ პირველი განცხადება გააკეთა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, რომელმაც განაცხადა, რომ „სამიტის ფარგლებში ბოლო ორი დღის განმავლობაში მიღებული ყველა გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის ყველა მოლოდინს დაემთხვა.“ მინისტრმა აღიშნა, რომ სამიტი ჩატარდა სერიოზული გეოპოლიტიკური გამოწვევების ფონზე, მაგრამ საქართველოსთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები სრულიად დამაკმაყოფილებელი იყო. დავით ზალკანიანკა აღნიშნა, რომ „ეს იყო პირველი შემთხვევა NATO-საქართველოს ურთიერთობების ისტორიაში, როდესაც NATO-საქართველოს კომისიის დეკლარაცია მიღებული იქნა ალიანსის წევრი ქვეყნების პირველი პირების მიერ (საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, 2018).“

ბრიუსელის სამიტის დეკლარაციამ ერთი მხრივ ხაზი გაუსვა საქართველოს მიერ მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესს NATO-ში ინტეგრაციის კუთხით, ხოლო მეორე მხრივ ასევე დაამტკიცა, რომ საქართველო არის ღირსეული მოწინავე პარტნიორი, რომელიც სწორ გზას ადგას მომავალი წევრობისკენ. ალიანსის დეკლარაციაში აღინიშნა, რომ საქართველო არის ძლიერი დემოკრატიის მქონე ქვეყანა, რომელსაც გააჩნია განვითარებული ეკონომიკა, ძლიერი თავდაცვის ინსტიტუტები და მოდერნიზებული

შეიარაღებული ძალები, რომელმაც მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს ალიანსის წევრობისთვის მომზადების გზაზე. ალიანსის წევრებმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ საქართველოს ურთიერთობა ალიანსთან შეიცავს ყველა პრაქტიკულ მექანიზმს მოამზადოს ქვეყანა ალიანსის საბოლოო წევრობისთვის. ამასთან ერთად NATO-ს ქვეყნების პირველმა პირებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს 2008 წლის ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება და აღნიშნეს, რომ საქართველო აუცილებლად გახდება NATO-ს წევრი ქვეყანა.

აღნიშნულ სამიტზე საქართველომ ალიანსს შესთავაზა ავღანეთის მისიის მხარდაჭერის პროცესში ლოჯისტიკური ტვირთების საკუთარ ტერიტორიაზე გატარების კუთხით მხარდაჭერის გაძლიერება. ალიანსი ასევე მიესალმა საქართველოს ინიციატივას NATO-ს საპასუხო ძალებში საზღვრის დაცვის ჯგუფის გაცხადებასთან დაკავშირებით (როგორც ზემოთ აღნიშნეთ საქართველოს უკვე ყავს NRF-ში მონაწილე 2 ასეული), რომელიც დახმარებას გაუწევს შავი ზღვის აკვატორიაში მოქმედ NATO-ს ქვეყნების საზღვაო ძალებს. ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის მიერ მიერ მიღებულ დოკუმენტში „NATO-ს გაფართოება: გამოცდა მონტენეგროს მისაღებად,“ აღნიშნულია, რომ „არც ერთ კანდიდატ ქვეყანას არც წარსულში და არც აწმყოში არ მიუღია NATO-ში ინტეგრაციის ასეთი ყოვლისმომცველი პაკეტი, როგორც გააჩნია საქართველოს (The united States Senate Committee on Foreign Relations, 2016).

2018 წლის 19 ივლისს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ „მთავარი ევროპის უსაფრთხოებისა და დაცულობის გარანტი არის გაფართოებული თანამშრომლობა ნდობის აღდგენის კუთხით, და არა NATO-ს ბაზებისა და ინფრასტრუქტურის განთავსება რუსეთის საზღვრებთან, და ეს არის რა პროცესებიც ხდება ახლა. ჩვენ ვუპასუხებთ შესაბამისად ასეთ აგრესიულ ნაბიჯებს, რომლებიც წარმოადგენს პირდაპირ საფრთხეს რუსეთისთვის. ჩვენმა კოლეგებმა, რომლებიც ცდილობენ რომ გააუარესონ სიტუაცია უკრაინისა და საქართველოს ალიანსის ორბიტაზე მოქცევის კუთხით, უნდა დაფიქრდნენ ასეთი უპასუხისმგებლო პოლიტიკის შესაძლო შედეგებზე (Osborn, 2018).“

2018 წლის 1 აგვისტოს, რუსეთის მუქარის მიუხედავად საქართველომ ჩაატარა საკუთარ ტერიტორიაზე, მორიგი დიდი მრავალეროვნული წვრთნა „ღირსეული პარტნიორი 2018“, რომელშიც 3000 სამხედრო იღებდა მონაწილეობას. სწავლებაში მონაწილეობდა 1300 ქართველი სამხედრო, 1170 ამერიკელი ჯარიკაცი, და დაახლოებით 500 სამხედრო მოსამსახურე NATO-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნებიდან.

6 აგვისტოს, რუსეთის პრემიერ მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა გააჟღერა ახალი კონფლიქტი, როგორც მუქარა იმ შემთხვევაში თუ საქართველო გახდებოდა NATO-ს წევრი. მან „კომერსანტთან“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა: „ამან (საქართველოს შესვლამ NATO-ში) შესაძლოა საშინელი კონფლიქტი გამოიწვიოს. მე არ მესმის რატომ აკეთებენ ისინი (გულისხმობს NATO-ს) ამას. როგორც NATO-ს წინა გადაწყვეტილებებით, იმის მტკიცება, რომ მიღწევებიდან გამომდინარე საქართველოს საბოლოოდ დაუშვებენ წევრად, მე რა შემძლია ვთქვა ამასთან დაკავშირებით? ეს არის აბსოლიტურად უპასუხისმგებლო პოზიცია და საფრთხე მშვიდობისთვის.“ მედვედევმა ასევე აღნიშნა, „დიახ, ზუსტად ასეა, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ ვხედავთ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, ჩვენ გვესმის, რომ თუ რომელიმე ქვეყანა მოითხოვს, რომ ისინი მიეკუთვნება მის ეროვნულ ტერიტორიას, ამას შეიძლება მკაცრი შედეგები მოყვეს. თუმცადა, მე ვფიქრობ, რომ NATO-ს ლიდერშიფს ეყოფა საკმარისი გონიერება, რომ არ გადადგას არც ერთი ნაბიჯი აღნიშნული მიმართულებით (Osborn, 2018).“

2019 წლის 18-29 მარტს საქართველომ კიდევ ერთხელ უმასპინძლა NATO-ს ოფიციალურ მრავალეროვნულ სწავლებას „NATO-საქართველო 2019“ რომელიც ჩატარდა NATO-საქართველოს ერთობლივი წვრთნებისა და შეფასების ცენტრში. აღნიშნული სწავლება ჩატარდა SNGP-ის ფარგლებში. აღნიშნულ სწავლებაში მონაწილეობდნენ NATO-ს წევრი 21 ქვეყანისა და საქართველოსთან ერთად 3 პარტნიორი ქვეყნის წარმომადგენლები. სწავლებაში მონაწილეობდნენ წარმომადგენლები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ალბანეთიდან, ბელგიიდან, ბულგარეთიდან, ჩეხეთის რესპუბლიკიდან, გერმანიიდან, დანიიდან, ესტონეთიდან, საფრანგეთიდან, საბერძნეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, უნგრეთიდან ლატვიიდან, ლიეტუვიდან,

ნიდერლანდების გაერთიანებული სამეფოდან, ნორვეგიიდან, პოლონეთიდან, პორტუგალიიდან, რუმინეთიდან, სლოვაკეთიდან, თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან და შვედეთიდან (საქართველოს პირველი არხი, 2018).

სწავლების გახსნის ცერემონიაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ლელა ჩიქოვანმა აღნიშნა, რომ წინამდებარე სწავლების მიზანია „გააძლიეროს საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობები და არანაირად არ არის მიმართული რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ.“ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ ხაზი გაუსვა, რომ სწავლება NATO-საქართველო 2019 არის „ძალიან მნიშვნელოვანი სწავლება საქართველოსთვის და კიდევ ერთი წინ გადადგმული ანბიჯის ინდიკატორი NATO-საქართველოს სამხედრო და პოლიტიკური თანამშრომლობის გაძლიერებისკენ (მენაბდე, 2019).“

ჩვენთან ინტერვიუში საქართველოს თავდაცვის ძალების ყოფილმა მეთაურმა გენერალ ლეიტენანტმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ აღნიშნა - „ეს მოხდა პირველად, როდესაც საქართველოს გენერალურ შტაბს დაეკისრა NATO-ს ოპერაციაში მრავალეროვნული კრიზისების მართვის პროცესის ხელმძღვანელობა (ჩაჩიბაია, 2021). 2019 წლის მარტში საქართველოს ეწვია NATO-ს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი გაერთიანებული სწავლების ფარგლებში. გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, „სწავლება აჩვენებს, თუ NATO და საქართველო როგორ წარმატებით ახორციელებენ ურთერთ-თანამშრომლობას. საქართველო არის NATO-ს ყველაზე ახლო პარტნიორი, რომელიც მუშაობს ალიანსთან შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. საქართველო ასევე არის ყველაზე დიდი NATO-ს არაწევრი კონტრიბუტორი ქვეყანა NATO-ს მისიაში, და ის ასევე მონაწილეობს NATO-ს საპასუხო ძალებში. გასულ ზაფხულს ბრიუსელში NATO-ს ლიდერებმა დაამტკიცეს 2008 წლის ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება, რომ საქართველო გახდება NATO-ს წევრი (NATO, 2019).

2019 წლის 25 მარტს თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე NATO-ს გენერალურმა მდივანმა კითხვაზე საქართველოს ალიანსში ინტეგრაციის პროცესზე რუსეთის ზეგავლენისა და ხელის შეშლის თაობაზე, განაცხადა „ყველა ქვეყანას აქვს თვითონ გადაწყვეტილება მისთვის სავალი გზა, და ეს წარმოადგენს NATO-სთვის

აბსოლიტურად ფუნდამენტურ პრინციპს. ამის შემდეგ მოდის ალიანსის 29 მოკავშირე ქვეყანა, რომ გადაწყვიტოს ვართ თუ არა ჩვენ მზად ახალი წევრის მისაღებად. მე პირადად ვარ წარმოშობით პატარა მთაგორიანი ქვეყნიდან, ნორვეგიიდან რომელიც ჩრდილოეთის მხრიდან რუსეთს ესაზღვრება. რა თქმა უნდა ჩვენთვის აბსოლიტურად მიუღებელია და არასდროს დავთანხმდებოდით, რომ რუსეთი ან კიდევ სხვა ქვეყანა ჩარეულიყო ჩვენს საკუთარ გადაწყვეტილებებში. ნორვეგია შეუერთდა NATO-ს 1949 წელს. ამ დროისთვის იოსებ სტალინს არ მოსწონდა აღნიშნული ფაქტი. მაგრამ რასაკვირველია NATO-ს მეკავშირეებმა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა თქვეს „არა, სტალინი არ არის ის ვინც გადაწყვეტს ან NATO-ს რა შეუძლია და ან კიდევ შეუძლია ნორვეგიას შეუერთდეს NATO-ს თუ არა. ეს შეუძლია ნორვეგიას და NATO-ს მოკავშირეებს.“ და ჩვენ გვაქვს იგივე პრინციპები დღესაც. ასე რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია თქვენზე და 29 მოკავშირე ქვეყანაზე. ხოლო 29 ქვეყანამ გარკვევით აღნიშნა, რომ საქართველო გახდება NATO-ს წევრი. ეს არ არის პროვოკაცია ვინმეს წინააღმდეგ, ეს არის სუვერენული უფლება ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფოსი, რომ თვითონ გადაწყვიტონ თავისი ბედი.“ ძალიან სენსიტიურ შეკითხვაზე იქნებოდა, თუ არა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ატონომიური რესპუბლიკების ოკუპაცია საქართველოსთვის NATO-ში ინტეგრაციი პროცესის ხელის შემშლელი მიზეზი, ბატონმა გენერალურმა მდივანმა ასეთი პასუხი დააფიქსირა, „NATO-ს მოკავშირეებმა გარკვევით აღნიშნეს, რომ საქართველო გახდება NATO-ს წევრი და ჩვენ მხარს ვუჭერთ, ვეხმარებით საქართველოს NATO-ს სტანდარტების დაკმაყოფილებაში, რეფორმების პროცესის გაგრძელებაში და შემდეგ NATO-ს წევრობაში. მე ასევე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ გამოვნახავთ გამოსალავლს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხთან დაკავშირებით. მე არ ჩავალ დეტალებში ახლა, მაგრამ ჩვენ გავაგრძელებთ მხარდაჭერას და საქართველო გახდება ალიანსის წევრი,“ აღნიშნა გენერალურმა მდივანმა (NATO, 2019).”

თავი III. საქართველოს NATO-ში გაწევრიანების პროცესზე მოქმედი აქტორები და მათი გეოპოლიტიკური ინტერესები საქართველოსთან მიმართებაში

3.1 ამერიკის შეერთებული შტატები

საბჭოთა-კავშირისგან საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო გახდა კავკასიის რეგიონში ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე ახლო პარტნიორი. 1991 წლიდან, ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს ძლიერ ეკონომიკურ მხარდაჭერას ახორციელებს. როგორც ახალგაზრდა დემოკრატიული ევროპული ღირებულებების მატარებელი თავისუფლებისთვის მებრძოლი ქვეყანა, საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცე მხარდაჭერით სარგებლობს. გარდა აღნიშნული ღირებულებებისა საქართველოს უაღრესად მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მდებარეობა გახლავთძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოსთან მიმართებაში ამერიკის ინტერესებზე. გარდა იმ ფაქტორისა, რომ საქართველოს უდიდესი დამაკავშირებელი ფუნქცია და შესაძლებლობები გააჩნია აღმსავლეთ ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე, იგი წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის ცენტრს, რომელზე გავლენის მოპოვებაც ნიშნავს მთელი რეგიონის კონტროლს.

ამას გარდა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ევროპის ქვეყნების მიმართულებით წარმოებულმა რუსეთის ახალმა ენერგოპოლიტიკამ, მზარდი ხასიათი მიიღო და ნაბიჯ-ნაბიჯ აღნიშნული ქვეყნებისთვის ენერგორესურსების მიმწოდებელ გიგანტად გადაიქცა. რა თქმა უნდა რუსეთი კარგად იყენებს წლების განმავლობაში აღნიშნულ ინტერესის სფეროს მისი სტრატეგიული ინტერესების მხარდასაჭერად ევროპაში გარკვეულ ქვეყნებზე გავლენის შესანარჩუნებლად. სწორედ აღნიშნული ფაქტორი აღმოჩნდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატების მიერ ევროპის ენერგომომარაგების დივერსიფიკაციის მიზნით, ტრანსკასპიური ენერგორესურსების გატარების ერთ-ერთ შესაძლო მარშრუტად საქართველოს მდებარეობა განისაზღვრა, რომელსაც შეეძლო რუსეთის გვერდის ავლით ევროპისთვის ნავთობისა და გაზის დიდი რაოდენობის მიწოდება. გარდა, ამისა სამხედრო სტრატეგიული მიზნების

კუთხით საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობა ამერიკისთვის ძალიან მიმზიდველად გამოიყურება, რომელიც ახლო აღმოსავლეთსა და აზიის რეგიონში ამერიკის სამომავლო სამხედრო ოპერაციების მხარდასაჭერად ქმნის შესაძლო მხარდამჭერ ძალიან კარგ პლაცდარმს. რა თქმა უნდა, რომ რეგიონში დემოკრატიის მხარდი მაჩვენებლით საქართველოს ძალიან სწრაფმა პროგრესმა ზემოაღნიშნულ გარემოებებთან ერთად გადამწყვეტი როლი ითამაშა ამერიკის მიერ საქართველოს მხარდაჭერის სტრატეგიის განსაზღვრის პროცესში.

კორი ველტის (Welt, 2019) თქმით, 2000 წელს საქართველო გახდა ა.შ.შ-ის მხრიდან ყველაზე დიდი დახმარების მიმღები ქვეყანა ევროპისა და აზიის რეგიონში. 2001-2007 წლებში, მთლიანმა დახმარების მოცულობამ საქართველოსადმი შეადგინა 945 მილიონი დოლარი (135 მილიონი საშუალოდ ყოველწლიურად). 2005 წელს საქართველოს ა.შ.შ-ის მიერ გამოეყო 5 წლიანი (2006-2011) გრანტი 295 მილიონი დოლარის ოდენობით ამერიკის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციიდან (MCC) გზების, ნავთობსადენებისა/გაზსადენების და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის, ასევე როგორც აგრობიზნესის შესაძლებლობების განვითარებისთვის.

2001 წლიდან პრეზიდენტი ჯორჯ ბუში უმცროსის ადმინისტრაციამ გააძლიერა საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობების მხარდაჭერა ორ წლიანი „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის“ განხორციელებით, რომელიც გაგრძელდა „შენარჩუნებისა და სტაბილურობის ოპერაციების პროგრამით“ 2007 წლამდე, რომელიც მხარს უჭერდა ქართული ქვედანაყოფების გადასროლისწინა მომზადების პროცესს „ოპერაციაში თავისუფლება ერას“ მონაწილეობის მისაღებად. ამერიკის შეერთებული შტატები გახდა საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის პროცესის ყველაზე დიდი მხარდამჭერი. ასევე ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებდა მრავალმხრივ დახმარებას საქართველოს დემოკრატიული, ეკონომიკური და სამხედრო შესაძლებლობების გასაძლიერებლად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საქართველო ასევე წაროდგენდა ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცე მოკავშირეს კოსოვოს, ერაყის და ავღანეთის მისიებსა და ოპერაციებში, რომელმაც ათასობით სამხედრო მოსამსახურე გააგზავნა

აღნიშნულ მისიებში სტრატეგიული პარტნიორის მხარდასაჭერად და ასევე დიდი მსხვერპლიც გაიღო დაღუპული და დაჭრილი სამხედრო პირადი შემადგენლობის კუთხით აღნიშნული პროცესებიდან გამომდინარე.

ა.შ.შ.-ის დიდმა პოლიტიკურმა ზეწოლამ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ ძალიან დიდი როლი ითამაშა 2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის გეგმის შეჩერების პროცესში. რუსულმა ოკუპაციამ მძიმე გავლენა მოახდინა, როგორც საქართველოს ეკონომიკაზე, ასევე სამხედრო ინფასტრუქტურასა და შესაძლებლობებზე. ურთულეს პოსტ-კონფლიქტურ ვითარებაში საქართველოს მხარდასაჭერად ამერიკამ საგრძნობლად გაზარდა საქართველოს დახმარების პაკეტი. უკუპაციის დღეების განმავლობაში ამერიკამ საქართველოს გამოუგზავნა 38 მილიონი დოლარის ღირებულების ჰუმანიტარული დახმარება, გადაუდებელ საჭიროებებთან გასამკლავებლად, როგორც საჭირო ასევე საზღვაო მარშუტებიდან. 2008 წლის სექტემბერში ამერიკის სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს დახმარებისთვის გამოყოფდა 1 მილიარდი ა.შ.შ. დოლარის ღირებულების დახმარებას.

2009 წლიდან განსაკუთრებით გაღრმავდა ა.შ.შ.-სა და საქართველოს შორის სტრატეგიული თანამშრომლობა და კომუნიკაცია. 2012 წელს საქართველოში ვიზიტით მყოფმა ა.შ.შ.-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ გაზრდილი თანამშრომლობა მიზნად იასახავდა საქართველოს დახმარებას თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესების, თავდაცვის რეფორმებისა და მოდერნიზების, წვრთნისა და აღჭურვის, ქართული ქვედანაყოფების ISAF-ის მისიაში წარგზავნის და NATO-სთან თავსებადობის ამალღების პროცესებში.

2016 წელი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ორმხრივი თანამშრომლობის კუთხით. ივლისში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და ა.შ.შ.-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ ხელი მოაწერეს „მემორანდუმს ა.შ.შ.-სა და საქართველოს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ.“ 2016 წლის დეკემბერში ა.შ.შ. და საქართველო შეთანხმდნენ, რომ ამრიგა დაეხმარებოდა საქართველოს 3 წლიანი პროგრამის (საქართველოს თავდაცვის

მზადყოფნის პროგრამა) განხორციელებაში, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა, როგორც საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების ამაღლებაზე ტაქტიკური დონის ქვედანაყოფების მომზადების კუთხით (9 ქვეითი ბატალიონი), ასევე ინსტიტუციურ დონეზე რეფორმების განხორციელებაში მხარდაჭერაზე.

სტრატეგიული თანამშრომლობის ფორმატში თავდაცვის შესაძლებლობების განვითარების კუთხით ა.შ.შ.-ის ყოლისმომცველი დახმარებისა და მხარდაჭერის მიუხედავად ბარაკ ობამას ადმინისტრაცია არ დათანხმდა საქართველოსთვის თავდაცვითი შეიარაღების გადმოცემაზე. როგორც კორი ველტი (Welt, 2019) აღნიშნავს კონგრესისადმი საკუთარ მოხსენებაში, აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზი შესაძლოა ყოფილიყო „სურვილი თავი აერიდებინათ რუსეთთან ურთიერთობების გაუარესებისგან, რადგან ა.შ.შ.-ს მთავრობას მოსკოვში გამოცხადებული ჰქონდა „გადატვირთვის“ პოლიტიკა მოსკოვთან“ (გვ. 12).

პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციასა და საქართველოს მთავრობას შორის თანამშრომლობამ და პოლიტიკურმა კონსულტაციებმა საგმობლად ინტენსიური ხასიათი მიიღო. 2017 წელს პრეზიდენტი ტრამპის ადმინისტრაციამ მიიღო საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ამერიკა მიაწოდებდა საქართველოს თავდაცვით ლეტალურ იარაღს. როგორც კორი ველტი (Welt, 2019) აღნიშნავს მის მოხსენებაში „ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი დათანხმდა საქართველოსთვის საგარეო გაყიდვების პაკეტის ფარგლებში, როგორც 400 ერთეული გადასატანი ანტი-სატანკო შეიარაღების სიტემა „ჯაველინი“-ს რაკეტების, ასევე გამშვები დანადგარების გადაცემაზე, ასევე შესაბამისი ტრენინგის განხორციელებაზე ქართველი სამხედრო მოსამსახურეების წვრთნისა და მომზადების კუთხით. აღნიშნული პროექტი შეფასდა საქართველოსთვის 75 მილიონ დოლარად (გვ. 14).“

2017 წლის 8 მაისს შედგა დონალდ ტრამპისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის შეხვედრა, რომლის დასრულების შემდგომაც პრემიერმა კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ „პრეზიდენტმა ტრამპმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო არის მნიშვნელოვანი მეკავშირე და სტრატეგიული პარტნიორი

ამერიკის შეერთებული შტატებისთვის. ჩვენი საუბარი შეეხო ამერიკა-საქართველოს ურთიერთობების მნიშვნელოვან საკითხებსა და სამომავლო გეგმებს. ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა მაიკ პენსმა აღნიშნა, რომ „შეხვედრაზე აღინიშნა პრემიერ-მინისტრის ლიდერშიფის შეასახებ პოლიტიკურ და ეკონომიკური რეფორმების განხორციელების პროცესში და კიდევ ერთხელ იქნა მხარდაჭერილი საქართველოს გადაწყვეტილება ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაციის შესახებ, NATO-ს ჩათვლით (RadioFreeEurope/RadioLiberty, 2017).“

ძლიერი მხარდაჭერის გამოხატულება იყო საქართველოსადმი 2017 წლის მაისში ამერიკის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც მან ხელი მოაწერა საქართველოს მხარდამჭერ საკანონმდებლო აქტს (H.R.1751 – Counteracting Russian Hostilities Act of 2017-2018) რომელიც ასევე ჰქონდა, როგორც სენატის ასევე წარმომადგენლთა პალატის მხარდაჭერა. აღნიშნული დოკუმენტი ადგენს, რომ „არც ერთ ფედერალური სააგენტოს არ შეუძლია განახორციელოს რაიმე სახის მოქმედება, ან გააგრძელოს დახმარება იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც აღიარებენ დე იურედ ან დეფაქტოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოსგან დამოუკიდებლობას, მათ საჭირო და საზღვაო საზღვრებს (congress, 2018).“

2017 წლის ოქტომბერში საქართველომ მიიღო ორპარტიული მხარდაჭერა ა.შ.შ.-ის კონგრესიდან. კონგრესის წევრებმა, დემოკრატმა ჯინ გრინმა და რესპუბლიკელმა ტედ პომ საზოგადოებას წარუდგინეს აღნიშნული ორპარტიული რეზოლუცია, რომელიც გამოხატავს ა.შ.შ.-ს მხარდაჭერას საქართველოს მთავრობისადმი, მისი ხალხისა და ქვეყის NATO-ში ინტეგრაციის მიმართულებით (Congress, 2017).

2018 წლის 8 ივნისს საქართველოში ამერიკის დახმარების ფარგლებში გაიხსნა „საბრძოლო წვრთნების ცენტრი“ (CTC) და დაიწყო „საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა (GDRP). საბრძოლო წვრთნების ცენტრი დაექვემდებარა NATO-ს გაერთიანებული წვრთნებისა და შეფასების ცენტრს, რომელიც კოორდინაციას უწევს ამერიკელი სამხედროების მიერ საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის ფარგლებში 9 ქართული ქვეითი ბატალიონის საბრძოლო გადამზადების პროცესს.

2019 წლის 16 ნოემბერს, საქართველოს პრემიერ მინისტრამ მამუკა ბახტაძემ ამერიკის ამერიკის არმიის სატრანსპორტო სარდლობის მეთაურთან სტივ ლაიონსთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ GDRP-ის ფარგლებში ამერიკა გეგმავს, აღადგინოს „ვაზიანის“ საჰაერო ბაზა, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს წარმოადგენდა კავკასიაში სტრატეგიული დონის ყველაზე დიდ საჰაერო ბაზას თავისი ინფრასტრუქტურით, რომელიც იყო 34-ე საჰაერო არმიის 283-ე საჰაერო დივიზიის დისლოკაციის ადგილი (Caspian Polici Center, 2018).

ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის გაფართოების პროცესში ამერიკის მხარდაჭერას ყოველთვის ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა ახალი სახელმწიფოების NATO-ში მიწვევის პროცესში. რა თქა უნდა, საქართველოს შემთხვევაშიც ამერიკის ძლიერი მხარდაჭერა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ნათელია ის ფაქტი, რომ ა.შ.შ. და საქართველო ძლიერი სტრატეგიული პარტნიორები არიან და ურთიერთ-თანამშრომლობის ისტორიის განმავლობაში, ამერიკას არასდროს დაუხვია უკან, როდესაც საქართველოს ჰქონდა გარკვეული სირთულეები. ისმის კითხვა - „რატომ არის საქართველო ამერიკისთვის ასეთი მნიშვნელოვანი?“ პასუხი რამოდენიმე ძირითად ფაქტორში შეგვიძლია ვეძებოთ.

ამერიკისთვის ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა. საქართველო ასევე არის ა.შ.შ.-ის სანდო და ძლიერი პარტნიორი, რომელმაც თავისი ძალა და ერთგულება ბევრჯერ დაამტკიცა კოსოვოში, ერაყსა და ავღანეთის მისიებსა და ოპერაციებში. მესამე ფაქტორს რაც განსაზღვრავს ა.შ.შ.-ს მიერ საქართველოს მხარდაჭერის მოტივაციას, წარმოადგენს საქართველოს მონდომება განახორციელოს წარმატებული რეფორმები დემოკრატიის მშენებლობის კუთხით და იყოს წარმატებული ლიდერი ამ აღნიშნული კუთხით მთელს რეგიონში.

საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა მაღლა სწევს საქართველოს მნიშვნელობას, რომელიც თანხვედრაში მოდის ა.შ.შ.-ს გეოპოლიტიკურ ინტერესებთან არა მხოლოდ კავკასიის, არამედ მთელი ევრაზიის რეგიონში. ლუკ კოფი (Coffey, 2018) აღნიშნავს თავს მოხსენებაში, რომ „დღეს, საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობა არის ძალიან მნიშვნელოვანი ამერიკისთვის. მაგალითად საქართველო ა.შ.შ.-ს სთავაზობს

საკუთარ, ტერიტორიას, ინფრასტრუქტურას და ლოჯისტიკურ შესაძლებლობებს NATO-ს ძალებისა და ტვირთების გატარებისათვის ავღანეთის მისიაში“ (გვ.12). თუ აღდგება ვაზიანის აეროდრომი, ის შესაძლოა გახდეს უმნიშვნელოვანესი ბასტიონი, რომელსაც ექნება შესაძლებლობა დახმარება გაუწიოს ა.შ.შ.-ს სამომავლო ოპერაციებსა და სამხედრო კამპანიებში, როგორც ახლო აღმოსავლეთის ასევე მთელი ევრაზიის მიმართულებით.

საქართველოს გააჩნია დიდი პოტენციალი გაატაროს საკუთარ ტერიტორიაზე კასპიის რეგიონის ქვეყნების ენერგორესურსები ევროპის მიმართულებით, რაც პირდაპირ კავშირშია ევროპის უსაფრთხოებასთან და შესაბამისად ამერიკის ეროვნულ ინტერესებთან. საქართველოს პორტები, აეროპორტები, მაგისტრალები და რკინიგზა ქმნის ძალიან მნიშვნელოვან ლოჯისტიკურ შესაძლებლობებს მიიღოს, მოემსახუროს და გაატაროს საკუთარ ტერიტორიაზე ამერიკული ქვედანაყოფები და სამხედრო ტექნიკა საჭიროების შემთხვევაში. საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა ასევე თამაშობს მნიშვნელოვან როლს NATO-სთან შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის კუთხით. ძალიან დიდი პერსპექტივა აქვს სამომავლოდ საქართველოს მიერ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის განხორციელებას, რომელიც სტრატეგიული მნიშვნელობის სატრანზიტო და ლოჯისტიკური პერსპექტივებიდან გამომდინარე კიდევ უფრო გაზრდის რეგიონში საქართველოს სტრატეგიულ მნიშვნელობას. ასევე ანაკლიის პროექტს ძალიან დიდი ეკონომიკური მოგების მოტანა შეუძლია ქვეყნისთვის.

საქართველომ ორი თწლეულის განმავლობაში დაამტკიცა ამერიკისადმი, როგორც ახლო სტრატეგიული პარტნიორისადმი მტკიცე მხარდაჭერა საკუთარი სამხედრო ძალების მონაწილეობით ა.შ.შ.-ის და NATO-ს ეგიდით წარმოებულ მრავალეროვნულ მისიებსა და ოპერაციებში, კოსოვოში, ერაყსა და ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში.

შემდეგ მნიშვნელოვან ფაქტორს, თუ რატომ ეხმარება ა.შ.შ. საქართველოს, წარმოადგენს ის რომ საქართველო არის წარმატებული დემოკრატიული ქვეყანა რეგიონში. ლუკ კოფი (Coffey, 2018) აღნიშნავს, რომ „დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ 1991 წლიდან საქართველო გახდა მაგალითი მთელი რეგიონისთვის რემოკრატიისკენ სწრაფვის კუთხით, და წარმოადგენს მაგალითს იმ იდეის გულისთვის

ბრძოლისა ევროპაში, რომლის მიხედვითაც ყველა ქვეყანას აქვს სუვერენული უფლება თვითონ განსაზღვროს და გადაწყვიტოს საკუთარი მომავალი“ (გვ. 9-11). საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბათუ ქუთელია (ქუთელია, 2017) თავის სტატიაში „AMERICA’S VITAL INTERESTS IN GEORGIA: THE CASE FOR ENGAGEMENT“ აღნიშნავს: „საქართველო არ არის მხოლოდ 4 მილიონისაგან შემდგარი ერი რომელიც იმყოფება დემოკრატიის წინა ხაზზე, საქართველო წარმოადგენს თვითონ თავისუფლებას...საქართველოს დემოკრატიის მიტოვება რუსეთის წინაშე იქნება ტრაგედია, რომელიც შეარყევს დასავლეთისადი რწმენას, თუ ის არ დაეხმარება მის უახლოეს სტრატეგულ მოკავშირეს“. საქართველოს მზარდი დემოკრატიის დახმარება მშვიდობისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად სტრატეგიულად მნიშვნელოვან მრავალეროვნულ რეგიონში პირდაპირ შედის ა.შ.შ.-ის ეროვნულ ინტერესებში.

ამერიკის შეერთებული შტატები მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის პროცესს როგორც პოლიტიკურ დონეზე ასევე პრაქტიკულად საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობების განვითარების კუთხით. საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის ფარგლებში მაღალი რანგის სამხედრო პირები და ექსპერტები რეგულარულად სტუმრობენ საქართველოს როგორც ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ასევე ამერიკის ევროპული სარდლობიდან, რათა საქართველოს შესთავაზონ მაქსიმალური მხარდაჭერა თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერებისა და ინსტიტუციური მიმართულებების განვითარების პროცესებში.

აღნიშნული მიმოხილვიდან კარგად ჩანს, თუ ამერიკის შეერთებული შტატები რამხელა მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსთან ურთიერთობებს, რომელიც საქართველოსადმი მისი სტრატეგიული ინტერესებით არის განპირობებული. იგი არის საქართველოს ყველაზე ძლიერი და მთავარი მოკავშირე ქვეყანა, რომელიც მხარს უჭერს საქართველოს განვითარებასა და ტერიტორიულ მთლიანობას. შეუფასებელია ამერიკის შეერთებული შტატების დაქმარება საქართველოსადმი, როგორც დემოკრატიის მშენებლობის, ასევე თავდაცვის შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერის მიმართულებით, რაც პირდაპირ კავშირშია სამომავლოდ ქვეყნის NATO-ში გაწევრიანებისთვის მომზადების პროცესთან.

3.2 რუსეთი

სამხრეთ კავკასიის რეგიონი რუსეთისთვის განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენს, რაც მუდმივად აღინიშნება, როგორც რუსეთის წამყვანი პოლიტიკური ლდერების განცხადებებსა და გამოსვლებში, ასევე ქვეყნის სამხედრო და პოლიტიკურ დოქტრინებში. რუსეთის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ყოფილ პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკებზე რუსეთის გავლენის სფეროს აღდგენასა და გაძლიერებას. აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს, როგორც სამხრეთ კავკასიის ცენტრალური სახელმწიფოს საკუთარი გავლენის ქვეშ დაბრუნება და მისი პრო-დასავლური ვექტორის ისევ ჩრდილოეთისკენ შემობრუნება, რუსეთისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და პრიორიტეტულ სტრატეგიული მიზანს წარმოადგენს.

ძალიან კარგად აღწერენ საკუთარ მონოგრაფიაში “21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და "თანამშრომლობითი უსაფრთხოების" თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები“ პროფესორები ვახტანგ მაისაია და გუგული მალრაძე (2017) საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებს, რომელიც ეფუძნება „ეროვნული ნეოკლასიკური სკოლისა და პროექტის ნეოევრაზიულობის მიმართულების პოსტულატებს“ (გვ. 34). ავტორების განმარტებით ნეოევრაზიელები სამხრეთ კავკასიას მოიაზრებენ „რუსეთის შიდა გეოპოლიტიკის“ ზონად. ავტორებს მოყვანილი აქვთ აღნიშნულ წიგნში ნეოევრაზიელთა ლიდერის ა. დუგინის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „კავკასია ყველაზე სუსტი წერტილია რუსულ გეოპოლიტიკურ სივრცეში რადგან კავკასიის კონტროლი გზას ხსნის „თბილი ზღვებისკენ“ და ამიტომ ყოველი (თუნდაც უმნიშვნელო) საზღვრის სამხრეთით გადაწევა არსებით მოგებას ნიშნავს კონტინენტური ძალის, ტელუროკრატიისთვის“ (გვ. 37). ავტორები აღნიშნავენ, რომ ნეორეალისტების ხედვებში შედის ეთნო-კულტურულ საწყსებზე დაფუძნებული კავკასიის ფედერაციის შექმნის იდეა, რომელიც ცენტრალიზებულად დაქვემდებარებული იქნება კრემლის პოლიტიკაზე (მაისაია, მალრაძე, 2017).

მაია მანჩხაშვილი (2018) საკუთარ სადოქტორო ნაშრომში „თურქეთი და სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების საკითხი“ აღნიშნავს, რომ „სამხრეთ კავკასიის

რეგიონი ძალიან რთულ მდგომარეობაშია. ერთი მხრივ ამ რეგიონის სახელმწიფოებს სურთ დამოუკიდებლობა და განვითარებისა და პროგრესის გზით სიარული, მაგრამ, მეორე მხრივ, რუსეთის ამბიციების გამო, მუდმივად უწყვეტ ბრძოლა, როგორმე თავი დააღწიონ ამ გავლენებს“ (გვ.31). მანჩხაშვილი აღნიშნავს, რომ რუსეთი გამუდმებით მუშაობს და სამომავლოდაც გააგრძელებს საკუთარ ძალისხმევას, რათა როგორმე გამოასწოროს ის სტრატეგიული დისბალანსი, რომელიც მას ხელიდან გაექცა საბჭოთა კავშირის დაშლის დროს სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

საქართველოსადმი ინტერესებს აძლიერებს ქვეყნის სტრატეგიული მდებარეობა კავკასიის ცენტრში, რომელიც როგორც სამხედრო-სტრატეგიული, ასევე ეკონომიკური მნიშვნელობითაც გამოირჩევა. თუ საქართველო გახდება ალიანსის წევრი ეს ნიშნავს, რომ რუსეთი დაკარგავს სახმელეთო საზღვარს სომხეთში მდებარე მის სამხედრო ბაზებთან, ეკონომიკურ ჰეგემონობას ტრანს-კასპიური ნავთობის ტრანზიტზე, და ასევე გავლენას მთელ სამხრეთ კავკასიის რეგიონზე.

რუსეთი განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვავს NATO-ს გაფართოების პოლიტიკას მისი სამხრეთ საზღვრების მიმართულებით, რაც პირდაპირ მის ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვან გამოწვევად აღიქმება. თუ ნეორეალიზმის თეორიის ჭრილში განვიხილავთ რუსეთის მოქმედებას NATO-წინააღმდეგ, რუსეთი თვითგადარჩენის პრინციპებზე დაყრდნობით მოქმედებს და ცდილობს მის სამხრეთ საზღვრებისაკენ მცოცავი ყველაზე დიდი სამხედრო ალიანსის შეკავებას ძალთა ბალანსის თეორიაზე დაყრდნობით. შეკავების მექანიზმებად კი რუსეთი ბუფერულ ზონებს ქმნის საქართველოსა და უკრაინაში ეთნიკური თუ ტერიტორიული კონფლიქტების ინსპირირებისა და გაყინული კონფლიქტების პოლიტიკის მეშვეობით.

თუმცა „ჰიბრიდული ომი“ ახალ ფენომენს წარმოადგენს მსოფლიო ომების ხელოვნებათა სტრატეგიაში, თუ მოვიხილოთ ძალიან ახლო პარალელების გავლენას შევძლებთ, იმ სტრატეგიასთან რასაც რუსეთი გასული ორი საუკუნის განმავლობაში ძალიან კარგად იყენებს საქართველოს წინააღმდეგ, თან ისე კარგად, რომ ეს სტრატეგია თითქმის ხელოვნებისა და მეცნიერების დონეზე ყავს აყვანილი. საუკუნეების განმავლობაში გამოცდილი და პრაქტიკაში აპრობირებული მეთოდებით საქართველოზე

გავლენის შენარჩუნების ორსაუკუნოვანი ისტორია შეიძლება, რომ რუსეთის მხრიდან პატარა სახელმწიფოების წინააღმდეგ ჰიბრიდული ომის წარმოების კლასიკურ სახელმძღვანელოთაც კი ჩამოყალიბდეს, რომელიც წარმატებით დაიმკვიდრებდა ადგილს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სამხედრო ბიბლიოთეკებში.

1921-1922 წლებში ავტონომიური რესპუბლიკების სახით საქართველოს ძირძველ ტერიტორიებზე ჩადებული შენელებული მოქმედების ნაღმების გამოყენება, რუსეთმა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ დაიწყო, რომელი პროცესიც 1991-1993 წლებში აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მის მიერ ინსპირირებული და მხარდაჭერილი ეთნიკური კონფლიქტებით დააგვირგვინა. აღნიშნულ ქმედებებს კი საქართველოს მხრიდან საკუთარ ტერიტორიებზე კონტროლის დაკარგვა მოჰყვა. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად საქართველომ მიიღო საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილად გადაქცეული 30000-ზე მეტი უსახლკაროდ დარჩენილი დევნილი, რაც ომისაგან დასუსტებულ, და ეკონომიურად ისედაც წელში გატეხილ ქვეყანას ძალიან მძიმე ტვირთად დააწვა. აღნიშნულს დაემატა საქართველოს ხელისუფლების სათავეში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ედუარდ შევარდნაძის მოსვლა, რომელიც პირდაპირ მოსკოვიდან ჩამოფრინდა და არსებულმა ბანდფორმირებებმა, რომლებმაც ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალება განახორციელეს პირდაპირ აეროპორტში გადაულოცეს ქვეყნის მმართველობის სადავეები. აღნიშნული ფაქტების მარტივი ანალიზიც კი კარგად წარმოაჩენს, რომ რუსეთი ყველანაირი საშუალების გამოყენებით, როგორც დილობს საქართველოზე გავლენის სფეროს აღდგენას.

ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის განსაკუთრებით გაუარესდა 2003 წელს ვარდების რევოლუციის შედეგად საქართველოს მთავრობაში ახალგაზრდა პროდასავლური ძალების მოსვლის შემდეგ, რამაც საქართველოზე რუსეთის გავლენის შენარჩუნების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. აღნიშნული ურთიერთობების გაუარესებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებამ დაეჩქარებინა ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესები, რასაც რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ

ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკების მოსახლეობის არაკანონიერი „პასპორტიზაციის“ პროცესები დაუპირისპირა. 2006 წელს რუსეთმა აკრძალა ქართული პროდუქტების იმპორტი და საქართველოში სატვირთო თვითმფრინავებით გამოაძევა 1000 ქართველი მიგრანტი (Beshidze, 2018).

მიხეილ კოფმანი (Kofman, 2018) აღნიშნავს, საკუთარ სტატიაში რომ „2008 წლისთვის რუსეთმა მოქმედებაში მოიყვანა სამხედრო ოპერაციის გეგმა საქართველოს წინააღმდეგ. მოსკოვი აქტიურად ფიქრობდა ომზე და იმედოვნებდა ეს ომი დამთავრდებოდა თბილისში რეჟიმის შეცვლით. რუსეთმა უზრუნველყო, რომ მიხეილ სააკაშვილისგან წამოსულიყო მტრული მოქმედებები მოწინააღმდეგე მხარის მიმართ სამხრეთ ოსეთში, და ამის შემდეგ დაპირისპირებოდა ქართველ სამხედროებს მოკლე კონვენციურ ბრძოლაში“ (გვ.1).

წინამდებარე ნაშრომის II თავში დეტალურად არის წარმოდგენილი ბუქარესტის სამიტის დებატები საქართველოსთვის MAP-ის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით, რაც ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახდა 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ განხორციელებული შეიარაღებული აგრესიისა. რუსეთის ამ ნაბიჯებს მოყვა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება. 2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული შეიარაღებული აგრესიის ერთ-ერთ მთავარ განზრახვას წარმოადგენდა საქართველოს პრო-დასავლური მთავრობის ცვლილება, მაგრამ ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების უზარმაზარმა პოლიტიკურმა მხარდაჭერამ არ მისცა რუსეთს საშუალება სისრულეში მოეყვანა თავისი განზრახვა.

კორი ველტი (Welt, 2019) კონგრესისადმი თავის მოხსენებაში „Georgia: Background and U.S. Policy,“ აღნიშნავდა, რომ 2008 წელს რუსეთმა გაამკაცრა კონტროლი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთზე, ბორდერიზაციისა და სასაზღვრო პრიმეტრზე ღობეების აღმართვით დააწესა სატრანზიტო შეზღუდვები ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ, რომელიც ჰყოფს ორ რეგიონს დანარჩენი საქართველოსაგან. რუსეთმა დაარსა სამხედრო ბაზები რომელზეც (თითოეულზე) მიღებული ინფორმაციის თანახმად შეუძლია განათავსოს 3500 სამხედრო მოსამსახურე, და ასევე განათავსა საზღვრის დაცვის

ქვედანაყოფები ორივე საზღვრის პრიმეტრზე. 2016 წელს რუსეთმა გააფორმა ხელშეკრულება დე ფაქტო აფხაზეთთან, რომლიც მიხედვითაც ჩამოყალიბდა აფხაზურ-რუსული სამხედრო ძალების დაჯგუფება, ხოლო 2017 წელს რუსეთმა დადო ხელშეკრულება სამხრეთ ოსეთთან, რომლის მიხედვითაც მოახდინა ოსური სამხედრო ძალების ინტეგრაცია საკუთარ შეიარაღებულ ძალებში.


ფაქტია, ის რომ 2008 წლის რუსეთის ოკუპაციის ერთ-ერთ მთავარ მიზანს აღმოსავლეთით NATO-ს გაფართოების პოლიტიკის ბლოკირება წარმოადგენდა. 2011 წელს, დიმიტრი მედვედევემა (მოგვიანებით რუსეთის პრეზიდენტმა), ვლადიკავკაზში დისლოცირებულ რუსულ სამხედრო ნაწილში სტუმრობისას, თავის სიტყვაში განაცხადა, რომ 2008 წლის ომი მიმართული იყო NATO-ს გაფართოების გეგმის საპასუხოდ - „2008 წელს თუ ჩვენ ვიყოყმანებდით, გეოპოლიტიკური სინამდვილე სხვანაირი იქნებოდა ახლა და რიგი ქვეყნები, რომლებზეც ცდილობდნენ რომ ხელოვნურად შეეთრიათ NATO-ში ახლა ალბათ უკვე იქნებოდნენ ალიანსში....ჩვენ მარტივად დავაწყნარეთ რამოდენიმე ჩვენი მეზობელი... და ჩვენი ზოგიერთი პარტნიორი, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ჩათვლით, ეს იყო სიგნალი რომ ვიდრე მიიღებ გადაწყვეტილებას ალიანსის გაფართოების შესახებ, პირველად უნდა იფიქრო გეოპოლიტიკური სტაბილურობის შესახებ (civil.ge, 2011).“

სამხრეთ კავკასიის რეგიონში გავლენის სფეროს შენარჩუნების მიზნების გარდა, რუსეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს შეინარჩუნოს დომინანტური პოზიცია, როგორც ევროპული ბაზრის მთავარმა ენერგო-რესურსების მიმწოდებელმა მხარემ. რუსეთისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია არ განხორციელდეს ალტენატიული ენერგო სატრანზიტო მარშუტების განვითარება მისი საზღვრების სამხრეთით, რაც ევროპის ქვეყნებს მისცემს შესაძლებლობას მოახდინონ ენერგო რესურსების ბაზრის დივერსიფიკაცია და ნაკლებად დამოკიდებულნი დარჩნენ რუსეთის მონოპოლისტურ ენერგო ბაზარზე.

კასპიის ენერგორესურსების საკუთარ ტერიტორიაზე გატარების იდეა საქართველოს ეროვნულ სტრატეგიულ მიზნებში 1995 წლიდან განიხილება, რომელი იდეაც არ გამოპარვია რუსეთს. საქართველომ ნაბიჯ-ნაბიჯ დაიწყო საკუთარი

სატრანზიტო პოტენციალის რეალიზება. 1999 წელს აზერბაიჯანმა და საქართველომ გახსნეს ბაქო-სუფსის ნავთობსადენი, რომლის გამტარობა წარმოადგენდა 600,000-დან 1,000,000 ბარელ ნავთობს. ამის შემდგომ 2006 წელს თურქეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს ერთობლივი მოლაპარაკებების შემდეგ განხორციელდა ორი დიდი ენერგო პროექტის რეალიზება. პირველი იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი (2006 წელს), რომელსაც შეეძლო წლიური 255, 000,000 ბარელი ნავთობის გატარება და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი, რომელსაც შეეძლო ყოველწლიურად 20 მილიარდი კუბური მეტრი მოცულობის გაზის გატარება.

სურათი 3



საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ენერგო პროექტები


წყარო: (Soares, 2008)

2008 წელს საქართველო განიხილებოდა, როგორც „ნაბუქო“-ს პროექტის ერთ ერთი სატრანზიტო ქვეყანა. აღნიშნული პროექტის ინიციატორი იყო ამერიკის შეერთებული შტატები, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1990-იან წლებში და მიზნად ისახავდა ბუნებრივი აირის ალტერნატიული სამხრეთ ენერგო მარშრუტის შექმნას ევროპის მიმართულებით, რომელსაც უნდა შეემცირებინა ევროპული ენერგო-ბაზრის რუსეთზე

დამოკიდებულება. აღნიშნულ პროექტს უნდა გაეტარებინა ტრანსკასპიური ენერგო-რესურსების მომპოვებელი ქვეყნების ენერგო-რესურსები სამხრეთული ნაკადის მეშვეობით, რუსეთის გვერდის ავლით ევროპის ქვეყნებისკენ. სტივ ლევინე აღწერს, რომ „საქართველოს ტერიტორიაზე უნდა გაეგლო 31 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის გამტარობის მქონე გასასადენს, რომელიც დაიწყებოდა საქართველო-თურქეთის და თურქეთი-ირანის საზღვარზე დასრულდებოდა პირდაპირ ავსტრიაში, ქალაქ ბაუმგარტენში (LeVine, 2014).

აღნი ქუდი დემპსი (Dempsey, 2013) საკუთარ სტატიაში აღნიშნავს, რომ „ნაბუქოს პროექტს საფუძველი ჩაეყარა ათწლეულის უკან, რომელიც წარმოადგენდა ევროპის დიდი სტრატეგიის გულს და მიზნად ისახავდა ენერგო რესურსების დივერსიფიცირებას და რუსულ ენერგო რესურსებზე დამოკიდებულების შემცირებას, რომელიც მოამარაგებდა ევროპული ბაზრის მეოთხედს საკუთარი ენერგო რესურსებით.

სურათი 4



ნაბუქოს გასასადენის პროექტი

წყარო: (Mihm, 2009)

მოგვიანებით ირანსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის გაუარესებული ურთიერთობების გამო, ირანის მონაწილეობა აღნიშნულ პროექტში გამოირიცხა და აზერბაიჯანმა გადაწყვიტა საკუთარ თავზე აეღო ირანის წილი ბუნებრივი აირით პროექტის უზრუნველყოფა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა საქართველოს მნიშვნელობა აღნიშნულ პროექტში, იმიტომ რომ აზერბაიჯანულ გაზსადენს საქართველოს ტერიტორიაზე უნდა გაევიდო, თუმცა როგორც სონერ ქაგაფთეი (Cagaptay, 2008) აღნიშნავს რუსეთის მიერ 2008 წელს განხორციელებულმა საქართველოს ოკუპაციამ წერტილი დაუსვა აღნიშნული პროექტის განხორციელების პერსპექტივას .

აღნიშნულ პაექრობაში აშკარად რუსეთმა გაიმარჯვა, რომელი გამარჯვების უფლებაც ეროპის სახელმწიფოების მხრიდან „ნაბუქო“-ს პროექტის არასაკმარისი პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერა აღმოჩნდა. უფრო მეტიც რუსეთმა დაიწყო ევროპის მომარაგების მიზნით დამატებითი გაზსადენის „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის მშენებლობა რომელიც ბალტიის ზღვის გავლით რუსული უსტ-ლუგიდან გერმანულ გრაიფსვალამდე შენდება. აღნიშნული პროექტის მიხედვით რუსეთი 55 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს მიაწვდის დამატებით ევროპას რაც ამჟამინდელი მონაცემებით ევროპაში რუსული გაზის მთლიანი ექსპორტის მეოთხედზე მეტს წარმოადგენს.

2020 წლის მოვლენებმა კიდევ ერთხელ კარგად წარმოაჩინა რუსეთის, როგორც კავკასიის ჭადრაკის დაფაზე საკუთარი ინტერესებით მოთამაშე ძლიერი აქტორის როლი, რომელმაც ერთი მხრივ, ყარაბაღის კონფლიქტში მხარდაჭერის გარეშე დატოვა მისი სტრატეგიული პარტნიორი სომხეთი აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ, ხოლო მეორე მხრივ გული მოუფო რეგიონის მნიშვნელოვან მოთამაშე აზერბაიჯანს, ბოლოს თვითონვე მოირგო მომლაპარაკებლის როლიც და „სამშვიდობო“ კონტინგენტის გადასროლაც უსწრაფეს ტემპში განახორციელა კონფლიქტურ რეგიონში. როგორც ცნობილი გახდა რუსეთის 2000 კაციანი სამშვიდობო კონტინგენტის სამხედრო ბაზისთვის გამოყოფილ ადგილას, რუსეთის თავდაცვის სამინისტრო უკვე 10, 000 სამხედრო მოსამსახურეზე გათვლილ ბაზას აშენებს (Зачем русским 10 000 мест в городках? Первый день общеармянской забастовки, 2020).

რუსული ქვედანაყოფების განლაგება სამხრეთ კავკასიაში
წყარო: (არაბული, 2020)

რუსეთი სისტემატურად იყენებს დეზინფორმაციის გავრცელების ტაქტიკას საქართველოს წინააღმდეგ მსოფლიოს მასშტაბით, თითქოს ის იცავს ეთნიკური უმცირესობების ინტერესებს და ირგებს მათი დამცველის როლს, ასევე ხელს უშლის საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელებას კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში და იყენებს აღნიშნულ „გაყინულ კონფლიქტებს“, როგორც საქართველოზე გავლენის შენარჩუნების მიზნით, ასევე მისი საზღვრების მიმართულებით ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოების პოლიტიკის შესაჩერებლად და ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების გასაწინააღმდეგობად. წინამდებარე ანალიზი აჩვენებს, რომ რუსეთის ფედერაცია გააკეთებს ყველაფერს, რომ შეინარჩუნოს დაძაბული გარემო რეგიონში, რომელიც ერთი მხრივ შეაფერხებს საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის შესაძლებლობებს, ხოლო მეორე მხრივ ძირს გამოუთხრის ევროპის მიერ რუსეთის გვერდის ავლით ალტერნატიული სამხრეთული ენერჯო პროექტების განხორციელების ძეგლის პერსპექტივას.

3.3. NATO

რუსეთის აგრესიულმა პოლიტიკამ NATO-ს წევრობის კანდიდატი ქვეყნების საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ და გაზრდილმა სამხედრო დაძაბულობამ შავი ზღვის რეგიონში, რომელიც ემუქრება არა მხოლოდ NATO-ს პარტნიორ, არამედ NATO-ს წევრ ქვეყნებსაც საგრძნობლად გაზარდა შავი ზღვის რეგიონში მშვიდობის შენარჩუნების მნიშვნელობა, რამაც მისცა მეტი მიზეზი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს გაეზარდა საქართველოსთან ახლო თანამშრომლობა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. 2020 წლის 2 აპრილს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრიალზე, რომელიც ძირითადად COVID19-თან და ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებს ეხებოდა, მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოსა და უკრაინის მხარდამჭერი ახალი ზომების თაობაზე, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა შემდეგი ინიციატივები:

„საქართველოსა და უკრაინის უფრო მეტად ჩართვა შავ ზღვაზე დაგეგმილ NATO-სა და წევრი-ქვეყნების სწავლებებსა და წვრთნებში, ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ თანამშრომლობის გაღრმავება, საქართველოს ჩართვა შავი ზღვის რეგიონის საჰაერო სივრცის მონაცემთა გაცვლის რეგიონალურ პროგრამაში, უკრაინის უფრო მეტად ჩართვა ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრსა (JTEC) და საქართველოს თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში (DIBS) დაგეგმილ ღონისძიებებში (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2020).“

სტატიაში „ამერიკის სასიცოცხლო ინტერესები საქართველოში: გაფართოების შეთხვევა,“ ბათუ ქუთელია (2017) ხაზს უსვავს პოზიციას, რომლის მიხედვითაც ეკონომიკურად საქართველოს პერსპექტივა დღითიდღე იზრდება როგორც ამერიკისთვის ასევე NATO-ს ევროპელი მოკავშირეებისთვისაც. ქუთელია აღნიშნავს, რომ „ახალი აბრეშუმის გზა და აღმოსავლეთ-დასავლეთ სავაჭრო კორიდორები დღითიდღე უფრო კრიტიკულად მნიშვნელოვანი ხდება ტვირთების მოძრაობის კუთხით ევროპასა-და აზიას შორის როგორც სამხედრო ასევე წმინდა კომერციული თვალსაზრისით და საქართველო არის აღნიშნული კორიდორის წამყვანი მოთამაშე.“ ქუთელია (2017) აღნიშნავს, რომ:

საქართველო ასევე თამაშობს მნიშვნელოვან როლს კასპიის რეგიონიდან დასავლეთისთვის და ევროპის ქვეყნებისთვის ენერჯო რესურსების მიწოდების პროცესში და ეს ფუნქცია აუცილებლად საჭიროებს დაცვასა და ქვეყანაში სტაბილური გარემოს შენარჩუნებას. თუ საქართველო მოექცევა კრემლის გავლენის ქვეშ, რუსეთს შეეძლება არა მხოლოდ გააკონტროლოს, არამედ დაბლოკოს კიდევ ერთადერთი ალტერნატიული სახმელეთო მარშრუტი ევროპის მიმართულებით როგორც მშრალი ტვირთებისთვის, ასევე კასპიის აუზის ჰიდრო-კარბონატებისთვისაც. საქართველოს NATO-ში გაწევრიანება ასევე ჩაშლიდა რუსეთის სტრატეგიულ მიზანს შექმნას თანამედროვე შეღწევის საწინააღმდეგო ფარი (Anti-Access/Area-Denial) შავი ზღვის გარშემო (გვ.1).

საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერა და რეგიონში სტაბილიზაციის შენარჩუნება პირდაპირ შედის ევროპის ენერჯო უსაფრთხოების პოლიტიკის სტრატეგიულ მიზნებში და თუ NATO-ს წევრი ევროპის წამყვანი ქვეყნები

უფრო აქტიურ ნაბიჯებს არ გადადგამენ მომავალში საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების პროცესის მხარდაჭერის კუთხით, ამ პოზიციამ შესაძლოა საერთოდ დააკარგვინოს მათ შანსი სამხრეთული კორიდორიდან საქართველოს გავლით კასპიის ენერგორესურსების მიღებისა, რაც კიდევ უფრო გაახანგრძლივებს მათი ენერგობაზრის რუსეთზე დამოკიდებულებას. ფაქტია, რომ NATO-ს ყოყმანმა საქართველოსთვის MAP-ის მინიჭებასთან დაკავშირებით მწვანე შუქი აუნთო რუსეთის ჩანაფიქებს და საქართველოს ოკუპაციას. აღნიშნულმა სიტუაციამ კი საბოლოო ჯამში კიდევ უფრო დაამძიმა ვითარება საქართველოს წევრობის საკითხთან დაკავშირებით. რუსეთი კი კიდევ უფრო მომგებიან პოზიციას ალმოჩნდა, როცა უკვე მეორე ოკუპაციით უკრაინის წინააღმდეგ ფაქტიურად არაფორმალური ვეტო დაადო ალიანსის გაფართოების პოლიტიკას.

თავის ნაშრომში ვოჯიემ ლორენზი (Lorenz, 2018) აღნიშნავს, რომ „NATO-ს ქვეყნები აღმოჩნდნენ დილემის წინაშე, თუ როგორ ემოქმედათ იმ პრეცედენტიდან გამომდინარე რუსეთის ტაქტიკის საპასუხოდ, როდესაც რუსეთმა მათი პარტნიორი ქვეყნის წინააღმდეგ შეიარაღებული ოკუპაცია განახორციელა“ (გვ.4). ლორენზი აღნიშნავს, რომ „ყირიმის ანექსიის შემდგომ ალიანსმა გადაწყვიტა ეჩვენებინა რუსეთისთვის, რომ მისი ტაქტიკა ვერ შეცვლიდა NATO-ს გაფართოების პოლიტიკას, რის საფუძველდნენ 2009 წელს ალიანსს შეუერთდნენ ალბანეთი და ხორვატია, 2017 წელს მონტენეგრო, ხოლო 2020 წელს უკვე ჩრდილოეთ მაკედონია. ამასთან ერთად ალიანსმა საქართველოს მიანიჭა წევრობისთვის მოსამზადებელი განსხვავებული თანამშრომლობის მექანიზმები“ (გვ.5).

დღეს საქართველოსა და NATO-ს ურთიერთობა არის ისე მყარი და ნაყოფიერი, როგორც არასდროს ყოფილა აქამდე, თუ გავითვალისწინებთ ალიანსის მიერ საქართველოსთვის მინიჭებულ მრავალ და ყოვლისმომცველ ურთიერთ-თანამშრომლობის მექანიზმებს, რომელიც საქართველოს აძლევს ძალიან კარგ შესაძლებლობას NATO-სთან თავსებადობის მაქსიმალური ამაღლების მიმართულებით. 2019 წლის 25 მარტს, საქართველოში ვიზიტით მყოფმა NATO-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა გააკეთა განცხადება, სადაც მან აღნიშნა „NATO-ს ქვეყნებმა

გარკვევით აღნიშნეს რომ საქართველო გახდება NATO-ს წევრი...მე დარწმუნებული ვარ რომ ჩვენ ვიპოვნით გამოსავალს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითებზე გადაწყვეტილების მისაღებად. არ მინდა რომ შვეიდე დეტალებში, მაგრამ ჩვენ გავაგრძელებთ მხარდაჭერას და საქართველო გახდება ალიანსის წევრი“ (NATO, 2019, გვ 1).

2021 წლის 14 ივნისს ბრიუსელში გამართულ NATO-ს სამიტის დეკლარაციაში აღნიშნულია NATO-ს წევრი ქვეყნების ლიდერების პოზიცია საქართველოს საკითხთან მიმართებაში: „ჩვენ კიდევ ერთხელ ვიმეორებთ 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რომ საქართველო გახდება ალიანსის წევრი, და გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (MAP) ამ პროცესის განუყოფელი ნაწილი იქნება. კიდევ ერთხელ ვამტკიცებთ იმ და შემდგომი გადაწყვეტილებების ყველა ელემენტს - რომ ყოველი პარტნიორი მისი მაჩვენებლების მიხედვით იქნება განხილული. მყარად ვუჭერთ მხარს საქართველოს უფლებას თავად გადაწყვიტოს თავისი მომავალი და საგარეო პოლიტიკის კურსი, გარე ჩარევის გარეშე“ (NATO, 2021, გვ 1).

გენერალი ჩაჩიბაია (2021) აღნიშნავს, რომ საქართველოს მიერ სამომავლოდ საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო სტრატეგიული შესაძლებლობების განვითარება და გაძლიერება კიდევ უფრო გაზრდის NATO-ს ინტერესს საქართველოს მიმართ, ვინაიდან იგი შექმნის „NATO-ს სამხედრო დანიშნულების ტვირთების ოპერატიულ, სწრაფ და უსაფრთხო გადაადგილების შესაძლებლობას, რომელიც მნიშვნელოვანია მოქმედების თეატრში ოპერირებადი ქვედანაყოფების დროული ლოჯისტიკური უზრუნველყოფისთვის (ჩაჩიბაია, ინტერვიუ I, 2021).

ალიანსის აღნიშნული ქმედებები წარმოაჩენს იმის მაგალითს, რომ NATO არ აპირებს შეცვალოს საქართველოს წევრობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, თუმცა რეალობიდან გამომდინარე იძულებულია გაითვალისწინოს კავკასიის რეგიონში შექმნილი რთული გეოპოლიტიკური ვითარება და შესაბამისად საბოლოო გადაწყვეტილებაც საქართველოსთვის წევრობის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, მხოლოდ გააზრებული პოლიტიკისა და NATO-ს წევრი ქვეყნების კონსენსუსის შედეგად იქნება სამომავლოდ მიღებული.

თავი IV. ექსპერტული ინტერვიუების შეჯამება და MAP-ის ძირითად კრიტერიუმებთან მიმართებაში საქართველოსა და ჩრდილოეთ მაკედონიის შედარებითი ანალიზი

4.1 ექსპერტული ინტერვიუების ანალიზი

მოცულობითი აღმოჩნდა კვლევის სტრატეგიის ფარგლებში განხორციელებული ექსპერტული ინტერვიუებიდან მიღებულმა მასალა. მიღებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამუშავება, შესწავლა და ანალიზი კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე შემდეგი ძირითადი მიმართულებებით განხორციელდა:

1. NATO-ს წევრობის ძირითად მოთხოვნებთან თავსებადობის მიღწევის კუთხით საქართველო მიერ გაწეული ძალისხმევის შეფასება;

2. საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის პროცესის მთავარი ხელის შემშლელი მიზეზების იდენტიფიცირება;

3. NATO-საქართველოს თანამშრომლობის არსებული მექანიზმების ეფექტურობის ანალიზი საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისთვის მომზადების პროცესში;

4. სტრატეგიული შესაძლებლობების განვითარებისა და გამოყენების კუთხით იმ ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, რომელიც ერთი მხრივ დაეხმარება საქართველოს NATO-სთან თავსებადობის ამაღლების კუთხით და მეორე მხრივ ხელს შეუწყობს მის წევრობაზე გადასვლის საკითხთან დაკავშირებით ალიანსის წევრებს შორის კონსენსუსის მიღწევას;

NATO-ს წევრობის ძირითად მოთხოვნებთან თავსებადობის მიღწევის გზაზე საქართველოს მიერ გაწეული ძალისხმევის შეფასებისას, რესპოდენტთა უმრევალესობა ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ საქართველომ უდიდესი შრომა გასწია ალიანსის წევრობისთვის მომზადების გზაზე. ინტერვიუების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ საქართველოს თავდაცვის ძალების ალიანსის მოთხოვნებთან თავსებადობის კუთხით ფაქტიურად კითხვები არ არსებობს. ასევე, როგორც ქვეყნის პოლიტიკური და

ეკონომიკური, ასევე კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებული სამშვიდობო პოლიტიკა შესაბამისობაშია ალიანსის წევრობის მოთხოვნებთან.

რესპოდენტები ადასტურებენ, რომ უპრეცედენტოა საქართველოს, როგორც NATO-ს არაწევრი ქვეყნის მიერ NATO-ს ეგიდით წარმოებულ ავღანეთში განხორციელებულ ISAF-ისა და RSM-ის მისიებში გაწეული ძალისხმევა და ის დიდი აღიარება, რომელიც მოიტანა NATO-ს წევრი სახელმწიფოების ქვედანაყოფებთან ერთად ურთულესი საბრძოლო და სამშვიდობო მისიების შესრულებამ, როგორც ავღანეთში ასევე, კოსოვოში, ერაყში, მალისა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკებში, რითიც საქართველომ დაამტკიცა მისი ღირსეული როლი ალიანსის მოწინავე ასპირანტ ქვეყნებს შორის.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი თავდაცვის სამინისტროში რობერტ ჰამილტონი აღნიშნავს, რომ ბრიგადისა და ბატალიონის დონეზე ქართული ქვედანაყოფები აბსოლუტურ შესაბამისობაშია NATO-ს ქვეყნების სახედრო ქვედანაყოფებთან, რომლებმაც ერაყში ა.შ.შ.-ის ეგიდით წარმოებულ მისიაში მონაწილეობის დროს თავი წარმოაჩინეს, როგორც კარგად გაწვრთნილმა და ოპერირებადმა ქვედანაყოფებმა, რომლებსაც ნებისმიერი დაკისრებული ამოცანის შესრულება შეუძლიათ ძალიან მაღალ დონეზე. რობერტ ჰამილტონს (2021) მოჰყავს თავის ინტერვიუში 2007 წელს ერაყში სამსახურისას ამერიკელ ბრიგადის მეთაურთან (რომლის დაქვემდებარებაშიც მსახურობდნენ ქართული ქვედანაყოფები) შეხვედრის დროს აღნიშნული მეთაურის სიტყვები, „ქართული ქვედანაყოფების მოქმედებამ ჩემი ოპერაციის რაიონში ჩეცვალა ჩემი წარმოდგენა მთლიანად კოალიციურ ძალების შესახებ მათი ძლიერების, დისციპლინის და უბრწყინვალესი ლიდერობის უნარებიდან გამომდინარე.“ თუმცა, ჰამილტონი აღნიშნავს, რომ ინსტიტუციურ დონეზე კიდევ რჩება გარკვეული გასაუმჯობესებელი მიმართულებები (იხ. ინტერვიუ) (ჰამილტონი, ინტერვიუ IV, 2021).

მატერიალური რესურსები, რა თქმა უნდა რჩება პრობლემად ქვეყნის სუსტი ეკონომიკისა და თავდაცვის შეზღუდული ბიუჯეტის პირობებში მაგრამ, დანარჩენი მიმართულებების განითარების კუთხით რეალობაში სულ სხვა ვითარებაა საქართველოს თავდაცვის ძალებში. საქართველოს პარლამენტის წევრს, ყოფილ საქართველოს

თავდაცვის ძალების მეთაურს და გენერალური შტაბის უფროსს, თადარიგის გენერალ-ლეიტენანტ ვლადიმერ ჩაჩიბაიას მოჰყავს საქართველოს მთავრობის პოზიცია, რომლის მიხედვითაც საქართველო მიმდინარე ეტაპზე სრულებით აკმაყოფილებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობისთვის დადგენილ ძირითად მოხოვნებს და ძალიან კარგად ხსნის თავდაცვის ძალებში ინსტიტუციურ დონეზე განხორციელებულ მნიშვნელოვან რეფორმებს სამხედრო პერსონალის მართვის, სამხედრო ქვედანაყოფების რეორგანიზაციისა და რესტრუქტურისაციის, სამხედრო წვრთნებისა და განათლების სისტემის, თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების პოლიტიკის, დაგეგმვის, პროგრამირების, ბიუჯეტირებისა და აღსრულების სისტემისა და უწყებათშორისი და საერთაშორისო დიდი სტრატეგიული დონის სწავლებების სფეროში. გენერალ-ლეიტენანტ ჩაჩიბაიას (2021) მაგალითად მოყავს მნიშვნელოვანი ფაქტი, ავლანეთში ქართული ქვედანაყოფების წარმატებით ოპერირების შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ ავლანეთში მტკიცე მხარდაჭერის მისიის მთავარი შტაბის დაცვა 2014 წლამდე ხორციელდებოდა NATO-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების მიერ როტაციული პრინციპით, ხოლო მას შემდეგ, რაც ეს მისია ქართულმა კონტინგენტმა განახორციელა, აღნიშნული მისია უწყეტად დარჩა ქართული კონტინგენტის პასუხისმგებლობის ქვეშ მათ მიერ გამოვლენილი მაღალი პროფესიონალიზმის და გამოვლენილი საშემსრულებლო დისციპლინიდან გამომდინარე (ჩაჩიბაია, ინტერვიუ I, 2021).

ძალიან მნიშვნელოვანი და ღირებული ინფორმაცია მივიღეთ საფრანგეთის სამხედრო ატამესთან ვიცე-პოლკოვნიკ დანი პიტთან და საქართველოში საფრანგეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩთან დიეგო კოლასთან განხორციელებული ინტევიუს საფუძველზე. იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ საფრანგეთი გერმანიასთან ერთად იყო ის ერთ-ერთი წამყვანი NATO-ს წევრი ქვეყანა, რომელმაც მხარი არ დაუჭირა 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე საქართველოსთვის MAP-ის მინიჭებას საინტერესო გამოდგა მათგან მიღებული ინფორმაცია. აღნიშნული რესპოდენტები დადებით აქცენტს აკეთებენ საქართველოს თავდაცვის ძალების მიერ NATO-ს სტანდარტებთან თავსებადობის ამაღლების კუთხით გაწეულ დიდ ძალისხმევაზე და განსაკუთრებით საქართველოს თავდაცვის ძალების მიერ NATO-ს

მისიებში შეტანილ განსაკუთრებულ კონტრიბუციაზე. ბატონი დიეგო კოლასის (2021) აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია საფრანგეთსა და საქართველოს შორის საჰაერო თავდაცვის სფეროში არსებული მაღალი დონის თანამშრომლობა და NATO-ს საჰაერო თავდაცვის სისტემაზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ საქართველოსთვის წვდომის მინიჭების ფაქტი, რაც საქართველოს აძლევს ძალიან კარგ შესაძლებლობას, რომ აკონტროლოს საკუთარი საჰაერო თავდაცვის სივრცე. ელჩი აღნიშნავს, რომ საქართველოსთვის თავდაცვის შესაძლებლობების გაზრდა კრიტიკულად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის არსებული უსაფრთხოების გამოწვევებიდან გამომდინარე და ხაზს უსვავს საქართველოს მიერ საჰაერო თავდაცვის სფეროს განვითარების პოლიტიკის გაგრძელების საჭიროებას (კოლასი, პიტი, ინტერვიუ III, 2021).

ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა ის ფაქტი, რომ მხოლოდ ISAF-ისა და RSM-ის მისიებში განხორციელებული 107 როტაციის ფარგლებში 20 000-ზე მეტმა ქართველმა სამხედრომ მიიღო მონაწილეობა, რომლებიც სხვადასხვა ვითარებაში ჩართულნი იქნენ სრული სპექტრის ოპერაციების შესრულებაში. აღნიშნული ცხადყოფს საქართველოს თავდაცვის ძალების მიერ NATO-ს ოპერაციებში ჩართულობის დონის მასშტაბურობას.

რესპოდენტთა მხრიდან დადებითად შეფასდა საქართველოს მიერ განხორციელებული პროგრესი მართლმსაჯულებისა და საარჩევნო სისტემის დახვეწის, ეკონომიკისა და ბიზნესის თავისუფალი კეთების, ანტიკორუფციული და კეთილსინდისიერების ამაღლების, იუსტიციის სისტემის რეფორმირების, სიტყვის თავისუფლების და გენდერული თანასწორობის ამაღლების მიმართულელებით.

საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის პროცესის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირების მიზნით განხორციელებული ანალიზის საფუძველზე მთავარ გამოწვევად დასახელდა NATO-ს წევრი ქვეყნების ერთიანი პოლიტიკური ნების არარსებობა საქართველოს გაწევრიანების საკითხთან მიმართებაში. გამოიკვეთა სამი ძირითადი საკითხი, რომელიც გავლენას ახდენს საქართველოს წევრობის საკითხთანა დაკავშირებით ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ზემოაღნიშნულ პოლიტიკაზე.

პირველ და ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზად, რომელიც გავლენას ახდენს NATO-ს პოლიტიკაზე საქართველოს გაწევრიანების საკითხთან მიმართებაში დასახელდა **რუსეთის** ჰიბრიდული ომის აგრესიული პოლიტიკა საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც ყველანაირი ხელთარსებული რესურსების გამოყენებით ცდილობს ხელი შეუშალოს მის სამხრეთ საზღვრების მიმართულებით ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოების პროცესს. ასევე რუსეთის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია სამხრეთ კავკასიის რეგიონში საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესებისა მხარდაჭერისა და გავლენის სფეროს შენარჩუნების უზრუნველყოფისკენ.

მეორე ფაქტორად გამოიკვეთა რუსეთის მიერ შექმნილი რთული უსაფრთოების გამოწვევების პირობებში საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობები შეუსაბამობა არსებულ საფრთხესთან მიმართებაში, რომლის სამომავლო განვითარებაც მნიშვნელოვანია საქართველოსთვის ვინაიდან რუსეთის ახალი შეიარაღებული აგრესიის პირობებში საქართველოს თვითონ მოუწევს პირველადი შეკავების სამხედრო თავდაცვითი ოპერაციების უზრუნველყოფა. სწორედ აღნიშნული შესაძლებლობების განვითარებას ემსახურება როგორც თავდაცვის სამინისტროს მიმდინარე პოლიტიკა, ასევე NATO-საქართველოს თანამშრომლობის არსებული მექანიზმები, რათა საქართველომ შეძლოს საკუთარი თავდაცვის შესაძლებლობების მაქსიმალური განვითარება და გაძლიერება.

მესამე ფაქტორად გამოიკვეთა საქართველოს მიერ ისეთი დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების პროცესის გაგრძელების აუცილებლობა, როგორიცაა სამართლიანი არჩევნებისა და სასამართლოს სისტემები. ასევე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს კორუფციასთან ბრძოლის გაგრძელებისა და სიტყვის თავისუფლების უზრუნველყოფის კუთხით გასატარებელი ღონისძიებების გაგრძელების აუცილებლობა.

ინტერვიუების ანალიზის განხორციელების პროცესში შემდეგ ამოცანას წარმოაგენდა საკითხი - რამდენად უზრუნველოფს NATO-საქართველოს არსებული თანამშრომლობის მექანიზმების ქვეყნის მომზადებას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსის წევრობაზე გადასასვლელად?

რესპოდენტების აზრი აღნიშნული მიმართულებით დაიყო სამ ნაწილად:

რესპოდენტების პირველი ნაწილის აზრით NATO-საქართველოს თანამშრომლობის არსებული პრაქტიკული მექანიზმები (ANP, PARP და SNGP) სრულიად საკმარისია საქართველოს ალიანსის წევრობისთვის მოსამზადებლად, ვინაიდან აღნიშნულ დოკუმენტებში წერია, რომ მათი ძირითადი ფუნქციაა საქართველოს მომზადება NATO-ს წევრობისთვის. აღნიშნული ხედვა ეფუძნება იმ არგუმენტს რომ ANP თავის მხრივ წარმოადგენს MAP-ის კრიტერიუმებით გაწერილი ვალდებულებების შესრულების კონტროლის მექანიზმს, რომელიც საქართველოს უკვე გააჩნია და შესაბამისად, დამატებით წევრობის სამოქმედო გეგმას აღარ საჭიროებს.

რესპოდენტების მეორე ნაწილი თვლის, რომ MAP საქართველოსთვის წამოადგენს NATO-ს წევრობაზე გადასვლის ბოლო საფეხურს და არსებული მექანიზმების წარმატებით შესრულების პროცესის გაგრძელება დაეხმარება საქართველოს, რომ დროის ძალიან მოკლე პერიოდში შეასრულოს MAP-ით განსაზღვრული ყველა მოთხოვნა და დაჩქარებულ ვადებში გადავიდეს ალიანსის წევრობაზე შესაფერისი შესაძლებლობის დადგომის დროს.

ხოლო რესპოდენტების მესამე ნაწილი ფიქრობს, რომ საქართველოს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს წევრობაზე გადასვლა არც არსებული თანამშრომლობის მექანიზმებთან და არც MAP-თან არ არის არანაირ კავშირში და ისევე ალიანსის წევრ სახელმწიფოთა პოლიტიკური ნების არსებობას უსვავს ხაზს. აღნიშნული პოზიციის ახსნისას თადარიგის პოლკოვნიკი, ეროვნული თავდაცვის აკადემიის ასოცირებული პროფესორი, ყოფილი გენერალური შტაბის უფროსი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე და უშიშროების მინისტრის მოადგილე - ლევან ნიკოლეიშვილი (2021) აღნიშნავს:

2005 წელს სამუშაო ვიზიტით ვიმყოფებოდი ბულგარეთსა და რუმინეთში, აღნიშნული ქვეყნების შეიარაღებული ძალების მდგომარეობა და მატერიალურ ტექნიკური ბაზები საგრძნობლად ჩამორჩებოდა მაშინდელ საქართველოს შეიარაღებული ძალებისას, რომ აღარაფერი ვთქვათ მოძველებულ საბჭოური ტექნიკაზე. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მათთვის ალიანსის წევრები გამხდარიყვნენ. გადამწყვეტი როლი ითამაშა, როგორც გეოგრაფიულმა ფაქტორმა (შავი ზღვის სახელმწიფოები) ასევე შესაძლო რისკებმა, რომ ეს ქვეყნები კვლავ რუსულ ორბიტაზე არ აღმოჩენილიყვნენ. ამ თვალსაზრისით, „ლიდერი“ ქვეყნების პოლიტიკური ნება და სურვილი

გადამწყვეტი და საკვანძო ფაქტორი აღმოჩნდა (ნიკოლეიშვილი, VI ინტერვიუ, 2021).

ძალიან საინტერესო აღმოჩნდა რესპოდენტების შეხედულებები **სტრატეგიული შესაძლებლობების განვითარებისა და გამოყენების კუთხით** იმ ძირითადი კრიტიკული მიმართულებების შესახებ, რომელიც ერთი მხრივ დაეხმარება საქართველოს NATO-სთან თავსებადობის მაქსიმალური ამაღლების კუთხით და მეორე მხრივ ხელს შეუწყობს მის წევრობაზე გადასვლის საკითხთან დაკავშირებით ალიანსის წევრებს შორის კონსენსუსის მიღწევას.

გენერალი ჩაჩიბაიას (2021) მოსაზრებით, ზემოაღნიშნული მიზნების ჭრილში ძალიან მნიშვნელოვანია საქართველომ დიდი ყურადღება მიაქციოს 3 ძირითადი კომუნიკაციის ხაზის სტრატეგიული შესაძლებლობების განვითარება ესენია: სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო.

სახმელეთო მიმართულებით:

- საკუთარ ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ენერგო მატარებლების გატარების პოლიტიკის გაგრძელება;
- სტრატეგიული დანიშნულების სარკინიგზო ხაზების განვითარება და მშენებლობა;
- სწრაფმავალი მაგისტრალების განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს NATO-ს ტვირთების სწრაფ და ეფექტურ გატარებას ევროპისა და აზიის მიმართულებით;
- საქართველოში ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარება (ე.წ. ლოჯისტიკური ჰაბი), რომელიც უზრუნველყოფს NATO-ს ოპერაციების მხარდაჭერას ავღანეთსა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე და სამომავლო მისიებში.

საჰაერო მიმართულებით:

- თანამედროვე საჰაერო მიმოსვლის პროცესის მხარდაჭერის მიზნით საერთაშორისო აეროპორტის გაფართოება;

- ტვირთების გადაზიდვებისთვის ცალკე საერთაშორისო აეროპორტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა;
- ვაზიანის სამხედრო აეროპორტის ინფრასტრუქტურის აღდგენა.

საზღვაო მიმართულებით:

- პორტების ინფრასტრუქტურის განვითარება და გამტარუნარიანობის შესაძლებლობების გაზრდა;
- ფოთის მოქმედი პორტის გაძლიერებას და ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის დასრულება.

გენერალ ჩაჩიბაიას განმარტებით ზემოაღნიშნული სამივე კომპონენტის განვითარება ხელს შეუწყობს, როგორც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, ასევე შექმნის NATO-ს სამხედრო დანიშნულების ტვირთების ოპერატიულ, სწრაფ და უსაფრთხო გადაადგილების შესაძლებლობას, რომელიც მნიშვნელოვანია მოქმედების თეატრში ოპერირებადი ქვედანაყოფების დროული ლოჯისტიკური უზრუნველყოფისთვის (ჩაჩიბაია, ინტერვიუ IV, 2021).

NATO-ში საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე დავით ნარდაია (2021) საქართველოს მთავრობის მიერ გასატარებელ ღონისძიებებს შემდეგი მიმართულებით აყალიბებს:

1. იმ რეფორმების განხორციელება, რომლებიც გაწერილია ANP-ში და უზრუნველყოფს NATO-სთან პოლიტიკურ თავსებადობას;
2. თავდაცვის ძალების ტრანსფორმაციის გაგრძელება, რაც უზრუნველყოფს NATO-ს სტანდარტებთან კიდევ უფრო მეტ თავსებადობას;
3. დიპლომატიური მიმართულებით აქტიური მუშაობა, რათა უზრუნველყოფილ იქნას კონსენსუსი წევრ-ქვეყნებს შორის გაწევრიანების ვადებთან დაკავშირებით (ნარდაია, ინტერვიუ II, 2021).

საქართველოში საფრანგეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩის დიეგო კოლასის (2021) აზრით

მნიშვნელოვანია საქართველოს მიერ დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების, სატრანზიტო გზებისა და მარშუტების, პორტების,

ნავთობსადენებისა და გაზსადენებისა და ელექტრო სისტემის განვითარება. ასევე მნიშვნელოვანია საქართველომ გააგრძელოს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, შეინარჩუნოს წამყვანი ადგილი ბიზნესის კეთების კუთხით მთელს ევროპაში, გააგრძელოს დამოუკიდებელი სასამართლოს სისტემის განვითარების კუთხით დაწყებული რეფორმები, კორუფციასთან ბრძოლა და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესზე რა თქმა უნდა ძალიან დადებითად მოქმედებს და საქართველომ უნდა გააგრძელოს ზემოაღნიშნული მიმართულებების კიდევ უფრო განვითარება, აღიშნავს კოლასი (კოლასი, ინტერვიუ III).

ძალიან საინტერესო პასუხს გვთავაზობს საფრანგეთის ელჩი კითხვაზე - თუ რა უნდა გააკეთოს საქართველოს მხარემ, რომ მოიპოვოს საფრანგეთის მხარდაჭერა NATO-ში გაწევრიანების გზაზე? კოლასი (2021) აღნიშნავს, რომ „უმნიშვნელოვანესია ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკური ცხოვრების არსებობა, რათა დაინახოს არამარტო ფრანგულმა საზოგადოებამ, ასევე ევროპის ქვეყნებმა საქართველოში არსებული რთული პოლიტიკური სიტუაციის გადაჭრისკენ გადადგმული ნაბიჯები. ამის შემდგომ უნდა აღინიშნოს დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების პროცესის გაგრძელების აუცილებლობა. განსაკუთრებით გამოვყოფდი, როგორც სამართლიანი არჩევნების და სასამართლოს სისტემის განვითარების, ასევე კორუფციასთან ბრძოლის გაგრძელების პროცესის აუცილებლობას. კარგი მაგალითი აჩვენა საქართველოს მთავრობამ COVID 19-თან ბრძოლის უზრუნველსაყოფად გადადგმული ეფექტური ნაბიჯებისა და გატარებული კრიზისების მართვის პოლიტიკის მიმართულებით. ასევე ქვეყანაში არსებული თავისუფალი მედია, რომელსაც შეუძლია აკონტროლოს და გააკრიტიკოს ხელისუფლების პოლიტიკა წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს ძალიან კარგ ინდიკატორს, რომლის შენარჩუნებაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია დემოკრატიული სახელმწიფოსთვის. თავისუფალი მედია წარმოადგენს გარანტს რომელიც აიძულებს ხელისუფლებას, რომ არ დაშორდეს საკუთარ მოსახლეობას და იმყოფებოდეს მათთან მუდმივ კომუნიკაციაში. ჩემი აზრით აღნიშნული მიმართულებები წარმოადგენს იმ ფაქტორებს რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს პოსტ-საბჭოთა ქვეყნის ტრანსფორმაციას წარმატებულ ევროპულ სახელმწიფოდ (კოლასი, ინტერვიუ III, 2021).

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ამერიკის შეერთებული შტატების მრჩეველის რობერტ ჰამილტონი (2021) ორ მნიშვნელოვან მიმართულებას უწევს რეკომენდაციას. მისი მოსაზრებით მნიშვნელოვანია საქართველოს თავდაცვის ძალებმა გააგრძელონ მუშაობა NATO-სთან მაქსიმალური თავსებადობის მისაღწევად, როგორ ინსტიტუციურ ასევე აღსრულების ქვედა დონეზე, რაც მისცემს მას საშუალებას საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს NATO-ს მისიებში ქვედანაყოფების სწრაფი და ეფექტური წარგანა, ხოლო მეორე მხრივ დაეხმარება თავდაცვის ძალებს ოპერატიული დონეზე ქვედანაყოფების შესაძლებლობების მაქსიმალურ შენარჩუნებასა და გაძლიერებაში. მეორე მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საქართველოს მიერ ტოტალური თავდაცვის სისტემის ამოქმედება, განვითარება და შენარჩუნება, რაც არა მხოლოდ უზრუნველყოფს საომარ სიტუაციაში მოწინააღმდეგის შეკავების ღონისძიებებს, ასევე დაარწმუნებს NATO-ს წევრ ქვეყნებს, რომ საქართველო სერიოზულად ეკიდება საკუთარი თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებას. (ჰამილტონი, ინტერვიუ IV, 2021).

სამხრეთ კავკასიაში NATO-ს სამხედრო მეკავშირე ოფიცრის, ლიეტუვის რესპუბლიკის პოლკოვნიკ გინტარას ბაგდონასის (2021) აზრი, საქართველომ პირველ ადგილზე უნდა დააყენოს პოლიტიკური და დიპლომატიური დონის ძალისხმევა, პირველი გულისხმობს სახელმწიფო ინსტიტუციურ დონეზე რეფორმირების პროცესის მაქსიმალურ დაჩქარებას, ხოლო მეორე საგარეო ურთიერთობების დონეზე დიპლომატიური ძალისხმევის მაქსიმალურ გაძლიერებას (ბაგდონასი, ინტერვიუ V, 2021).

საქართველოს ყოფილი გენერალური შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი (2021) აღნიშნავს, რომ „საქართველომ უნდა შესძლოს თავის სტრატეგიული „კოზირის“ გეოგრაფიული ფაქტორის რაციონალურად გამოყენება. ამავდროულად უნდა გაძლიერდეს საქართველოს თავდაცვის სისტემის მნიშვნელობის უფრო მეტი წარმოჩინება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში. უფრო მარტივად, რომ ვთქვათ საქართველომ უნდა იპოვოს NATO-ში თავისი მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული „ნიშა“ (ნიკოლეიშვილი, ინტერვიუ VI).

4.2 საქართველოსა და ჩრდილოეთ მაკედონიის შედარებითი ანალიზი NATO-ს წევრობის ძირითად მოთხოვნებთან მიმართებაში

ნაშრომის უკვე განვიხილეთ ალიანსის ოფიციალური მოთხოვნები, NATO-ში ახალი წევრების დაშვების წინაპირობები და ასევე საქართველოს მიერ ალიანსის წევრობისკენ განვლილი გზა. 13 წელი გავიდა NATO-ს ბუქარესტის სამიტიდან, სადაც ალიანსის წევრების მიერ გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ საქართველო და უკრაინა აუცილებლად გახდებიან ნატოს წევრები. აღნიშნული პოზიცია კიდევ ერთხელ დადასტურდა 2021 წლის 14 ივნისს ბრიუსელში გამართულ NATO-ს სამიტის დეკლარაციით, მაგრამ საქართველოს საკითხთან დაკავშირებით პოლიტიკურ დონეზე ალიანსის წევრებს შორის ერთსულოვანი, ნათელი და ძლიერი პოზიცია საქართველოს საბოლოო წევრობაზე გადასვლის საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული. ერთის მხრივ, ცალსახად ნათელია საქართველოს მხრიდან ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის გზაზე მიღწეული დიდი პროგრესი და შეტანილი დიდი წვლილი ალიანსის მისიებსა და ოპერაციებში, რომელსაც თითქმის ყველა NATO-ს წევრი ქვეყანა აღიარებს, მაგრამ მეორეს მხრივ, ის ფაქტი, რომ საბოლოო ინტეგრაციის პერსპექტივა ახლო მომავალში ბუნდოვანი რჩება ალიანსის მხრიდან, როგორც ქართულ ასევე საერთაშორისო საზოგადოებაში გარკვეულ კითხვის ნიშნებს აჩენს. ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვის ნიშანი, რა თქმა უნდა ასოცირდება საქართველოს მხრიდან NATO-ს წევრობისთვის დადგენილი კრიტერიუმების შესრულების საკითხთან.

ძალიან საინტერესოა NATO-ში გაწევრიანებს ძირითადი კრიტერიუმებთან თავსებადობის კუთხით საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ყველაზე ახალი წევრი სახელმწიფოს ჩრდილოეთ მაკედონიის (შემდგომში - მაკედონია) შორის შედარებითი ანალიზის განხორციელება, რაც დაგვეხმარება აღნიშნულ საკითხზე პასუხების მოძებნაში.

2020 წლის 27 მარტს ჩრდილოეთ მაკედონია ოფიციალურად გახდა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის 30-ე წევრი სახელმწიფო. ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია 1995 წელს შეუერთდა NATO-ს პროგრამას პარტნიორობა მშვიდობისთვის. ალიანსმა მაკედონიისთვის MAP-ის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო 1999

წელს, რის შემდგომაც ქვეყანა NATO-ს წევრობისთვის მომზადების ბოლო პლატფორმაზე გადავიდა. მაკედონიამ დიდი ძალისხმევა დახარჯა წევრობის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული კრიტერიუმების კუთხით განსახორციელებელი რეფორმების მიმართულებით. მაკედონია მონაწილეობდა კოსოვოს, ერაყისა და ავღანეთის მისიებში (როგორც ISAF-ში, ასევე RSM-ში). მაკედონია დღემდე მონაწილეობს ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში წარმოებულ NATO-ს მტკიცე მხარდაჭერის მისიაში.

იმის მიუხედავად, რომ მაკედონიამ დიდი ძალისხმევა დახარჯა სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარების კუთხით, საბოლოო გადაწყვეტილება ალიანსის მიერ მაკედონიის წევრობაზე გადასვლასთან დაკავშირებით მიღებული იქნა 2018 წელს NATO-ს ბრიუსელის სამიტზე. ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიისთვის NATO-ში გაწევრიანების გზაზე მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა აღმოჩნდა საბერძნეთთან უთანხმოება ქვეყნის სახელწოდება „მაკედონია“-სთან დაკავშირებით. აღნიშნული უთანხმოების მიზეზის ფესვები მოდის 1991 წლიდან, როდესაც მაკედონიელებმა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის შემდეგ ჩამოაყალიბეს მაკედონიის რესპუბლიკა. თავის სტატიაში ბორის გრდანოსკი (Grdanoski, 2019) აღნიშნავს, რომ მთავარი პრობლემას მაკედონიასა და საბერძნეთს შორის წარმოადგენდა ის, რომ საბერძნეთს უკვე გააჩნდა მსგავსი ისტორიული დასახელების რეგიონი, რომლის სახელსაც მაკედონია წარმოადგენს. საბერძნეთსა და მაკედონიის რესპუბლიკას შორის სახელის გამო დავა 27 წელი მიმდინარეობდა. საბერძნეთის ახლანდელი მთავრობაც მოითხოვდა სახელის ცვლილებას მაკედონიის რესპუბლიკისგან.

მას შემდეგ რაც განხორციელებული რეფორმების შედეგად მაკედონია უფრო ახლოს მივიდა ალიანსის საბოლოო წევრობასთან, ქვეყნის სახელის შესახებ საბერძნეთთან არსებულმა უთანხმოებამ კიდევ ერთხელ წამოიწია წინა პლანზე. აღნიშნული უთანხმოების საფუძველზე NATO-ს წევრმა საბერძნეთმა 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე მაკედონია მისი კულტურული მემკვიდრეობის ითვისებაში დაადანაშაულა და დაბლოკა ალიანსის გაფართოების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება მაკედონიასთან მიმართებაში. ალიანსის წევრი ქვეყნები აღნიშნულ

სამიტზე შეთანხმდნენ, რომ ალიანსი მიიღებდა მაკედონიას წევრობას მას შემდეგ, როგორც კი გადაწყდებდა მაკედონიასა და საბერძნეთს შორის ქვეყნის სახელთან დაკავშირებული უთანხმოება. 2018 წლის 12 ივნისს მაკედონიის პრემიერ-მინისტრმა ზორან ზაევმა განაცხადა, რომ ათენი და სკოპიე შეთანხმდნენ სახელწოდებაზე „ჩრდილოეთ მაკედონია“-ზე. 2019 წლის 11 იანვარს მაკედონიის პარლამენტი ოფიციალურად დაეთანხმა ქვეყნის სახელის ცვლილებას, ხოლო 2020 წლის 27 მარტს ჩრდილოეთ მაკედონია სავალდებულო პროცედურების გავლის შემდგომ ოფიციალურად გახდა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის 30-ე წევრი სახელმწიფო (reginfo.ge, 2018).

ძალიან საინტერესოა ერთმანეთს შევადაროთ საქართველოსა და ჩრდილოეთ მაკედონიის პროგრესი NATO-ს MAP-ის ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით წევრობისკენ მიმავალ გზაზე. ერევანის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორს ერიკ დავითიანს (Davtyan, 2018), სლოვაკეთის სტრატეგიული პოლიტიკის ინსტიტუტის საიტზე გამოქვეყნებულ ნაშრომში „NATO-ს გაფართოების გეოპოლიტიკური წესები: მაკედონიისა და საქართველოს შემთხვევა,“ კარგად აქვს აღწერილი რამოდენიმე მიმართულებით ჩრდილოეთ მაკედონიისა და საქართველოს მიერ NATO-ს წევრობისკენ გავლილი გზა. აღნიშნულ ნაშრომში დავითიანი ცდილობს დაამტკიცოს საკუთარი პოზიცია, რომლის მიხედვითაც საქართველოს ინტეგრაციის პროცესის შეფერხება NATO-სკენ მიმავალ გზაზე გამოწვეულია გეოპოლიტიკური ფაქტორების ზემოქმედებით და არა NATO-ს მოთხოვნებთან და კრიტერიუმებთან შეუთავსებლობით.


NATO-ს წევრობისთვის ყველაზე უმთავრესი კრიტერიუმი რისი დაკმაყოფილებაც ნებისმიერ NATO-ს წევრ სახელმწიფოს უნდა შეეძლოს - არის ალიანსის წევრი სახელმწიფოების სამხედრო ქვედანაყოფებთან თავსებადი, მაღალი საბრძოლო მზადყოფნის მქონე თავდაცვის ძალების არსებობა, რომელსაც შესწევს უნარი წვლილი შეიტანოს NATO-ს კოლექტიური უსაფრთხოების დაცვისა და შენარჩუნების პროცესში ალიანსის მიერ წარმოებულ მისიებსა და ოპერაციებში. აღნიშნული შედარებისას გამოჩნდა ერთი მხრივ საქართველოს თავდაცვის ძალების უპირატესობა, ხოლო მეორე

მხრივ წამოიწია იმ ფაქტმა, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს თავდაცვის ძალებს ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის პროცესებში.

თუ შევადარებთ საქართველოსა და მაკედონიის მონაწილეობას სამ მთავარ საერთაშორისო მშვიდობის მხარდაჭერის კუთხით წარმოებულ მრავალეროვნულ მისიაში: მრავალეროვნული ერაყის ძალებში (MNF-I), ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში საერთაშორისო უსაფრხოების დამხმარე ძალებსა (ISAF) და მტკიცე მხარდაჭერის მისიაში (RSM), ნათელი გახდება, რომ საქართველოს როლი არის ძალიან მაღალი ვიდრე ჩრდილოეთ მაკედონიის კონტრიბუცია. უფრო მეტიც საქართველოს თავდაცვის ძალები წლებია NATO-ს წევრ და არაწევრ სახელმწიფოებს შორის ერთ-ერთი უდიდესი კონტრიბუტორის სახელით სარგებლობს ალიანსის მისიებსა და ოპერაციებში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებამდე 2200 სამხედრო მოსამსახურე ყავდა ერაყის რესპუბლიკაში და ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის შემდეგ სამხედრო კონტინგენტის სიდიდით მე-3 ქვეყანას წარმოადგენდა მისიაში (Georgia M.), მაშინ, როცა ჩრდილოეთ მაკედონიის კონტრიბუცია ერაყში მაქსიმუმ ორი ოცეულის მონაწილეობით შემოიფარგლებოდა.


თუ შევადარებთ ჩრდილოეთ მაკედონიისა და საქართველოს თავდაცვის ძალების მონაწილეობას NATO-ს მისიაში ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში ვნახავთ, რომ საქართველო 2012 წელს მისიაში 1560 სამხედრო მოსამსახურით იყო წარმოდგენილი, მაშინ როცა მაკედონიის კონტინგენტი 157 ჯარისკაცამდე მერყეობდა (NATO, 2012). 2018 წლის მონაცემებით ავღანეთში 870 სამხედრო მოსამსახურე ასრულებდა მისიას, ხოლო მაკედონიას 47 სამხედრო მოსამსახურე ჰყავდა RSM-ში (დიაგრამა 6) (NATO, 2020).

ამერიკის შეერთებული შტატების არმიის ევროპის სარდლობის მეთაური გენერალი კურტის სკაპაროტი (Scaparrotti, 2018) აღნიშნავს: „საქართველო არის ყველაზე დიდი NATO-ს არაწევრი ქვეყანა ძალების კონტრიბუციის კუთხით ამერიკის შეერთებული შტატებისა და NATO-ს ძალების გვერდით ავღანეთში, და ერთ სულ მოსახლეზე წარმოდგენილ ჯარისკაცთა შეფარდებით არის პირველ ადგილზე ვიდრე მისიაში მონაწილე ნებისმიერი სხვა ქვეყანა.“



რაოდენობრივი მონაცემები NATO-ს ISAF-სა და RSM-ის მისიაში საქართველოსა და მაკედონიის თავდაცვის ძალების მონაწილეობის შესახებ
 წყარო: შექმნილია ავტორის მიერ წყაროზე დაყრდნობით - NATO და ავღანეთი (www.nato.int, 2021)

აგრეთვე, თავდაცვაზე ყოველწლიურად ბიუჯეტიდან გამოყოფილი საკმარისი ხარჯები არის შემდეგი NATO-ს მოთხოვნებთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის დამოკიდებულების მტკიცებულებას მისი თავდაცვის შესაძლებლობების მშენებლობის, განვითარებისა და შენარჩუნების სტრატეგიასთან. NATO-სთვის სასურველი მინიმალური სამხედრო ხარჯი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტის 2 პროცენტს წარმოადგენს ალიანსის წევრი ქვეყნებისთვის, თუმცა აღნიშნულ მოთხოვნას არათუ პარტნიორი, არამედ თვითონ ალიანსის წევრი ქვეყნების უმრავლესობაც ვერ აკმაყოფილებს.



Source: SIPRI

საქართველოსა და მაკედონიის სამხედრო დანახარჯები მთლიანი შიდა პროდუქტის პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით.


წყარო: ერიკ დავითიანის ნაშრომი - „NATO-ს გაფართოების გეოპოლიტიკური წესები: მაკედონიისა და საქართველოს შემთხვევა“ (Davtyan, 2018)

აღნიშნული სტატისტიკა წარმოაჩენს საქართველოს მიერ თავდაცვის ბიუჯეტზე გამოყოფილი საბიუჯეტო ფინანსებს რომელიც უკვე წლებია სჭარბობს ყოველწლიურად მთლიანი შიდა პროდუქტის 2 პროცენტთან მინიმუმს. მაკედონიის შემთხვევაში კი პირიქითაა ყველაზე მაღალი 2 პროცენტთან მიახლოებული (1.7%) მაჩვენებელი ქვეყანას 2008 წელს ჰქონდა და მას შემდეგ სულ უფრო და უფრო დაბალ მაჩვენებელს ვხვდებით, დაახლოებით პროცენტის ფარგლებში (დიაგრამა 2).

NATO-ს ასპირანტი ქვეყნების მიერ დემოკრატიული ღირებულებების მხარდაჭერა, განსაკუთრებით ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობის, პიროვნებისა და ეკონომიკური თავისუფლების და სოციალური სამართლიანობის კუთხით MAP-ის ერთ-ერთი მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს. ქვემოთ მოყვანილი მონაცემები წარმოაჩენს, რომ რივე ქვეყანას თითქმის ერთნაირი ქულები აქვთ დემოკრატიის ინდექსის მიხედვით ბოლო წლების განმავლობაში, მაგრამ აღსანიშნავია

რომ 2015 წლიდან საქართველო, თუმცა უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც უსწრებს მაკედონიას და ინარჩუნებს ამ პოზიციას 2017 წლამდე (დიაგრამა 3).


დიაგრამა 3



Source: The Economist Intelligence Unit

საქართველოსა და მაკედონიის მაჩვენებლები დემოკრატიული ინდექსის მიხედვით 2008-2017 წლებში (სკალაზე 0-დან - 10-მდე)
წყარო: (Davtyan, 2018)

ერიკ დავთიანი (Davtyan, 2018), აღნიშნავს, რომ Freedom House-ის კვლევაში „თავისუფლება მსოფლიოში“ ქვეყნებს აფასებს იმის მიხედვით, თუ რამდენად აქვთ დაცული მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებები და სამოქალაქო თავისუფლებები. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი წარმოაჩენს იგივე ტენდენციას. 2008 წელს მაკედონია იყო უფრო თავისუფალი ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებში, როცა 2015 წლიდან აღნიშნული მაჩვენებლები საქართველოს სასარგებლოდ შეიცვალა (დიაგრამა 4).




Source: Freedom House

საქართველოს და მაკედონიის მონაცემები Freedom House-ის 2008-2018 წლების კვლევის მიხედვით - „თავისუფლება მსოფლიოში,“ რომელიც ზომავს მოქალაქეთა პოლიტიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს 7-დან 1-მდე სკალის მიხედვით (7-უარესი, 1-უკეთესი). წყარო: (Davtyan, 2018)

საქართველო ასევე უსწრებს მაკედონიას მოსახლეობის ცხოვრების დონის შეფასების კუთხითაც. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის ფარგლებში 2000 წელს განხორციელებული კვლევის მიხედვით მოქალაქეთა ცხოვრების დონის მიხედვით საქართველო და მაკედონია თითქმის თანაბარ დონეზე იყვნენ, მაგრამ იგივე თემაზე 2017 წელს განხორციელებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველომ დაიკავა მსოფლიოში 70-ე ადგილი (0.786 ქულით) (United Nations, 2018), ხოლო მაკედონია მე-80 ადგილზე გავიდა (0.757 ულით) (United Nations, 2018).

პოლიტიკური ინდიკატორების გარდა მნიშვნელოვანია ასევე აღნიშნული ქვეყნების შედარება ეკონომიკური მიმართულებით განხორციელებული რეფორმების კუთხით, რომელშიც საქართველო ისევ მოწინავე პოზიციას იკავებს. ქვემოთ, ცხრილში მოყვანილი მონაცემები აჩვენებს რომ მიუხედავად მაკედონიის მაჩვენებლების სტაბილური ზრდის ტენდენციისა ბოლო 10 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველო ამ მიმართულებითაც სჯობნის აღნიშნულ ქვეყანას (დიაგრამა 5).

Georgia and Macedonia's Performance according to Index of Economic Freedom, 2008-2018



Source: The Heritage Foundation

საქართველოსა და მაკედონიის მაჩვენებლების შედარება ეკონომიკური თავისუფლების მიხედვით

წყარო: The heritage Foundation – Index of Economic Freedom

The Heritage Foundation-ის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევის მონაცემების თანახმად, საქართველო ეკონომიკური თავისუფლების მიხედვით მნიშვნელოვნად წაიწია წინ და ევროპაში მე-8 ადგილი დაიკავა, 44 ქვეყანას შორის, ხოლო მსოფლიოს 180 ქვეყნიდან მე-16 პოზიცია. აღნიშნულ წელსაც უსწრებს საქართველო ჩრდილოეთ მაკედონიას, რომელიც 180 ქვეყნიდან 33-ე ადგილზე გავიდა (Miller, Kim, 2019).

საქართველოსა და ჩრდილოეთ მაკედონიის შედარებითი ანალიზის შედეგად შეიძლება დასკვნების გაკეთება, რომლის მიხედვითაც მითი, რომ საქართველო ვერ აკმაყოფილებს NATO-ს წევრობისთვის დადგენილ აუცილებელ კრიტერიუმებს რეალობას არ შეესაბამება. აღნიშნული შედეგები ცხადყოფს, რომ მხოლოდ ქვეყნების მიერ ალიანსის წევრობისთვის დადგენილი მოთხოვნების შესრულება არ წარმოადგენს მთავარ ინდიკატორს, რომელიც პირდაპირ კავშირში იქნება ამ ქვეყნების ალიანსში ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებასა თუ შენელებასთან.

თადარიგის პოლკოვნიკი რობერტ ი. ჰამილტონი (Hamilton, 2016), ასოცირებული პროფესორი ევრაზიული სწავლების მიმართულებით ამერიკის არმიის ომის კოლეჯში

თავის სტატიაში „საქართველოს ჩრდილოატლანტიკური მისწრაფებები: რიტორიკა თუ რეალობა,“ აღნიშნავს, რომ „პრობლემა, რა თქმა უნდა არის რუსეთი. NATO-ს წევრი ქვეყნების ლიდერებს არ აქვთ არანაირი სურვილი გარისკონ მოსკოვის მრისხანება საქართველოს ალიანსში მიპატიჟებით.“ ჰამილტონი ასევე ხაზს უსვავს, რომ „საქართველო NATO-ს ეკუთვნის. მან დააკმაყოფილა NATO-სგან დაწესებული ყველა ნიშნული და მიმდინარე ეტაპზე უფრო მეტად მომზადებულია NATO-ში გასაწევრიანებლად, ვიდრე ნებისმიერი პოსტ-კომუნისტური ქვეყანა იყო მათი ალიანსში დაშვების მომენტისთვის“ (Hamilton, 2016).

საქართველოს მიერ ალიანსის წევრობისკენ გავლილი ძალისხმევის მიმოხილვა, ისევე, როგორც ჩრდილოეთ მაკედონიისა და საქართველოს შედარებითი ანალიზი NATO-ს წევრობისთვის დადგენილ ძირითად მოთხოვნებთან მიმართებაში, ცხადყოფს, რომ საქართველო ნამდვილად აჭარბებს ალიანსის წევრობისთვის დადგენილ საბაზისო კრიტერიუმებს და მისი ინტეგრაციის ხელისშემშლელ მიზეზებს უფრო გეოპოლიტიკური ფაქტორები განაპირობებენ, ვიდრე მის მიერ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობისთვის დადგენილი რაიმე კონკრეტული მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა ან შეუსრულებლობა.

კვლევის შედეგები

კვლევის საფუძველზე მიღებული ინფორმაციის ანალიზმა წარმოაჩინა NATO-ს წევრობის ძირითად მოთხოვნებთან თავსებადობის კუთხით საქართველოს მიერ მიღწეული დიდი პროგრესი. NATO-ს წევრობისთვის დადგენილი ძირითად მოთხოვნებთან მიმართებაში განხორციელდა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, და სამხედრო სისტემების საფუძვლიანი შესწავლა და ანალიზი.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველო სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და სამშვიდობო პოლიტიკის მიმართულებით სრულად აკმაყოფილებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობისთვის დადგენილ მოთხოვნებს. ის არის NATO-ს მოწინავე ასპირანტი ქვეყანა და ალიანსის ღირსეული პარტნიორი, რომელმაც ძალიან დიდი წვლილი შეიტანა საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების კუთხით მრავალეროვნულ მისიებსა და ოპერაციებში კოსოვოში, ერაყსა და ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკებში. ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსს საქართველოს შესახებ მიღებული აქვს გადაწყვეტილება, რომ საქართველო აუცილებლად გახდება NATO-ს წევრი, რასაც ადასტურებს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ოფიციალური პოზიციები საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესთან დაკავშირებით ბუქარესტის, სტრასბურგისა და კელის, ლისაბონის, ჩიკაგოს, ნიუპორტისა და კარდიფის, ვარშავის, ვატფორდისა და ბრიუსელის, სამიტებსა და ოფიციალურ მინისტერიალებზე.

ასევე გამოიკვეთა თავდაცვის ძალების მიერ განხორციელებული უმნიშვნელოვანესი რეფორმები, როგორც უმაღლეს ინსტიტუციურ დონეზე, ასევე ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე პერსონალის მართვის სისტემის რეფორმირების პროცესიდან დაწყებული, ქვედანაყოფების NATO-ს სტანდარტების შეიარაღებით აღჭურვის, ქვედანაყოფებში განხორციელებული სამტატო-სტრუქტურული რეორგანიზაციისა და სტანდარტიზაციის პროცესებით დასრულებული. ასევე დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს საქართველოს თავდაცვის ძალების მიერ გამოვლენილი

საერთაშორისო მრავალეროვნული სწავლებების განხორციელების შთამბეჭდავი შესაძლებლობები, რომლებიც ყოველწლიურად ხორციელდება საქართველოში და ათასობით სამხედრო მოსამსახურეს მასპინძლობს NATO-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნებიდან.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა, ისევე როგორც კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებული სამშვიდობო პოლიტიკა სრულ შესაბამისობაშია ალიანსის წევრობისთვის დადგენილ მოთხოვნებთან. თუმცა დღემდე რჩება გარკვეული კითხვები ისეთი დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების პროცესის გაგრძელების აუცილებლობის კუთხით, როგორცაა სამართლიანი არჩევნებისა და სასამართლოს სისტემები, ასევე კორუფციასთან ბრძოლის გაგრძელებისა და სიტყვის თავისუფლების უზრუნველყოფის კუთხით გასატარებელი აუცილებელი ღონისძიებები.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ეთნიკური თუ ტერიტორიული კონფლიქტების არსებობის პრობლემა არ წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს საქართველოს ალიანსში გაწევრიანების გზაზე. გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, ესპანეთისა და საბერძნეთ-თურქეთის მაგალითების განხილვისას ჩვენ ვნახეთ, რომ როგორც ალიანსში გაწევრიანებამდე, ასევე ალიანსში შესვლის შემდეგ აღნიშნულ ქვეყნებს რიგ შემთხვევებში გააჩნდათ მოუგვარებელი ეთნიკური თუ ტერიტორიული კონფლიქტები, რომელსაც მათი NATO-ში გაწევრიანების პროცესისთვის ხელი არ შეუშლია, და არც რომელიმე მათგანი გაურიცხიათ აღნიშნულ კონფლიქტებში მონაწილეობის გამო ალიანსის წევრობიდან. NATO-ს მხრიდან საქართველოს მისამართით მიღებულ არც ერთ ოფიციალურ დოკუმენტში არ ფიქსირდება, რომ აღნიშნული კონფლიქტები წარმოადგენს ხელისშემშლელ ფაქტორს საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის გზაზე. მითუმეტეს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული კონფლიქტების გასაღები იმყოფება რუსეთის ხელში, რომელზე წვდომის რეალური ბერკეტები არსებული მდგომარეობით საქართველოს არ გააჩნია.

ჩრდილოეთ მაკედონიისა და საქართველოს შედარებითმა ანალიზმა NATO-ს წევრობისთვის დადგენილ ძირითად მოთხოვნებთან მიმართებაში, ცხადყო, რომ

საქართველო ნამდვილად აჭარბებს ალიანსის წევრობისთვის დადგენილ საბაზისო კრიტერიუმებს და მისი ინტეგრაციის ხელისშემშლელ მიზეზებს უფრო გეოპოლიტიკური ფაქტორები განაპირობებს, ვიდრე მის მიერ ალიანსის რაიმე კონკრეტული მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა ან შეუსრულებლობა. მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორს წარადგენს კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონში რუსეთის ეროვნული ინტერესების გაძლიერების აქტიური და კარგად გააზრებული პოლიტიკა, რომელიც ჰიბრიდული შესაძლებლობების გამოყენების საშუალებით ერთი მხრივ მიმართულია რეგიონზე გავლენის სფეროს შენარჩუნებისა და გაძლიერებისკენ, ხოლო მეორე მხრივ მის სამხრეთ საზღვრებთან NATO-ს გაფართოების პოლიტიკისა და ამერიკის ეროვნული ინტერესების განეიტრალებისკენ.

კვლევის საფუძველზე დადასტურდა, რომ საქართველო სრულად აკმაყოფილებს NATO-ში გაწევრიანებისათვის დადგენილ აუცილებელ კრიტერიუმებს. მან ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო კუთხით გატარებული ძალისხმევით უკვე მრავალჯერ დაამტკიცა, რომ ის ალიანსის წევრობის დამსახურებული კანდიდატია. შესაბამისად ალიანსის მხრიდანაც საქართველო აღიარებულია, როგორც დიდი შესაძლებლობების მქონე მოწინავე ასპირანტი ქვეყანა, რომელიც აუცილებლად შეუერთდება ალიანსს და რომელსაც გააჩნია NATO-სთან თანამშრომლობის ყველა პრაქტიკული მექანიზმი, რომელიც საჭიროა NATO-ს წევრობისთვის მოსამსზადებლად.

ისმის შეკითხვა - *თუ საქართველო აკმაყოფილებს NATO-ს წევრობის ძირითად მოთხოვნებს, რა არის მიზეზი იმისა რომ ჯერ კიდევ არ არის ალიანსის მხრიდან მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილება ან დროში გაწერილი გეგმა საქართველოს ალიანსის წევრად მიღებასთან დაკავშირებით?*

ჩემს მიერ განხორციელებული კვლევის საფუძველზე მივედით დასკვნამდე, რომ საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის პროცესის მთავარი ხელისშემშლელ გამოწვევას წარმოადგენს NATO-ს წევრი ქვეყნების ერთიანი პოლიტიკური ნების (კონსენსუსის) არარსებობა საქართველოს გაწევრიანების საკითხთან მიმართებაში, რომელზეც გავლენას ახდენს ქვემოთ მოყვანილი სამი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი.

პირველ და ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიული პოლიტიკა, რომელიც ჰიბრიდული ომის ელემენტებისა და საგარეო პოლიტიკის ხელთარსებული მექანიზმების გამოყენებით ყველანაირად ცდილობს ხელი შეუშალოს მის სამხრეთ საზღვრების მიმართულებით ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოების პროცესს. რუსეთის აღნიშნული პოლიტიკა, მიმართულია სამხრეთ კავკასიის რეგიონში მისი გეოპოლიტიკური ინტერესების მხარდაჭერისა და გავლენის სფეროს შენარჩუნების მცდელობისკენ.

გამოიკვეთა, რომ NATO-ს აღმოსავლეთით გაფართოების პოლიტიკის დასაბალანსებლად კავკასიის რეგიონში რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების გაძლიერების პროცესები, მიმართულია, როგორც საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შეფერხებისკენ, ასევე სამხრეთ კავკასიაში ამერიკის შეერთებული შტატების და NATO-ს ინტერესების განეიტრალებასთან. ხოლო, კავკასიის რეგიონში რუსეთის სამხედრო ძალების გაძლიერების პოლიტიკა პირდაპირ უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს NATO-ში გაწევრიანების პერსპექტივებზე და რეალობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ასეთ რთულ ვითარებაში ალიანსი კიდევ უფრო ფრთხილად და ყურადღებით ეკიდება საქართველოს NATO-ში გაწევრიანებისთვის მომზადების პროცესსა და პერსპექტივებს.

ნაშრომში წარმოდგენილი საერთაშორისო ურთიერთობების ნეორეალიზმის თეორია კარგად ხსნის რუსეთის ქცევასა და პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებაში, რომლის მიხედვით ქვეყნებს რთულ და ანარქიულ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში უწევთ გზის გაკვალვა, სადაც სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები თვითგადარჩენასა და სახელმწიფო უსაფრთხოებაზე ზრუნვით არის განპირობებული. ნეორეალიზმის თეორიის ჭრილში თუ შევხედავთ, რუსეთის ფედერაციისთვის თვითგადარჩენაზე ზრუნვა საკუთარი საზღვრების დაცვის პოლიტიკიდან რეგიონული დომინანტის პოზიციის შენარჩუნებასა და მის კიდევ უფრო გაზრდამდე მერყეობს. რუსეთი ცდილობს ერთი მხრივ დააბალანსოს მის სამხრეთ საზღვრების მიმართულებით არსებული საფრთხეები, რომლის სტრატეგიაც სამხრეთ კავკასიის რეგიონში რუსეთის დომინანტობის შესუსტებისკენაა მიმართული, ხოლო მეორე მხრივ აიძულოს

საქართველო, რათა რუსული ინტერესების მიმართულებით არსებული ძალთა ბალანსის პოზიციიდან გადავიდეს რუსეთისადმი მიტმასნების პოლიტიკაზე. საერთაშორისო სისტემის ანარქიულმა ბუნებამ რუსეთს საშუალება მისცა საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში და ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე განეხორციელებინა ძალაუფლების მაქსიმიზაცია სამხრეთ კავკასიის რეგიონში დომინანტობის მოპოვების მიზნით, რისი რეალიზებაც რუსეთმა რაციონალური და თანმიმდევრული მიდგომის საფუძველზე განახორციელა.

საინტერესოა ასევე რუსეთის ქცევის რეალიზმის თეორიის მირშიამერისეულ პრიზმაში განხილვა, რომლის მიხედვითაც პოტენციური საფრთხის ქვეშ მყოფი ქვეყნები მეტოქის დაბალანსებაზე ზრუნვას იწყებენ. სამხრეთ კავკასიის რეგიონში რუსეთის მხრიდან განხორციელებული პოლიტიკა აიხსნება სამხრეთ კავკასიის რეგიონზე შესაძლო გავლენისა და ტრანსკასპიურ რესურსებზე კონტროლი დაკარგვის საშიშროებით, რაც განაპირობა მის სამხრეთ საზღვრებთან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიახლოებისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების ზრდის პოლიტიკამ, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება რუსეთის ეროვნულ ინტერესებს.

მეორე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს რუსეთის მიერ შექმნილ რთულ უსაფრთხოების გამოწვევების პირობებში საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობების შეუსაბამობა არსებულ საფრთხესთან მიმართებაში. თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერება და სამომავლო განვითარება მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, ვინაიდან საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ ახალი შეიარაღებული აგრესიის განხორციელებისას, თუნდაც უკვე NATO-ს წევრობის პირობებში, საქართველოს თვითონ მოუწევს პირველადი შეკავების სამხედრო თავდაცვითი ოპერაციების უზრუნველყოფა. სწორედ აღნიშნული შესაძლებლობების განვითარებას ემსახურება NATO-საქართველოს თანამშრომლობის არსებული მექანიზმები, რათა საქართველომ შეძლოს საკუთარი თავდაცვის შესაძლებლობების მაქსიმალური განვითარება და გაძლიერება.

2008 წლის მაგალითზე ნათლად გამოჩნდა საქართველოს თავდაცვის ძალების იმ კრიტიკული შესაძლებლობების ნაკლებობა, რამაც საბრძოლო მოქმედებებში საბოლოო

მარცხამდე მიგვიყვანა. განსაკუთრებული გამოწვევები, რომლებიც რუსეთ-საქართველოს ომის დროს გამოიკვეთა დაკავშირებული იყო საჰაერო თავდაცვის, ანტი-სატანკო და საარტილერიო შესაძლებლობების შეუსაბამობასთან არსებულ საფრთხესთან მიმართებაში. ასევე გამოვლინდა სერიოზული ხარვეზები, როგორც რეზერვის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასთან, ასევე საბრძოლო მოქმედებების მართვისა და კონტროლის საკითხთან დაკავშირებით. ფაქტია, რომ როგორ ტაქტიკურ, ასევე ოპერატიულ და სტრატეგიულ დონეებზე NATO-საქართველოს თანამშრომლობა წარმატებულია, მაგრამ რეალობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საქართველოს სჭირდება თავდაცვითი შესაძლებლობების სერიოზული განვითარება, რათა თუნდაც საწყის ეტაპზე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში გაუმკლავდეს, რუსეთიდან წამოსულ შეიარაღებულ აგრესიას.

აღიშნული ფაქტორი კრიტიკული მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს, ვინაიდან, თუ რუსეთიგან თავდასხმის შემთხვევაში საქართველო ვერ მოახერხებს შეაკავოს მოწინააღმდეგე იმ გონივრული ვადით, რა დროც ალიანსის წევრი ქვეყნების სამხედრო ძალების მობილიზებას დასჭირდება სამხრეთ კავკასიის საბრძოლო ამფითეატრში, აღნიშნულ შემთხვევაში NATO ვერ შეძლებს დაიცვას სტატუს კვო და დაეხმაროს მის წევრ ქვეყანას. აღნიშნული გარემოება თავისთავად ერთერთ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს NATO-ს წევრი სახელმწიფოების მხრიდან საქართველოს საკითხთან დაკავშირებით კონსენსუსის მიღწევის მიმართულებით.

თუმცა, ალიანსის წევრი ქვეყნების უმრავლესობის მიერ რუსეთის შეიარაღებული აგრესიის შეჩერება, მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობების საშუალებით ძალიან არარეალურად გამოსჭვივის და სწორედ იმისთვის არის შექმნილი ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, რომ წევრმა ქვეყნებმა ერთობლივად და კოორდინირებული მოქმედებით შეძლონ პოტენციური დიდი ძალის მქონე აგრესორის შეკავება.

მესამე ფაქტორს, რომელსაც შეუძლია ალიანსის წევრი ქვეყნების კონსენსუსზე დადებითი ზეგავლენის მოხდენა, წარმოადგენს საქართველოს მიერ ისეთი დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების პროცესის გაგრძელების აუცილებლობა,

როგორცაა სამართლიანი არჩევნებისა და სასამართლოს სისტემები, კორუფციასთან ბრძოლა და სიტყვის თავისუფლების უზრუნველყოფის კუთხით გასატარებელი ღონისძიებები. განსაკუთრებით ყურადსაღებია ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის ამერიკის შერთებული შტატების რეკომენდაციების გათვალისწინება და შესრულება აღნიშნული მიმართულებით, ვინაიდან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წამყვან მოთამაშეს სწორედ ის წარმოადგენს. რა თქმა უნდა ასევე აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებაც.

კარგად ხსნის თავდაცვითი რეალიზმის თეორია საერთაშორისო ურთიერთობების ანარქიულ სისტემაში საქართველოს ძალისხმევას ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევებიდან გამომდინარე, თვითგადარჩენის პრინციპებზე დაყრდნობით შესაძლებლობების ფარგლებში აწარმოოს რუსეთის დაბალანსების პოლიტიკა, რომელსაც უოლტისეული დაბალანსების პოლიტიკის მიხედვით სახელმწიფოები მაშინ მიმართავენ, როდესაც ჰეგემონი სახელმწიფოს მხრიდან შესაძლოა მათ არსებობას საფრთხე დაემუქროს. აღნიშნული თეორიის მიხედვით უფრო უსაფრთხო სტრატეგიას წარმოადგენს „ალიანსის შექმნა იმ სახელმწიფოებთან, რომლებსაც საკუთარ მოკავშირეებზე ადვილად გაბატონება არ შეუძლიათ, იმ სახელმწიფოთა დომინირების არდაშვების მიზნით, რომლებსა ამისი გაკეთება ძალუბთ“. (უოლტი, 2021).

რუსეთიც და საქართველო თანაბრად აწყდებიან ისეთ გამოწვევებსა და ამოცანებს, რომელთა გასამკლავებლად და საკუთარი სახელმწიფოების ინტერესების დასაცავად ყველა საშუალებას მიმართავენ. საქართველოსთვის თუ უსაფრთხოების გამოწვევებად ოკუპაცია და საკუთარ ტერიტორიაზე არსებული უცხო სახელმწიფოს მზარდი მილიტარიზაციის პროცესები გვევლინება, რუსეთისთვის ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებად და მთავარ გამოწვევებად საკუთარ საზღვრების მიმართულებით NATO-ს გაფართოების პოლიტიკა და შავი ზღვისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში ამერიკის ინტერესების ზრდა წარმოადგენს. რუსეთი ცდილობს დააბალანსოს მის სამხრეთ საზღვრების მიმართულებით არსებული საფრთხეები, რომლის სტრატეგიაც სამხრეთ კავკასიის რეგიონში რუსეთის დომინანტობის შესუსტებისკენაა მიმართული. ხოლო საქართველო ყველა ხერხს მიმართავს, რათა როგორმე გადაირჩინოს აღნიშნულ

სიტუაციაში თავი და როგორმე შეძლოს მეზობელი სახელმწიფოდან მომავლი საფრთხეების დაბალანსება.

აღნიშნულ სიტუაციას საქართველოს უსაფრთხოების დილემის პარადიგმამდე მივყავართ, სადაც საქართველოს მხრიდან თვითგადარჩენის მოტივით განპირობებულ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსის მიმართულებით გადადგმულ თითოეულ წარმატებულ ნაბიჯს, რუსეთი საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე საპასუხო ნაბიჯებით პასუხობს. საქართველო ცდილობს რუსეთის ფაქტორი დააბალანსოს ამერიკასთან პარტნიორობით, თუმცა, არსებული რეალობიდან გამომდინარე მიმდინარე ეტაპზე ძალთა ბალანსის არსებული სტრუქტურული სურათის ფორმირება სამხრეთ კავკასიის რეგიონში მაინც რეგიონის დომინანტი სახელმწიფოს - რუსეთისკენ არის გადახრილი.

კვლევის შედეგად გამოვლენილ სიახლეს წარმოადგენს საქართველოს გაწევრიანების საკითხთან დაკავშირებით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის არაჩქარების პოლიტიკის სრულიად ახალ - დადებით კონტექსტში ახსნა, რომელმაც ორმხრივ პრიზმაში წარმოაჩინა, როგორც NATO-საქართველოს ურთიერთობების კრიტიკული და მნიშვნელოვანი მხარეები, ასევე საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები და მათზე რეაგირების მექანიზმები.

წინამდებარე კვლევის შედეგად გაცემული იქნა პასუხი ნაშრომის ძირითად საკვლევ კითხვაზე, რომლის მიხედვით დადასტურდა ნაშრომის ჰიპოთეზა, რომლის მიხედვით საქართველოს გაწევრიანების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საკითხთან მიმართებაში NATO-ს არაჩქარების პოლიტიკა ეყრდნობა გააზრებულ და რაციონალურ მიდგომას, რომელიც პირდაპირ კავშირშია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებთან. დადასტურდა, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული რთული გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე NATO-ს მიერ საქართველოს წევრობაზე გადასვლის პროცესების ოფიციალური დაჩქარება მხოლოდ და მხოლოდ გაზრდის რუსეთის მხრიდან საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ რისკებს, რომელზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირების სტრატეგიული შესაძლებლობები მიმდინარე ეტაპზე, არც NATO-ს და არც საქართველოს არ გააჩნია. მიმდინარე ეტაპზე

საქართველოს წევრობაზე გადასვლის საკითხის დაჩქარებამ და წინ წამოწევამ შესაძლოა გამოუსწორებელი შედეგები მოუტანოს საქართველოს.

ოპერატიული დიზაინის კვლევის ინოვაციურ თეორიულ ჩარჩოდ გამოყენების ფარგლებში, კვლევის პირველი, მეორე და მესამე საფეხურების წარმატებით დასრულების საფუძველზე განხორციელდა იმ პრობლემებისა და გამოწვევების ფორმირება, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია საქართველოსთვის სტრატეგიული მიზნის - NATO-ს წევრობის მისაღწევად.

ოპერატიული დიზაინის მეოთხე საფეხურით განსაზღვრული **ოპერატიული მიდგომის** ფარგლებში, ქვემოთ წარმოდგენილია ჩვენი კვლევის შედეგად გამოვლენილი **ის კრიტიკულად მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიზნები**, რომელთა განვითარება და გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია, როგორც საქართველოს NATO-სთან თავსებადობის მაქსიმალურ გაზრდასთან, ასევე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სტრატეგიული მიზნების საქართველოსთან მაქსიმალურ დაახლოებასთან.

პირველ სტრატეგიული მიზნად, რომელსაც პირდაპირი გავლენა ექნება NATO-ს ინტერესების გაზრდაზე საქართველოსთან მიმართებაში განისაზვრა ქვეყნის **სტრატეგიული კომუნიკაციის ხაზების** განვითარება. აღნიშნულ საკომუნიკაციო ხაზებს წარმოადგენს სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო მიმართულებები.

სახმელეთო შესაძლებლობების განვითარების მთავარ მოცანებს წარადგენს:

- სტრატეგიული დანიშნულების სარკინიგზო ხაზების განვითარება და მშენებლობა;
- სწრაფმავალი მაგისტრალების განვითარება;
- საქართველოში NATO-ს მოთხოვნებთან თავსებადი ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარება (ე.წ. ლოჯისტიკური ჰაბი).

საჰაერო შესაძლებლობების განვითარების პერსპექტივა უკავშირდება:

- საერთაშორისო აეროპორტის ინფრასტრუქტურის განვითარებასა და გაფართოებას;
- ლოჯისტიკური ტვირთების გადაზიდვებისთვის ახალი საერთაშორისო აეროპორტის ინფრასტრუქტურის მოწყობა და განვითარებას;

- ვაზიანის სამხედრო აეროპორტის ინფრასტრუქტურის აღდგენას.

საზღვაო შესაძლებლობების განვითარების პერსპექტივა უკავშირდება:

- მოქმედი პორტების ინფრასტრუქტურის განვითარებას და გამტარუნარიანობის შესაძლებლობების გაზრდას;

- ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის დროულ დასრულებას.

ზემოაღნიშნული კომპონენტების განვითარება პირველ რიგში მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოს მიმართ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს და ასევე შექმნის NATO-ს სამხედრო დანიშნულების ტვირთების ოპერატიულ, სწრაფ და უსაფრთხო გადაადგილების შესაძლებლობას, საქართველოს გავლით, რომელიც მნიშვნელოვანია მოქმედების თეატრში ოპერირებადი ქვედანაყოფების დროული ლოჯისტიკური უზრუნველყოფისთვის.

მეორე სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობების მაქსიმალურ დონეზე განვითარება და გაძლიერება.

აღნიშნული სტრატეგიული მიზნის მისაღწევად გამოიკვეთა შემდეგი **მნიშვნელოვანი სტრატეგიული ამოცანები**, რომელსაც უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლია, როგორც საქართველოს NATO-ში გაწევრიანებისთვის მომზადების ხელშეწყობის კუთხით, ასევე საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შენარჩუნების მიმართულებით.

პირველ ამოცანას წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების მოწინავე თანამედროვე თავდაცვითი შეიარაღებითა და მაღალი შესაძლებლობების მქონე სამხედრო ტექნიკით (ანტი-სატანკო, საჰაერო თავდაცვისა და საარტილერიო მიმართულებები) აღჭურვის პროცესის გაგრძელება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს თავდაცვის ძალებმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა და განვითარების მეღალ საფეხურს მიაღწია განსაკუთრებით ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, საქართველოს თავდაცვის არსებული შესაძლებლობების კუთხით კვლავ რჩება გამოწვევები, რომლებიც განვითარებასა და სამხედრო თავდაცვითი შესაძლებლობების გაზრდას მოითხოვს.

მეორე ამოცანას წარმოადგენს თავდაცვის სამინისტროში ინსტიტუციური რეფორმირების პროცესების გაგრძელების აუცილებლობა. იმ დიდი პროგრესის შესანარჩუნებლად, რომელიც მიღწეულ იქნა პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერითა და თავდაცვის სამინისტროს უდიდესი ძლისხმევის შედეგად, მნიშვნელოვანია გაგრძელდეს ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუციურ მიმართულებებზე მუშაობა, როგორცაა სამხედრო პერსონალის მართვის სისტემის რეფორმირების პროცესის დასრულება და სახელმწიფო რეზერვის მობილიზაციის სისტემის განვითარება. NATO-ს წამყვანი ქვეყნების გამოცდილებაზე დაფუძნებული სამხედრო პერსონალის მართვის სისტემა თავდაცვის ძალების მამოძრავებელ ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს. გამართული რეკრუტირების, განათლების, დანიშვნა-გადანაწილების, შენარჩუნების, შერჩევა-დაწინაურების, საკომპენსაციო და სამოქალაქო სექტორში თადარიგში გასულ სამხედრო მოსამსახურეთა ინტეგრაციის სისტემების არსებობა და გამართული ფუნქციონირება პირდაპირ კავშირშია თავდაცვის ძალების მაღალი საბრძოლო მომზადების დონის მიღწევასა და შენარჩუნებასთან. ხოლო მობილური და ტერიტორიული რეზერვის სისტემის განვითარება კრიტიკული მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეებიდან გამომდინარე.

მესამე და ძალიან მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს - საქართველოს თავდაცვის ძალების მხრიდან ყველწლიურად ისეთი დიდი მრავალეროვნული სწავლებების დაგეგმვისა და ჩატარების პროცესის გაგრძელება, როგორც არის NATO-საქართველო, ღირსეული პარტნიორი, Agile Spirit, Combine Resolve და სხვა სწავლებები. აღნიშნული სწავლებების ერთი მხრივ უზრუნველყოფს NATO-ს და ალიანსის პარტნიორ ქვეყნებთან ქართული ქედანაყოფების თავსებადობის წარმოჩენის პროცესს, ხოლო მეორე მხრივ კიდევ უფრო აამაღლებს საქართველოს თავდაცვის ძალების როლსა და რეპუტაციას საერთაშორისო დონეზე. ასევე მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის ფარგლებში შექმნილი საბრძოლო მომზადების ცენტრის (Combat Training Center) სამომავლო განვითარება და ფუნქციების მაქსიმალური გაზრდა. აღნიშნული ცენტრს გერმანიაში არსებულ ჰოპენფელსის საწვრთნელი ცენტრის ანალოგად გარდაქმნის შემთხვევაში, ექნება შესაძლებლობა როტაციული წესით მიიღოს

და მოამზადოს NATO-სა და პარტნიორი ქვეყნების საბრძოლო ქვედანაყოფები, როგორც NATO-ს, ასევე ევროკავშირის ეგიდით დაგეგმილ მისიებში გადასროლისთვის. აღნიშნული ამოცანის წარმატებით განხორციელება საქართველოსთვის შექმნის შესაძლებლობას, რომ მის ტერიტორიაზე მუდმივად იქნეს ბაზირებული NATO-სა და პარტნიორი ქვეყნების საბრძოლო ქვედანაყოფების გარკვეული სოლიდური რაოდენობა, რომელიც უსაფრთხოების კონტექსტში მნიშვნელოვანი შემაკავებელი ფაქტორი შეიძლება გახდეს საქართველოს წინააღმდეგ არსებული რუსული საფრთხეებისგან თავის დასაცავად, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნის სტაბილური და მშვიდობიანი განვითარებისთვის.

მეოთხე ამოცანას წარმოადგენს საქართველოს მიერ სამხედრო წარმომადგენლობის გაზრდა ალიანსის შტაბ-ბინებში. საქართველოს თავდაცვის ძალებს ჰყავს ძალიან ბევრი პროფესიონალი ოფიცერი, რომელსაც მიღებული აქვს უმაღლესი სამხედრო განათლება NATO-ს წამყვან ქვეყნებში და გააჩნიათ საკმარისი სამხედრო გამოცდილება და კვალიფიკაცია, რომ საქართველო ძალიან კარგად წარმოადგინონ ამ მიმართულებით. აღნიშნული საკითხის წარმატებით განხორციელება უზრუნველყოფს საქართველოს მაქსიმალურ წარმომადგენლობას NATO-ში პრინციპით „მეტი საქართველო NATO-ში“. ალიანსის ოპერატიული და სტრატეგიული დონის სარდლობებსა და შტაბ-ბინებში სამხედრო წარმომადგენლობის გაზრდას ძალიან დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების გასამძიერებლად. აღნიშნული ამოცანის შესრულება პირდაპირ უკავშირდება აღნიშნული წარმომადგენლობის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის საკითხს. შესაბამისად საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს თავდაცვის სამინისტრო აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად აუცილებელი ფინანსური რესურსების პრიორიტეტიზაციით.

მეხუთე ამოცანას წარმოადგენს საქართველოს მხრიდან NATO-სა და ევროკავშირის ეგიდით წარმოებულ მისიებში მონაწილეობის ტემპის შენარჩუნება, რაც საქართველოს მისცემს შესაძლებლობას შეინარჩუნოს მაღალი რეიტინგი და პატივისცემა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. აღსანიშნავია, რომ ამ მისიებში მონაწილეობა ქართველ სამხედროებს აძლევს მნიშვნელოვან და შეუფასებელ საბრძოლო

გამოცდილებას, რაც პირდაპირ კავშირშია საქართველოს თავდაცვის ძალების საბრძოლო მზადყოფნის დონის ამაღლებასა და მის შენარჩუნებასთან.

აღნიშნული ამოცანების შესრულება უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობების მაქსიმალურ დონეზე განვითარებასა და გაძლიერებას, რაც არსებული უსაფრთხეების გამოწვევებიდან გამომდინარე საქართველოს ეროვნული ინტერესების უმაღლეს პრიორიტეტს წარმოადგენს. საქართველოსთვის ძლიერი თავდაცვის შესაძლებლობების არსებობა კი კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ქვეყნის NATO-ში გაწევრიანების გზაზე.

მესამე სტრატეგიულ მიზნად განისაზღვრა საქართველოს მთვრობის მხრიდან სასამართლო და საარჩევნო სისტემების რეფორმირების პროცესისა და ანტიკორუფციული ღონისძიებების პოლიტიკის გაგრძელება. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მჭიდრო კოორდინაცია ქონდეს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, როგორც მის ყველაზე უფრო ახლო და ძლიერ სტრატეგიულ პარტნიორთან და NATO-ს წამყვან მოთამაშესთან. საბოლოო ჯამში ამერიკის დიდი სტრატეგია განაპირობებს ალიანსის გაფართოების პოლიტიკის მამოძრავებელ ძალას, ამიტომ ამერიკის შეერთებულ შტატებთან საქართველომ უნდა გამოიყენოს ყველა პლატფორმა, რომლითაც კიდევ ერთხელ დაარწმუნებს მოკავშირეს, რომ ის არის ამერიკის შეერთებული შტატების ერთგული, სტაბილური და ძლიერი მოკავშირე კავკასიის რეგიონში, რომელიც ისევ რჩება დემოკრატიის შუქურად.

კვლევის საფუძველზე დადასტურდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე, რომლის მიხედვითაც სოციალურ კვლევებში შესაძლებელია სამხედრო ოპერატიული და სტრატეგიული დონის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმების გამოყენება ნაშრომის თეორიულ ჩარჩოდ, რომელიც მომავალ მკვლევარებს დაეხმარება კვლევის დაგეგმვის, სტრუქტურირებისა და განხორციელების პროცესში.

წინადებარე კვლევამ წარმოაჩინა, რომ საქართველო უნდა მოემზადოს და განავითაროს კვლევის შედეგად გამოვლენილი კრიტიკული მიმართულებები, რომლებიც ერთი მხრივ მაქსიმალურად აამაღლებს ქვეყნის თავდაცვის სტრატეგიულ შესაძლებლობებს, ხოლო მეორე მხრივ უზრუნველყოფს ჩრდილოატლანტიკური

ალიანსის ოპერატიულ და სტრატეგიულ მიზნებთან საქართველოს მაქსიმალური თავსებადობის მიღწევას.

NATO-საქართველოს ფართო სპექტრის უპრეცედენტო თანამშრომლობის მექანიზმების (ANP, PARP, SNGP და NATO-საქართველოს კომისია) ფარგლებში საქართველოს გააჩნია ყველა პირობა იმისთვის, რომ იმუშაოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობის სტანდარტების მაქსიმალურ დონეზე დაკმაყოფილების კუთხით, რაც სამომავლოდ შესაბამისი მომენტუმის დადგომის შემთხვევაში NATO-ს მისცემს საქართველოს ალიანსში გაწევრიანების შესაძლებლობას ძალიან მოკლე ვადებში, MAP-ით ან და მაპის გარეშე.

ნაშრომში წარმოდგენილი მიგნებები შეიცავს ძალიან საინტერესო და აქტუალურ ინფორმაციას, რასაც განაპირობებს კვლევის საკითხებზე არსებული ფართო საზოგადოებრივი ინტერესი. კვლევის შედეგებს კი მნიშვნელოვანი პრაქტიკული დახმარების გაწევა შეუძლია, როგორც საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის პროცესში ჩართული სტრატეგიული ლიდერებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის, ასევე NATO-საქართველოს ურთიერთობების მკვლევარებისთვის.

ექსპერტული ინტერვიუები

ინტერვიუების რიგითობა:

1. **ვლადიმერ ჩაჩიბაია** - თადარიგის გენერალ ლეიტენანტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, ყოფილი გენერალური შტაბის უფროსი და თავდაცვის ძალების მეთაური
2. **დავით ნარდაია** - NATO-ში საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე
3. **დიეგო კოლასი** - საფრანგეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში და **ვიცე-პოლკოვნიკი დანი პიტი** - საფრანგეთის რესპუბლიკის თავდაცვის ატაშე საქართველოში.
4. **Robert Hamilton** - Currently serves as an Advisor to the Georgia MOD in the areas of organizational change management, and policy, strategy and plans. 2006-2008 Chief of the U.S. Office of Defense Cooperation (ODC) in Georgia. from 2022, faculty member at the U.S. Army War College. PhD in International Relations and used Georgia as a case study for his dissertation on post-Soviet conflict.
5. **Gintaras Bagdonas** - NATO Military Liaison Officer (NMLO) to Georgia. Colonel of the Lithuanian Army, as NMLO I represent NATO International Military Staff in Georgia.
6. **ლევან ნიკოლეიშვილი** - თადარიგის პოლკოვნიკი, ეროვნული თავდაცვის აკადემიის ასოცირებული პროფესორი, ყოფილი გენერალური შტაბის უფროსი, ყოფილი თავდაცვის მინისტრისა და უშიშროების მინისტრის მოადგილე

I ინტერვიუ

ვლადიმერ ჩაჩიბაია - თადარიგის გენერალ ლეიტენანტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, ყოფილი გენერალური შტაბის უფროსი და თავდაცვის ძალების მეთაური

ინტერვიუს განხორციელების თარიღი - 06.04.2021

1. როგორ შეაფასებდით NATO-ში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ გაწეულ ძალისხმევას?

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ გაწეული ძალისხმევა ძალიან დიდია. ჩემი კომპეტენციიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე უმჯობესი იქნება აქცენტის გაკეთება ყოველწლიური ეროვნული პროგრამის (Annual National Plan) ფარგლებში თავდაცვის ძალებში 2017 წლიდან დაწყებულ მასშტაბურ რეფორმებზე, რომლის განხორციელებაც დღემდე გრძელდება, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ასევე NATO-ს წევრი ქვეყნების აქტიური მხარდაჭერითა და ჩართულობით. აღნიშნული რეფორმირების პროცესი მიზნად ისახავდა NATO-ს წამყვანი ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, თავდაცვის ძალების ძირითადი მიმართულებების განვითარების მხარდაჭერას NATO-ს სტანდარტებთან თავსებადობის ამადლების კრილში. აღნიშნული რეფორმებიდან გამოვყოფდი რამოდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებას:

დაიწყო სამხედრო პერსონალის მართვის სისტემის რეფორირების პროცესი, რომლის ფარგლებში განხორციელდა სამხედრო მოსამსახურეთა წოდებრივი ანაზღაურების სისტემაზე გადასვლა. აღნიშნული რეფორმა ატარებს ძალიან მნიშვნელოვან ხასიათს, ვინაიდან აღნიშნულ სისტემაზე გადასვლამდე მოქმედებდა ასეთი პრინციპი - სამხედრო მოსამსახურეები სახელფასო ანაზღაურებას იღებდნენ დაკავებული თანამდებობების საშტატო კატეგორიიდან გამომდინარე. მაგალითად თუ სამხედრო მოსამსახურე იყო მაიორის წოდების და იკავებდა პოლკოვნიკის თანამდებობას იგი იღებდა პოლკოვნიკის ხელფასს. აღნიშნული სისტემა თავის თავში შეიცავდა იმის

რისკებს, რომ დაბალი წოდების სამხედრო მოსამსახურეებს უჩნდებოდათ სურვილი რაც შეიძლება მაღალ თანამდებობაზე დანიშნულიყვნენ ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე. ამას რა თქმა უნდა სისტემა აკონტროლებდა მაგრამ რჩებოდა ფანჯარა სადაც შეიძლება თანამდებობრივი დანიშნის დროს არაჯანსაღი მიდგომა ყოფილიყო გამოყენებული. ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ შეიძლება დამდგარიყო რიგ შემთხვევებში რანგთან შედარებით გაცილებით მაღალ თანამდებობაზე დანიშნული პერსონალის კვალიფიციურობის საკითხი. წოდებრივ ანაზღაურებაზე გადასვლით სამხედრო მოსამსახურეთა თანაბარი წოდების მქონე კონტინგენტს მთელს თავდაცვის ძალებში ხელფასი გაუთანაბრდა, რაც ნიშნავდა იმას, რომ ვიცე-პოლკოვნიკის წოდების ყველა სამხედრო მოსამსახურე აიღებდა თანაბარ ხელფასს იმის მიუხედავად იქნებოდა ის დანიშნული ქვეით ქვედანაყოფში, სარდლობის შტაბში, თუ უფრო მაღალი საშტატო კატეგორიის თანამდებობაზე.

მეორე მნიშვნელოვან საკითხად გამოვყოფდი **თანამდებობრივი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დახვეწას**. აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები აერთიანებს თანამდებობაზე დასანიშნად სამხედრო წოდების, სამხედრო და სამოქალაქო განათლების, ფიზიკური მომზადების დონის, სამსახურებრივი გამოცდილებისა და ენის ცოდნის დონის მოთხოვნებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს საუკეთესო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის შერჩევასა და დანიშნვას.

შემდეგი და ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს პერსონალ-მენეჯმენტის სისტემის რეფორმირების კრილში წარმოადგენდა **თავდაცვის ძალებში შერჩევის საბჭოების სისტემის შემოტანა**. შერჩევის საბჭოები გულისხმობს სერჟანტთა, უმცროს ოფიცერთა, უფროს ოფიცერთა და უმაღლესი რანგის ოფიცერთა საბჭოების არსებობას, რომლებიც გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურების გამოყენებით ახორციელებენ სამხედრო მოსამსახურეთა შერჩევას წამყვან სამეთაურო და ხელმძღვანელ პოზიციებზე დასანიშნად, ან და სამხედრო სასწავლებლებში წარსაგზავნად. დაინერგა კანდიდატების კოდირების სისტემა სადაც შერჩევის საბჭოს წევრებისთვის უცნობი რჩება შესარჩევ კანდიდატთა მონაცემები შერჩევის პროცესის დასრულებამდე. რაც შეეხება შერჩევის საბჭოს წევრებს ისინი ადრე არსებული მუდმივმოქმედი სამანდატო კომისიებისგან

განსხვავებით შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ხვდებიან კონკრეტულ შერჩევის საბჭოზე როგორც წევრები, რომელთა კანდიდატურები გენერალური ინსპექციის თანდასწრებით ლოტოდრომის პრინციპით ირჩევა თავდაცვის ძალების სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრში. მოგეხსენებათ რომ საუკეთესო კვალიფიკაციის ლიდერების სამართლიანი დაწინაურება სისტემისთვის კრიტიკულად აუცილებელ და მნიშვნელოვან საჭიროებას წარადგენს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნული მიმართულები სრულად შეესაბამება NATO-ს სტანდარტის პერსონალ მენეჯმენტის მსგავს სისტემებს, და ვფიქრობ რომ ის სისტემები რაც საქართველოს თავდაცვის ძალებს გააჩნია შესაძლოა ბევრ NATO-ს წევრ სახელმწიფოსაც არ გააჩნდეს. დეტალურად აღარ ჩამოვთვლი იმიტომ რომ პერსონალის მართვის მიმართულება 12 ქვესისტემისგან შედგება, მაგალითად როგორცაა დაწინაურების, დანიშვნა გადაადგილების, სამოქალაქო სექტორში ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა ინტეგრაციისა და რესოციალიზაციის სისტემები რომელი მიმართულებებითაც რეფორმირების პროცესები დღემდე გძელდება საქართველოს თავდაცვის ძალებში, რაც ძალიან მნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენს.

დავამატებდი რეფორმირების პროცესის ფარგლებში განხორციელებულ **ქვედანაყოფების რეორგანიზაციისა და რესტრუქტურისაციის პროცესებს**, რაც მიზნად ისახავდა ქვედანაყოფების სამტატო სტრუქტურების ერთიან სტანდარტში მოქცევას, რაც ასევე სრულად ესადაგება NATO-ს სტანდარტს. აღნიშნული რეფორმა უფრო ეფექტურს ხდის, როგორც ქვედანაყოფების შეიარაღებისა და საბრძოლო მასალებით მომარაგების, საბრძოლო მომზადების, ასევე მართვისა და კონტროლის მექანიზმებს, ასევე საბიუჯეტო დაგეგმარების კუთხითაც დიდ შეღავათს იძლევა.

NATO-სთან თავსებადობის მაჩვენებელია ოფიცერთა თანამდებობრივ საკვალიფიკაციო მოთხოვნებში **ინგლისური ენის ცოდნის დონის მოთხოვნის შემოტანა**, რაც უახლოეს პერსპექტივაში გამორიცხავს წამყვან თანამდებობებზე დაწინაურებას ინგლისური ენის ცოდნის გარეშე. თავდაცვის სამინისტროს პოლიტიკიდან გამომდინარე უზრუნველყოფილია სრულიად უფასოდ ინგლისური ენის შესწავლა, როგორც ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ოფიცერთა მომზადების 4 წლიან საბაკალავრო

ბროგრამებზე, ასევე 1 წლიან ენის კურსებსა და საზღვარგარეთ NATO-ს წევრ ქვეყნებში არსებულ ინგლისური ენის კურსებზე. აღნიშნული შესაძლებლობების გამოყენება მაღალი მონდომებისა და დაწინაურების პოტენციალის შემთხვევაში აძლევს შანსს როგორც ოფიცერთა ასევე სერჟანტთა შემადგენლობას სწავლა გააგრძელონ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და NATO-ს წამყვანი ქვეყნების უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში. მარტო 2017-2020 წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ სხვადასხვა დონის კურსებზე სამხედრო განათლება მიიღო 166 ოფიცერმა და სერჟანტმა. მიმდინარე ეტაპზე საქართველოს თავდაცვის ძალებში გენერალი ნიკოლოზ ჯანჯღავას ხელმძღვანელობით შექნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობს ინგლისური ენის სწავლებისა და სამომავლო განვითარების პოლიტიკის შემუშავებაზე, რაც კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია. ინგლისური ენის ცოდნა უზრუნველყოფს თავისუფალი კომუნიკაციის დაყარების შესაძლებლობას NATO-ს ქვედანაყოფებთან, როგორც სწავლებებში ასევე ნებისმიერ ოპერატიულ ვითარებაში.

გამოვეოფდი სერჟანტთა ინსტიტუტის განვითარებასა და გაძლიერების წარმატებულ პოლიტიკას, რომელიც არის თავდაცვის ძალების ქვაკუთხედი. თავდაცვის ძალებს გააჩნია NATO-ს სტანდარტებთან თავსებადი „გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემია“, რომლის შექმნასა და განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ამერიკის შეერთებულ შტატებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მხარდაჭერას.

მოკლედ შევეხები თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დაგეგმვის სისტემას. რეფორმირების შედეგად, თავდაცვის ძალებისთვის განხორციელებული ყველა შესყიდვა ეფუძნება არა სპონტანურ პროცესს, არამედ შესყიდვების პოლიტიკა განისაზღვრება თავდაცვის ძალების ოპერატიული მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება თავდაცვის გეგმებს.

ძველი შესყიდვების დაგეგმვის პროცესი რეფორმირების შედეგად ტრანსფორმირდა დაგეგმვის, პროგრამირების, ბიუჯეტებისა და აღსრულების სისტემად, რომლის საშუალებითაც მაქსიმალურად ეფექტურად ხდება საბიუჯეტო თანხების დეტალური დაგეგმვა, და მაქსიმალურად ეფექტურად მართვა.

შემდეგ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს **ლოჯისტიკის** სისტემის დახვეწა და რეორგანიზაცია. ვინაიდან ბოლო წლების განმავლობაში NATO-ს ერთ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად განისაზღვრა ლოჯისტიკური სისტემის მოწესრიგება, საქართველომაც განახორციელა ლოჯისტიკის სისტემის ინსტიტუციური და სტრუქტურული რეორგანიზაცია. ლოჯისტიკის სარდლობის დაქვემდებარებაში შეიქმნა ლოჯისტიკის აღმოსავლეთ და დასავლეთ ცენტრები, რომელიც ოპერატიულ ვითარებაში საჭიროების შეთხვევაში, დამოუკიდებლად შეძლებენ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში დისლოცირებული სამხედრო ქვედანაყოფების ოპერატიულ მხარდაჭერას, რაც ძალიან დიდ წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

ANP-ის ნაწილში აღსანიშნავია ისეთი **წარმატებული სამხედრო ინსტიტუტების ჩამოყალიბება და განვითარება**, როგორებიცაა NATO-საქართველოს გაერთიანებული წვრთნებისა და შეფასების ცენტრი, თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა, საჩხერის სამთო მომზადების სკოლა, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ ნატოს ლიცენზირებულ სამხედრო სამთო მომზადების ცენტრს რომელიც ფრანგული მხარის პატრონაჟის ქვეშ ფუნქციონირებს. საქართველოს თანამედროვე სამხედრო განათლების სისტემა სრულად შეესაბამება NATO-ს წამყვანი ქვეყნების სტანდარტებს.

აღსანიშნავია აგრეთვე NATO-ს თანამედროვე სტანდარტებთან სრულიად თავსებადი დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თვდაცვის აკადემია, რომელსაც გარდა 4 წლიანი საბაკალავრო პროგრამებისა, გააჩნია სამაგისტრო სწავლების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც ასერთაშორისო დონის განათლებით უზრუნველყოფს ქართველ ოფიცრებს. აკადემიის მასშტაბურ და თანამედროვე ინფრასტრუქტურასა და სტუდენტურ სერვისებს, საქართველოში არსებული ვერც ერთი უმაღლესი სასწავლო დაწესებულება ვერ უწევს კონკურენციას.

აღსანიშნავია **მასშტაბური სამხედრო წვრთნები Agile Spirit, Noble Partner და NATO-საქართველოს მასშტაბური სწავლება**, რომელსაც 2016 და 2019 წლებში საქართველომ უმასპინძლა. NATO-საქართველოს სწავლება წარმოადგენს მრავალეროვნული ბრიგადის დონის პირველ ერთობლივ სამეთაურო-სამტაბო სწავლებას, რომელშიც მრავალეროვნული ოპერაციების დაგეგმვისა და აღსრულების

პროცესს საქართველოს თავდაცვის ძალები ხელმძღვანელობს. სწავლების მიზნია საქართველოს, NATO-ს და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო ძალების ურთიერთთავსებადობის ამაღლება და საქართველოს თავდაცვის ძალების მართვისა და კონტროლის შესაძლებლობების გაძლიერება.

საქართველოს თავდაცვის მზდყოფნის პოგრამის ფარგლებში საქართველოში აშენდა „საბრძოლო წვრთნების ცენტრი“ რომლის შესაძლებლობებში შედის ქვეითი ბატალიონის ზომის ქვედანაყოფების საბრძოლო მომზადება. არეობს ხედვა, რომ აღნიშნული ცენტრი გაფართოვდეს გერმანიის ჰოპენფელსის ცენტრის მოდელზე და საქართველოში განხორციელდეს საერთაშორისო მისიებში გადასროლისწინა სწავლებები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ NATO-ს და პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლები.

აღსანიშნავია უწყებათშორისი სწავლება დიდგორი, რომელიც ყოველწლიურად ტარდება საქართველოში და სამთავრობო უწყებათშორის სამეთაურო-სამტაბო სწავლებას წარმოადგენს, რომელიც საომარი და კრიზისული სიტუაციების დროს სამთავრობო უწყებებს შორის ურთიერთქმედების პროცედურების დახვეწას ისახავს მიზნად.

ზემოაღნიშნული საკითხები, რომ შევაჯამოთ, NATO-სთან თავსებადობის კუთხით მიღწეული საქართველოს პროგრესი მართლაც შთამბეჭდავია. საქართველო წარმოადგენს ღირსეულ პარტნიორსა და NATO-ს მოწინავე ასპირანტ ქვეყანას, რომლის ზემოთ ჩამოთვლილი შესაძლებლობები რიგ შემთხვევებში გადაჭარბებითაც კი პასუხობს NATO-ს რიგი ქვეყნების შესაძლებლობებსა და სტანდარტებს.

2. როგორ შეაფასებდით საქართველოს მონაწილეობას NATO-ს მისიებსა და ოპერაციებში? რამდენად პასუხობს აღნიშნული ძალისხმევა NATO-სთან თავსებადობის კონცეფციას?

საქართველო უკვე დიდი ხანია ჩართულია NATO-სა და ამერიკის შეერთებული შტატების ეგიდით წარმოებულ საერთაშორისო სამშვიდობო მისიებსა და ოპერაციებში. აღნიშნული მიმართულებით საქართველოს თავდაცვის ძალების გამოცდილება 1999

წლიდან იწყება NATO-ს კოსოვოს პირველივე სამშვიდობო მისიაში ოცეულის ზომის ქვედანაყოფით მონაწილეობით, ხოლო მოგვიანებით უკვე ერაყში 2008 წელს 2200 ქართველი სამხედრო იღებდა სამშვიდობო მისიაში მონაწილეობას მრავალეროვნული ძლების შემადგენლობაში აშშ-ს ეგიდით წარმოებულ ოპერაციაში. ასევე წარმატებით მონაწილეობენ 2004 წლიდან ქართველი სამხედროები ISAF-ისა და RSM-ის მისიებში სადაც 2004 წლიდან დღემდე 107 როტაციის ფარგლებში 20 000-ზე მეტმა სამხედრომ მიიღო მონაწილეობა. საქართველო წარმოადგენდა NATO-ს არაწევრ ქვეყნებიდან ყველაზე დიდ კონტრიბუტორს აღნიშნულ მისიაში, სადაც მონაწილე კონტინგენტის რაოდენობით თვითონ NATO-ს წევრი ქვეყნების უმრავლესობასაც კი უსწრებდა.

ISAF-ის მისიის ფარგლებში ქართული ქვედანაყოფები ოპერირებდნენ და ასრულებდნენ სრული სპექტრის ოპერაციებს ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის ერთ-ერთ ყველაზე რთულ მუსა ქალას რეგიონში სადაც საქართველო 2012 წელს 2 ქვეითი ბატალიონით იყო წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ ავღანეთში მტკიცე მხარდაჭერის მისიის მთავარი შტაბის დაცვა 2014 წლამდე ხორციელდებოდა NATO-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების მიერ როტაციული პრინციპით და მას შემდეგ, რაც ეს მისია ქართულმა კონტინგენტმა განახორცილა მისის, უწყეტად დარჩა ქართული კონტინგენტის პასუხისმგებლობის ქვეშ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ყავს ორი ასეული NATO-ს რეაგირების ძალების შემადგენლობაში, რომლებიც როტაციული პრინციპით ენაცვლებიან ერთმანეთს, და იმყოფებიან მუდმივ მზადყოფნაში. აღნიშნულმა ასეულებმა ურთულესი 4 წლიანი მომზადების პროგრამისა გავლა და ნატოს რეაგირების ძალების სტანდარტების დაკმაყოფილება მოახერხეს. ასევე NATO-ს რეაგირების ძალებში იღებს მონაწილეობას სამხედრო პოლიციის 1 ოცეული და სასაზღვრო პოლიციის 1 საზღვაო ჯგუფი.

ქართული ქვედანაყოფები 2014 წლიდან მონაწილეობენ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის მანდატით მიმდინარე სამშვიდობო მისიაში და ასევე 2013 წლიდან ევროკავშირის ოგანიზებით მიმდინარე საწვრთნელ მისიაში მალიში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

სამხედრო სიძლიერე და NATO-ს ეგიდით წარმოებულ მისიებსა თუ ოპერაციებში კონტრიბუცია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს, რომელთან მიმართებაშიც თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საქართველოს თავდაცვის ძალები სრულად პასუხობს NATO-სთან თავსებადობის სტანდარტებს და ღირსეულად იკავებს პოზიციებს NATO-ს წამყვანი ქვეყნების გვერდით, როგორც თანამედროვე ოპერატიულ გარემოში ოპერირებადი სანდო და გამოცდილი NATO-ს ღირსეული მოკავშირე.

3. მიმდინარე ეტაპზე NATO-სთან თანამშრომლობის კუთხით საქართველოს გააჩნია შემდეგი ძირითადი ფორმატები - PARP, ANP, SNGP. თქვენი აზრით აღნიშნული თანამშრომლობის მექანიზმები საკმარისია თუ არა საქართველოს NATO-ს წევრობისთვის მოსამზადებლად? ასევე, რა ზეგავლენას მოახდენს (დროის და ძალისხმევის თვალსაზრისით) წევრობის სამოქმედო გეგმაზე (MAP) და შემდგომ NATO-ში გაწევრიანების პროცესზე ამ ფორმატების შესრულება?

საქართველოს წევრობის საკითხი უფრო პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული ვიდრე ალიანსის კრიტერიუმების დამაყოფილებაზე.

საქართველოს გააჩნია ყველა ის აუცილებელი ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოს NATO-ს წევრობაზე გადასვლისთვის მომზადებას, ესენია: ANP, PARP, SNGP და NATO-საქართველოს კომისია.

თავდაცვის ნაწილში საქართველოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მოთხოვნებთან თავსებადობის საკითხთან მიმართებაში ფაქტობრივად კითხვები არ არსებობს.

რაც შეეხება სხვა მიმართულებებით საქართველო მაქსიმალურად ითვალისწინებს ყველა რეკომენდაციას, რომელიც მომდინარეობს საერთაშორისო პარტნიორებიდან. შესაძლებელია გამოვყოთ ჩამოთვლილი მიმართულებები:

- ✓ მართლმსაჯულების სისტემის დახვეწა;
- ✓ საარჩევნო სისტემის დახვეწა;
- ✓ ცეცხლის რეფორმა და დახვეწა;

- ✓ მაღალი საერთაშორისო რეპუტაცია ეკონომიკისა და ბიზნესის თავისუფალი კეთების მიმართულებით;
- ✓ ანტიკორუფციული და კეთილსინდისიერების ამაღლების კუთხით დახარჯული ძალისხმევა;
- ✓ იუსტიციის მიმართულებით არსებული რეფორმები;
- ✓ სიტყვის თავისუფლება და დამოუკიდებელი მედია;
- ✓ გენდერული თანასწორობა;
- ✓ ქალბატონების ჩართულობა თავდაცვის ძალებში.

4. რა არის საქართველოს წევრობის საკითხთან დაკავშირებული NATO-ს პოლიტიკის საკვანძო ფაქტორები?

საქართველოსთან მაქსიმალური ჩართულობითა და ყოვლისმომცველი თანამშრომლობის ფორმატების შეთავაზებით (ANP, SNGP, PARP, NATO-საქართველოს კომისია) NATO გვაძლევს შესაძლებლობას, რომ მაქსიმალურად განვახორციელოთ და გავაძლიეროთ ჩვენი სტრატეგიული შესაძლებლობები, რომელიც მოგვცემს შანსს მაქსიმალურად მივუახლოვდეთ NATO-ს წევრობის სტანდარტებს. საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეების გათვალისწინებით, ვგულისხმობ რუსეთის საოკუპაციო პოლიტიკას და საქართველოში განლაგებულ მის სამხედრო ქვედანაყოფებს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თავდაცვის შესაძლებლობების განვითარების ტემპის შენარჩუნების საკითხს, რადგანაც საქართველოს ახალი შეიარაღებული აგრესიის შემთხვევაში თვითონ მოუწევს პირველი ტალღის შეჩერების უზრუნველყოფა სანამ საერთაშორისო ორგანიზაციები და მოკავშირეები დახმარების ზომებს მიიღებენ.

სართველოს მთავრობის პოზიციაა, რომ ჩვენ უკვე ვაკმაყოფილებთ NATO-ს წევრობის ძირითად მოთხოვნებს, მაგრამ საქართველოს წევრობაზე გადასვლის საკითხი წარმოადგენს პოლიტიკური კონსენსუსის თემას ალიანსის წევრ სახელმწიფოებს შორის და სანამ ამ გადაწყვეტილების დრო დადგება, საქართველომ უნდა ეცადოს მაქსიმალურად გამოიყენოს აღნიშნული შესაძლებლობები საკუთარი პოზიციის

მაქსიმალურად გასაძლიერებლად. აღნიშნული კი მისცემს მას შესაძლებლობას საჭირო პერიოდში მაქსიმალურად დაჩქარდეს ალიანსის წევრობაზე გადასვლის პროცესი.

5. თქვენი აზრით რა არის საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის პროცესის მთავარი ხელის შეშლელი მიზეზები (საქართველოს შიდა პოლიტიკური, გარე პოლიტიკური, სამხედრო-ტექნიკური, სოციალური და ა.შ.)?

1. კონსენსუსის არარსებობა NATO-ს წევრებს შორის;
2. რუსეთის ჰიბრიდული ომის აგრესიული პოლიტიკა საქართველოსა და მის სამხრეთ საზღვრებთან NATO-ს სამომავლო გაფართოების წინააღმდეგ;
3. სამხრეთ კავკასიის რეგიონზე რუსეთის მიერ გავლენის შენარჩუნების პოლიტიკა;
4. უკუპირებული ტერიტორიები და ოკუპირებულ რეგიონებში მზარდი მილიტარიზაციის პროცესები;
5. შიდა პოლიტიკური სტაბილურობა, რომელიც უაყოფითად მოქმედებს ქვეყნის NATO-ში გაწევრიანების პროცესზე, რის შესახებაც არაერთგზის გაცხადდა, როგორც სახელისუფლებო ძალების, ასევე NATO-ს და ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხრიდან.

6. თქვენი აზრით რამდენად შესაძლებელია საქართველოს NATO-ში გაწევრიანება ოკუპირებული ტერიტორიების არსებობის პირობებში?

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ საქართველოს პოლიტიკა ეფუძნება მშვიდობისა და კეთილდღეობის ხედვას და არც ერთ შემთხვევაში არ ითვალისწინებს ბრძოლით ტერიტორიების დაბრუნებას. აღნიშნული პოლიტიკის ფარგლებში ჩვენი მომძე აფხაზი და ოსი მოქალაქეების დაინტერესება ეფუძნება მათი ეკონომიკური და სოციალური პირობების გაუმჯობესებას და სახელმწიფოს ხელთარსებული სიკეთეებით სარგებლობის შეთავაზებას. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა NATO-ში გაწევრიანდა, როცა გაყოფილი იყო. ასევე შეიძლება განვიხილოთ საბერძნეთის მაგალითი კვიპროსის თემასთან მიმართებაში

7. თქვენი, აზრით როგორ უნდა განახორციელოს საქართველომ სტრატეგიული შესაძლებლობების სინქრონიზაცია მთავარი მიზნის მისაღწევად - NATO-ს წევრობა.

საქართველო უნდა უზრუნველყოს საკუთარი სტრატეგიული შესაძლებლობების განვითარება 3 ძირითადი მიმართულებით, ესენია: ხმელეთი, ჰაერი დაზღვა. სამხედრო ტერმინოლოგიაში აღნიშნულ მიმართულებებს ეწოდება სტრატეგიული კომუნიკაციის ხაზები. ესენია:

სახმელეთო მიმართულება

- ✓ მნიშვნელოვანი ენერგო მატარებლების გატარება საკუთარ ტერიტორიაზე;
- ✓ სტრატეგიული დანიშნულების სარკინიგზო ხაზების განვითარება და მშენებლობა;
- ✓ სწრაფმავალი მაგისტრალების განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს NATO-ს ტვირთების სწრაფ და ეფექტურ გატარებას ევროპისა და აზიის მიმართულებით;
- ✓ საქართველოში ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარება (ე.წ. ლოჯისტიკური ჰაბი), რომელიც უზრუნველყოფს NATO-ს ოპერაციების მხარდაჭერას ავღანეთის მიმდინარე მისიაში.

საჰაერო მიმართულება

- ✓ თანამედროვე საჰაერო მიმოსვლისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო აეროპორტის გაფართოება;
- ✓ ასევე მნიშვნელოვანია, რომ ცალკე შეიქმნას ასევე ტვირთების გადაზიდვებისთვის საერთაშორისო აეროპორტის ინფრასტრუქტურა;
- ✓ შესაძლებლობების ფარგლებში აღდგეს ვაზიანის სამხედრო აეროპორტის ინფრასტრუქტურა.

საზღვაო მიმართულება

- ✓ მნიშვნელოვანია პორტების შესაძლებლობების გაზრდა;
- ✓ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფოთის მოქმედი პორტების გაძლიერებას და ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის დასრულებას.

ზემოაღნიშნული სამივე კომპონენტის განვითარება ხელს შეუწყობს როგორც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, ასევე შექმნის NATO-ს სამხედრო დანიშნულების ტვირთების ოპერატიულ, სწრაფ და უსაფრთხო გადაადგილების შესაძლებლობას, რომელიც მნიშვნელოვანია მოქმედების თეატრში ოპერირებადი ქვედანაყოფების დროული ლოჯისტიკური უზრუნველყოფისთვის.

საქართველოს ტერიტორიის გავლით ევროპის ქვეყნებისთვის ენერგო რესურსების მიწოდების შესაძლებლობის გაზრდა პირდაპირ კავშირშია ევროპის უსაფრთხოების საკითხებთან. ენერგო იმპორტის მარშუტების დივერსიფიკაცია ნაკლებად დამოკიდებულს გახდის ევროპის ქვეყნებს რუსულ ენერგო ბაზარზე რაც დადებითად იმოქმედებს კონსენსუსს მიღწევის თემაზე საქართველოს NATO-ში გაწევრიანების საკითხთან დაკავშირებით. ენერგოდამოკიდებულება რუსეთზე, რუსეთს აძლევს საშუალებას შექმნას პოლიტიკური დღის წესრიგი ევროპის ბევრ ქვეყანაში, და გარკვეულ შემთხვევებში გამოიყენოს როგორც პოლიტიკური შანტაჟის მექანიზმი.

რუსეთის მიერ ეკონომიკური შანტაჟის გამოყენება არახალია. ამისი ნათელი მაგალითია თუნდაც 2001 წლიდან ქართულ პროდუქტების იმპორტზე შეზღუდვის დაწესება. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც საქართველოს მიერ ექსპორტზე გატანილი საქონლის წილი რუსეთის ბაზართან მიმართებაში შეადგენდა 70%-ს. მაშინ აღნიშნული „შანტაჟის“ პოლიტიკით რუსეთი შეეცადა საქართველოს მიერ გაცხადებული პროდასავლური კურსის შეცვლას.

II ინტერვიუ

დავით ნარდაია - NATO-ში საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე (მოქმედი)

თარიღი - 06.04.2021

1. როგორ შეაფასებდით NATO-ში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ გაწეულ ძალისხმევას?

NATO-ს წევრობა წარმოადგენს საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმაღლეს პრიორიტეტს. საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მხარს უჭერს საქართველოს ალიანსში გაწევრიანებას. საქართველოს კონსტიტუცია საქართველოს მთავრობას ავალდებულებს, მიიღოს ყველა ზომა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

ყოველივე ზემოაღნიშნული განსაზღვრავს ჩვენს ყოველდღიურ ძალისხმევას NATO-ში ინტეგრაციასთან დაკავშირებით. 2002 წლიდან (როდესაც პრატის სამიტზე ოფიციალურად პირველად გაჟღერდა საქართველოს სურვილი NATO-ში გაწევრიანებაზე) დღემდე ყველა ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს უზრუნველყოს აღნიშნული მიზნის მიღწევა და ეს გამოიხატება ალიანსთან, როგორც პოლიტიკურ, ასევე პრაქტიკული თანამშრომლობის ინტენსივობაში.

2. როგორ შეაფასებდით საქართველოს მონაწილეობას NATO-ს მისიებსა და ოპერაციებში? რამდენად პასუხობს აღნიშნული ძალისხმევა NATO-სთან თავსებადობის კონცეფციას?

საქართველო არის NATO-ს ოპერაციებში არაწევრ ქვეყნებს შორის ყველაზე აქტიური მონაწილე. დღესაც, ავღანეთში მიმდინარე ოპერაციაში არაწევრ ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი კონტრიბუცია საქართველოს შეაქვს. ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, საქართველო არის პირველ ადგილზე როგორც არაწევრ, ისე წევრ ქვეყნებს შორის.

წლების განმავლობაში NATO-ს ოპერაციებში მონაწილეობა წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს თავდაცვის ძალების თავსებადობა NATO-სთან. ყველა ქართველ სამხედრო მოსამსახურეს ვისაც მონაწილეობა აქვს მიღებული NATO-ს ოპერაციებში, გავლილი აქვთ NATO-ს სტანდარტების შესაბამისი წინა-გადასროლის მომზადება და გააჩნიათ გამოცდილება NATO-ს ძალებთან ერთად ოპერაციაში მონაწილეობისა.

NATO-ს ყველა წევრი ქვეყანა აღიარებს, რომ საქართველოს თავდაცვის ძალები არის მომზადების უმაღლეს დონეზე და არაფრით ჩამოუვარდებიან NATO-ს ქვეყნების ძალებს.

ამასთანავე, ოპერაციებში მონაწილეობით საქართველო ასრულებს იმ ერთ-ერთ პირობას (წვლილის შეტანა საერთო ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაში), რომელიც NATO-ში გასაწევრიანებლად არის საჭირო.

3. მიმდინარე ეტაპზე NATO-სთან თანამშრომლობის კუთხით საქართველოს გააჩნია შემდეგი ძირითადი ფორმატები - PARP, ANP, SNGP. თქვენი აზრით აღნიშნული თანამშრომლობის მექანიზმები საკმარისია თუ არა საქართველოს NATO-ს წევრობისთვის მოსამზადებლად? ასევე, რა ზეგავლენას მოახდენს (დროის და ძალისხმევის თვალსაზრისით) წევრობის სამოქმედო გეგმაზე (MAP) და შემდგომ NATO-ში გაწევრიანების პროცესზე ამ ფორმატების შესრულება?

საქართველოს გააჩნია ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტი, რაც საჭიროა NATO-ში გასაწევრიანებლად. ეს აღიარებულია NATO-ს უმაღლესი დონის დოკუმენტებში. თვითონ ANP-ის და SNGP-ის დოკუმენტებში დაფიქსირებულია, რომ მათი ძირითადი ფუნქციაა საქართველოს მომზადება NATO-ს წევრობისათვის.

ამასთანავე, ANP წარმოადგენს MAP-ის შესრულების პრაქტიკულ მექანიზმს.

საქართველოს მიზანია NATO-ს წევრობა და არა რომელიმე დამატებითი მექანიზმის მიღება. როგორ იქნება ეს მიზანი მიღწეული, MAP-ის თუ მის გარეშე, ეს წევრ-ქვეყნების პოლიტიკური გადაწყვეტილებაა.

4. რა არის საქართველოს წევრობის საკითხთან დაკავშირებული NATO-ს პოლიტიკის საკვანძო ფაქტორები?

საქართველოს საკითხი არის NATO-ს „ღია კარის“ პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი. 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე NATO-ს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საქართველო გახდება ალიანსის წევრი და შესაბამისად, მიმდინარეობს ამ გადაწყვეტილების შესრულება.

5. რა არის საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის პროცესის მთავარი ხელისშემშლელი მიზეზები (საქართველოს შიდა პოლიტიკური, გარე პოლიტიკური, სამხედრო-ტექნიკური, სოციალური და ა.შ.)?

NATO-ში გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება კონსენსუსის გზით. შესაბამისად, საქართველოს გაწევრიანების ვადებთან (და არა თვითონ გაწევრიანების საკითხზე, რაზეც გადაწყვეტილება უკვე მიღებულია 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე) დაკავშირებით საჭიროა კონსენსუსი წევრ-ქვეყნებს შორის. შესაბამისად, მიმდინარეობს მუშაობა ყველა წევრ-ქვეყანასთან აღნიშნული კონსენსუსის მისაღწევად.

6. რამდენად შესაძლებელია საქართველოს NATO-ში გაწევრიანება ოკუპირებული ტერიტორიების არსებობის პირობებში?

ოკუპირებული ტერიტორიების საკითხის მოგვარება არ წარმოადგენს წინაპირობას საქართველოს NATO-ს წევრობისთვის და ეს შეზღუდვა NATO-ს არც ერთ დოკუმენტში არ არის აღნიშნული ან დაფიქსირებული. ამასთანავე, თუ გადავხედავთ ისტორიას, არის ფაქტები, როდესაც ქვეყანა გაწევრიანებულია NATO-ში ოკუპირებული ტერიტორიებით. მაგალითად დასავლეთ გერმანია გახდა NATO-ს წევრი იმ პირობებში, როდესაც აღმოსავლეთ გერმანია ოკუპირებული იყო სსრკ-ის მიერ.

7. თქვენი, როგორც NATO-საქართველოს ურთიერთობების მიმართულებით დიდი გამოცდილების მქონე ექსპერტის ხედვა - არსებული გამოწვევების პირობებში, როგორ

უნდა განხორციელოს საქართველომ სტრატეგიული შესაძლებლობების სინქრონიზაცია მთავარი მიზნის მისაღწევად - NATO-ს წევრობა.

საქართველოს მთავრობის ძალისხმევა NATO-ში ინტეგრაციის კუთხით მოიცავს რამდენიმე მთავარ მიმართულებას: 1. იმ რეფორმების განხორციელება, რომლებიც გაწერილია ANP-ში და უზრუნველყოფს NATO-სთან პოლიტიკურ თავსებადობას; 2. თავდაცვის ძალების ტრანსფორმაციის გაგრძელება, რაც უზრუნველყოფს NATO-ს სტანდარტებთან კიდევ უფრო მეტ თავსებადობას; 3. დიპლომატიური მიმართულებით აქტიური მუშაობა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კონსენსუსი წევრ-ქვეყნებს შორის გაწევრიანების ვადებთან დაკავშირებით.

III ინტერვიუ

დიეგო კოლასი - საფრანგეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში.

ვიცე-პოლკოვნიკი დანი პიტი - საფრანგეთის რესპუბლიკის თავდაცვის ატაშე საქართველოში.

თარიღი - 09.04.2021

1. როგორ შეაფასებდით NATO-ში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ გაწეულ ძალისხმევას?

ატაშე - პირველ რიგში მინდა აღვნიშნო საქართველოს მიერ NATO-ში კონტრიბუციის კუთხით დახარჯული დიდი ძალისხმევა, რომელიც ბევრ ალიანსის წევრ სახელმწიფოსაც კი არ განუხორციელებია. საქართველო ყველანაირად ცდილობს, რომ მიუახლოვდეს NATO-ს მოთხოვნებსა და სტანდარტებს. დარწმუნებით და ძალიან მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ წარმოაჩინა უდიდესი მონდომება და ძალისხმევა NATO-სთან თავსებადობის მიღწევის კუთხით.

2. როგორ შეაფასებდით საქართველოს მონაწილეობას NATO-ს მისიებსა და ოპერაციებში? რამდენად პასუხობს აღნიშნული ძალისხმევა NATO-სთან თავსებადობის კონცეფციას?

ატაშე - NATO-ს წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობა პირველ რიგში არის დამყარებული საერთო სტანდარტების ორმხრივ ცოდნაზე, რომელიც ყველაზე კარგად NATO-ს ოპერაციებში ვლინდება. მე მქონდა ბედნიერება შეხება მქონოდა NATO-ს მისიაში საქართველოს თავდაცვის ძალების წარმომადგენლებთან, ეს იყო ჩემი პირველი კონტაქტი 2011 წელს როდესაც ქართული დანაყოფი იცავდა ავღანეთში საფრანგეთის კონტინგენტის მთავარი შტაბს, სადაც მათ ყავდათ წარმომადგენლობა საბრძოლო მართვის ცენტრში. მათ ჰქონდათ აღებული პასუხისმგებლობა სამხედრო ბაზის დაცვასა და უსაფრთხოებაზე, რომელსაც ისინი წარმატებით ართმევდნენ თავს. საქართველო ახლაც ჩართულია ვაღანეთში NATO-ს ოპერაციებში, როგორც NATO-ს პარტნიორი

არაწევრი ქვეყანა. ასევე მინდა აღვნიშნო ქართული ქვედანაყოფების როლი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის ეგიდით წარმოებულ მისიაში, რომელიც წარმოაჩენს საქართველოს მნიშვნელოვან როლსა და ადგილს მსოფლიოს მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების კუთხით მიმდინარე პროცესებში. რა თქმა უნდა ქართული ქვედანაყოფებისთვის მოთხოვნაა, ოპერაციებში ჩართულობამდე NATO-ს სტანდარტებთან თავსებადობა, გარდა ევროკავშირისა და NATO-ს მისიებში ჩართულობისა, რომელიც წარმოაჩენს თავსებადობას NATO-ს სტანდარტებთან.

როცა ჩვენ ჩავერთეთ ავღანეთის მისიაში, მას შემდეგ რაც NATO-ში დავბრუნდით 2008-2010 წლებში, ჩვენ გვქონდა ჩვენი პირადი პროცედურები, რომლებიც იყო თანხვედრაში NATO-სთან, მაგრამ ტაქტიკურ დონეზე ჩვენ უნდა გვქონოდა ადაპტირებული პროცედურები, რომელსაც უნდა უზრუნველყოფოდა ფრანგული ქვედანაყოფების NATO-ს სტანდარტებთან და ქვედანაყოფებთან თავსებადობა. ესენი იყო სტანდარტული მოქმედების პროცედურები და ასე შემდეგ, რომ შეგვძლებოდა მისიებში NATO-ს ძალებთან ერთად ოპერირება. აღსანიშნავია, რომ ქართული ქვედანაყოფები უმაღლეს დონეზე ასრულებენ წლების მანძილზე ავღანეთის და სხვა მისიებში მათზე დაკისრებულ ამოცანებს. ამ ფაქტებიდან გამომდინარე ნათელია, რომ ქართული ქვედანაყოფების კომპეტენციასა და ალიანსთან თავსებადობის თემაზე კითხვები არ არსებობს.

3. მიმდინარე ეტაპზე NATO-სთან თანამშრომლობის კუთხით საქართველოს გააჩნია შემდეგი ძირითადი ფორმატები - PARP, ANP, SNGP. თქვენი აზრით აღნიშნული თანამშრომლობის მექანიზმები საკმარისია თუ არა საქართველოს NATO-ს წევრობისთვის მოსამზადებლად? ასევე, რა ზეგავლენას მოახდენს (დროის და ძალისხმევის თვალსაზრისით) წევრობის სამოქმედო გეგმაზე (MAP) და შემდგომ NATO-ში გაწევრიანების პროცესზე ამ ფორმატების შესრულება?

ატაშე - ის მექანიზმები, რომლებიც ამჟამად საქართველოს გააჩნია უზრუნველყოფს სტანდარტიზაციის ჩარჩოს, რომელიც წარმოადგენს წევრობის სამოქმედო გეგმასთან დაახლოების წინაპირობას, რომელიც არის NATO-ს ღია კარის პოლიტიკის მექანიზმი და

იმღევა საშუალებას NATO-მ შეაფასოს საქართველოს მიერ დასახული მიზნის მიმართულებით, როგორც უკვე გადადგმული ასევე განსახორციელებელი აუცილებელი ნაბიჯები. წევრობის სამოქმედო გეგმა არის NATO-ს პოლიტიკური მექანიზმი რომელიც წარმოადგენს ბოლო ეტაპს საქართველოს წევრობისთვის მოსამზადებლად და განსაზღვრავს წევრობაზე გადასვლამდე განსახორციელებელ ბოლო ეტაპებსა და ასპექტებს ქვეყნისთვის. ვფიქრობ რომ MAP-ის კრიტერიუმების მიმართულებით საქართველოსა და ჩრდილოეთ მაკედონიის ერთმანეთთან შედარება არ იქნება სწორი, ვინაიდან თითოეული სახელმწიფოსთვის MAP-ი ადგენს ინდივიდუალურ მოთხოვნებს და განსაზღვრავს მისაღწევ ძირითად მიზნებს.

ერთვება ინტერვიუში საფრანგეთის ელჩი:

4. ჩემი აზრით საქართველოს მიღება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში უფრო მეტად არის დამოკიდებული კავკასიის რეგიონში არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებაზე, ვიდრე საქართველოს მხრიდან ალიანსის ძირითადი საბაზისო კრიტერიუმების დაკმაყოფილებაზე. ასევე ვფიქრობ, რომ საქართველოსთან მიმართებაში NATO-სპოლიტიკა არის აბსოლუტურად მისაღები, გააზრებული და არსებული არაჩქარების პოლიტიკა ემსახურება საქართველოს სტრატეგიული შესაძლებლობების მაქსიმალურ გაძლიერებას. საინტერესოა თქვენი მოსაზრება და რეკომენდაციები არსებულ რთულ ვითარებაში საქართველოსთან მიმართებაში?

საფრანგეთის ელჩი: საქართველოს მიერ გაწეული ძალისხმევა რა თქმა უნდა სერიოზულ გავლენას ახდენს საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის პროცესებზე ძალიან პოზიტიურად. პირველ რიგში მინდა აღვნიშნო - ჩვენი (საფრანგეთის მხარის) ოფიციალური პოზიციაა, რომ საქართველო თვითონ ირჩევს საკუთარ მომავალს და დამოუკიდებლობას. არც ერთ სახელმწიფოს არ აქვს უფლება ჩაერიოს აღნიშნულ პროცესში და უკარნახოს რა უნდა აირჩიოს საქართველომ და რა არა.

რაც შეეხება გეოპოლიტიკურ რეალობას, რა თქმა უნდა მოქმედებს საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის პროცესზე, თუ როდის უნდა გახდეს საქართველო ნატოს წევრი, მაგრამ ამავდროულად გარკვეული კუთხით არც შეუძლია რომ იმოქმედოს საქართველოს არჩევანზე. ისევ მინდა აღვნიშნო, რომ საქართველო თვითონ ირჩევს თავის გზას.

საქართველომ აირჩია პრო-დასავლური კურსი და ეს მისი უფლებაა. რა თქმა უნდა ისმის შეკითხვა - თუ საქართველო გახდება NATO-ს წევრი რას მოიმოქმედებს რუსეთი, და რას გააკეთებს ამ შემთხვევაში NATO, გამოიყენებს მის წინააღმდეგ სანქციების პოლიტიკას თუ ამოქმედებს მე-5 მუხლს, ეს არის ძალიან სერიოზული შეკითხვა რომელსაც ამ ეტაპზე შეუძლებელია ზუსტი პასუხი გაეცეს.

მაგრამ უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია რომ საქართველომ მაქსიმალურად გააძლიეროს თავდაცვითი შესაძლებლობები, რომ შეძლოს პირველადი პასუხის გაცემა რუსული აგრესიის პირობებში. კარგი მაგალითია საქართველოს მიერ ალიანსის სტანდარტებთან თავსებადი ჰერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების განვითარების პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც საქართველოს უკვე გააჩნია NATO-სთან თავსებადი და ოპერირებადი ჰერსაწინააღმდეგო სისტემები. ძალიან კარგია რომ საქართველოს უკვე გააჩნია NATO-სთან თავსებადი და ინტეგრირებული საჰაერო თავდაცვის სისტემა რომელიც საქართველოს აძლევს საშუალებას გააკონტროლოს, როგორც საკუთარი საჰაერო სივრცე, ასევე ქვეყნის წვდომა რა ხდება NATO-ს წევრ ქვეყნებსა და შავი ზღვის აკვატორიაში, ასევე აღნიშნული სისტემები NATO-ს შტაბებსა და ქვეყნებისთვის ხელმისაწვდომს ხდის საქართველოს საჰაერო სივრცეში არსებულ ვითარებას. ასევე უნდა აღინიშნოს თავდაცვის ძალების სხვადასხვა მიმართულებების განვითარების კუთხით მიღწეული დიდი პროგრესი, როგორც საჰაერო თავდაცვის განვითარების, ასევე საზღვაო აკვატორიის დაცვის გაუმჯობესები მიზნით გადადგმული ნაბიჯების მიმართულებით. თანაშრომლობის მნიშვნელოვანი ფორმატები რა თქმა უნდა კიდევ და კიდევ უფრო აახლოვებს საქართველოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სტანდარტებთან და სამოქმედო პროცედურებთან. რა თქმა უნდა მე-5 მუხლის მხარდაჭერა მნიშვნელოვანია მაგრამ, მიმდინარე ეტაპზე უმნიშვნელოვანესია საქართველოს მიერ ზემოაღნიშნული შესაძლებლობების განვითარების კუთხით გადადგმული ნაბიჯების გაგრძელება, ვინაიდან თქვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვა მიმდინარე ეტაპზე სწორედ ამაზეა დამოკიდებული.

აღსანიშნავია რუსეთის მიერ უწყვეტი და განგრძობადი საინფორმაციო პროპაგანდისა და დეზინფორმაციის პოლიტიკა, რომელიც ამბობს - ვინაიდან თქვენ არ

ხართ NATO-სა და ევროკავშირის წევრები დასავლეთი არ არის დაინტერესებული თქვენით. ასევე რუსული პროპაგანდის ნაწილია ისიც რომ თითქოს გერმანიას და სხვა ქვეყნებს არ უნდათ საქართველოს გაწევრიანება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში, და ასევე ის, რომ აზრი არ აქვს საქართველოს მიერ დახარჯულ ძალისხმევას NATO-ს სტანდარტებთან თავსებადობის ამაღლების კუთხით ვინაიდან ის ვერასოდეს გახდება რეალურად NATO-ს წევრი, მაგრამ სინამდვილეში ზუსტად ამ სტანდარტებთან მიახლოება განსაზღვრავს რამდენად სწრაფად მოხდება საქართველოს ალიანსში ინტეგრაცია. მე ვფიქრობ, რომ რასაც თქვენ აკეთებთ ავღანეთსა და სამხრეთ აფრიკაში არის ძალიან მნიშვნელოვანი. პრაქტიკული შეხება სხვადასხვა მისიებში ფრანგ და ალიანსის წევრი სახელმწიფოების სამხედრო მოსამსახურეებთან კიდევ უფრო ზრდის საქართველოსადმი ნდობას NATO-ს წევრი სახელმწიფოების მხრიდან, მეორე მხრივ ამაღლებს ქართველ სამხედროთა პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს და აძლევს მალ ღირებულ გამოცდილებას.

რომ შევაჯამოთ გეოპოლიტიკური ვითარება რა თქმა უნდა ახდენს გავლენას საქართველოს NATO-ში გაწევრიანების პროცესზე მაგრამ საბოლოო ჯამში საქართველოს NATO-სში გაწევრიანება არის საქართველოს და ალიანსის წევრების საქმე და არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია ჩაერიოს აღნიშნულთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

5. რა არის საქართველოს წევრობის საკითხთან დაკავშირებული NATO-ს პოლიტიკის საკვანძო ფაქტორები?

სამხედრო ატაშე - მე სამხედრო მიმართულებაზე გავაკეთებდი აქცენტს. ჩემი აზრით უაღერესად მნიშვნელოვანია NATO-ს სტანდარტებთან თავსებადობის ამაღლების კუთხით მიმდინარე ძალისხმევის გაგრძელება. მაგალითად საჰაერო თავდაცვის სისტემის გაძლიერება. ვფიქრობ რომ ყველა თანამედროვე კონფლიქტი იწყება საჰაერო დომინირების მოპოვების მცდელობით, რისი კარგი მაგალითიც იყო მთიან ყარაბაღში განვითარებული საბრძოლო მოქმედებები და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი. კიდევ ერთხელ გავუსვავედი ხაზს NATO-საქართველოს თანამშრომლობის მექანიზმების

ფარგლებში დასახული ამოცანების მიმართულებით მუშაობის გაგრძელებას, რაც გულისხმობს NATO-ს სტანდარტებთან და პროცედურებთან კიდევ უფრო დაახლოების მაქსიმალურ მცდელობას საქართველოს მხრიდან.

6. თქვენი აზრით რამდენად შესაძლებელია საქართველოს NATO-ში გაწევრიანება ოკუპირებული ტერიტორიების არსებობის პირობებში?

საფრანგეთის ელჩი: ეს კითხვა ისევ გეოპოლიტიკურ ვითარებიდან გამომდინარეობს და ისევ რუსულ ნარატივთან არის დაკავშირებული, რომ არავინ მიღებს საქართველოს NATO-ში ოკუპირებული ტერიტორიებით. ამის საპირისპირო ძალიან კარგი მაგალითია გერმანიის გაწევრიანება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში. მე არასდროს გამიგია NATO-ს ოფიციალური პირების მხრიდან, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიები წარმოადგენს ხელისშემშლელი ფაქტორი საქართველოს NATO-ში გაწევრიანების გზაზე. თუმცა, რა თქმა უნდა მოქმედებს აღნიშნულ ტერიტორიებზე არსებული საოკუპაციო რეჟიმის ყოფნა ნეგატიურ ასპექტში აფხაზეთის, ოსებისა და ქართველების შერიგების პროცესზე, ვინაიდან ყველასთვის ცნობილია, რომ რუსეთი ყველანაირად უშლის ხელს მხარეთა კომუნიკაციის პროცესს. გასათვალისწინებელია აფხაზეთისა და ოსების ნაციონალისტური შეხედულებები და ძალიან ფრთხილი და კარგად გააზრებული მიდგომაა საჭირო საქართველოს ცენტრალიზებული ხელისუფლების მხრიდან, თუ როგორ უნდა გამოინახოს გზა, რომელიც ერთი მხრივ შერიგებისკენ წაიყვანს დაპირისპირებულ მხარეებს და მეორე მხრივ საქართველოს სუვერენიტეტის ქვეშ ღირსეულ ადგილს შესთავაზებს აღნიშნულ ავტონომიურ რესპუბლიკების მოსახლეობას.

7. თქვენი, როგორც საფრანგეთის ელჩის ხედვა - არსებული გამოწვევების პირობებში, როგორ უნდა განახორციელოს საქართველომ სტრატეგიული შესაძლებლობების სინქრონიზაცია მთავარი მიზნის მისაღწევად - NATO-ს წევრობა.

საფრანგეთის ელჩი: საქართველოს მიერ დიდი ინფარსტრუქტურული პროექტების, სატრანზიტო გზებისა და მარშუტების, პორტების, ნავთობსადენებისა და გაზსადენების, ასევე ელექტრო სისტემის განვითარება საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. ასევე მნიშვნელოვანია საქართველომ შეინარჩუნოს წამყვანი ადგილ ბიზნესის კუთების

კუთხით მთელს ევროპაში, გააგრძელოს დამოუკიდებელი სასამართლოს სისტემის განვითარების კუთხით დაწყებული რეფორმები, კორუფციასთან ბრძოლა და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესზე რა თქმა უნდა ძალიან დადებითად მოქმედებს და საქართველომ უნდა გააგრძელოს ზემოაღნიშნული მიმართულებების კიდევ უფრო განვითარება.

მეორე მხრივ საქართველოს გააჩნია ძალიან დიდი ტურისტული პოტენციალი, არის აღმოსავლეთ ევროპის ძალიან მშვენიერი ქვეყანა და გააჩნია ყველანაირი შესაძლებლობები რომ მოიზიდოს ტურისტული ნაკადები ევროპიდან და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებიდან. მაგალითად საფრანგეთიდან საქართველო თითქოს ძალიან შორს ჩანს, განსაკუთრებით როდესაც გესმის, რომ მის მეზობლად არის ჩეჩნეთი, ირანი, აზერბაიჯანში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები და როდესაც მისი ტერიტორიები ოკუპირებულია რუსეთის მიერ, მაგრამ, როდესაც ხალხი ჩამოდის საქართველოში ეცნობა თბილისს, საქართველოს სხვადასხვა ულამაზეს რეგიონებს, თქვენი ღვინის უძველეს კულტურასა და ულამაზეს ტრადიციებს ეს სულ სხვა შთაბეჭდილებას ტოვებს მათზე. ამიტომ კრიტიკულად მნიშვნელოვანია სახელმწიფომ სტარტაპების, ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებით ხელი შეუწყოს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას. ასევე მნიშვნელოვანია აგროკულტურის განვითარების მხარდაჭერა რასაც პირდაპირი კავშირი აქვს საქართველოს ეკონომიკასთან. ასე რომ გარდა თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებისა აღნიშნული სტრატეგიული მიმართულებების განვითარება რა თქმა უნდა ძალიან პოზიტიურად აისახება საქართველოს ევროკავშირსა და NATO-ში ინტეგრაციის პროცესზე.

8. თქვენი მოსაზრება, თუ რა უნდა გააკეთოს საქართველოს მხარემ, რომ მოიპოვოს საფრანგეთის მოსახლეობისა და ოფიციალური პირების ნდობა და მხარდაჭერა NATO-ში ინტეგრაციის გზაზე. მე ვიცი რომ ჩვენი ქვეყნები ძალიან წარმატებულად თანაშრომლობენ საჭაერო თავდაცვის შესაძლებლობებით მხარდაჭერის სფეროში, ასევე ნათელი მაგალითია სამხედრო-საგანმანათლებლო მიმართულებით საჩხერის სამთო

მომზადების სკოლაში შეტანილი წვლილი საფრანგეთის მიერ. თქვენი მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

საფრანგეთის ელჩი - თავდაპირველად, მოდი გავცდეთ სამხედრო თანამშრომლობის სფეროს. მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის რაც შეიძლება ჩქარა დაიწიოს დაბლა შიდა პოლიტიკური კრიზისის ტემპერატურამ. რათა არა მარტო ფრანგულმა საზოგადოებამ, არამედ ევროპის ქვეყნებმა დაინახონ საქართველოში არსებული რთული პოლიტიკური სიტუაციის გადაჭრისკენ გადადგმული ნაბიჯები. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რათა მივიღოთ მონაწილეობა საქართველოს ხელისუფლებისა და ოპოზიციის მოლაპარაკებების პროცესში და შევქმნათ წინაპირობები რომელიც გახდება აღნიშნული სიტუაციის დასტაბილურების ხელიშემწყობი ფაქტორი.

ამის შემდგომ უნდა აღინიშნოს დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების პროცესის გაგრძელების აუცილებლობა. განსაკუთრებით გამოვყოფდი, როგორც სამართლიანი არჩევნების და სასამართლოს სისტემის განვითარების, ასევე კორუფციასთან ბრძოლის გაგრძელების პროცესის აუცილებლობას. კარგი მაგალითი აჩვენა საქართველოს მთავრობამ COVID 19-თან ბრძოლის უზრუნველსაყოფად გადადგმული ეფექტური ნაბიჯებისა და გატარებული კრიზისების მართვის პოლიტიკის მიმართულებით. ასევე მეორე მხრივ ქვეყანაში არსებული თავისუფალი მედია, რომელსაც შეუძლია აკონტროლოს და გააკრიტიკოს ხელისუფლების პოლიტიკა წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს ძალიან კარგ ინდიკატორს, რომლის შენარჩუნებაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია დემოკრატიული სახელმწიფოსთვის. თავისუფალი მედია წარმოადგენს გარანტს რომელიც აიძულებს ხელისუფლებას, რომ არ დაშორდეს საკუთარ მოსახლეობას და იმყოფებოდეს მათთან მუდმივ კომუნიკაციაში. ჩემის აზრით აღნიშნული მიმართულებები წარმოადგენს იმ ფაქტორებს რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს პოსტ-საბჭოთა ქვეყნის ტრანფორმაციას წარმატებულ ევროპულ სახელმწიფოდ.

9. როგორია ნატოში ინტეგრაციის გზაზე საქართველო-საფრანგეთის თანამშრომლობის მთავარი ასპექტები.?

სამხედრო ატაშე - გარდა საჰაერო თავდაცვის მიმართულებით განხორციელებული წარმატებული თანამშრომლობისა, განსაკუთრებით გამოყოფილი საფრანგეთის მიერ საჩხერის სამთო მომზადების ცენტრის ჩამოყალიბებაში შეტანილ წვლილს. განსაკუთრებით დიდია სამთო მომზადების სკოლის როლი იმ ვითარებაში როდესაც საქართველოს თავდაცვის ძალებს გააჩნია ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ოპერირებადი სარდლობა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში. საქართველოს მთაგორიანი რელიეფიდან გამომდინარე, ვფიქრობ რომ აუცილებელია სამომავლოდ აღნიშნული სკოლის წარმატებით გამოყენება აღნიშნული სარდლობების სადაზვერვო ქვედანაყოფების მომზადებისთვის სამთო-სადაზვერვო ტაქტიკური ოპერაციების მიმართულებით, რაც უკვე დაგეგმილია საქართველოს თავდაცვის ძალების მიერ და ვფიქრობ რომ ახლო მომავალში კიდევ უფრო გაფართოვდება და მრავალფეროვანი გახდება სამთო მომზადების სკოლის პრაქტიკული კურსები და ტრენინგები. საჩხერის სამთო მომზადების სკოლას გააჩნია შესაძლებლობა უმასპინძლოს NATO-სა და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო მოსასამახურეებს, რომლებიც ქართველს სამხედროებთან ერთად გადიან სხვადასხვა კურსებს და ტრენინგებს. აღნიშნული მიმართულებით საქართველოს შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი NATO-სა და პარტნიორი ქვეყნების საბრძოლო მზადყოფნის დონის ამაღლების მიმართულებით და მიხარია, რომ აღნიშნული სკოლა 2010 წლიდან NATO-ს ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით, NATO-ს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის სამთო მომზადებისა და განათლების ცენტრის სტატუსს ატარებს.

IV ინტერვიუ

Robert Hamilton - Currently serves as an Advisor to the Georgia MOD in the areas of organizational change management, and policy, strategy and plans. 2006-2008 Chief of the U.S. Office of Defense Cooperation (ODC) in Georgia. from 2022, faculty member at the U.S. Army War College. PhD in International Relations and used Georgia as a case study for his dissertation on post-Soviet conflict.

Date of completion - 06.04.2021

“THESE RESPONSES ARE MY PERSONAL OPINIONS AND DO NOT REFLECT THE POLICY OR POSITION OF THE U.S. ARMY WAR COLLEGE, THE U.S. ARMY, OR THE DEPARTMENT OF DEFENSE”– ROBERT HAMILTON

1.How would you assess the efforts made by Georgia on the path to NATO integration?

Georgia has made significant progress in NATO interoperability, especially at the tactical level. Georgian units at the brigade level and below operate nearly seamlessly with units from NATO militaries. Where Georgia still lags somewhat is on the generating force and executive levels. Georgia’s defense institutions on those levels struggle to provide the policies, strategies, doctrine, education, training, and resources necessary for Georgia to sustain the capabilities of its tactical units. However, even at the generating force and executive levels, Georgia has made great strides from the capabilities it possessed when it gained independence in 1991. In short, although Georgia may not yet be as capable as many NATO members, the progress it has made since independence should inspire confidence that the country is capable of becoming a valuable member of NATO.

2.How would you assess Georgia's participation in NATO missions and operations? Does this effort meet the concept of compatibility with NATO?

Georgia’s participation in NATO mission and operations is more active than that of many NATO members. Georgian forces have the reputation for being well-trained, for operating without national caveats, and for taking on any mission assigned them. U.S. commanders who have worked with Georgian forces routinely praise them. A U.S. brigade commander in Iraq (not a NATO mission, but US-led) told me in 2007 that the Georgian battalion in his battlespace had changed his opinion of coalition forces

because of its toughness, discipline, and excellent leadership. Where Georgian forces are limited in these types of operations is in the ability to sustain themselves, with much sustainment coming from the U.S. or NATO allies.

3. At the current stage, in terms of cooperation with NATO, Georgia has the following main formats - PARP, ANP, SNGP. In your opinion, do the mentioned cooperation mechanisms provide Georgia with preparation for NATO membership? Also, what impact will the implementation of these formats have (in terms of time and effort) on the Membership Action Plan and the subsequent NATO membership process?

Theoretically, completing all the requirements contained in these programs will position Georgia well for meeting NATO membership requirements and make the MAP process simpler and smoother. This is especially true at the generating force (TMEC) and executive (MOD and general staff) levels. But the remaining obstacles to Georgia's NATO membership have less to do with interoperability and more to do with political will among current NATO members, so meeting the objectives in the various NATO-Georgia cooperation formats still may not result in Georgia being invited into NATO.

4. What are the key factors of the NATO policy related to Georgia's future membership?

The most important factor preventing Georgia's NATO membership is **lack of political will among some current Alliance members**. Aside from this, the aforementioned issues at the generating force and executive levels require additional work for Georgia to achieve full NATO interoperability.

5. In your opinion, what are the main obstacles to Georgia's NATO integration process (Georgia's domestic politics, foreign policy, military-technical, social, etc.)?

As noted, **lack of political will among some alliance members** is the primary obstacle. **Georgia's periodic political crises are a secondary issue**, because they allow the sceptics on Georgia among NATO members to argue that Georgia is too politically unstable to join the Alliance.

6. In your opinion, is it possible for Georgia to join NATO in the presence of the occupied territories?

Yes. There are several ways to deal with the occupied territories and NATO has made past exceptions to its stipulation that members should not have unresolved territorial claims (the admission

of West Germany, for example). A written non-use-of- force pledge by the Georgian government would also help ease concerns of many NATO members. Another idea would be to admit Georgia with the Article 5 commitment only applied to territories under central government control.

7. Your vision, in the face of existing challenges, how Georgia should synchronize strategic capabilities to achieve the main goal - NATO membership.

Working to maximize the NATO interoperability of Georgian institutions at the generating force and executive levels is important for two reasons. First, doing so would make them able to “plug in” to NATO missions very easily. Second, it would allow Georgia to better sustain the capabilities of its operating level forces (brigade-level and below). Another requirement is to publish, resource, and exercise a credible Total Defense approach. This would not only serve to deter adversaries but also to reassure NATO Allies that Georgia takes seriously its ability to defend itself (Article 3 – resilience).

8. Key prospects of the U.S.-Georgia cooperation on the path to NATO membership.

US- Georgia cooperation is strong, and has been so across multiple governments from different political parties in both countries. One thing that is important for Georgia to understand is that its credentials as a country working assiduously to build a stable democracy are an important reason for strong U.S. support.

V ინტერვიუ

Gintaras Bagdonas - NATO Military Liaison Officer (NMLO) in South Caucasus. Colonel of the Lithuanian Army, as NMLO I represent NATO International Military Staff in Georgia.

Date of completion - 06.04.2021

The views expressed in this article are purely those of the writer and may not in any circumstances be regarded as stating an official position of NATO.

1. How would you assess the efforts made by Georgia on the path to NATO integration?

Georgian institutions have been working hard in reforming the national defence and security organizations, having special focus on modernization of the Georgian Defence Forces. Georgian efforts to contribute to security is well-assessed by NATO. More active Georgian diplomatic endeavor should be helpful in striving for the membership consensus.

2. How would you assess Georgia's participation in NATO missions and operations? Does this effort meet the concept of compatibility with NATO?

The Georgian active participation in Alliance's missions and operations is highly regarded by NATO and Allies. This effort corresponds with NATO's political unity and it contributes to the military compatibility with NATO.

3. At the current stage, in terms of cooperation with NATO, Georgia has the following main formats - PARP, ANP, SNGP. In your opinion, do the mentioned cooperation mechanisms provide Georgia with preparation for NATO membership? Also, what impact will the implementation of these formats have (in terms of time and effort) on the Membership Action Plan and the subsequent NATO membership process?

In my opinion, existing framework provides Georgia with all necessary tools to achieve the requirements for the membership. It does not necessary mean that these mechanisms are fully explored by both Georgia and NATO. The scale and quality of practical achievements reforming Georgian institutions will positively impact on the implementation of MAP, reducing membership preparation process, in terms of time and effort.

4. What are the key factors of the NATO policy related to Georgia's future membership?

Strong and functional legislative, executive and judicial institutions ensuring democracy and rule of law and freedom in the country; Credible and effective national security and defence institutions (including national security intelligence agencies); Contribution to the peace and security.

5. In your opinion, what are the main obstacles to Georgia's NATO integration process (Georgia's domestic politics, foreign policy, military-technical, social, etc.)?

Absence of political will within Allies is on the top of most of your mentioned factors.

6. In your opinion, is it possible for Georgia to join NATO in the presence of the occupied territories?

Having a political will the solution is always feasible.

7. In your opinion, in the face of existing challenges, how Georgia should synchronize strategic capabilities to achieve the main goal - NATO membership.

In my opinion (Gintaras Bagdonas), Georgia should employ its diplomatic and political capacities in the first place pushing for both domestic institutional reforms and external political support for the membership.

VI ინტერვიუ

ლევან ნიკოლეიშვილი - თადარიგის პოლკოვნიკი, ეროვნული თავდაცვის აკადემიის ასოცირებული პროფესორი, ყოფილი გენერალური შტაბის უფროსი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე და უშიშროების მინისტრის მოადგილე

თარიღი - 08.07.2021

1. როგორ შეაფასებდით NATO-ში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ გაწეულ ძალისხმევას?

